სამეცნიერო ჟურნალი: ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება

SCIENTIFIC MAGAZINE: NATIONAL AND CORPORATE SECURITY TRAINING AND RESEARCH CENTRE

შრომების კრებული N3
2018

ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-
კვლევითი ცენტრი

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის-
ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება“-
მასალები

2018 წლის ივნისი

UDC (უაკ) 351.86+351.746 ე-811

მთავარი რედაქტორი:

დავით კუხალაშვილი-ისტორიის დოქტორი, თადარიგის პოლკოვნიკი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

მთავარი რედაქტორის მოადგილე:

თენგიზ ენდელაძე-ისტორიის დოქტორი, თადარიგის გენერალ-მაიორი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

პასუხისმგებელი მდივანი:

სალომე გუმბერიძე-სტუ ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საჯარო მმართველობის დოქტორანტი (III კურსი)

სარედაქციო კოლეგია:

მარატ ციცქიშვილი-ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი

ვახტანგ მაისაია-პოლიტიკური და სამხედრო მეცნიერებატა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჯაბაური-ისტორიის დოქტორი, თადარიგის პოლკოვნიკი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

ოთარ ქოჩორაძე-ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მზევინარ გურული-კუხალაშვილი-აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი

თამარ ბრეგაძე-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

ISSN 2449-3074

ა(ა)იპ „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დავით კუხალაშვილი- ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი_____ 5

2. ლერისარაიდაროვი-„ სადაზვერვო საქმიანობა, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშემწყობი საშუალება“ _____6 - 11

3. კახა ფუტკარაძე-„ სადაზვერვო სამსახურების როლი საერთაშორისო პოლიტიკაში, თეორიული ბაზის ანალიზის საფუძველზე“_____ 12- 25

4. თენგიზ ენდელაძე-„ პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის როლის საკითხისათვის“_____ 26- 27

5. ნათია სტრელნიკოვა-„ სადაზვერვო აქტივობები საქართველოს დემოკრატიული რეს- პუბლიკის წინააღმდეგ (1918 - 1921წწ.)“_____ 28- 32

6. ილია ხუციშვილი-„ სახელმწიფოს ენერგორესურსებზე კონტროლის მოპოვების სადაზვერვო ასპექტები“_____30-35

7.მზევინარ გურული-კუხალაშვილი, დავით კუხალაშვილი-„აგრარული ექსპერიმენ-ტების სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზების საკითხისათვის“____ 36-41

8 . ცისანა კეღოშვილი-„ ევროკავშირის უსაფრთხოება და საქართველო“_____ 42- 46

9 . ემზარ საბანაძე, თამარ შევარდნაძე-„ საქართველოს კანონში: „ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ გამოყენებული მნიშვნელოვანი ტერმინების განმარტებისათვის.“_____47-54

10. სალომე გუმბერიძე-„ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებისკიბერუშიშრობის პოლიტიკა“_____ 55- 59

11. გიორგი ბიწაძე-„ სადაზვერვო საქმიანობის როლი სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაში“_____60-65

12. მაგდანა ბესელია-„ ნატო“ და ტერორიზმი. ტერორიზმის სადაზვერვო ხასია-თი.“_____66-72

13. თენგიზ ენდელაძე, გოგი ჯაბაური, დავით კუხალაშვილი - „ სახელმწიფოს ეთნიკური (და რელიგიური) უშიშროების მნიშვნელოვანი ასპექტები“_____ 73- 76

14. ირაკლი ყიყიშვილი-„„ჰიბრიდული ომის“ პირობებში სახელმწიფოს შიდა-პოლიტიკური დესტაბილიზაციის მაპროვოცირებელი გარემოებები“_____77-83

15. ვახტანგ მაისაია-„ სომხეთის პოლიტიკური კრიზისი ტრანსფორმირება პოლიტიკურ ჩიხში??? პოლიტიკური ცუნცვაგის კავკასიური შედეგი“_____84- 87

16. ალიკა გუჩუა-, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 21- ე საუკუნეში და მასობრივი განადგუ-რების იარაღის ფაქტორი საერთაშორისო უსაფრთხოებაში “_____88-94

17. გიორგი ფერაძე, დავით კუხალაშვილი-„ ეკონომიკური სანქციების სადაზვერვო ხასიათი და სადაზვერვო სარგებლის მომლოდინე ჯგუფების კატეგორიე-ბი“_____95-99

18. ნათია ხიჯაკაძე-„ საქართველოს ისტორიისა და კულტურის დისკრედიტაციის პროცესები“_____100-104

19. ნანა სეფერთელაძე-„ საქართველოს ევრო- ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი. პრობლემები და პერსპექტივები“_____ 105-110

20. შალვა მზარეულიშვილი-„ პოსტსაბჭოთა ყაზახეთის პოლიტიკური განვითარების თავისე- ბურებანი, მისი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები"____111-117

21. ანა გაიპარაშვილი-„ ლობიზმის სადაზვერვო მნიშვნელობა“_____118-121

22. გიორგი ალადაშვილი, თამარა ტარტარაშვილი „ ეთნიკური უმცირესობების როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში“_____122-126

23. კონსტანტინე კუხალაშვილი-„ საქართველოზე მეზობელი სახელმწიფოების სადაზვერვო ზეგავლენის საკითხისათვის (XVIII საუკუნის ბოლო, XIX საუკუნის I ნახევარი)_____127-132

ა(ა)იპ „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი 2016 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. ცენტრის ძირითად მიზანს ეროვნული უსაფრთხოების კუთხით ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება, ხოლო სასწავლო პროცესის ამოცანას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში თითოეული მოქალაქის როლის გათვითცნობიერება წარმოადგენს.

ცენტრის ლექტორებს (ტრენერებს) ეროვნული უშიშროების კუთხით გააჩნიათ მრავალ-წლიანი როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება.

განვლილ პერიოდში ცენტრის მიერ ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების კუთხით ჩატარებულია, ტრენინგები, საჯარო ლექციები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, გამოცემულია კონფერენციის შრომათა კრებული.

ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზეგავლენის შესახებ ცენტრის მიერ გაკეთებულია ათეულობით ოფიციალური განცხადება.

სატელევიზიო-ანალიტიკურ გადაცემებში სისტემატიურად ფიქსირდებოდა ცენტრის პოზიციები საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ქმედებების შესახებ.

სხვადასხვა უმაღლეს-სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძ-ველზე, 2017-2018 წლებში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებმა წარმატებით გაიარეს სამთვიანი სტაჟირების პროგრამები: „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება“ და „სადაზვერვო საქმიანობის როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში.“

ცენტრის მიერ მომზადებულია პროგრამები, რომლებიც როგორც სახელმწიფო მოხელეების, ისე კორპორაციულ სექტორში დასაქმებული პირების, ზოგადად საზოგადოების ყველა ფენის ცნობიერების დონის ამაღლებას ემსახურება, სახელმწიფოთა მიერ განხორ-ციელებული ისეთი ქმედებების მიმართ, როგორიცაა: სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო საქმიანობა, კორპორაციული ჯაშუშობა, ობიექტის ფიზიკური უსაფრთხოება, პირადი უსაფრთხოება და სხვა.

ცენტრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ერთიანი, ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა წარმოადგენს და ვფიქრობ თავდაუზო-გავი შრომა დადებითი შედეგების მომტანი იქნება.

მადლობა მინდა მოგახსენოთ საემეცნიერო-პრქტიკულ კონფერენციაში მონა-წილეობისათვის. მის ორგანიზებაში დონორის-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის როლი მნიშვნელოვანია, რისთვისაც მადლობა მინდა მოვახსენო უნივერსიტეტის რექტორს.

გისურვებთ წარმატებებს პირად და საქმიან ურთიერთობებში.

ჩვენი ცენტრი ყოველთვის მზადაა გააგრძელოს თქვენთან თანამშრომლობა.

პატივისცემით,

დავით კუხალაშვილი

ისტორიის დოქტორი, თადარიგის პოლკოვნიკი, სახელმწიფო და

კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

ლერი სარაიდაროვი
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური
სამსახურის სააგენტოს დირექტორის მოადგილე

სადაზვერვო საქმიანობა, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშემწყობი საშუალება

კაცობრიობის დასაბამიდან და მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, განსაკუთრებით სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესში, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ძლიერე-ბის მიღწევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საიდუმლო და ფარულ საქმიანობას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარის ღია თუ ფარული ზრახვების თაობაზე ზედმიწევნით ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება და მტრის დეზინფორმირება.

მსოფლიოში, მზვერავობა ერთ-ერთ უძველეს და პრესტიჟულ პროფესიად მიიჩნეოდა მუდამ, ეს საქმიანობა დაკავშირებული იყო რისკთან და გამბედაობასთან, გამჭრიახობასთან და პროფესიონალიზმთან. მზვერავი [1] არის პირი, რომელიც ახორციელებს არსებული ან სავარაუდო მოწინააღმდეგის შესახებ მონაცემების მოპოვებას, შესწავლასა და განზოგადებას. ერთი შეხედვით ეს ჩანაწერი შესაძლოა ძალიან მარტივად ჟღერდეს, თუმცა ამ წინადადებაში აღწერილი სამიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ეს პროფესია სახელმწიფოსა და შეგნებული მოსახლეობის მხრიდან უნდა იმსახურებდეს საკადრის პატივისცემასა და აღიარებას, ვინაიდან იგი დაკავშირებულია სასიცოხლო რისკთთან, წარუმატებლობის შემთხვევაში შესაძლო წამებასთან ან არაადამიანურ მოპყრობასთან, ასევე გამძლეობასთან და თავდაჯერებულო-ბასთან.

სადაზვერვო საქმიანობა წარმოადგენს სახელმწიფოს მოღვაწეობის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის სხვა მოქმედი პირების შესაძლებლობებისა და განზრახვების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ითვალისწინებს. სადაზვერვო საქმიანობა შეიძლება წარმოებდეს როგორც ღია (მასმედიისა და დიპლომატიური წყაროების გამოყენებით) ისე ფარული აგენტურული თუტექნოლოგიური მეთოდებით.

საქართველოს სადაზვერვო კანონმდებლობის მიხედვით სადაზვერვო საქმიანობა [2] არის საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საგარეო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი, რეალიზაცია, აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში ქვეყნის სტრატეგიული კურსის გატარებისათვის ხელის შეწყობა. სადაზვერვო საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და მასთან დაკავშირებული რეგულაციები განსაზღვრულია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით.

სადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიზნები, მიმართულებები და პრიორიტეტები განისაზღვრება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის[3] საფუძველზე შექმნილი-ეროვნული სადაზვერვო პროგრამით, რომელიც წარმოადგენს საიდუმლო დოკუმენტს, რომელსაც ამჟამად, უწინდელთან განსხვავებით ამტკიცებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

---

[1]სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, შემდგენელი ვახტანგ კაპანაძე, გიორგი სურმავა და სხვები, გვ.93. თბილისი, 2013 წ.

[2]საქართველოს კანონი „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 2010 წ.

[3] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 2011წ.

განსხვავებით ხსენებული დოკუმენტისგან, ღია დოკუმენტს წარმოადგენს უკვე ხსენებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, მასში თავმოყრილია საქართველოს ეროვნული ინტერესები, ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები, უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

სადაზვერვო საქმიანობის სახეობას წარმოადგენს საგარეო კონტრდაზვერვითი საქმიანობა[4], რომელიც ხორციელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ სადაზვერვო საქმიანობისა და მასში მონაწილე პირების, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, აგრეთვე ხანგრძლივად მივლინებაში მყოფი საქართველოს იმ მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომლებიც თავიანთი საქმიანობით დაკავშირებული არიან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან. აუ აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და ღირებული ინფორმაციის მატარებელი პირის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მხრიდან გადაბირების და ინფორმაციის გამოძალვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

საგარეო საფრთხეებისგან საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსაზღვრულია სპეციალურად უფლებამოსილი სადაზვერვო დაწესებულებები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ სადაზვერვო საქმიანობის მიზნების შესრულებას.

საქართველოს დაზვერვის სისტემაში შედის რამოდენიმე დაწესებულება, ესენია საქართველოს დაზვერვის სამსახური, საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების სადაზვერვო ქვედანაყოფები. ბუნებრივია, დასახელებული სამსახურების ფუნქციები და მოქმდების არეალები, საქმიანობის სფეროები და მეთოდები განსხვავებულია, თუმცა მათი საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საგარეო საფრთ-ხეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი, რეალიზაცია, აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში ქვეყნის სტრატეგიული კურსის გატარებისათვის ხელის შეწყობა.

უდაოა, რომ საქართველო, სხვა ქვეყნების მიმართ ტოლერანტობის და ლოიალობის დადასტურების მიუხედავად, მანც განიცდის სადაზვერვო შეღწევადობას, რაც რა თქმა უნდა დიდი საფრთხისა და გამოწვევების წინაშე აყენებს ჩვენს ქვეყანას. გასაგებია, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული სადაზვერვო საქმიანობით გამოწვეული საფრთხეების გამოვლენა და განეიტრალება ევალება კონტრდაზვერვითი საქმიანობის უფლებით აღჭურვილ სპეციალურ დანაყოფებს, თუმცა არანაკლებ ძალისხმევას საჭიროებს საზღვარგარეთ, ჩვენი ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი ან საკუთარი ინტერესების გატარების მიზნით მოქმედი პირებისა თუ ორგანიზაციების გამოვლენა და შეკავება, მათი ნამდვილი ინტერესის განეიტრალება და ბლოკირება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საგარეო საფრთხეების გამოვლენის და მასზე რეაგირების მიზნით სადაზვერვო საქმიანობა მეტწილად წარმოებს უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე და მისი განხორციელება ხდება სხვადასხვა უწყებების მიერ, განსხვავებული მეთოდებითა და ხერხებით, როგორც ღია, ისე დახურული, როგორც ტექნოლოგიური ისე ოპერატიული წყაროების გამოყენებით. ტექნოლოგიების სწრაფმა და პროგრესულმა განვითარებამ ხელი შეუწყო ინფორმაციის სწრაფად და დისტანციურად მოპოვებას, თუმცა აგენტურული, ოპერატიული არხებით მოპოვებული და გადამოწმებული ინფორმაციის ფასი, მაინც არ არის დევალ-ვირებული დღევანდელ რეალობაში სპეცსამსახურების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ალბათ, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ ხშირ შემთხვევებში საკუთარი ქვეყნის

[4]საქართველოს კანონი „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 2010 წ.

ინტერესების წინააღმდეგ მომართული საფრთხის გამოსავლენად და გასანეიტრალებლად, ასევე პრევენციის მიზნით ყველა მეთოდი გამართლებულია, ვგულისხმობ სადაზვევრვო საქმიანობაში არსებულ მეთოდებსა და ხერხებს. მიზნის მისაღწევად დასაზვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეღწევა ხდება, როგორც ლეგალური, ისე არალეგალური გზებითა და საშუალებების გამოყენებით.

დაზვერვის სამსახურები ძირითად იწოდებიან საგარეო დაზვევის სამსახურებად, ჩვენს ქვეყანაში მოქმედი სპეცსამსახურებიდან საგარეო დაზვერვას აწარმოებს დაზვერვის სამსახური და თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის დაზვერვის დეპარტამენტი.

გარდა ხსენებული სამსახურებისა, სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებით ასევე დაკავებული არიან დიპლომატიური სამსახურები, რომლებიც პირდაპირი, ღია მეთოდებით ცდილობენ საკუთარი ქვეყნის ინტერესების სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას და დასაზვერი ქვეყნის ჩვენი ქვეყნისადმი რელური განწყობის გამოცნობას. მივლინების ქვეყანაში, უმთავრესად სამხედრო ტექნოლოგიური კუთხით განვითარების პროცესებზე დაკვირვებასა და საინფორმაციო მასალების შეგროვებით არიან დაკავებული სამხედრო ატაშეები, რომლებიც ირიცხებიან წარმგზავნი ქვეყნის სამხედრო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, თუმცა მათ როტაციისა და უფლებამოსილების ნებართვისა და გაგრძელების თაობაზე მნიშვნელოვანს სიტყვას ამბობს ინიციატორი ქვეყნის საგარეო უწყება.

დიპლომატიური სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები განმარტებულია „დიპლომატიური საქმიანობის შესახებ"[5] საქართველოს კანონში და ის დიამეტრალურად განსხვავდება სპეცსამასახურების საქმიანობის პრინციპისგან და მიზნებისგან, თუმცა უნდა აღინიშნოს დიპლომატიური სამსახურის წამომადგენლები, საერთაშორისო და რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების განუხრელი დაცვისა და შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობის პარალელურად დაკავებული არიან ინფორმაციის შეგროვებითა და საკუთარი ქვეყნის დაზვერვის სამსახურის წარმომადგენლებისათვის საფარის შექმნით, საქმიანობის წარამტებით განხორციელებაში დახმარების აღმოჩენითა და შესაბამისი კონსპირაციის შენარჩუნებით. თუმცა არ არის გამორიცხული ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი თავად დაექვემდებაროს უცხო ქვეყნის კონტრსადაზვერვო ზემოქმედებას და მოექცეს დასაზვერი ან მიმღები ქვეყნის სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ, რაც რა თქმა უნდა დააზიანებს ჩვენი ქვეყნის ინტერესს, შესაბამისად მსგავსი კატეგორიის პერსონალის შერჩევა უნდა ხდებოდეს მათი რეპუტაციის, პროსიონალიზმის და გადაბირების შესაძლო რისკებისადმი მედეგობის გათვალისწინებით.

დაზვერვის სამსახური, როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია აგროვებს, აანალიზებს და ავრცელებს ინფორმაციას იმ საფრთხეების შესახებ, რომლის წინაშეც დგას ეროვნული უსაფრთხოება. აღნიშნული განსაზღვრება ეხება სხვადასხვა ორგანიზაციებს, მათ შორის, სამხედრო დაზვერვას, პოლიციურ დაზვერვასა და სამოქალაქო დაზვერვის სამსახურებს, რომლებიც იმყოფებიან როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით. აქვე მოიაზრებიან ხშირი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები, რომლებიც შედიან ფინანსთა სამინისტროსა და ხაზინის დეპარტამენტების სტრუქტურულ შემადგენლობაში[6].

საქართველოში მოქმედებს ფინანსთა სამინისტროს დაქმემდებარებაში არსებული ფინანსური მონიტორინგის სააგენტო, რომელის მიზანია საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა.

დაზვერვის სამსახურები მთავრობის სხვა უწყებებს ემიჯნებიან იმ განსაკუთრებული უფლებამოსილებებით, რომელსაც ისინი ფლობენ ინფორმაციის შესაგროვებლად და

[5]საქართველოს კანონი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ", საქართველოს პარლამენტი, 2007 წ.

[6] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება - სახელმძღვანელო, ავტორი და შემდგენელი ჰანსბორნი და აიდანუილსი, გამომცემლობა შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF) 2012, გვ 6.

მოსაპოვებლად. მათი უფლებამოსილება გამოიხატება კავშირგაბმულობის საშუალებების მოსმენაში, ფარული თვალთვალის განხორციელებაში, საიდუმლო ინფორმაციის გამოყენებასა და შენობებში შეუმჩნევლად შეღწევაში. ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა დანია, მალაიზია, რუსეთი და შვედეთი, დაზვერვის სამსახურები ფლობენ პოლიციურ უფლებამოსილებას, რის გამოც მათ ზოგჯერ უწოდებენ «პოლიციის უსაფრთხოების სამსახურებს» ან «სპეციალურ სამსახურებს». სხვა ქვეყნებში პოლიციის საქმიანობა სრულებით ემიჯნება დაზვერვის სამსახურების საქმიანობას: ეს უკანასკნელი არ ფლობს პოლიციის უფლებამოსილებებს (მაგალითად: დაკავება, დაპატიმრება და ეჭვმიტანილთა დაკითხვა)[7].

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენეული განმარტებით დაზვერვის სამსახურები მიიჩნევა სახელმწიფო ორგანიზაციებად, არიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც სადაზვერვო მოქმედებების შესასრულებლად მთავრობა ასაქმებს კერძო მენარდეებს. იმის გამო, რომ კერძო მენარდეებზე ზედამხედველობა არსებითად განსხვავდება სახელმწიფო დაწესებულებებზე ზედამხედველობისგან.

საქართველოში, როგორც სხვა ქვეყნებში, უცხო ქვეყნების მხრიდან მოსალოდნელი სადაზვერვო შეღწევადობის საფრთხის გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად, ფუნქციონირებენ კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურები.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“[8] საქართველოს კანონის მიხედვით-კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება.

კონტრდაზვერვითი საქმიანობა შესაბამისი სამსახურების მიერ ხორციელდება არასამართალდაცვითი მიზნებისათვის ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების საფუძველზე, მაქსიმალური ფარულობისა და კონსპირაციის დაცვითა და შენარჩუნებით. თუმცა კონტრდაზვერვითი საქმიანობის შემადგენელი ნაწილი ოპერატიული საქმიანობა, ინფორმაციის მოპოვების მიზნით მოიცავს როგორც ღია ისე ფარული მეთოდებითა და ფორმით განხორციელებულ სპეციალურ ღონისძიებებს. ოპერატიული სამიანობისგან განსხვავებით ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობა ხორციელდება სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ფარული ფორმებითა და მეთოდებით, იგივე მიზნების მისაღწევად რასაც ითვალისწინებს კონტრდაზვერვითი საქმიანობა.

კონტრდაზვერვითი და სადაზვერვო საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს სხვადასხვა წყაროებიდან შეგროვებული ინფორმაცია. გარკვეული საკითხის ბოლომდე გასააზრებლად მხოლოდ ერთი კონკრეტული წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია ვერ იქნება საკმარისი. ხსნებული სამსახურები იყენებენ სხვადასხვა წყაროს, რათა მოვლენების ზუსტი სურათი მიიღონ. ჩვეულებრივ, წყაროები სხვადასხვა კატეგორიებად არის დაყოფილი:

აგენტურული დაზვერვა (HUMINT), როგორიცაა, ინფორმატორების მეშვებით ინფორმაციის შეკრება;

- რადიოელექტრონული დაზვერვა (SIGINT), რადიოელექტრონული ბრძოლის დროს დაზვერვის საწარმოებლად;
- დაზვერვა ღია წყაროებიდან (OSINT), მედიაში გაშუქებული, სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტ რესურსებში, პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი მასალებისა და ინფორმაციის დამუშავება.

---

[7] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება-სახელმძღვანელო, ავტორი და შემდგენელი ჰანსბორნი და აიდანუილსი, გამომცემლობა შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF) 2012, გვ 7,

[8]საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 2005 წ.

• ფოტო და ვიდეო დაზვერვა (IMINT), გამოსახულებითი დაზვერვა, სატელიტური არხებიდან, ოპტიკურ ელექტრონული ან რადიო ლოკაციური აპარატურით მიღებული ინფორმაციის დამუშავება.

როგორც ვისაუბრეთ,ინფორმაციის შეგროვების მეთოდები შესაძლებელია იყოს ფარული ან ღია. ღია მეთოდები ძირითადად გამოიყენება OSINT-ის დროს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ინფორმაცია საჯაროა. ინფორმაციის შეგროვების ფარული, ან საიდუმლო მეთოდები გამოიყენება, მაშინ როდესაც დაზვერვის სამიზნემ არ იცის, იმის შესახებ, რომ მათ გარშემო ინფორმაციის შეგროვება ხდება. ფარულმა მეთოდებმა შესაძლებელია მოიცვას ინფორმატორების გამოყენება, ელექტრონულ თვალთვალი, ფარული მოსმენა, ფიზიკური თვალთვალი და დისტანციურად შეგროვებული გამოსახულებები.

დაზვერვის სამსახურები ინფორმაციას აგროვებენ იმისათვის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს დახმარება გაუწიონ პოლიტიკის შემუშავებაში და სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილების მიღებაში. ის ხერხები, რასაც ისინი ინფორმაციის შეგროვების დროს გამოიყენებენ თავსებადი უნდა იყოს იმ საზოგადოების ღირებულებებთან და პრიორიტეტებთან, რომელსაც ემსახურებიან. დემოკრატიულ ქვეყნებში დაზვერვის სამსახურებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებს, სამართლებრივ ნორმებს და დემოკრატიული მმართველობის იმ პრინციპებს, როგორიცაა ანგარიშვალდებულება, ტრანსპარენტულობა და გადაწყვეტილების მიღება ერთობლივი გზით. დაზვერვის პროცესი დავალების მიცემიდან ინფორმაციის გავრცელების ჩათვლით აღნიშნული პარამეტრების დაცვით უნდა მოხდეს[9]. თუ დაზვერვის ამოცანა აფარულად ინფორმაციის მოპოვება უცხო ქვეყნების ზრახვების თაობაზე, კონტრდაზვერვას ევალება საკუთარი ქვეყნის საიდუმლოების დაცვა, ბრძოლა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების, მტრულად განწყობილი ცენტრებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ. თავისი ტაქტიკური და სტრატეგიულია მოცანებით, ფორმებითა და მეთოდებით კონტრდაზვერვა ახლოსაა დაზვერვასთან. მის საქმიანობასაც საფუძვლად უდევს ინფორმაციის მოპოვება (ღია დაფარული წყაროებიდან) მოწინააღმდეგე ან მტრულად განწყობილი ქვეყნის ქმედებათა და მათ სადაზვერვო სტრუქტურებთან დაკავშირებულ ცალკეულ პირთა შესახებ. ამასთან ერთად, იგი დაზვერვისაგან განსხვავდებაიმით, რომ კონტრდაზვერვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მოწინააღმდეგის ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთა.

დაზვერვის და კონტრდაზვერვის მოღვაწეობის არეალიც სხვადასხვაა. თუკი დაზვერვა მოქმედებს ძირითადად საზღვარგარეთ-უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე, კონტრდაზვერვა თავის საქმიანობას ეწევა საკუთარ ქვეყანაში. სახელმწიფოში არსებული ვითარების შესაბამისად, კონტრდაზვერვას და დაზვერვას შეიძლება დაეკისროს სხვა ამოცანების გადაწყვეტაც, იმის გათვალისწინებით, თურა სახის დანაშაულთან ბრძოლაა იმ პერიოდში მეტ-ნაკლებად აქტუალური: ექსტრემიზმთან, ტერორიზმთან, დივერსიულ ქმედებებთან, ზოგადად, ორგანიზებულ დანაშაულთან და ა.შ.

სპეცსამსახურები ძირითადად შემდეგი ტიპის კადრებით არის დაკომპლექტებული: მზვერავი-ოპერატიული თანამშრომელი, რომელიც დროულობით სანდოობითა და სრულყოფილებით გამორჩეული ინფორმაციის მომპოვებელი პირია;

ანალიტიკოსი–ოპერატიული თანამშრომელი, პროფესიონალიზმით, ანალიტიკური აზროვნებით გამორჩეული პიროვნება, რომელიც მოპოვებულ ინფორმაციას კომპეტენტურად ამუშავებს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

---

[9] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება-სახელმძღვანელო, ავტორი და შემდგენელი ჰანს ბორნი და აიდან უილსი, გამომცემლობა შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF) 2012, გვ 128.

ხელმძღვანელი–ოპერატიული თანამშრომელი, სპეციალური ღონისძიების დამგეგ-მავი, კოორდინატორი და მათ განხორციელებაზე ზედამხედველი პირი[10].

დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების მასშტაბები და სახესხვაობები მზარდია, როგორც სირთულის, ისე მრავალფეროვ-ნების თვალსაზრისით. საჭიროაგანსაკუთრებულიყურადღებადაეთმოსჩვენი ქვეყნის მიმართ ნეგატიურად განწყობილი ქვეყნებისა და ორგანიზაციების, ფარული ძალებისა და პიროვნებების გამოვლენას და მათ განეიტრალებას.

ვფიქრობ, მარტივი აღსაქმელია რამდენად მნიშვნელოვანი როლის მატარებელია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და შენარჩუნებისათვის, ასევე წარმატებისათვის სადაზვერვო სამიანობა.

შესაბამისად სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, აუცილებელია უცხო ქვეყნებიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა განხორციელდეს საფრთხის წარმოქმნის ქვეყანაშივე და მისი განეიტრალება მოხდეს ადგილზე, თუმცა ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში კვალზე გაყოლაც არ არის ურიგო შედეგის მომტანი, რათა დადგინდეს ბოროტი განზრახვის მქონე სუბიექტების თანამოაზრეებისა და თანამებრძოლების გამოვლენა. უდაოა, რომ აღნიშნული მოითხოვს უდიდეს ძალისხმევას, კონსპირაციულობას და პროფესიონალიზმს. როგორც აღვნიშნეთ სადაზვერვო საქმიანობა ძირითად შემთხვევებში არის ფარული და გასაიდუმლოებული და მისი აფიშირება საფრთხის წარმომქმნელია ქვეყნისათვის და დაუშვებელი.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოში და მის გარეთ მოქმედ ჩვენს სადაზვერვო სამსახურებს, იქ დასაქმებული პროფესიონალი კადრებისა და ხელთ არსებული ტექნოლოგიური რესურსის მხარდაჭერით შესწევთ უნარი უზრუნველყონ ჩვენს ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს შექმნა და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აიცილება და განეიტრალება.

Leri Saraidarov

Special State Protection Service of Georgiadeputy director of Agency Reconnaissance activities as a tool for facilitating the implementation of state policy

Summary

There in the present article will be discuss one of the most important sphere about country safety and general aspects of its activities. You probably agree that the world of reconnaissance is a black box, which essence of is unavailable and unclear for many, but its goals and objectives are different from other state structures and their quality is important for the development of the country and for making right political decisions. The mystifyng is a necessary and characteristic feature for reconnaissance services based on their mandate and functions. The interests of the above services are conventional or non-conventional threats, adversely minded states, terrorist and criminal organizations, physical protection and ensuring state security classified information. Conspiracy is creatine a favorable environment for reconnaissance services to solve these cases. There is no doubt that extreme transparency would put them in a disadvantage and hazardous position, would have prevented them from accomplishing their goals and objectives effectively.

[10] თორნიკე შურღულაია.სადაზვერვო საქმიანობის მართვა, https://www.militarium.org/sadazvervo-saqmianobis-martva/;

კახა ფუტკარაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტი დოქტორანტი-კონფლიქტების ანალიზსა და მართვაში.
კარლოსის უნივერსიტეტი პრაღაში, ჩეხეთის რესპუბლიკა მაგი-
სტრანტი-საერთაშორისო უსაფრთხოების სწავლებაში

სადაზვერვო სამსახურების როლი საერთაშორისო პოლიტიკაში, თეორიული ბაზის ანალიზის საფუძველზე

შესავალი- სპეცსამსახურების საქმიანობის ისტორიიდან გამომდინარე საერთაშორისო ურთიერთობებში მნივნელოვან აქტორებად სადაზვერვო სამსახურები გვევლინებიან. მათ მიერ გატარებული მოქმდებებები მეტწილად განსაზღვრავს საერთაშორისო თანამშრომლობასა და სტაბილურობას სახელწმიფოთაშორისო ურთიერთობებში. შესაბამისად აუცილებელ გარე-მოებად მიგვაჩნია შესწავლილი იქნეს არამარტო სადაზვერვო სამსახურების როლი და ადგილი თანამედროვე მმართველობის სისტემაში, აგრეთვე მათი საქმიანობის ხელშეწყობის არსებული თეორიული ჩარჩოც. შეზღუდული სადაზვერვო ლიტერატურის არსებობის პირობებში მიზნად დავისახეთ სპეცსამსახურების საქმიანობის გაანლიზება რეალიზმის პრინციპის საფუძველზე. ცალკეული ავტორები დღემდე ეწინააღმდეგებიან სპეციალური სამსახურების საქმიანობის დაკავშირებას საერთაშორისო ურთი-ერთობების თეორიებთან.

ბრიტანელი მკვლევარი დაზვერვის საკითხებში პილიპ ჰ.ჯ დავიესი აღნიშნავს რომ არსებული თეორიული ჩარჩო არარელევანტურია სადაზვერვო საქმიანობის განხილვისა და შესწავლის პროცესში. მისივე განმარტებით იგი ძირითადად მიმართულია საერთაშორისო ურთერთობების მიმო-ხილვაზე ვიდრე რეალური ცოდნის მოცემისაკენ[11]. მიუხედავად ცალკე-ული ავტორების მსგავსი შეხედულებისა, ჩვენ ვერ გავიზიარებთ არსებულ მიდგომას.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების არსებული თეორიები განსაზღვრავენ სახელმწიფოს მოწყობის და მეტწილად მათი არსებობის განსმსაზღვრელ ფაქტორებს. მეტიც სახელწმიფოს მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა ქვეყანაში გაბატონებული პოლიტიკური შეხედულებების თანმდევია. შესაბამისად იგი სადაზვერვო სამსახურებისათვის ერთგვარი არაოფიციალური ნორმატიული ჩარჩოა რომელიც განაპირო-ბებს კიდეც მათი საქმიანობის მიზნებს. ამ ფონზე კვლევის მიზანია პასუხი გასცეს კითხვებს თუ რა როლი ეკისრება სადაზვერვო სამსახურებს საერთაშორისო სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესში? რამდენად მაღალია სახელმწიფოს ნდობა სპეცსამსახურებზე შიდა და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას? რამდენად ეფექტურია საერთაშორისო სადაზვერვო თანამშ-რომლობა?

მიუხედავად ცალკეული ავტორების თუ მკვლევარების შეხედულებისა მენციერთა ნაწილი ხაზს უსვამს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების აუცილებლობას, მაგალითად რეალიზმის მნიშვნელობას საერთაშორისო სადაზვერვო საქმიანობის პროცესში. იგი პასუხობს არამარტო მოსალოდნელი საფრთხის შესაბამისი ღონისძიებების გატარების აუცილებლობას ასევე განსაზღვრავს დაზვერვის საქმიანობის როლსა და ადგილს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი სკოტ ბურჩილი რეალიზმის სიძლიერეს განმარტავს როგორც შესაძლებლობას ამტკიცოს რაღაც აუცილებლობის არსებობა“[12].

---

[11]Treverton et al, Toward a Theory of Intelligence, p.27. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/conf_proceedings/2006/RAND_CF219.pdf;

[12]Burchill, ‘Realism and Neo-Realism’ in S. Burchill, R. Devetak, A. Linklater, M. Paterson, C. Reus-Smit and J. True, Theories of International Relations, 2nd ed. (Basingstoke: Palgrave Macmillan 2001) p.98.

პოლიტიკური რეალიზმისა და უსაფრთხოების თეორიების მიხედვით აუცილებლობა სახელმწიფოს თვით გადარჩენაა, ხოლო მის მიერ განხორციელებული მოქმედებები გადარჩენისათვის აუცილებელი ღონისძიებებია. ამ ფონზე კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა სადაზვერვო საქმიანობის თეორიული ჩარჩოს მიმოხილვას, აგრეთვე საერთაშორისო სადაზვერვო თანამშრომლობასა და დაზვერვის საქმიანობის როლს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

დაზვერვის საქმიანობის ანალიზი პოლიტიკური რეალიზმის პრინციპების მიხედვით- სახელწმიფოთაშორისო ურთიერთობები საერთაშორისო არენაზე ბევრი ფაქტორით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა იგი საერთაშორისო პოლიტიკის კვლევის საგანია. ისტორიული პროცესების გათვალისწინებით იგი განსაზღვრავს ერების, საზოგადოების მომავალს. სახელწმიფოები თავიანთი პოლიტიკის წარმართვისას მის ხელთ არსებულ რესურსებს ეყრდნობიან, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები სარგებლობენ. მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და რეკომენდაციების საფუძველზე იგეგმება სახელმწიფოს საგარო და საშინაო პოლიტიკის წარმართვა, რომელიც სახელმწიფოს არსებობის მთავარი მახასიათებლის სუვერენიტეტის არსებობას განამტკიცებს. პოლიტიკური რეალიზმის მიხედვით სახელწმიფო ძალაუფლების, სუვერენიტეტის, მთავრობისა და ხალხისაგან შემდგარი საზოგადოებაა, რომელიც თავისი ინტერესების განხორცილებისათვის ძალის გამოყენებას ეფუძნება.

ჰანს მორგენტაუ, რომელიც თანამედროვე პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება მართებულად აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მუდმივად ძალაუფლებისაკენ სწრაფვაშია, რასაც იგი ,,ობიექტურ კანონთან"[13] აიგივებს. ამავე თეორიის მიხედვით სახელმწიფო წარმოადგენს სუვერენულ ობიექტს საერთაშორისო არენაზე და არავითარ ძალას არ შეუძლია მასზე არასასურველი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის თავს მოხვევა. სუვერენული სახელმწიფოები პოლიტიკური ნების გამოვლენისას თავი-სუფლები არიან და მათი მოქმედებები ეროვნული ინტერესების თანხვედრაში უნდა იყოს. ნაწილობრივ აღნიშნული თეორიული ჩარჩოს ფარგლებში უნდა მოხდეს სპეციალური სამსახურების როლის განსაზვრა საერთაშორისო ურთიერთობებში. როგორც წესი სადაზ-ვერვო სამსახურების საქმიანობას განსაღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო ძლიერება, რაც უფრო ძლიერია ქვეყანა მით უფრო თანმიმდევრული და გლობალურია სპეცსამსახურის მოქმედებები და მისი მასშტაბები. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ინსტრუმენტს სასურველი გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საქმეში. თუ აღნიშნული თეორიიდან ამოვალთ ბრიტანელი მეცნიერის ე.ჰ. კარის მიერ 1938 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, კრიზისის ოცი წელი" რომელიც ერთა ლიგის კრახს ეხება განმარტავს, რომ საერთაშორისო პოლიტიკა ძალაზე დაფუძნებული პოლიტიკაა, სადაც ძალა სამართალზე პირველობს. იელის უნივერისტეტის ერთ- ერთი პროფესორი უფრო შორს წავიდა და მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში ,,ამერიკის სტრატეგია საერთაშორისო პოლიტიკაში" განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების რაობას, სტრუქტურას და იზიარებს მოსაზრებას, რომ სახელმწიფოთა მიერ აღიარებული და საერთაშორისო სამართლის წესდებით დაცული უფლებები და ფასეულებები ,,უპირველეს ყოვლისა ძალაუფლების გასაიო-ლებლადაა გამოყენებული"[14], რომელიც დაინტერესებულ სახელმწიფოს ობიექტ ქვეყანაში სასურველი პოლიტიკული დღის წესრიგის თავს მოხვევისათვის სჭირდება. თუ აღნიშნული თეორიით ვიხელმძღვანელებთ სპეცსამსახურების როლი საერთა-შორისო ურთიერთობებში განსაკუთრებულ ადგილის იკავებს.

---

[13]ჰ. დ. სენარკლენი, ი. არიფენი, საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები; 2014:17.

[14]ჰ. დ. სენარკლენი, ი. არიფენი, საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები; 2014:17.

რეალიზმის ერთ-ერთ მახასიათებელი ძალაუფლება რომელსაც ფლობს ხელი-სუფლება განუსაზღვრავს რა დაზვერვის სამსახურს შესასრულებელ დავალებათა ნუსხას ეს უკანასკნელი, მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით ცდილობს სასურველი შედეგის მიღწევას. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც თუ რა გეოპოლიტიკურ არეალში უხდება სპეცსამსახურს მოქმედება. გამომდინარე იქედან რომ იგი შესაძლოა მოქმედებდეს პოლიტიკური რეალიზმის ფარგლებში სადაც სუვერენიტეტი და ძალაუფლება სახელმწიფოს მთავარი ღირებულებაა, მის მიერ დასაზვერ ქვეყანაში განხორციელებული სადაზვერვო-ოპერატიულ ღონისძიებათა ერთობლიობა კი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოთაშოსო ურთიერთობებზე.

უსაფრთხოების თანამედროვე თეორიები სპეციალურ სამსახურებსა და სახელმწიფოს განუსაზღვრავს 5 მთავარ შესასრულებელ ამოცანას: უზრუნველყონ საზოგადოების უსაფრთ-ხოება, ძლიერი თავდაცვა, ეკონომიკა, ეფექტური პოლიტიკის წარმართვა და სახელმწიფოს ირგვლივ არსებული შიდა სიტუაციისა და გეოპოლიტიკური ველის[15] მუდმივი მონიტორინგი, პრევენციულ მოქმედებათა დაგეგმვა და განხორციელება. უსაფრთხოების თეორიები რომელიც პოლიტიკური რეალიზმის ნაწილობრივ ასახვას წარმოადგენს, აქცენტს აკეთებს ეგზის-ტენციალურ საფრთხეზე რომელიც ემუქრება ან შესაძლოა დაემუქროს ჩვენს მიერ ზემოდდასახელებული 5 ასპექტიდან ერთ-ერთს. აქედან გამომდინარე უსაფრთხოების თეორიების წინაშე ისმება შემდეგი ძირითადი ამოცანები: ვისთვის არის განკუთვნილი უსაფრთხოება? რისგან დასაცავადაა საჭირო უსაფრთხოება და ვინ უნდა აღასრულოს უსაფრთხოების უზრუნმველყოფელი ღონისძიებები? თუ ამავე თეორიებით თუ ვიხელმძღვ-ანელებთ სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროვნული ინტერესების თანმიმდევრული განხორციელება, რომლის პარალელურად საფრთხის ქვეშ დგას ის ძირითადი სიკეთეები რომლის მოპოვებასაც ცდილობს დაინტერესებული სუბიექტი. სპეცსამსამხურების მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არამედ იმითაც თუ რა როლის შესრულება შეუძლია მათ. საგარეო და საშინაო სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად, რამდენად ხელეწიფება საერთაშორისო არენაზე ქვეყნისათვის სასარგებლო მოქმედებების განხორციელება. გამომდინარე იქედან რომ სადაზვერვო სამსახურები წარმოადგნენ სახელმწიფოს ძალისმიერ ინსტრუმენტს, მისი მოქმედებით შესაძლებელი უნდა გახდეს განისაზღვროს თუ რა სარგებლის მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს ქვეყანას საერთაშორისო არენაზე, რა შესაძლო რისკებისა და ზარალის მატარებელია მათი მოქმედებები და ხელი შეუწყოს სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების პატივისცემის მხარდაჭერას საგარეო და საშინაო ასპარეზე. ჩვენს მიერ განხილული თეორების ფარგლებში კითხვის მატარებელია თუ სახელმწიფო წარმოადგენს სუვერენულ სუბიექტს და იგი დამოუკიდებელია თავისი პოლიტიკური ნების განხორციელების საქმეში, მაშინ რამდენად შეუძლია მას უზრუნველყოს თავისი სუვერენიტეტი და უსაფრთხოება როდესაც, ე.ჰ. კარისა და ნიკოლა სპიკმენის განმარტებით ძალა სამართალზე მაღლა დგას და სახელმწიფოთა მიერ დეკლარილებული ფასეულობები, ნორმები, პრინციპები უპირველეს ყოვლისა გამოიყენება სახელმწიფოთა მხრიდან ძალაუფლების იოლად დაუფლებისათვის.

შესაბამისად თუ სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს კონკრეტულ ქვეყანაში სასურველი პოლიტიკური გარემოს შექმნა იგი პირდაპირ არღვევს სახელმწიფოს სუვერენიტეტის როგორც საყოველ-თაოდ აღიარებულ ღირებულებას და ხელს უწყობს საერთაშორისო ანარქიული სისტემის ჩამოყალიბებას. შესაბამისად მისი განხორციელება ძალის არსებობას ეფუძნება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სახელმწიფოს მოქმედები მის ხელთ არსებულ პოლი-ტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო ბერკეტებს ეყრდნობა, რომლის გათვალისწინებითაც დაზ-

[15]CLARA EROUKHMANOFF, Securitization Theory, International relations theory, 2017:105. http://www.e-ir.info/wp-content/uploads/2017/11/International-Relations-Theory-E-IR.pdf;

ვერვის სამსახური აქტიურად ცდილობს სასურველი პოლიტიკური გარემოს შექმნას საერთა-შორისო არენაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს სახელმწიფოს არსებო-ბისათვის ხელსაყრელი პირობების განმტკიცებას. ამ ფონზე სადაზვერვო სამსახურების ერთ-ერთი ძირითად მიზანს სახელმწიფოსათვის ძალაუფლებისა და ეკონომიკური რესურსების მოპოვების გაადვილება წარმოადგენს. იგი ასევე განიხილება პოლიტიკური რეალიზმის მთავარ იდეად სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში.

სადაზვერვო სამსახურების საქმიანობა საერთაშორისო არენაზე ბევრი ფაქტორით ხასიათდება. მიუხედავად სუვერენული სახელმწიფოების ინდივიდუალური შეხედულებებისა და მიზნებისა 21 საუკუნეში გააქტიურებულმა საფრთხეებმა საერთაშორისო აქტორებს ერთანეთთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. ისლამურმა რადიკალიზმა, ტერორიზმმა, იარაღის და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვამ, მასობრივი განადგურების იარაღის კომპო- ნენტებით კრიმინალური და რადიკალური ისლამური ჯგუფების, ორგანიზაციებისა თუ ქვეყნების დაინტერესებამ საერთაშორისო დონეზე ქვეყნებს შორის სადაზვერვო თანამშროლობა ახალ საფეხურზე დააყენა.

ცნობილი მკვლევარი და მწერალი თომას ფრიდმანი თავის წიგნში მსოფლიო ყველას სახლია აღნიშნავს, რომ თანამედროვე მსოფლიო მცირდება და იყოფა პატარ-პატარა ნაწილებად, რაც არამარტო ზრდის საფრთხეს აგრეთვე მნიშვნელოვან ძალას და მოტივაციას აძლევს საერთაშორისო სუბიექტებს ითანამშრომლონ და იმოქმედონ გლობალურ დონეზე[16].

საერთო ინტერესისათვის მიმდინარე პროცესში სადაზვერვო სამსახურებს შორის კავშირის არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. 2001 წლის 19 სექტემბრის (აშშ), 2004 წლის მარტის (ესპანეთი), 2005 წლის ივლისის (დიდი ბრიტანეთი), 2006 წლის ივლისის (ინდოეთი) 2002-2004 წლის ტერაქტებმა რუსეთში დღის წესრიგში დააყენა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება მზარდი ტერორისტული საფრთხის პრევენციის მიზნით.

სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების კუთხით ჯერ კიდევ 2004 წელს ევროკავშირის ეგიდით შეიქმნა კონტრტერორისტულ საკთხებში კოორდინატორის პოზიცია, ხოლო 2005 წელს მიღებული იქნა სრულიად ევროპის კონტრ-ტერორისტული სტრატეგია. ამავდროულად ა.შ.შ.-ს მხრიდან საერთაშორისო ანტიტერორის-ტული ცენტრები დაარსებული იქნა ბრაზილიაში, საფრანგეთსა და რუმინეთში [17] . პარალე-ლურად ევროკავშირის მიერ გაძლიერდა მის დაქვემდებარებაში არსებულ დანაყოფებს შორის კოორდინაცია, სადაც წევრი ქვეყნების დაზვერვისა და უსაფრთხოების ექსპერტები მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ცდილობდნენ მოსალოდნელი ტერორისტული საფრთხის დადგენასა და პრევენციას. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მიუხედავად საერთაშორისო სადაზვერვო თანამშრომლობისა, რომელიც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია საერთაშორისო სტაბილურობისა და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით, როგორც ევროკავშირის კოორდინატორი ანტიტერორისტულ საკითხებში აღნიშნავს იგი დღემდე შეზღუდულ ხასიათს ატარებს. ამ ფაქტს სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის სპეციფიკითა და წევრი ქვეყნების განსხვავებული პოლიტიკური-სტრატეგიული შეხედულებებით ხსნის და იქვე განმარტავს, რომ ინფორმაციის გაზიარების დროს მისი საიდუმლოობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის მომწოდებელი წყაროს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მიუხედავად ცალკეული შეხედულებებისა მიგვაჩნია, რომ სადაზვერვო თანამშრომლობას თავისი საზღვრები და მიზანშეწონილობა გააჩნია. იგი განსაზღვრავს სადაზვერვო სამსახურებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას. ცივი ომის პერიოდში „ნატოს“ წევრი ქვეყნები თანამშრომლობდნენ სამხედრო

[16]Thomas L. Friedman, The World Is Flat (New York: Farrar, Staus and Giroux, 2005), 10;

[17] Thomas Patrick Melady, Ph.D. INTELLIGENCE: WORLDWIDE COOPERATION. https://hrcak.srce.hr /file/48566;

დაზვერვის საკითხებში. „ნატოს“ სტრუქტურაში არსებობს სადაზვერვო და უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისგებელი დირექტორატი რომელიც ცივი ომის პერიოდიდან დღემდე წევრ სახელმწიფოებს რიგი სადაზვერვო ინფორმაციებითა და რჩევებით ამარაგებს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების თუ სხვა სახელმწიფოებს შორის არსებული შეზღუდული სადაზვერვო ურთიერთთანამშრომლობის ფონზე ევროპაში 1971 შეიქმნა ე.წ. არაოფიციალური ,,ბერნის კლუბი“. იგი აერთიანებს ევროპის ქვეყნების სადაზვერვო და უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელებს, რაც განაპირობებს კიდეც აღნიშნული ორგანიზაციის სერიოზულობას. საერ-თაშორისო სადაზვერვო სამსახურებს შორის ანტიტერორისტულ საკითხებზე მსჯელობის ფარგლებში ა.შ.შ.-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის 2005 წელს კონგრესისადმი წარდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ ა.შ.შ-ი 2001 წლიდან საერთა-შორისო სადაზვერვო თანამშრომლობის ფარგლებში ლიკვიდირებული იქნა 3000-მდე ტერორისტი, ასევე ხაზგასმული იყო მუსლიმური ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, ამის დასტურად კი იემენისა და ცენტრალური სადაზვერ-ვო სამსახურს შორის თანამშრომლობის ფარგლებში განადგურებული ალქაიდას 6 წევრისა და აბუ ალი ალ-ჰარითის მაგალითები მოჰყავს. ეს უკანანსკნელი პასუხისმგებელი იყო ა.შ.შ. წინააღმდეგ დაგეგმილ ერთ-ერთი ტერაქტის ორგანიზებაში[18].

სადაზვერვო სამსახურებს შორის თანამშრომლომლობის კიდევ სხვა არაერთი მაგალითი მოიპოვება. ჩინელი სამხედრო მკვლევარი ჟენგ შუუ, ყურადღებას ამახვილებს ჩინეთის სადაზვერვო თანამშრომლობაზე მეზობელ ქვეყნებთან 2008 წლის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რომლის ფარგლებშიც 2007 წელს ოლიმპიური უსაფრთხოების უზრუნმველყოფ დეპარტამენტში დაფუძნდა საერთაშორისო კავშირების ქვედანაყოფი[19]. ასევე ცნობილია რუსეთის, უკრაინისა და აზერბაიჯანის შესაბამის სამსახურებს შორის სადაზვერვო თანამშრომლობის მაგალითებიც, რომლის მეშვეობით 2000 წელს შესაძლებელი გახდა რუსეთს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის თავდასხმის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ჩეჩნური წარმომავლობის პირების იდენთიფიკაცია და ტერაქტის პრევენცია.

საერთაშორისო სისტემის ანარქიული ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა სურვილი იყვნენ სუვერენული, დამოუკიდებელი და ძლიერი ქვეყანები, გარკვეული მოქმედების გადადგმისაკენ მოუწოდებს.

ჩვენს მიერ განხილული იქნა საერთშორისო სადაზვერვო თანამშრომლობის ზოგიერთი ასპექტი, თუმცაღა ფრიად მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ე.წ. ,,არწივის ხუთი თვალი“-ს სახელით ცნობილი კავშირის ანალიზი. იგი აერთიანებს აშშ, დიდი ბრიტანეთს, კანადას, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას. აღნიშნული თანამშრომლობა უბრალოდ როდია გარკვეული ხასიათის ინფორმაციის გაცვლა, არამედ ცალკეულ მიმოხილველთა მხრიდან იგი წარმოადგენს ანგლო-საქსური წარმომავლობის მქონე ქვეყანათა შემდგარ ერთგვარ კონგლომერატს, რომლის სიმძიმის ცენტრმა უნდა გაათანასწოროს მათ წინაშე მდგარი საფრთხეები.

საერთაშოროსო ურთიერთობების თანამედროვე თეორიების ნაწილი სახელმწიფოებს ხისტი ნაბიჯების გადგმისაკენ უბიძგებს, რისი მიზეზიც შესაძლოა მეზობელი ან კონკურენტი ქვეყნისა და ორგანიზაციების ლიდერობაკენ სწრაფვა იყოს. საერთაშორისო ურთიერთობებში იგი უსაფრთხოების დილემის სახელწოდებით არის ცნობილი. ამ ფონზე ზემოდასახელებული თანამშრომლობის მიზანი ადრე თუ საბჭოთა საფრთხის შეკავება და მისგან წამოსული რისკების ანალიზი იყო, დღეს მისი ფუნქცია მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაიზარდა. ცნობილი მკვლე-

[18] Thomas Patrick Melady, Ph.D. INTELLIGENCE: WORLDWIDE COOPERATION. https://hrcak.srce.hr /file/48566;

[19] Xiayou, “China Joins Global Anti-terror Cooperation,” *CRI News*, 27 July 2007. http://english.cri.cn /4026/2007/07/23/269@252788.htm; Internet; accessed 15 August 2007;

ვარი რიჩარდ ჯ. არლდიჩი აღნიშნავს, რომ ცივი ომისაგან განსხვავებით დღეს სადა-ზვერვო საქმიანობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას გლობალიზაცია ახდენს. იგი განმარტავს რომ თანამედროვე სადაზვერვო აქტივობები უფრო ფართო, ძალადობრივი გახდა, საჭიროების ფარგლებში პროცესში რთავს როგორც კერძო აგრეთვე გლობალურ აქტორებს და აქცენტს აკეთებს თანამედროვე სპეცსამსახურების მიდრეკილებაზე ითანამშრომლონ მისთვის მიუღებელ აქტორებთანაც კი[20]. გლობალიზაციის პირობებში, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ღია ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები, რაც სახელწმიფოების მხრიდან გარკვეულ სფეროში სუვერენიტეტის დათმობის აუცილებლობას განაპირობებს. გლობალიზაციიდან წამოსულ საფრთხეზე აკეთებს აქცენტს მოისეს ნაიმიც, ავტორი ნაშრომისა საგარეო პოლიტიკა. საერთაშორისო ანარქიული ბუნების გათვალისწინებით იგი იშველიებს 5 ომის არსებობას გლობალიზაციის პირობებში სადაც ჩვენ ადამიანიები და სახელწმიფოები ჩვენივე მოქმედებების გამო ვიკარგებით. ავტორის აზრით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ძალისხმევა, რადგანაც თანამედროვე სამყარო უპრეცედენტო საფრთხის წინაშე დგას. ზემოდდასახელებული ფაქტორების გათვალისწინებით ნათელია სადაზვერვო სამსახურებს შორის ურთიერთ-თანამშრომლობა სახელწმიფოთა თანამშრომლოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტთ-თაგანია. არსებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესები სადაზვერვო სამსახურების მოქმედებათა თანმდევია, მათი საქმიანობის ძირითადი მოტივატორი კი ენერგეტიკული, ეკონო-მიკური, პოლიტიკური ბერკეტების ხელში ჩაგდებაა. გამომდინარე სადაზვერვო საქმიანობის სფეციფიკიდან რთულია განისაზღვროს თუ რამდენად ეფექტურია სპეცსამსახურების თანამშ-რომლობა საერთაშორისო არენაზე.

განსხვავებული სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით სპეცსამსახურთა შორის თუ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში თანამშრომლობა ხელსაყრელი იყო, გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი შესაძლოა აქტიურ ფარულ ბრძოლაში გადაიზარდოს. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით სადაზვერვო თანამშრომლობა ხელს უწყობს სახელმწიფოთა-შორისო ნდობის გაღმავებას და საერთაშოროსო სტაბილურობის განმტკიცებას.

ვესტერფილდი სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობის 6 ძირითად ფორმას გვთავაზობს:

1. სრულმასშტაბიანი თანამშრომლობა;
2. სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა;
3. სადაზვერვო ოპერაციების შინაარსის გაზიარება;
4. სადაზვერვო დახმარება;
5. ფარული დიპლომატია;
6. ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებული შინაგანი რისკები[21].

სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობაზე ამახვილებს ყურადღებას ახალი ზელანდიის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელიც ვარენ ტუკერიც. იგი განმარტავს, რომ მიუხედავად საერთაშორისო სადაზვერვო თანამშრომლობის შედეგად მიღწეული წარმატებებისა, დაზვერვა მოიცავს ფარულ საქმიანობას, ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფების მეშვეობით, რა დროსაც მოპოვებული ფარული ინფორმაციის ანალიზი და მისი შემდგომი გაზიარება ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი რისკების მატარებე-ლია[22].

ფაქტია, რომ თანამედროვე ეტაპზე სპეცსამსახურების გამოყენების მნიშვნელობა არათუ შემცირდა არამემედ ხარისხობრივად და თვისობრივად გაიზარდა. ამ ფონზე კი მას მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება მეგობარ ქვეყნებთან ურთოერთობების გაღრმავების

---

[20]Richard J. Aldrich, Globalisation and Hesitation? International Intelligence Cooperation I Practice;

[21]RICHARD J. ALDRICH, INTERNATIONAL INTELLIGENCE COOPERATION IN PRACTICE

[22]WARREN TUCKER, 'CO-OPERATIVE INTELLIGENCE;

თვალსაზრისით. იგი ასევე ეფექტური იარაღია საერთაშორისო სისტემაში სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის. დიდი ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის (MI5) ყოფილი ხელმძღვანელის სერ სტეფან ლანდერის შეხედულებით, მიმდინარე ეტაპისათვის მეგობარი ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლობა გარკვეულ სფეროებში მნიშვნელოვანი შედეგის მომტანია, თუმცაღა იგი ემიჯნება სპეცსამსახურების მიერ პოლიტიკურ სფეროში ურთიერთობის გაღმავებას და სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლობის შედეგად მიღებულ სარგებელზე ამახვილებს ყურადღებას.

2004 წლის 17 ნოემბრით დათარიღებულ ნაშრომში ,,საერთაშორისო სადაზვერვო თანამშრომლობა: პერსპექტივები" სერ სტეფან ლანდერი განიხილავს აშშ-სა და დიდი ბრიტა-ნეთის სპეცსამსახურების თანამშრომლობის ისტორიას რომლის სამართლებრივ დონეზე გაფორმება მოხდა უკუსას შეთანხმებით. სპეცსამსახურებს შორის ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფასდ სერ სტეფან ლანდერი 3 აუცილებელ წინაპირობას აყენებს:

1. სამსახურების კომპეტენცია და შესაძლებლობები;
2. სადაზვერვო სამსახურების ადგილი მთავრობასა და საერთაშორისო ურთიერთობებში;
3. თანამშრომლობა ოპერატიულ სფეროში, რაც გამოიხატება გამოცდილების, ინფორმაციის ურთიერთგაზიარებით გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში[23].

ცალკეული სადაზვერვო თანამშრომლობის მიუხედავად სპეცსამსახურების საქმი-ანობა მეტწილად სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. მას შეუძლია როგორც საერთაშორისო სტაბილურობის განმტკიცება, აგრეთვე დაპირისპირებული სახელმწიფოების სრული დისკრეტიდაცია და მისი იზოლაციაში მოქცევა. ამ ფონზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ ნაპოლეონის მმართველობის პერიოდში რუსეთ-საფრანგეთს შორის ომამდე არსებული მდგომარეობა და მათი სპეცსამსახურების საქმიანობა. საფრანგეთის ნაციონალურ და საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მრავლად მოიძებნება დოკუმენტები, რომლებიც ასახავს, მეფის რუსეთის სადაზვერვო მოქმედებებს. ამავე საკითხზე მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ურალის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტისა და თანამედროვე ისტორიის ურალის ფედერალური უნივერსიტეტის პროფესორს ვლადიმერ ზემსტოვს სახელ-წოდებით „რუსული დაზვერვა პარიზში 1812". როგორც საარქივო დოკუმენტებიდან და ვლადი-მერ ზემსტოვის ნაშრომიდან ირკვევა ზემო-დასახელებული პერიოდისათვის რუსეთის დაზვერ-ვის მთავარი მიზანი პოლიტიკურ პროცესებთან ერთად სამხედრო ხასიათს სადაზვერვო ინფორ-მაციის მოპოვებაც იყო. სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზატორებად ანუ რეზიდენტებად კი რუსეთის ელჩი ალექსანდე ბორისოვიჩ კურაკინი და პოლკოვნიკი ალექსანდრე ივანოვიჩ ჩერნიშევია დასახელებული. საყურადღებოა ის ფაქტი რომ საფრანგეთის კონტრდაზვერვის მიერ გამოაშკარავებული ჩერნიშევ-მიშელის ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ომის სამინისტროს თანამშრომლებისაგან, საფრანგეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული იქნა საერთაშორისო არენაზე რუსეთის დისკრდეტიდაციისათვის, რითაც შესაძლებელი გახადა რუსეთისათვის საერთაშორისო სამართლისა და აღიარებული ნორმების დარღვევაში დაედო ბრალი. მეორეს მხრივ კი იგი გამოყენებული იყო ფარული სამობილიზაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით. აგრეთვე მისცა ბერკეტი სამართლებრივად გაემართლებინა საომარი მოქმედებების დაწყების შესაძლებლობა.

კურაკინის მიერ. მის უშუალო ხელმძღვანელისადმი რუმინშტევისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „არსებობს ხმები ჩრდილოეთში სამხედრო ოპერაციის დაწყებაზე და ამისათვის მზადება მიმდინარეობს ყველა მიმართულებით. ყველგან ქალაქსა თუ სასამართლოში საუბრობენ გარდაუვალი ომის შესახებ ჩვენს წინააღმდეგ. მე ვიმეორებ

[23] SIR STEPHEN LANDER , INTERNATIONAL INTELLIGENCE COOPERATION: AN INSIDE PERSPECTIVE, 2004. HTTPS://WWW.TANDFONLINE.COM/DOI/PDF /10.1080/0955757042000296964;

ზემოდდასახელებულ საკითხში ეჭვის შეტანის მცირეოდენი საფუძველიც კი არ არის[24].1812 წლის 1 მაისს მიშელ მიშელი გრევეს მოედანზე გილიოტინაზე იქნა გაყვანილი, ხოლო მისი თანამზრახველები საგეტი (საარტილერიო მოძრაობის ოფისი); ლ. ფ.ა. სალმონი (ინსპექტირების ოფისი);გ. ნ. მაუეტე, მეტსახელად მირაბეუ (მაცნე); და ავსტრიელი გ. უესტინ-გერი (კონსიერჟი რუსეთის საელჩოში), იქნა დაპატიმრებული[25].

დასკვნა- წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩვენს მიერ განხილული იქნა სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის ზოგიერთი თავისებურებანი, რის ფარგლებიც გაანალიზებული იყო სპეცსამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული თეორიები. ნაშრომის მომდევნო თავები ეძღვნებოდა საერთაშორისო სადაზვერვო თანამშრომლობის საკითხებსა და ცალკეული ქვეყნების სადაზვერვო აქტივობებს. გამომდინარე იქედან რომ, საერთაშორისო ურთიერთობებში დაზვერვის განმახორციელებელი სახელწმიფოს თავდაპირველი მიზანი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, საერთაშორისო სტაბილურობის განმტკიცებას სწორედ რომ სახელმწიფოთა მიერ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა განაპირობებს. ეროვნული უსაფრთხობა ის ღირებულებაა რომლის განმტკიცებას საერთაშორისო არენაზე შეუძლია როგორც დადებითი, ასევე უაყოფითი შედეგების გამოწვევა. ამ ფონზე ყურადღებას იმსახურებს თუ როგორ აღიქვამს და როგორ წარმოუდგენია სახელმწიფოს საკუთარი ეროვნული უსაფრთხოება. წინამდებარე ნაშრომის საფუძველზე მიგვაჩნია რომ: საერთაშორისო სტაბილურობასა და მის რღვევაში დაზვერვის განმახორციელებულ სუბიექტებს უპირატესი როლი ენიჭება.

ამრიგად: საერთაშორისო სადაზვერვო თანამშრომლობას განაპირობებს საერთო ხედვა, არსებული რესურსები, მოსალოდნელი საფრთხე და გეოპოლიტიკური სივრცე. მიუხედავად ცალკული საერთაშორისო თანამშრომლობისა დაზვერვის განმახორციელებელი სუბიექტები ნაკლებად მიდრეკილნი არიან ოპერატიული, სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარების თვალსაზრისით. XXI საუკუნეში წარმოშობილმა გლობალურმა საფრთხეებმა დაზვერვის სამსახურებს ერთად მოქმედებისაკენ მოუწოდა, თუმცა ეს არ გამორიცხავს სხვა სფეროში ურთიერთსაწინააღმდეგო სადაზვერვო აქტივობების არსებობას.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ეტაპზე დაზვერვის სამსახურების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე ყურადღება ექცევა სპეცსამსახურებს შორის ურთიერთობის გაღმავებას საერთო ინტერესების მქონე საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად დაზვერვის სამსახურის გამოყენებით შესაძლებელია დაპირისპირებულ მხარეებს შორის არაპირდაპირი ურთიერთობის დაწყება, ნდობის აღდგენა. ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თუ რა როლს ასრულებს სადაზვერვო აქტივობები სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში. მიმდინარე პროცესების ანალიზით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სადაზვერვო საქმიანობა საერთაშორისო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, მეტიც საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირება სპეცსამსახურთა აქტივობების შედეგია, რა დროსაც აქტიურად არის გამოყენებული თავდაცვითი და აგრესიულ ღონისძიებები.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია რომ საერთაშორისო პოლიტიკის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს სახელწმიფოთა მხრიდან საერთო ინტერესების თანხვედრის შესაძლებლობას. მხარეთა წარმატებასა და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ფორმირებაზე სპეცსამსახურების როლის გაზრდა კიდევ ერთხელ მიანიშნებს მის მნიშვნელობას საერთაშორისო სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.

---

[24] 11SIRIO, Vol. 21, p. 351

[25] Vladimir Zemtsov, 1812: Russian Intelligence in Paris (According to French Archive Documents. https://www.tandfonline.com /doi/pdf/10.1080/13518046.2018.1415268?needAccess=true;

KAKHA PUTKARADZE
IVANE JAVAXISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY P.H.D. STUDENT OF CONFLICTANALYSES AND MANAGEMENT CHARLES UNIVERSITYIN PRAGUE, CZECH REPUBLIC MA DEGREE STUDENT OF INTERNATIONAL SECURITY STUDIES

Roles of intelligence services under international politics, based of theoretical Analysis

Summary

In the process of solving geostrategic tasks in the international geopolitical space the activity of SecretIntelligence Serviceacquires a significant attention. The existing international agenda is based on the equal relations between sovereign and independent states. Taking into consideration the historical events, even todayin the process of making decisions on the political arena the countries rely on the existing leverages in order to gain maximum benefits. The different political interests break the universal stability and stenghthen the anarchic nature of international agenda. Under mentioned conditions the analyses of SecretIntelligence Service role in the decision making process and formation of modern international agenda is of great importance.

თენგიზ ენდელაძე
ისტორიის დოქტორი, სახელმწიფო და კორპორაციული
უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი

პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის როლის საკითხისათვის

უსაფრთხოებაზე მოთხოვნილება ადამიანისა და საზოგადოების მოღვაწეობის ძირითად, პირველხარისხოვან მოტივებს განეკუთვნება. უსაფრთხოება არის პირობა, რომლის დროსაც შესაძლებელი ხდება სხვა დანარჩენის კეთება.

უსაფრთხოების სფეროებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს პოლიტიკურ უსაფრთხოებას, ვინაიდან პოლიტიკური უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფის სისუსტე იწვევს:სახელმწიფოს დაშლას, გაქრობას, ადამიანების დაღუპვას, მატერიალურ ფასეულობათა განადგურებას.

სახელმწიფო, რომელიც სათანადო მზრუნველობას არ იჩენს პოლიტიკური უსაფრთხოებისადმი, სიცოცხლის უუნარო ხდება.

პოლიტიკური უსაფრთხოება იმ ფაქტორების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღმკვეთი ზომების ერთობლიობაა, რომელთაც შეუძლიათ: დააზარალონ სახელმწიფოს, ხალხის, საზოგადოების, მოქალაქეების პოლიტიკური ინტერესები; განაპირობონ პოლიტიკური რეგრესი, სახელმწიფოს პოლიტიკური დაღუპვა; ხელისუფლება აქციონ აღმშენებლობით-კონსტრუქციული ძალიდან, დამანგრეველ ძალად-„ხალხისა და ქვეყნის უბედურების ძალად“. დღეისათვის ცნობილია პოლიტიკური უსაფრთხოების შემდეგი ტიპები:

- სადამსჯელო- რეპრესიული, ორიენტირებულია მტრების ძიებაზე, მათ დათრგუნვა-იზოლაცია-გაძევება-განადგურებაზე;

- დაცვითი- ძალისმიერი, რომელიც კონცენტრირებულია მმართველი ელიტისა და რეჟიმის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ამასთან, იყენებს „რბილ“ ფორმებს: მოსყიდვას, მოტყუებას, ყალბი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციების, ოპოზიციის შექმნას და ა.შ.;

- დაფუძნებული დემოკრატიულ კანონმდებლობაზე. მეტწილად იყენებს სულიერ-ფსიქოლოგიურ, ინფორმაციულ, სასამართლო, სამართალდაცვით საშუალებებს და ა.შ.

სახელმწიფოში პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამართულ მუშაობაზე, ვინაიდან ამ უკანასკნელის უშუალო მოვალეობაა ქვეყნის კონსტიტუციური წყობილების დაცვა საშინაო თუ საგარეო საფრთხეებისაგან.

უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების, უპირველეს ყოვლისა დაზვერვების მიერ პოლიტიკური ბრძოლის ხაზზე წარმოებული დამაზიანებელი საქმიანობის პასუხად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა მოწინააღმდეგის ქმედებების (აქტიური ღონისძიებების, საიდუმლო ოპერაციების) წინააღმდეგ, ანუ ბრძოლა მტრული პროპაგანდის, პოლიტიკური აქციების, ნახევრადსამხედრო ოპერაციების წინააღმდეგ, რომელთა დანიშნულებაა:

*ობიექტი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის შესუსტება (რღვევა), მორალური, ზნეობრივი, პოლიტიკური პოტენციალისათვის ზიანის მიყენება

* საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ინსტიტუტების დეფორმირება

* საგარეო კავშირურთიერთობების შესუსტება

*რეალური დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესისათვის ხელის შეშლა

*ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და საგანმანათლებლო პოტენციალის შესუსტება/მართვა

დამაზიანებელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მიმართულებაა:

ბრძოლა იდეოლოგიური ტერორის (ფსიქოლოგიური ომის, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების, „შავი პიარის“) წინააღმდეგ.

ბრძოლა „ჰიბრიდული ომის“, როგორც ტაქტიკის წინააღმდეგ, რომლის დროსაც სამხედრო საშუალებებთან ერთად გამოიყენება ეკონომიკური ზეწოლის, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ელემენტები, და რომელიც ფარული და ღია ოპერაციების კომბინაციას წარმოადგენს.

იდეოლოგიური ტერორის მიზანს წარმოადგენს: სიტუაციის დესტაბილიზაცია მსოფლიოში, რეგიონში, სახელმწიფოში; სამიზნე (ობიექტ) სახელმწიფოში არსებული კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების შერყევა შიგნიდან.

ამასთან, დაზვერვები უზრუნველყოფენ იდეოლოგიური ცენტრებისა და ორგანიზა-ციების დამაზიანებელი იდეოლოგიური აქციების ინფორმაციულ უზრუნველყოფასა და უშუ-ალოდ მონაწილეობენ დამაზიანებელ საქმიანობაში თავიანთი ძალებითა და საშუალებებით.

იდეოლოგიური ტერორი ხორციელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში:

•ზემოქმედებს, როგორც რწმენაზე, ასევე ფსიქიკაზე, უბიძგებს ზოგიერთს, ჩაიდინოს ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებები

• გამორიცხავს ღია იდეოლოგიურ კამათს

• ემყარება სიცრუესა და ცილისწამებას, დეზინფორმაციას

• მიმართულია პოლიტიკური მიზნების მიღწევისაკენ

• ხორციელდება განსაკუთრებული სადაზვერვო-მტრული მეთოდებით

•წარმოადგენს ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, მტრული, პროპაგან-დისტული და ორგანიზაციულ-პოლიტიკური ქმედებების კომპლექსს.

ახდენს რა გამხრწნელ ზემოქმედებას მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებსა და ფენებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე, იდეოლოგიური ტერორისზეგავლენით:

• მოსახლეობის ნაწილი დგება ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე

• ხდება ანტისამთავრობო ჯგუფების შეკოწიწება

•ადგილი აქვს ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი, მმართველი პარტიისადმი ცილისწამებას

• ამზადებენ და ავრცელებენ ანტისამთავრობო დოკუმენტებსა და მოწოდებებს

• მოსახლეობას უბიძგებენ მასობრივი არეულობებისაკენ.

აღნიშნულის წარმატებით განხორციელების მიზნით, უცხო ქვეყნების დაზვერვის სამსახურები აქტიურად იყენებენ პრესას, ტელევიზიას, რადიოს, ინტერნეტს, სხვა ელექტრონულ საშუალებებს, პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებს, პარლამენტისა და ადგილობრივი ორგანოების ცალკეულ წარმომადგენლებს.

ობიექტი ქვეყნის იდეოლოგიის და პოლიტიკის დამაზიანებელ ქმედებებს დაზვერვის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროპაგანდის, დეზინფორმაციისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის მზვერავი-სპეციალისტების მეშვეობით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით,

რომელიც შედგება რამდენიმე სტადიისაგან. ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც ერთი ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შემუშავებული მოწინააღმდეგე სახელმწიფოსათვის დამაზიანებელი ქმედებების კომპლექსს (დოქტრინას) ასევე წარმატებით იყენებს მესამე სახელმწიფო. ამის ნათელი დასტურია ე.წ. დალესისა და ბეზმენოვის (იგივე შუმანის) დოქტრინები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალურობა. ორივე ეს დოქტრინა სამი ათეული წელია აქტიურ მოქმედებაშია საქართველოსთან მიმართებაში და დამანგრევლად მოქმედებს მასზე.

იდეოლოგიური ტერორის ობიექტებია სამიზნე ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროები (რელიგია, განათლება, მასმედია, კულტურა, სამართალი და წესრიგი, ოჯახი, საზოგადოებრივი ურთიერთობები, უსაფრთხოება/უშიშროება, ჯანდაცვა, ეკონომიკა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ხელისუფლებისათვის ბრძოლა), რომლებიც უშუალოდ განიცდიან ზემოქმედებას.

უშუალო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ობიექტებს წარმოადგენენ:

სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის სულიერი, იდეურ-პოლიტიკური ერთობა, ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, პოლიტიკური წყობილების ფორმა, დემოკრატია, მმართველი პარტია და მისი ხელმძღვანელი როლი, მართლწესრიგი, კანონიერება, შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა, სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა, მეგობარ ქვეყნებთან ურთიერთობა და ა.შ.

კანონსაწინააღმდეგო იდეოლოგიური ზემოქმედების ობიექტებს წარმოადგენენ, როგორც ქვეყნის მოსახლეობა, ისე მისი სოციალური და ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ზოგადად განიცდიან ვნებას.

იდეოლოგიური ტერორის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შესა- ძლებელი ხდება არსებული რეჟიმის რღვევის განმაპირობებელი ისეთი დანაშაულებების სისტემური ორგანიზება, როგორებიცაა: სამშობლოს ღალატი, კონტრაბანდა, კორუფცია, სა- ვალუტო ოპერაციების წესის დარღვევა, ანტისახელმწიფოებრივი აგიტაცია-პროპაგანდა, ჯა- შუშობა, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება, ტერორისტული და საბოტაჟური (დივერ- სიული) აქტების განხორციელება, სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა და სხვ.

სადაზვერვო იდეოლოგიური საქმიანობის ძირითადი მიზნებია: არსებული მმართ- ველობითი რეჟიმის დამხობა; ორგანიზებულიო პოზიციური განწყობილებების ინსპირირება; უნდობლობის დამკვიდრება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი, თუნდაც ეს უკანასკნელი სასიკეთო იყოს; ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური შუღლის გაღვივება; დამკვიდრებული ქცევის ნორმების იგნორირების ინსპირირება; ქვეყნის პოლიტიკური წყობისა და ხელმძ- ღვანელი პირების დისკრედიტაცია; ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი უნდობ- ლობის ინსპირირება/გაღვივება; მასობრივი ემიგრაციის ინსპირირება/ხელისშეწყობა; არსე- ბული რეჟიმის ალტერ-ნატიული მმართველობის რეკლა-მირება; მცირედი უკმაყოფილების ორგანიზება, მასობრივი უკმაყოფილების, არეულობის ინსპირირებისათვის.

დაზვერვა არ შემოიფარგლება ნახევრად სამხედრო საიდუმლო ხასიათის ოპერაციებით (შეთქმულება, ამბოხება, „ჰიბრიდული ომი“) და ახორციელებს „საიდუმლო დიპლომატიის“ სხვა პროგრამებსაც, რომელთა თანახმადაც დაზვერვის საიდუმლო საქმია- ნობის ძირითადი მიმართულებებია: პოლიტიკური დარიგებები და რჩევები; ცალკეული პირების მოსყიდვა; ფინანსური დახმარებები და „ტექნიკური ხელშეწყობა“ ცალკეული პოლიტიკური პარტიებისადმი; დახმარებები არაოფიციალური ორგანიზაციებისადმი; დახმა-

რებების გაწევა კომპანიებისადმი, კორპორაციებისადმი, პროფკავშირებისადმი, არასამთავ-რობო ორგანიზაციებისადმი, და ა.შ.: საიდუმლო პროპაგანდა (იატაკქვეშა, იდეოლოგიურად საშიში ტელედარადიოსადგურების ამოქმედება, გაზეთების, ჟურნალების, ფურცლების, ლოზუნგების, პლაკატების და ა.შ. გამოცემა-გავრცელება; დემაგოგიური, რევიზიონის-ტული, ფაშისტური, ნაციონალისტური და სხვა სახის პოლიტიკურად მავნე, ძალადობრივი შეხედუ-ლებების გავრცელება); ეკონომიკური ოპერაციები; ნახევრად სამხედრო და აქტიური პოლი-ტიკური აქციები არსებული რეჟიმის მხარდასაჭერად (რა დროსაც დაზვერვა აქტიურად თანამშრომლობს ობიექტი ქვეყნის სპეცსამსახურებთან) ან დასამხობად (სამთავრობო ან ანტისამთავრობო მიტინგების, დემონსტრაციების, მასობრივი გამოსვლების და არეულო- ბების ორგანიზაცია; სახელმწიფო გერბის, დროშის, ძეგლების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების შეურაცხჰყოფა და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე კონტრდაზვერვის ამოცანებს პოლიტიკური ბრძოლის ხაზზე წარმოადგენს:

•ბრძოლა დამაზიანებელი ქმედებების (აქტიური ღონისძიებების, საიდუმლო ოპე-რაციების) წინააღმდეგ, ანუ ბრძოლა პროპაგანდის, პოლიტიკური აქციების, ნახევ-რადსამხედრო ოპერა-ციების (შეთქმულება, ამბოხება, „ჰიბრიდულიომი“) წინააღმდეგ, რომელთა დანიშნულებაა:

•ობიექტი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის შესუსტება (რღვევა), მორალური, ზნეობ-რივი, პოლიტიკური პოტენციალისათვის ზიანის მიყენება;

• საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ინსტიტუტების დეფორმირება;

• საგარეო კავშირურთიერთობების შესუსტება

•რეალური დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესისათვის ხელის შეშლა, ეკო-ნომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და საგანმანათლებლო პოტენციალის შესუსტება/მართვა.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა მოწინააღმდეგის მიერ ობიექტი ქვეყნის მიმართ „ჰიბრიდული ომის“ წარმოება, რომლის მიზანია, როგორც წესი, სამხედრო საშუალებების სრულ გამოყენებამდე სახელმწიფოს დასუსტება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „ჰიბრიდული ომები“ არახალია, მას ურთიერთდაპირისპირებული სახელმ-წიფოები უძველესი დროიდან მიმართავენ, თანამედროვე ეტაპზე კი მისი შემადგენელი კომპონენტების რაოდენობა გაიზარდა, ხოლო ქმედებები დაიხვეწა. „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში წარმოებული „ფსიქოლოგიური ომისათვის“ დამახასიათებელია ღრმა კონსპირა-ციულობა. რიგ შემთხვევებში ის წარმოებს მესამე ქვეყნის მიერ, სამიზნე ქვეყნის მეგობარი სახელმწიფოებისაგან დაფინანსებული ორგანიზაციების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რაც ასევე გასათვალისწინებელია ქართული სპეცსამსახურების მიერ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ჰიბრიდულ ომებს“ მიმართავენ, როგორც საომარი მოქმედებების დაწყებამდე, ისე საომარი მოქმედებების დროს.

იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ეტაპზე ფსიქოლოგიური ომის წარმოების ფორმები და მეთოდები მნიშვნელოვნად დახვეწილია, და ამ ომში აშკარად ჩათრეულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობებისა და სხვა ორგანიზაციების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ნაწილი, პოლიტიკურ კონტრდაზვერვას მოეთხოვება გაბედული ნაბიჯების გადადგმა მოწინა-აღმდეგის ძირგამომთხრელი საქმიანობის თავიდან აცილებისა და აღკვეთის გზაზე. ამ გზაზე კი მან, პირველ რიგში, შემაკავებლის როლი უნდა ითამაშოს თავისი ძალების, საშუალებებისა და

მეთოდების გამოყენებით. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია, ზემოაღნიშნულ კატეგორიაში, პროფილაქტიკური მუშაობის წარმართვა, როგორც ფარული, ისე ღია ფორმით.

აღნიშნულიდან გამომდინარე პოლიტიკური კონტრდაზვერვის ხაზით მომუშავე კონტრმზვერავებს მოწინააღმდეგის დაზვერვების ძირგამომთხრელი საქმიანობის ღრმა ცოდნისა და ოპერატიული მომზადების გარდა მოეთხოვებათ განსწავლულობა ისტორიაში, ეთნოკულტურაში, ეთნოფსიქოლოგიაში, რელიგიაში, პოლიტიკაში, გეოპოლიტიკაში,

პოლიტოლოგიაში, ქვეყანათმცოდნეობაში, კონფლიქტოლოგიაში, ვინაიდან მოწინააღმდეგის საქმიანობა პოლიტიკური დაზვერვის მიმართულებით გამორჩეულად დაფარულია, შემოსილია კონსპირაციულ გარსში და აქედან გამომდინარე ძალზედ რთულია ამ საქმიანობის მონაწილე კონკრეტული მზვერავების, განსაკუთრებით მათი აგენტების გამოვლენა და მხილება. ამიტომ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პოლიტიკური კონტრდაზვერვის ხაზზე სისტემატიური, ხანგრძლივი და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ოპერატიული თანამ- შრომლებით დაკომპლექტების საკითხს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნულ ხაზზე მომუშავე ნებისმიერი დონის ვერც ერთი თანამშრომელი პროფესიულად ვერ ერკვევა და კარგახანს ვერც გაერკვევა. ეს კი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველ-ყოფისათვის მნიშვნელოვან დამაბრკო- ლებელ ფაქტორს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თენგიზ ენდელაძე. საგარეო დაზვერვის სამსახურები. თბილისი, 2007 წელი
2. თენგიზ ენდელაძე. საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველ მყოფი ინსტრუმენტების-დაზვერვის, კონტრდაზვერვის, კორპორაციული და მოქალაქეთა უსაფრთხოების სამეცნიერო დარგებად აღიარების საკითხისათვის. წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შრომების კრებული V. თბილისი, 2017 წელი;
3. გ.მგალობლიშვილი და სხვები. "ჰიბრიდული ომი" და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. თბილისი 2016 წელი;

Tengiz Endeladze

Doctor of History

The role of the State Security Service in providing political security

Summary

In the field of political security, the role of the state security services and the need for safety is an important requirement of humans and society in general. Safety is the condition that enables other needs to be fulfilled. Ensuring political safety mostly depends on the proper functioning of the state security services as its primary responsibility is to protect the country`s constitutional order from domestic or external threats.

ნათია სტრელნიკოვა.
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
აკადემია. სამართლის სკოლა II კურსი

სადაზვერვო აქტივობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ (1918-1921წწ.)

სადაზვერვო აქტივობები უძველესი დროიდან ხორციელდებოდა და დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. იგი საერთაშორისო ასპარეზზე ზეგავლენის მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია, საერთაშორისო პოლიტიკისა, სხვა მოქმედი პირების შესაძლებლობებისა და განზრახვების შესახებ ღია (მასმედიისა და დიპლომატიური) დაფარული (აგენტურული აპარატი და სხვა) წყაროების გამოყენებით ინფორმაციის შეგროვებას გულისხმობს.

ტექნიკური საშუალებების განვითარებას დაზვერვაში ცოცხალი ძალის-აგენტის როლი არ დაუკნინებია, რადგან ბოლო ათწლეულებში პრობლემას ინფორმაციის მოპოვება კი არა, არამედ რამდენადაც მისი სწორი ანალიზი წარმოადგენს. ადამიანური ფაქტორის როლი ინფორმაციის მნიშვნელობის შეფასებისას კი ჯერაც შეუცვლელია.[26] საქართველოსთან მიმართებაში უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო აქტივობები თანამედროვე ეტაპზეც მასშტაბურია, რასაც ადასტურებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ანგარიში.[27]

სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვანია საკუთარი სახელმწიფოს ისტორიული წარსულის მყარი ანალიზი, რაც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პროცესის სწორად დაგეგმარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აღნიშნული მიზნის ფარგლებში საყურადღებოა უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო აქტივობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1918-1921 წლებში.

საქართველოს დამოუკიდებლობა, I მსოფლიო ომის შედეგებიდან გამომდინარე, 1917 წელს რუსეთში განხორციელებული თებერვლის რევოლუციისა და შესაბამისად რუსეთის იმპერიის რღვევის შედეგია. სომხეთთან და აზერბაიჯანთან მცირე პერიოდით ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ცხოვრების შემდგომ, საქართველომ დამოუკიდებლობის აქტი 1918 წლის 26 მაისს მიიღო, რომლის მიხედვითაც: საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია, ხოლო საქართველო-სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა-დემოკრატიული რესპუბლიკა. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისთვის.[28]

ანალოგიური მიზეზებით დამოუკიდებელი გახდა მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებიც, რომლებმაც საბჭოთა რუსეთთან და ოსმალეთთან ერთად აქტიურად გააგრძე-

---

[26] „დაზვერვა“ სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.; გამომც.: ლაშა ბერაია]-თბ.: ლოგოსპრესი, 2004- 351გვ. http://www.nplg..gov.ge/gwdict/index. php?a=term&d=6&t=3510

[27] „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის. ანგარიში.“ 01.01.2017-31.12. 2017. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179498;

[28] „საქართველოს პირველი რესპუბლიკა.“ ავტორ-შემდგენლები: ბექა კობახიძე დიმიტრი სილაქაძე ანტონ ვაჭარაძე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ეროვნულ არქივი. გვ.8-9. http://www.archives.gov.ge/uploads/other/2/2784.pdf;

ლეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო საქმიანობა, რასაც ხელი შეუწყო ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე უცხო ქვეყნების (რუსეთის, აზერბაიჯანის, ოსმალეთის) მიერ დაკავებულ ქართულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა 86500-იანმა მოსახლეობამ, რომელთა უმრავლესობაც არაქართველები წარმოადგენდნენ და რომლებიც დამპყრობელ სახელმწიფოებს თანაუგრძნობდენ და მათი ინტერესის გათვალისწინებითაც მოქმედებდნენ.

სადაზვერვო საქმიანობის წარმატების განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას კონსპირაციის პირობების მყარი დაცვა განაპირობებს, რაც ქმედებათა მყარად შენიღბვას გულისხმობს. შესაბამისად ყოველთვის გართულებულია სადაზვერვო ქმედებების პირდაპირი ნიშნების ფიქსირება, თუმცირიბი ნიშნები სათანადო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო აქტივობების ანალიზი აჩვენებს, რომ უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო საქმიანობისას გამოიყენებოდა შემდეგი მეთოდები:

- მზვერავი სახელმწიფოს მიერ, არსებული ხელისუფლების ან/და წესწყობილების, კონკრეტული პირის კომპრომეტაციისათვის დეზინფორმაციის გავრცელება;
- მზვერავი ქვეყნის ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით თანხვედრილ ჯგუფში ძირძველი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ განწყობების ჩამოყალიბება
- პოლიტიკური და სხვა სახის დაზვერვის ზემოქმედების ობიექტზეს ან/და უახლოეს გარემოცვაში აგენტურული შეღწევის ორგანიზება;
- დაზვერვის ობიექტი პირის დაშინება, ლიკვიდაცია და სხვა.

რაც შეეხება სადაზვერვო ხასიათის ოპერატიულ-აგენტურული ორგანიზების შედეგებს ამ კუთხით შეიძლება გამოვარჩიოთ:

- კრიმინოგენური ვითარების სისტემატიური დაძაბვა;
- ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე ხელისუფლების მიზანმიმართული კომპრომეტაცია;
- საბოტაჟი (მაგ. საბჭოთა რუსეთისაგან პურის მიუწოდებლობა, რომლის მიზანსაც ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლების წარმოქმნა წარმოადგენდა).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მზვერავის სახელმწიფოების ქმედებეი ასე შეიძლება გამოვსახოთ:

1. **ბოლშევიკური რუსეთის სადაზვერვო საქმიანობა** საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობდა. სხვა მზვერავი ქვეყნების მსგავსად ისინი იყენებდნენ: ქვეყნის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე კომპაქტურად და არაკომპაქტურად დასაახლებული ეთნიკური ან/და რელიგიური ჯგუფებს, „დუბლირებულ“ საქართველოს ბოლშევიკურ პარტიას და სხვა. საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურმა ,,ვეჩეკა“ ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე შექმნა მნიშვნელოვანი აგენტურული აპარატი პირველი მსოფლიო ომიდან საქართველოში მობრუნებული ჯარისკაცების მნიშვნელოვანი ნაწილისაგან. ამასთან ერთად, ეს სამსახური აქტიურ ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობას ეწეოდა საკუთარ სახელმწიფოში არსებულ ქართულ კოლონიებში. რაც შეეხება უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზების მაორგანიზირებელ ჯგუფს რუსეთის საელჩო, ქართველი ბოლშევიკები, ბოლშევიკური პრესა წარმოადგენდა. 1920 წლის მარტში სამაჩაბლოში ანტისახელისუფლებო და ანტიქართული გამოსვლების სისტემურობას ჰქონდა ადგილი, ხოლო მაისში საბჭოთა რუსეთიდან 1000 კაციანი დივერსიული ჯგუფის შემოყვანა გახდა შესაძლებელი. არ შეიძლება არ გამოვყოთ რუსეთის სადაზვერვო ინტერესების შესაბამისი,

საქართველოს გამაერთიანებელი და გამაძლიერებელი მნიშვნელოვანი ძალის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დანაწევრება-დაუძლურების კუთხით განხორციელებული პროცესები. ამ საკითხთან დაკავშირებით, ისტორიას ახსოვს მძიმე ფაქტები, მაგა-ლითად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი კირეონ II-ს ლიკვიდაცია 1918 წლის ივნისში.

2. **დენიკინელების-** სადაზვერვო ქმედებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სამაჩაბლო წარმოადგენდა, საიდანაც დემოკრატიული რესპუბლიკის საჯარისო ნაწილების გამოდევნა საბჭოთა რუსეთის საჯარისო ნაწილების მიერ იყო ინიცირებული. სადაზვერვო მიზნებისთვის ისინი აფხაზეთში ალექსანდრე შერვაშიძეს, აჭარაში-გენერალი ნათიევს, იმერეთში-ძმებ ერისთავებს, გურიაში-დიმიტრი მგელაძეს, ოფიცრებს დადაიანსა და ახვლედიანს იყენებდნენ საკუთარი ინტერესების აღსასრულებლად. შეიძლება ითქვას, რომ სახეზე იყო დენიკინელთა ჯაშუშური ქსელი.

3. **ოსმალეთი** ს სადაზვერვო ინტერესებს აქტიურად ახორციელებდა ორგანიზაცია ,,სედაი მილეთი". აღსანიშნავია ბათუმში სადაზვერვო ინტერესების შესაბამისად, არჩევნების საერთაშორისო ნორმების იგნორირებით ჩატარება. 1920 წელს საბჭოთა რუსეთის მხრიდან ოსმალეთის ნაციონალისტებისთვის დიდძლი საბრძოლო მასალის გადაცემა, მათ შორის სადაზვერვო კორდინაციას ადასტურებს. ოსმალეთი მუსლიმანურ და ქართულ სოფლებს შორის ეთნიკურ და რელიგირ ნიადაგზე ინსპირირებულ კონფლიქტებს მიზანმიმართულად აღვივებდა.

4. **აზერბაიჯანი** -სადაზვერვო ინტერესების შესაბამისად აქტიურად თანამშრომლობდა ოსმალებთან საქართველოზე ნავთობის სატრანზიტო გზის ხელში ჩასაგდებათ. 1920 წლის აპ-რილში საქართველოში აზერბაიჯანის მხრიდან განხორციელდა ბოლშევიკთა შეიარაღებული შემოჭრა, რაც საბჭოთა რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის სადაზვერვო კორდინაციაზე მიანიშნებს.

5. **სომხეთი** ს სადაზვერვო ინტერესების აღსრულებას საქართველოში „მოღვაწე" პოლიტიკური პარტია „დაშნაკცუთიუნი" ახორციელებდა. დემოკრატიული რესპუბლიკის საწი-ნააღმდეგო აზრის მობილიზირებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სომეხი დევნილები. გამორ-ჩეულია, თბილისში არამიანცის სახლში, საქართველოსა და სომხეთს შორის მიმდინარე საომარი მოქმედებებისას სომხეთის ჯარის შესავსებად მოხალისეთა შეკრება და გადაბირებითი ოპერაცია. სომხეთის მიერ 1919 წელს ბორჩალოს მაზრაში ინპირირებული იქნა ანტი-სახელისუფლებო აჯანყება. სადაზვერვო კოორდინაციის ფარგლებში საყურადღებოა 1920 წლის აპრილში სომხეთის მხრიდან შეიარაღებული ბოლშევიკების შემოჭრის ორგანიზება და სხვა.

6. **ინგლისი** ს-სტრატეგიულ ინტერესს რუსეთის ძლიერი სახელმწიფოს შენარჩუნება წარმოადგენდა, რის გამოც ის სადაზვერვო კოორდინაციაში აქტიურად შევიდა როგორც საბჭოთა რუსეთთან, ასევე დენიკინელებთან. ინგლისის სადაზვერვო აქტივობებით ბათუმის დაცვა, ფაქტობრივად, არაქართველებით დაკომპლექტებულ პოლიციელებს მიანდეს.. ინგლისის მიერ საბოტაჟური ქმედებებიდან გამორჩეულია ფასების ზრდა პროდუქტზე ან/და მისი დეფიციტის შემნა, საბაჟო კონტროლის გარეშე სხვადასხვა პროდუქტის შემოტანა, დაპირისპირებები რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან, საქართველოს დამოუკიდებლო-ბის შენარჩუნების მიზნით აუცილებელი შეიარაღების მიწოდებაზე უარის თქმა და წინასაანექსიო პერიოდში საკუთარი შეიარაღებული ნაწილების საქართველოდან გაყვანა.

7. **გერმანია**-ჯერ კიდევ 1914 წლიდან აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებდა საქართველოს წინააღმდეგ. დამოუკიდებლობის პერიოდში საყურადღებაოა გერმანული დაზ-

ვერვის წარმომადგენლის ფონ კრესენშტაინის ქართველ ნაციონალ-დემოკრატთა ლიდერ-თან საიდუმლო შეხვედრის დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ძალა-დობრივი დამხობის გეგმის შეთავაზება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ (1918-1921წწ.) საქართ-ველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აქტიურ სადაზვერვო ქმედებს ახორციელებ-დნენ: საბჭოთა რუსეთო, ოსმალეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, ინგლისი. საქართვე-ლოსთან მიმართებაში ამ სახელმწიფოებს გააჩნდათ სადაზვერვო ინტერესების თანხვედრა და მოქმედებდნენ კოორდინირებულად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ სადაზვერვო აქტივობების ფარგლებში ფიქსირდება პლიტიკური და სამხედრო ხასიათის სადაზვერვო საქმიანობა, როგორც გადაბირების, ისე ოპერაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით,

გამოყენებითი ლიტერატურა:

1. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოსპრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინეჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]-http://www.nplg.gov.ge /gwdict/index.php?a=term&d=6&t=3510;
2. გივი სულაძე-დაზვერვა, როგორც ქვეყნის სასიცოცხლო ინსტიტუტი- https://www.militarium.org/dazvervis-instituti/#;
3. დავით კუხალაშვილი-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა და მისი მიზეზები 2003წ-თბილისი. (გვ.23);
4. დავით კუხალაშვილი-ჯაშუშობის, კონტრევულუციის, საბოტაჟის ორგანიზების ისტორია საქართველოში 2017წ-თბილისი. (გვ.1-9);
5. დავით კუხალაშვილი- უცხო ქვეყნების მტრული საქმიანობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 2002წ-თბილისი. (გვ 3);
6. დავით კუხალაშვილი-სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობა საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ 2017წ-თბილისი. (გვ 4-7);
7. დავით კუხალაშვილი-აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობის ისტორია დამოუკიდებელ და საბჭოთა საქართველოში 2014წ-თბილისი.

Natia Strelnikova

Low of school . II course. LEPL-Academy of the Ministry of Internal Affairs of Georgia.

Summary

Intelligence Activities against the Democratic Republic of Georgia (1918 - 1921)

In the framework of intelligence and counterintelligence activities the in-depth analysis of the historical past of a state issignificant as it plays an important role in correct planning of national security processes. Therefore, it is cardinal to research the history of intelligence and counterintelligence activities of foreign states against the Democratic Republic of Georgia in 1918-1921.

ილიახუციშვილი
სსიპ შსს აკადემია-საპოლიციო რეგულირების სამართლის
მაგისტრი, ნიუვიჟენ უნივერსიტეტი (New Vision University) -
სამართლის დოქტორანტი

სახელმწიფოს ენერგორესურსებზე კონტროლის მოპოვების სადაზვერვოასპექტები

მსოფლიოში უსაფრთხოების გარემოს სწრაფი ცვალებადობის, საერთაშორისო ტერორიზმისა და რადიკალიზაციის, უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის გააქტიურებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, იზრდება საერთაშორისო ურთი-ერთობებში ეკონომიკური და ენერგო რესურსებით სადაზვერვო მანიპულირების მასშტაბები, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაზე. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფ სფეროებს განეკუთვნებიან: პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგერტიკული, სამეცნიერო-ტექნიკური, თავდაცვის, ინფორმაციული, ეკოლოგიური უსაფრთ-ხოება და სხვ. სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა არამარტო სახელმ-წიფო სტრუქტურების პროფესიონალური საქმიანობით, არამედ კერძო სექტორისა და თითო-ეული მოქალაქის სათანადო ინფორმირებით, კოორდინირებული მუშაობითა და ერთსულო-ვანი, კომპლექსური მიდგომით მიიღწევა.

სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი სტრუქტურების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს ენერგორესურსებზე მოხმარე-ბის ოპერატიული კონტროლი, რათა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ, სადაზვერვო ორგანიზებით არ მოხდეს მათი გამოყენება. უკანასკნელ ათწლეულში, მსოფლიო გლობა-ლიზაციის პროცესების ფონზე, ენერგო რესურსებით მანიპულირება საერთაშორისო ურთიერთ-ობებში უცხო სახელმწიფოების ძირითად პოლიტიკურ საშუალებად იქცა. ამ საშუალებას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები საკუთარი ინტერესების გატარებისათვის და სასურველი საზოგა-დოებრივი აზრის ფორმირებისათვის აქტიურად იყენებენ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ქვეყნის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სტრუქტურებმა, შესაბამისად ეკონომიკური დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მიმართულებით მყარი ოპერატიულ-ანალიტიკური საქმიანობის პროცესი უზრუნველყონ.

ყველა სუვერენული სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეკლა-რირებული მიზანია ენერგო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ კუთხით ქვეყნის სადაზ-ვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების როლი უმნიშვნელოვანესია. სახელმწიფოს ენერ-გეტიკული უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის ეფექტური გამოყენებით შენარჩუნებულ იქნას სახელმწიფოს ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოება. სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული სახელმწიფოებ-რივი განვითა-რების უამრავი სხვა ფაქტორი, მათ შორის თავდაცვისუნარიანობა და შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოება. ქვეყნის ენერგეტიკის სფერო, ეკონომიკური უსაფრთხოების ძირი-თადი განმსაზღვრელი და შემადგენელია. ამასთან ერთად, ენერგეტიკა არის ეროვნული უსაფრთხოების სეგმენტი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკის ნებისმიერი დარგის განვი-თარებასა და ფუნქციონირებას. სხვა მნიშვნელოვან სექტორებთან ერთად, ზემოთ ჩამოთვ-ლილი სეგმენტები ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი ჯაჭვის მაკავშირებელნი არიან. სახელმწიფოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას პირდაპირ უკავშირდება პოლიტიკურ დამოუ-კიდებლობა და სუვერენიტეტი, სწორედ ამიტომ ენერგეტიკული უსაფრთხოება განისაზღვრება, როგორც პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ენერგეტიკულად აუცილებელი სასიცოცხლო ინტერესების დაცულობა საშინაო და საგარეო საფრთხეებისგან.

ეკონომიკური დაზვერვის როლი ვლინდება სწორედ მაშინ, როდესაც უცხო სახელმწიფო ინდივიდუალურად ან საკუთარი სახელმწიფოს კომპანიის მეშვეობთ აპირებს ინვესტიციების განხორციელებას დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში, ამ შემთხვევაში

გადაწყვეტილების მიმღებ დაზვერვის ობიექტი ქვეყნის პოლიტიკური თანამდებობის პირებს უნდა გააჩნდეთ როგორც ფარული ისე ღია წყაროებიდან მიოპოვებული მყარად გაანალიზე- ბული და დამუშავებული სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მონაცემები ინვენსტორის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რათა გამოირიცხოს ინვესტიციის მიმღები ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკურ, ენერგეტიულ უსაფრთხოებაზე და პოლიტიკურ ცხოვრებაზე დამაზიანებელი ზემოქმედება. შესაბამისად გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე კი მიიღებულ იქნება საკუთარი სახელმწიფოსთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება.[29]შეიძლება დავასკვნათ, რომ სა- ხელმწიფოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ხარისხი განაპირობებს ქვეყნის პოლიტიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური დივერსიებისაგან დაცვის ხარისხს.

გაზი (ბუნებრივი აირი) და ნავთობი ის რესურსებია, სადაც ათწლეულებია სახელმ- წიფოთა ან/და სახელმწიფო გაერთიანებათა მხრიდან გეოპოლიტიკური თამაშის შედეგები მკაფიოდ იგრძნობა. მათზე კონტროლისათვის სახელმწიფოები სადაზვერვო სამსახურებს აქტიურად იყენებენ. სახელმწიფო გადატრიალებები, სამოქალაქო და სახელმწიფოთა (მათ შორის კოალიციური გაერთიანებების) შორის ომები მნიშვნელოვან წილად აღნიშნულ მარაგებზე კონტროლით მიიღწევა. ვითარების კიდევ უფრო დამძიმების წინაპირობას წარმოა- დგენს ის გარემოება, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში სწრაფი ეკონომიკური ზრდის გამო უკვე 2025 წლისთვის ენერგორესურსები დეფიციტური გახდება,[30] რასაც დაემატება ნავთობის მოპოვების შემცირება ახალი პროდუქტიული საბადოების ამოწურვის შედეგად.[31]შესაბამისად, გაზის ფასი და მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. თუ უახლოეს წლებში არ მოხდა რევო- ლუციური ცვლილებები და გარღვევა ენერგოწარმოების სფეროში, მოპოვებად ენერგორესურ- სებს, პირველ რიგში ბუნებრივ აირს, ალტერნატივა არგააჩნია. ვერც ატომური თუ ჰიდრო- ელექტროსადგურები და მითუმეტეს, ქარის, მზის, ზღვის მოქცევის თუსხვა ენერგიის წყაროები ვერ შეცვლის გაზსა და ნავთობსმრეწველობაში, ტრანსპორტში თუ საოჯახო მეურნეობებში.[32] სწორედ ამიტომ გაზის მოპოვება და ტრანსპორტირება იყო და რჩება მსოფლიო გეოპოლიტიკური და სადაზვერვო ქმედებების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად.

ბუნებრივი აირის მარაგების, მისი ტრანსპორტირების უსაფრთხოებაზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად მიმოვიხილოთ რამდენიმე საბოტაჟური, ტერორისტული და საომარი ქმედების ორგანიზების დამადასტურებელიფაქტები:

-1982 წლის იანვარში, პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა დაამტკიცაცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო გეგმა სახელწოდებით „**The Farewell Dossier**“, რომელიც მოიცავდა კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით საბჭოთა კავშირის ეკონომიკისთვის საბოტაჟის მოწყობას, კერძოდ, კომპიუტერული ვირუსების გამოყენებით მოხდა ციმბირის ბუნებრივი გაზსადენის მართვის სისტემის პარალიზება, რასაც მოჰყვა ციმბირის ბუნებრივი გაზსადენის აფეთქება.[33]

---

[29]Cyril Thomas, “The Role of Intelligence in International Political Economy”, University of Dundee, 21 Oct. 2006, https://www.scribd.com/doc/9495674/Role-of-Intelligence; [ბოლოწვდომა: 10.05.2018];

[30] Crude Oil and Natural Gas Resources and Supply, Chapter One, http://www.npc.org/ reports/NARD/NARD_ Resource_Supply.pdf; [ბოლოწვდომა: 10.05.2018];

[31] Claudio Descalzi, World Oil and Gas Review 2016, https://www.eni.com/docs/en_IT/enicom/ company/fuel-cafe/WOGR-2016.pdf; [ბოლოწვდომა: 10.05.2018];

[32] BP Statistical Review of World Energy, June 2017, https://www.bp.com/content/dam/bp/en /corporate/ pdf/energy-economics/statistical-review-2017/bp-statistical-review-of-world-energy-2017-full-report.pdf; [ბოლოწვდომა: 10.05.2018];

[33] Gus W. Weiss, Duping the Soviets, The Farewell Dossier, https://www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence/kent-csi/vol39no5/pdf/v39i5a14p.pdf; [ბოლოწვდომა: 10.05.2018];

-2014 წლის ივნისში უკრაინას, რომელიც ევროპელი მომხმარებლებისთვის რუსული გაზის ტრანსპორტირებას ახდენს, ფასებზე არსებული დავის გამო ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა რუსულმა სახელმწიფო ენერგო გიგანტმა „გაზპრომმა“, რითაც გაზის მიწოდება შეუწყდათ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსაც, რომლებიც რუსეთისგან გაზს იღებდნენ უკრაინის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენი მილებით.[34]

განვითარებული პროცესების ანალიზი იძლევა დასკვნის საშუალება, რომ უკრაინასთან ზემოაღნიშნული ქმედება საომარი კონფლიქტის დაწყებას წინ უსწრებდა და სადაზვერვო მიზნებით ობიექტი სახელმწიფოს მოსახლეობის ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობების ინსპირირებისათვის, ხელსაყრელი პირობა გახდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ობიექტი ქვეყნის ეკონომიკაზე დამანგრეველი ზემოქმედება ბუნებრივი აირის მაგისტრალის არასწორი პროექ-ტირებით ან მართვთი სისტემების სისუსტით მიიღწევა, რომელიც მისი ტრანსპორტირების პროცესის შეფერხებით, მასზე დამოკიდებული საწარმოების, ე.ი. პროდუქციის გამოშვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის მისი მიწოდების შეფერხებითა და არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობების ინსპირირებით დასრულდეს, ხოლო მილსადენის საერთაშორისო სტატუსის ქონის შემთხვევაში მტრულად განწყობილი სახელმწიფო ენერგო-ბერკეტებით ახდენს ზემოქმედებას სხვა სახელმწიფოებზე, რაც საკუთარი პოლიტიკური, ეკონო-მიკური და სტრატეგიული ინტერესების გატარების ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს. ყოვე-ლივე კი შედეგობრივი თვალსაზრისით, სადაზვერვო მიზნებისა და ამოცანების თანხვედრილი ქმედებებია.

ისევე როგორც ბუნებრივ აირს, ნავთობის რესურსსაც მსოფლიო ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ნავთობის მარაგებზე კონტროლის მიზნით სახელმწიფოები სისტემატიურად მიმართავენ სადაზვერვო აქტივობებს. ნავთობისმარაგების, მისი ტრანს-პორტირების უსაფრთხოებაზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად მიმოვიხილოთ, რამდენიმე საბოტაჟური, ტერორისტული და საომარი ქმედების ორგანიზების დამადასტურებელი ფაქტი:

-1984 წელს ირან-ერაყის ომის დროს, ერაყმა იერიში მიიტანა ირანულ ფლოტზე სპარსეთის ყურეში, რითაც დაიწყო ე.წ „ტანკერების ომი“, რომლის დროსაც ირანი ცდილობდა არ დაეშვა სპარსეთის ყურიდან ნავთობით დატვირთული ტანკერების გასვლა. ესეთმა ტაქტიკამ გამოიწვია საერთაშორისო კონფლიქტი, რის გამოც აშშ-მა და დასავლურმა სახელმწიფოებმა სამხედრო გემები შეიყვანეს სპარსეთის ყურეში ნავთობის გადაზიდვების უზრუნველსაყოფად. 1978 წელს აშშ-ის სამხედრო ფლოტმა დაიწყო ოპერაცია სახელწოდებით **“EARNEST WILL”** ნავთობის ტანკერების ესკორტისთვის,[35] რომელიც სადაზვერვო ხასიათის ოპერაციულ ქმედებათ შეგვიძლია მივიჩნიოთ.

-2009 წელს ნიგერიის დელტაში ტერორისტებმა ააფეთქეს წყალქვეშა ნავთობ-სადენი, რამაც ნავთობის მოპოვება ნიგერიაში 15%-ით შეამცირა, ხოლო ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო 2004-2009 წლებში ნავთობის მოპოვება [დღეში 2 მილიონი ბარელი] [36] 2-ჯერ იყო შემცირებული. განხორციელებული ქმედება ნავთობსადენზე დამოკი-დებული სახელმწიფოებისა და კომპანიების მისამართით ელონომიკური დაზვერვის ოპერა-ციული ხასიათის „ეკონომიკური დივერსიის“ ნიშნებს შეიცავს.

---

[34] Paul Kirby, Russia's gas fight with Ukraine, http://www.bbc.com/news/world-europe-29521564; 31 October 2014, [ბოლოწვდომა: 14.05.2018];

[35]Richard A. Mobley, Intelligence for the Warfighter, Fighting Iran: Intelligence Support During Operation Earnest Will, 1987–88, https://www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence/csi-publications/csi-studies/studies/vol-60-no-3/pdfs/mobley-fighting-iran.pdf; [ბოლოწვდომა: 14.05.2018];

[36]Niger Delta militants step up sabotage of oil facilities, even in deep sea. Mar 4 2016. Reported by Reuters http://thenewsnigeria.com.ng/2016/03/niger-delta-militants-step-up-sabotage-of-oil-facilities-even-in-deep-sea/; [ბოლო წვდომა: 14.05.2018];

-2016 წელს, სირიაში სამოქალაქო ომის პირობებში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ბომბდამშენით [Cy-34], ტერორისტული მიზნებით თურქეთის საზღვართან მდებარე ნავთობსადენის კონტრაბანდული მარშრუტის გაუქმების მიზნით,[37] სირიის ქალაქ „რას-ელ-აინი“ [Рас - эль-Айн] ახლოს მდებარე „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლს დაქვემდებარებული ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა დაბომბვით მწყობრიდან იქნა გამოყვანილი, რაც სადაზვერვო ოპერაციული ქმედების ნიშნებს შეიცავს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ დაზვერვის ობიექტი ქვეყნის ეკონომიკურად დასასუსტებლად, საერთაშორისო მიწოდებაზე ზეგავლენის მოსახდენად წყალქვეშა ნავთობსადენის ტერორისტული მიზნებით აფეთქების ორგანიზება, საწვავით დატვირთული ტანკერების გადაადგილების შეზღუდვა, ტერორიზმისათვის ხელშეწყობის ფარგლებში „კონტრაბანდული“ დანიშნულების ნავთობსადენების ამოქმედება ხორციელდება.

სახელმწიფოს ენერგოუსაფრთხოების კუთხით მზვერავი სახელმწიფოს ეკონომიკური დაზვერვის მნიშვნელოვან ამოცანას დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დამყარება წარმოადგენს. ამ კუთხით საყურადღებოა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA-ს) ფარული ოპერაცია ირანში კოდური სახელ-წოდებით „**TP- Ajax“.** [38] **ოპერაცია მიზნად ისახავდა** ირანის პრემიერ-მინისტრის მუჰამედ მოსა-დეგისხელისუფლებიდან ჩამოცილებას.

საიდუმლო ოპერაციის დაგეგმვა-განხორციელების ძირითადი მიზეზი 1951 წელს[39] მოსადეგის ინიცირებით ირანის პარლამენტის მიერ დიდი ბრიტანეთის კონტროლს დაქვემდებარებული ირანული ნავთობკომპანიის ნაციონალიზაცია გახდა. ეკონომიკური ზიანის თავიდან ასაცილებლად დიდმა ბრიტანეთმა ირანის ნავთობის მიმართ სადაზვერვო ბერკეტები აამოქმედა და ირანულ ნავთობზე ემბარგო დააწესა. ამასთანავე დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობებმა, იმის შიშით, რომ ირანი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში არ გადასულიყო გადაწყვიტეს ხელოვნურად შეეცვალათ მუჰამედ მოსადეგის ხელისუფლება. ამ მიზნით დაიწყო ფარული ოპერცია ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ. ოპერაციის ხელმძღვანელი იყო კერმიტ რუზველტი (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი, ფარული ოპერაციების ხელმძღვანელის თანაშემწე), რომელმაც მოკლე დროში შეძლო და მოისყიდა ირანის მეჯლისის (პარლამენტის) წევრები, გამომცემლები, რედაქტორები და ჟურნალისტები. დაიწყო ირანში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების 80%-ის ფინანსური უზრუნველყოფა.

შესრულდა სადაზვერვო გეგმის ისეთი ეტაპები, როგორიცაა:

- საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრება (მათ შორის სასულიერო პირების მხრიდან) მუჰამედ მოსადეგის კომუნისტური მიდრეკილების შესახებ, რაც სადაზვერვო ხასიათის დეზინფორმაციის ნიშნებს შეიცავს;

-ფულის ინფლაციის ინსპირირებისათვის ლონდონსადანიუ-იორკში ყალბი ირანული ბანკნოტების ბეჭდვდა-გასაღება, რაც სადაზვერვო ხასიათის „ეკონომიკური დივერსიის“ ნიშნებს

---

[37] Russian fighter jets destroy ISIS oil facilities close to Turkish border (VIDEO). June 3, 2016. http://www.prisonplanet. com/russian-fighter-jets-destroy-isis-oil-facilities-close-to-turkish-border-video.html; [ბოლო წვდომა: 14.05.2018];

[38] Saeed K. Dehghan and Richard N. Taylor, *The Gurdian,* „CIA admits role in 1953 Iranian coup“, http://www.theguardian.com/world/2013/aug/19/cia-admits-role-1953-iranian-coup;[ბოლოწვდომა: 14.05.2018];

[39] Torey L. McMurdo, „The Economics of Overthrow, The United States, Britain, and the Hidden Justification of Ope ration TPAJAX“,https://www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence/csi-publications/csi- studies /studies/ vol. -56-no.-2/pdfs/McMurdo-The%20Economics%20of%20Overthrow.pdf, pg. 15-16; [ბოლოწვდომა: 14.05.2018];

შეიცავს;

-დაქირავებული პირების მიერ, თითქოსდა მოსადეგის მომხრეების მხრიდან მეჩეთების აფეთქების, მეჩეთებში მუსლიმი მოსახლეობის დახვრეტის, მაღაზიების დარბევის, კომუნისტური პარტიის ლოზუნგებით გამოსვლისა და მასობრივი არეულობის დაწყება, რაც პოლიტიკური დაზვერვის განხორციელების ნიშნებს შეიცავს;

ირანის ხელისუფლების მხრიდან სამხედრო შენაერთების გამოყენებას 800 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა. ყოველივე ესმოსადეგის დააპატიმრებით, შესაბამისად მისი ხელისუფლებიდან ჩამოცილებით, სასურველი მმართველის ხელისუფლებაში მოყვანით, ირანის ნავთობზე დიდი ბრიტანეთის კონტროლის (ბრიტანეთის ნავთობის კომპანია (British Petroleul Company)) აღდგენით დასრულდა. გამოდის, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური დაზვერვის პირობებში დაზვერვას დაქვემ-დებარებული სახელმწიფოს მიმართ გამოყენებულია ფასიქოლოგიური ტერორი, ტერორის-ტული დაჯგუფებების შექმნა და დაფინანსება, ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება, საკუთარი იდეოლოგიის გავრცელება, დეზინფორმაცია, ინფორმაციული ომი და სხვ.

ნაშრომში მოყვანილი ფაქტების განხილვისა და გაანალიზების საფუძველზე შეიძლება **დავასკვანათ** შემდეგი:

სახელმწიფოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ხარისხი განაპირობებს ქვეყნის პოლიტიკური დესტაბილიზაციისა და ეკონომიკური დივერსიებისაგან დაცვის ხარისხს. შესა-ბამისად უცხო სახელმწიფოებიდან საკუთარ ენეგორესურსებზე დამაზიანებელი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად და უცხო სახელმწიფოების ენერგორესურსებზე კონტროლის დასამ-ყარებლად აუცილებელია სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სტრუქტურებმა, შესაბამისად ეკონომიკური დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მიმართულებით მყარი ოპერატიულ-ანალიტიკური საქმიანობის პროცესი განახორციელონ.

ობიექტი ქვეყნის ეკონომიკაზე დამანგრეველი ზემოქმედება ბუნებრივი აირის მაგის-ტრალის არასწორი პროექტირებით ან მართვთი სისტემების სისუსტით მიიღწევა, რომელიც მისი ტრანსპორტირების პროცესის შეფერხებით, მასზე დამოკიდებული საწარმოების, ე.ი. პრო-დუქციის გამოშვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის მისი მიწოდების შეფერ-ხებით და არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობების ინსპირირებით დასრულდეს, ხოლო მილსადენის საერთაშორისო სტატუსის ქონის შემთხვევაში მტრულად განწყობილი სახელმწიფო ენერგობერკეტებით ახდენს ზემოქმედებას სხვა სახელმწიფოებზე, რაც საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების გატარების ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს. ყოველივე კი შედეგობრივი თვალსაზრისით, სადაზვერვო მიზნებისა და ამოცანების თანხვედრილი ქმედებებია.

ობიექტი ქვეყნის ეკონომიკურად დასასუსტებლად, საერთაშორისო მიწოდებაზე ზეგავ-ლენის მოსახდენად წყალქვეშა ნავთობსადენის აფეთქების ორგანიზება, საწვავით დატვირთუ-ლი ტანკერების გადაადგილების შეზღუდვა, ტერორიზმისათვის ხელშეწყობის ფარგლებში „კონტრაბანდული“ დანიშნულების ნავთობსადენების ამოქმედება ხორციელდება.

პოლიტიკურ-ეკონომიკური დაზვერვის პირობებში დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს მიმართ გამოიყენება ფასიქოლოგიური ტერორი, ტერორისტული დაჯგუფებების შექმნა და დაფინანსება, ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება, საკუთარი იდეოლოგიის გავრ-ცელება, დეზინფორმაცია, ინფორმაციული ომი და სხვ.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ”, 27 აპრილი, 2010;
2. საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“, 11 ნოემბერი, 2005;

3. საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თბილისი, 2011 წლის 23 დეკემბერი;

4. საქართველოს კანონი, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, 04/03/2015 წელი;

ინტერნეტწყაროები:

1. Cyril Thomas, "The Role of Intelligence in International Political Economy", University of Dundee, 21 Oct. 2006, https://www.scribd.com/doc/9495674/Role-of-Intelligence; [ბოლო წვდომა: 10.05.2018];

2.Crude Oil and Natural Gas Resources and Supply, Chapter One, http://www.npc.org/reports/NARD/NARD_Resource_Supply.pdf; [ბოლო წვდომა: 10.05.2018];

3. Claudio Descalzi, World Oil and Gas Review 2016, https://www.eni.com/docs/en_IT/enicom /company/fuel-cafe/WOGR-2016.pdf; [ბოლო წვდომა: 10.05.2018];

4.BP Statistical Review of World Energy, June 2017, https://www.bp.com/content/ dam/bp/en/ corporate/pdf/energy-economics/statistical-review-2017/bp-statistical-review-of-world-energy-2017-full-report.pdf; [ბოლო წვდომა: 10.05.2018];

5.Gus W. Weiss, Duping the Soviets, The Farewell Dossier, https://www.cia.gov/library/center-for- the-study-of-intelligence/kent-csi/vol39no5/pdf/v39i5a14p.pdf; [ბოლო წვდომა: 10.05.2018];

6. Paul Kirby, Russia's gas fight with Ukraine, http://www.bbc.com/news/world-europe-29521564; 31 October 2014, [ბოლოწვდომა: 14.05.2018];

7.Richard A. Mobley, Intelligence for the Warfighter, Fighting Iran: Intelligence Support During Operation Earnest Will, 1987–88, https://www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence /csi-publications/csi-studies/studies/vol-60-no-3/pdfs/mobley-fighting-iran.pdf; [ბოლოწვდომა: 14.05.2018];

8. Niger Delta militants step up sabotage of oil facilities, even in deep sea. Mar 4 2016. Reported by Reuters. http://thenewsnigeria.com.ng/2016/03/niger-delta-militants-step-up-sabotage-of-oil-facilities-even-in -deep-sea/; [ბოლოწვდომა: 14.05.2018];

9.Russian fighter jets destroy ISIS oil facilities close to Turkish border (VIDEO). June 3, 2016. http://www.prisonplanet.com/russian-fighter-jets-destroy-isis-oil-facilities-close-to-turkish-border-video.html; [ბოლოწვდომა: 14.05.2018];

10.Saeed K. Dehghan and Richard N. Taylor, *The Gurdian,* „CIA admits role in 1953 Iranian coup", http://www.theguardian.com/world/2013/aug/19/cia-admits-role-1953-iranian-coup; [ბოლო წვდომა: 14.05.2018];

11.Torey L. McMurdo, „The Economics of Overthrow, The United States, Britain, and the Hidden Justification of Operation TPAJAX", https://www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence/csi-publications/csi-studies/studies/vol.-56-no.-2/pdfs/McMurdo-The%20Economics%20 of %20 Overthrow.pdf, pg. 15-16; [ბოლო წვდომა: 14.05.2018];

Ilia khutsishvili

New Vision University - The Ph.D Programme in Law, Doctoral Student LEPL - Academy Of The Ministry Of Internal Affairs Of Georgia- Master's Academic Degree of Police Regulation Law

Intelligence aspects of the control over the energy recources of the state

Summary

The main goal of any state is to secure its national security, which implies identification, assessment, prevention and preclusion of threats, risks and challenges within and outside the country, including the state's energy security. That is why the importance of the issue "Obtaining special intelligence control over the energy resources of the state" gains special importance for state national security.

მზევინარ გურული- კუხალაშვილი -აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი

დავით კუხალაშვილი-ისტორიისდოქტორი

აგრარული ექსპერიმენტების სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზების საკითხისათვის

უძველესი პერიოდიდან სახელმწიფოთა მნიშვნელოვან საზრუნავს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ამ მიმართულებით საკუთარი ინტერესების გატარებას საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოები სადაზვერვო სამსახურების, ხოლო საკუთარი ქვეყნის სადაზვერვო ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად კონტრსადაზვერვო უწყებების მეშვეობით ახორციელებენ.ეკონომიკური დაზვერვის შესასწავლ და დასაზიანებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას უცხო სახელმწიფოთა ეკონომიკური ინფრასტრუქტურისათვის მნიშვნელოვან სექტორს სოფლის მეურნეობის დარგი წარმოადგენს, რადგან ამ დარგის განვითარებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოება. შესაბამისად, სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს კრიტიკულ ინფრასტრუქტურას განეკუთვნება და სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ე.ი. ქვეყნის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყების მნიშვნელოვან საზრუნავს, ხოლო ეკონომიკური ინფრასტრუქტურა უცხო ქვეყნების დაზვერვის ობიექტს[40] წარმოადგენს.

ეკონომიკური დაზვერვის მიმართულებით ოპერაციულ ქმედებათაგან გამორჩეულია, კორუფციის ინსპირირებით ან უკვე არსებულის გაფართოებით, საერთაშორისო ბაზრების დაპყრობითი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სადაზვერვო სამსახურის, ამ სამსახურის წარმოშობის სახელმწიფოს კომპანიის ან/და კორპორაციული ჯაშუშობის კუთხით მხოლოდ ამ უკანასკნელის, უცხო სახელმწიფოს სადაზვერვო სამსა-ხურისა და დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს კომპანიის, სადაზვერვო სამსახურისა და დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს ხელისუფლების ან/და ამ სახელმწიფოს კომპანიის მეშვეობით და ა.შ.

სადაზვერვო საქმიანობის ისტორიის ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ რომ, სახელმწიფოები უვარგისი (დაბალი ხარისხის) პროდუქციის ექსპორტს საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად ახორციელებენ, რომლის მიზანსაც დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზემოქმედების ორგანიზება წარმოადგენს.

სახელმწიფოში სტაბილური ეკონომიკური და სოციალური ვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას სოფლის მეურნეობის განვითარება წარ-

---

[40]„სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი.“ მეორე გამოცემა ცვლილებებით და დამატებებით. თბილისი 2013. საქართველოს დაზვერვის სამსახური სპეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი ლექსიკონის შემდგენლები: ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, პოლკოვნიკი გიორგი სურმავა, მედიცინის დოქტორი მარინა გეგელაშვილი, ნუგზარ ბაბუციძე, დავით ბაზღაძე, ვიტალი მიხელიძე, ილია ნარიმანიძე, აკაკი ცინცაძე. სახელმძღვანელო - ლექსიკონი განხილული და მოწონებულია სდს-ის სასწავლო-მეთოდურ საბჭოს სხდომაზე ოქმი No1; 26 მარტი 2013 წელი. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9822/3/SadazgvevoTerminebisGanmartebiti%20leksikoni.pdf ;

მოადგენს, რომლის ფარგლებში სამეცნიერო პოტენციალის შენაჩუნებისა და განვითარებისათვის აუცილებელია ადგილობრივი სათესლე-სანაშენე საქმის შექმნა-შენარჩუნებისა და გავრცობის ორგანიზება.

განხილული თეორიული მასალის ფონზე საყურადღებოა საქართველოს სასურსათო და შესაბამისად ეკონომიკური უსაფრთხოების ფარგლებში, საქართველოს ხელისუფლების მიერ 2011 წლის მარტიდან „სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროექტის“ (შემდგომში „ექსპერიმენტი“) ფარგ-ლებში მოსახლეობისათვის ამერიკული კომპანიის „პიონერი“-ის მიერ წარმოებული ჰიბრიდული სიმინდის სათესლე მასალის მიწოდებისა და საერთო ჯამში 30 000 ჰექტარზე თესვის ორგანიზების პროცესი.

პროფესორ-აგრარიკოსის პაატა კოღუაშვილის განმარტებით „მსოფლიოში მხოლოდ და მხოლოდ ოთხი ქვეყანაა, რომელსაც საკუთარი სიმინდის ჯიშები აქვს. ეს არის მექსიკა, რუმინეთი, მოლდოვა და საქართველო. არაჩვეულებრივი აჯამეთის თეთრი, აჯამეთის ყვითელი, გეგუთის თეთრი, აბაშის ყვითელი.“[41] მას მიაჩნდა, რომ სწორი აგროტექნიკისა და მინერალური სასუქების რაციონალური დოზით გამოყენების შემთხვევაში, ჰექტარზე 120-150 ცენტნერი ქართული ჯიშის სიმინდის მიღება იქნებოდა შესაძლებელი. პრაქტიკულად ეს იყო პირდაპირი მინიშნება ხელისუფლებისადმი, რომ ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის ხარჯზე შესაძლებელი იყო დადებითი შედეგის მიღწევა, რაც გათვალისწინებული არ იქნა.

„ექსპერიმენტის“ რეკლამირება სახელმწიფოს მზრუნველობით საკმაოდ მასშტაბურობით გამოირჩეოდა, რომელშიაც მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ და ქმნიდნენ „ექპერიმენტის“ შედეგებზე დადებით მოლოდინებს. საქართველოს მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით „საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი გლეხებს ამერიკული ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის დათესვისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ "სიმინდის პროგრამა ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაციის პროექტის ნაწილია." [42] საყურადღებოა საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარლამენტში გამოსვლა: „იწყება მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მაღალმოსავლიანი ხორბლისა და სიმინდის თესლის ხელმისაწვდომობის გაზრდას ფერმერებისა და გლეხებისთვის.“ [43] „ექსპერიმენტის“ მასშტაბებზე წარმოდგენის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია ღია წყაროებში არსებული ინფორმაცია, რომლის თანახმად: „სოფლის მეურნეობის კორპორაციის 2011 წლის თებერვლის მონაცემებით, ჰიბრიდული სიმინდი 19549 ჰექტარზე 15261 ფერმერმა დათესა...1-დან 7 ჰექტრამდე ფართობზე დათესვის ხარჯი 240-დან 1680 ლარამდე შეადგინა, ამ ფართობის მიწა 3378-მა ფერმერმა დათესა, 7-დან 20 ჰექტრამდე – 1680-დან 4800 ლარამდე (340-მა ფერმერმა დათესა), ხოლო 20 ჰექტარზე ზევით – 10500-დან 30000 ლარამდე (დათესა 201-მა

[41] ნინო თარხნიშვილი. „ჰიბრიდული სიმინდის სათესლე მასალის გაცემა დაიწყო.“ მარტი 01, 2011. .https://www.radiotavisupleba.ge/a/2324186.html;

[42]თელარა გელანტია, საინფორმაციო სააგენტო "პირველი". „ამერიკულ სიმინდს ერთხელ დათესავ და მერე ყოველწლიურად უნდა შეიძინო თესლი.“ „საქართველოს რესპუბლიკა“ 2011-02-02. http://www.opentext.org.ge/index. php?m=12&y=2011&art=1275;

[43]„საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური ანგარიშით წარსდგა.“ 11 თებერვალი 2011;

ფერმერმა).“[44]ამავე წყაროზე დაყრდნობით, შედეგებზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმ-ნელად, საყურადღებოა ღია წყაროებში არსებული ინფორმაცია, რომლის თანახმად: „ექსპე-რიმენტის“ შედეგად დაზარალდა 20 ათასამდე ფერმერი, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სიმინდის თესლის შესასყიდათ საბანკო ვალდებულებები აიღო და მოსავლიანობის შედეგით მისი დაფარვა ვერ შეძლო. ფაქტიურად წარმოიშვა არსებული ხელისუფლებისადმი უკმაყო-ფილო მნიშვნელოვანი ფენა, უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებისათვის ხელსაყრელი, „სოციალური აჯანყების“ პროვოცირებისათვის მოწყვლადი ჯგუფი.

წარუმატებელი „ექსპერიმენტით“ შეიქმნა საშიშროება სახელმწიფოს მიერ ათვისებული ბაზრის დაკარგვისა და იმპორტის მაღალ მასშტაბებზე დამოკიდებულების საშიშროება. 2010 წელთან შედარებით სიმინდის ექსპორტის მოცულობა 2011 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა „2011 წელს ექსპორტზე, „საქსტატის" ცნობით, $994 ათასის ღირებულების 2076 ტონა სიმინდი გავიდა, 2010 წელს კი გაცილებით მეტი, $2,65 მილიონის ღირებულების 9692 ტონა. იმპორტით საქართველოში 2011 წელს სიმინდი ცამეტი ქვეყნიდან შემოვიდა-$11,733 მილიონის ღირე-ბულების 25355 ტონა, რაც ამავე წლის სიმინდის ექსპორტის მოცულობას 12,2-ჯერ აღემატება. შარშან საქართველოდან სიმინდი სამ ქვეყანაში - სომხეთში, აზერბაიჯანსა და ირანში გაიტანეს. სომხეთზე მოდის ექსპორტის ღირებულების 70%-ზე მეტი, ხოლო მოცულობის 90%-ზე მეტი.“[45] ამასთან ერთად გაიზარდა სიმნდის ღირებულება („სიმიდის ფასი 2010 წელს 1,32 ლარს შეადგენდა, 2011 წელს 2,52 ლარს“ [46]) რაც სოციალურად დაუცველი მომხმარებლის ჯიბეს მნიშვნელოვნად დაეტყო. ღია წყაროების ანალიზით „ექსპერიმენტის“ წარუმატებლობის მნიშვნელოვან ნიშანთაგან გამორჩეულია:

-თესვის დროს ჭარბი ნალექი (რის შედეგადაც თესლი ნიადაგში ჩალპა);

-გაუმართავი სადრენაჟო სისტემა;

-ტექნიკის ხელმიუწვდომლობა;

-დარღვეული აგროტექნიკური ფონი;

-ქართულ ნიადაგთან თესლის ეფექტიანობის შეუსწავლელობა (ამ ნიადაგის შესწავლა წლებია არ განხორციელებულა).

გამოდის რომ, იგნორირებული იქნა პრევენციული ზომების გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს ინტერესებისათვის წამგებიანი „ექსპე-რიმენტის“ მიმდინარეობის შეჩერება/შეზღუდვა. მაღალი ალბათობით სახელისუფლე-ბო „ექსპერიმენტის“ დროს არ იყო გათვალისწინებული მაღალი პროფესიონალიზმით და პატრიოტიზმით გამორჩეულ მეცნიერთა დასკვნები, მისი სარგებლიანობის შესახებ, ან არსებობდა ასეთი ინფორმაცია და ხელისუფლებამ მას იგნორირება გაუკეთა. უნდა აღინიშნოს,

---

[44] „ჰიბრიდული სიმინდის პროგრამით დაზარალებულებს კომპენსაციას არ უხდიან.“ http://netgazeti.ge /busi ness/13920/;

[45] ხათუნაჩიგოგიძე. „სიმინდისექსპორტი... შემცირდა.“ 2012, 02 აპრილი.https://www.kvirispalitra.ge /economic /11825-simindis-eqsporti-shemcirda.html;

[46]სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა ტენდენციები ციფრებში.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის სტატისტიკისა და ანალიტიკის სამმართველო. საქართველო, თბილისი. 2017. გვ.22. http://www.moe.gov.ge ;/res/docs/2439%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90 %E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90.pdf;

რომ სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ერთ-ერთი ძირითად ამოცანას „სამეცნიერო-ტექნიკური, საგანმანათლებლო სისტემის რღვევა“ [47] წარმოადგენს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოგანხილული „ექსპერიმენტის“ ჩატარებამდე საქართველოში უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებისათვის მოწყვლადი ვითარება იყო შექმნილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძის შეფასებით: [48] 2006 წელს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სპეციფიური აგრარული დარგის სათანადო სპეციალისტების არარსებობის ფონზე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, დაქვემდებარებაში გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დაირღვა აკადემიას, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კვლევით ცენტრებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირები, სამუშაოთა კოორდინაციის ბერკეტები, გამოკვლევათა კვალიფიციური დაგეგმვა, რეგულირება და შედეგების განზოგადოება-გავრცელების აპრობირებული მეთოდები.“ უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის დეკემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ხელი მოაწერა ბრძანებას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ოპტიმიზაციის შესახებ, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდა საქართველოს სამეცნიერო სექტორის დეგრადაციის პროცესი. სრული პროფესორის სულიკო ყამარაულის მოსაზრებით საქარტველოს ხელისუფლების მაღალჩინოსანს: [49]„ბენდუქიძეს მიაჩნდა რომ აგრარულ ქვეყანას არ სჭირდება სოფლის მეურნეობა და მისი განვითარებისათვის მილიონობით დასახარჯი თანხის ნაცლად, საქართველოს შეუძლია შემოიტანოს უფრო იაფი საკვები..“გამოთქმული მოსაზრებების ფონზე საყურადღებოა, საკვლევი მიმართულების მიხედვით, 2017 წლის მდგომარეობით საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება, რაც შედეგობრივად ზემოგანხილულ პროცესებს მნიშვნელოვანწილად უკავშირდება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევით: „ყველაზე მეტად შემცირდა სიმინდის ნათესი ფართობი, რომელიც ბოლო წლებამდე მთლიანი ნათესი ფართობების თითქმის ნახევარს შეადგენდა.“[50] საკვლევი მიმართულების კუთხით საყურადღებოა საქართველოს კანონმდებლობა,[51] რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში კონტრდაზვერვითი საქმიანობის უზრუნველმყოფ ორგანოს სხვა მნიშვნელოვან ამოცანებთან ერთად 2011 წელს ევალეობოდა ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო საქმიანობიდან

---

[47] თ.ენდელაძე. „საგარეო დაზვერვის სამსახურები.“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი. თბილისი. 2007. გვ. 10;

[48] „სოფელი ღონიერია, თუკაცი გონიერია - აგრარული მეცნიერების პრობლემები.“ 07.12.2012. http://www.reso nancedaily.com/index.php?id_rub=11&id _artc=13346;

[49]„ნუთუ კახა ბენდუქიძეს ეს ყველაფერი ეპატიება?“04.04.2014 http://www.resonancedaily.com/index. php?id _rub=11&id_artc=19775;

[50]სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა ტენდენციები ციფრებში. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის სტატისტიკისა და ანალიტიკის სამმართველო. საქართველო, თბ.. 2017. გვ.12. http://www.moe.gov.ge/res/docs/2439%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90.pdf;

51საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითისაქმიანობისშესახებ.“ თავი I. ზოგადიდებულებანი. მუხლი 1. კონტრდაზვერვითისაქმიანობისცნება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/27364;

მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. ამავე კანონის მეათე მუხლის შესაბამისად კი, კონტრდაზვერვითი საქმიანობის სპეციალური ღონისძიებების განხორციელების საფუძვლებს წარმოადგენდა მონაცემები იმ ფაქტებისა და მოვლენების (ან მათი ნიშნების) შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან რომლებსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამასთან ერთად, საქართველოს კონტრსადაზვერვო უწყებას „ექსპერიმენტის" დაწყებამდე, დაგეგმარების პროცესში ხელისუფლებასთან მყარი კოორდინაციის ფონზე უნდა განეხორციელებინა ვითარების ოპერატიული კონტროლი, სათანადო პრევენციული (მათ შორის წერილობითი მითითებების და მოთხოვნების მიწოდება ხელისუფლების სხვადასხვა რგოლისათვის) ღონისძიებების ორგანიზებისათვის. ამ პერიოდისათვის არსებული კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას იძლეოდა. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მითითებები და მოთხოვნები სავალდებულოა შესასრულებლად სპეციალური სამსახურებისათვის."[52]„ექსპერიმენტის" შედეგებიდან გამომდინარე კორდინირებული ქმედებები და წერილობითი მიმართვები არსებობდა და გაუთვალისწინებლობის გამო რეაგირება არ ხდებოდა, ან არ არსებობდა, შესაბამისად არ არსებობდა რეაგირების საფუძველი. ორთავე შემთხვევაში სახეზეა სახელმწიფო ინტერესებისათვის დამაზიანებელი შედეგი. უცხო სახელმწიფოდან შემოზიდული სათესლე მასალებით, აგრარული ექსპერიმენტის დაგეგმარება-განხორციელების შემთხვევაში, სახელმწიფოს სპეცსამსახურებმა (დაზვერვა-კონტრდაზვერვა), სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს უხარისხო, კონტრაფაქტული პროდუქციის სახელმწიფოში შემოსვლის აღკვეთას, რადგან მისი მოხმარება სახელმწიფო ინტერესებისათვის მნიშვნელოვან რისკებს შეიცავენ. ხარკოვის პროკურატურის მიერ,[53] უცხოური ელიტარული კომპანიის სტიკერებით დაფასოებული, უხარისხო, კონტრაფაქტული მზესუმზირისა და სიმინდის თესლის რეალიზაციის ფაქტი გამოვლინდა. დაახლოებით 10 ტონამდე ამოღებულმა პროდუქციის ღირებულებამ დაახლოებით 1 მილიონი გრივნი შეადგინა. პროდუქციის რეალიზება ინტერნეტ-საიტის მეშვეობითაც ხორციელდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთში სარეალიზაციო ბაზარზე სიმინდის თესლის 70% კონტრაფატულ პროდუქციას წარმოადგენს (8400 სათესლე კომპანიიდან არაუმეტეს 100 ფლობს ინტელექტუალური საკუთრების უფლება [54]), ხოლო ფილიპინების ბაზარზე კონტრაფაქტული პროდუქციის ოდენობა 10%-ს შეადგენს.[55]

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში, უცხო სახელმწიფოდან შემოზიდული გენომოდიფიცირებული სათესლე მასალებით, აგრარული ექსპერიმენტის ან/და გენმოდიფიცირებული სარეალიზაციო მარცვლეულის (მათ შორის სიმინდის) რეალიზაციის პროცესის დაგეგმარება-განხორციელების შემთხვევაში, სახელმწიფოს სპეცსამსახურებმა

---

[52] „ქვეყანაშიერთიანიკონტრდაზვერვითისაქმიანობისორგანიზაციისადასპეციალურისამსახურებისსაქმიანობისკოორდინაციისწესისშესახებ." საქართველოსპრეზიდენტისბრძანებულება №489. 2007 წლის 29 აგვისტოქ. თბილისი." https://matsne.gov.ge/ka/document/view/101170;

[53] „НаХарьковщинеразоблачилифирмупопродажеконтрафактныхсемян." 04.11.2015. http://www.afo.com.ua /doc/WDM-Chrematistic-2015-11-08.pdf;

[54]„Du Pont's Pioneer combating fake seeds."By Zhong Nan in Bayan, Heilongjiang (China Daily) Updated: 2014-05-23. http://www.chinadaily. com.cn/business/ 201405/23/content_17535514.htm;

[55]„Monsanto asks Philippine government to regulate proliferating counterfeit Bt corn seeds." Feb. 6, 2018. http://news.agropages.com/News/NewsDetail---25284.htm;

(დაზვერვა-კონტრდაზვერვა), სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ ევროკავშირის დადგენილებისა და ბიოტექნოლოგიური მარცვლის უსაფრთხოების შესახებ გაკეთებული განაცხადის მიუხედავად, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალით, ამავე მიმართულებითა და ზოგადად სადაზვერვო აქტივობებით წარმატებულმა სახელმწიფომ გერმანიამ უარი განაცხადა გენმოდიფიცირებული სიმინდის დათესვა-რეალიზაციის პროცესზე.ამ კუთხით საყურადღებოა, ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალში „Scientific American“ 2009 წელს გამოქვეყნებული ინფორმაცია რომლის მიხედვითაც: მსოფლიოს არცერთ სამეცნიერო ჟურნალში არ არსებობს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევები გენმოდიფიცირებული კულტურების (მათ შორის სიმინდის) შესახებ...კომპანიები ადასტურებენ რომ ამ სახის პროდუქციას საზიანო გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს, ხოლო ასეთი სახის პროდუქციის (თესლები) გამომშვები კომპანიები „Monsanto, Pioneer (DuPont), Syngenta“ [56] მყიდველს ავალდებულებენ რომ, გააფორმონ ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც თესლებზე დამოუკიდებელი გამოკვლევების ჩატარება იკრძალება.

შეიძლება დავასკვნათ რომ, ეკონომიკური დაზვერვის მიმართულებით ოპერაციულ ქმედებაას განეკუთვნება კორუფციის ინსპირირებით ან უკვე არსებულის გაფართოებით საერთაშორისო ბაზრების დაპყრობითი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სადაზვერვო სამსახურის, ამ სამსახურის წარმოშობის სახელმწიფოს კომპანიის ან/და კორპორაციული ჯაშუშობის კუთხით მხოლოდ ამ უკანასკნელის, უცხო სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურისა და დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს კომპანიის, სადაზვერვო სამსახურისა და დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს ხელისუფლების ან/და ამ სახელმწიფოს კომპანიის მეშვეობით და ა.შ. ამ ფონზე შესაძლებელია სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების (მათ შორის სოფლის მეურნეობის სექტორზე) საფარქვეშ უცხო სახელმწიფოდან შემოზიდული უხარისხო პროდუქციის რეალიზაციის კუთხით სახელმწიფოს ინტერესების დამაზიანებელი პროგრამების ორგანიზება, რომელსაც წინ უსწრებს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მიზანმიმართული მოშლა, უცხო სახელმწიფოდან შემოზიდული პროდუქციის სამეცნიერო-ლაბორატორიული გზით ვარგისიანობის დადგენის იგნორირება.

Davit Kukhalashvili -Doctor of Historical Sciences
Mzevinar Guruli - Kukhalashvili -Doctor of Agricultural Sciences

For organization issues of intelligence and counter-intelligence for agrarian experiments

Summary

inspiring the intelligence corruption or by extending the already inspired one, it's possible to organize destructive programs of interests of the state by realization of imported low-quality products from the foreign country under the shelter of the state programs, which is preceded by the intended disruption of the scientific-technical potential, ignoring the determination of availability of imported foreign products by the scientific-laboratory examination.

[56]„GMO Scandal: The Long Term Effects of Genetically Modified Food in Humans.“ by F. William Engdahl VOLTAIRE NETWORK . 15 SEPTEMBER 2009 . http://www.voltairenet.org /article162087.html;

ცისანა კეღოშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ევროკავშირის უსაფრთხოება და საქართველო

ევროკავშირი დღეისათვის 28 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას თავისი 500 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის. ორგანიზაციის პრიორიტეტულ მიმართულებას წევრ-სახელმწიფოთა ენერგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. შესაბამისად 2000 წელს მოქმედებაშია პირველი ე.წ. მწვანე დოკუმენტი, რომლის სტრატეგიულ გათვლებში კასპიისპირეთის ენერგომატარებლები (,,აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი"-ს ფარგლებში ევროპაში კასპიისპირეთის ენერგორესურსების ექსპორტი ბაქო-სუფსის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სნავთობსადენი, აგრეთვე სამხრეთ კავკასიური გაზსადენი) ბოლო დრომდე უმნიშვნელო ადგილს იკავებდა. შესაბამისად, იგნორირებული იყო საქართველოს როგორც სატრანზიტოქვეყნის პოტენციალი. აღნიშნული დერეფნის მშენებლობა, რუსეთის მხრიდან ღია თუფარული წინა- აღმდეგობის დაძლევას უკავშირდებოდა. ევროკავშირის პასიური პოზიციის ფონზე პროექტის ამოქმედების ძირითად მხარდამჭერებად ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, საქართ- ველო და აზერბაიჯანი იქცა. თანამედროვე ეტაპზე კი ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც ნავთობზე მსოფლიო ფასების უპრეცედენტო ზრდითა და „OPEC"-ის ქვეყნებსა და რუსეთზე ევროპის ენერგეტიკული დამოკიდებულების ხარისხის შეუქცევადმა მატებამ გამოიწვია.

სამეზობლო პოლიტიკასთან მიერთებამდე (2004წ.) საქართველო ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას, ძირითადად, ენერგოსექტორის რეაბილიტაციასა და კრიზისული სიტუაციების პროფილაქტიკაზე ორიენტირებული ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას იღებდა. დღეის მდგომარეობით თანამშრომლობის მიზანს საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ევროპის მდგრადი, კონკურენტული და უსაფრთხოენერგიის სტრატეგიასთან (2006 წ. 8 მარტს მიღებული ,,მწვანე დოკუმენტი") შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენს. აღნიშნული ჯგუფების და მათში შემავალი საკითხების ანალიზის საფუძველზე დღის წესრიგში დგას, საქართველოსა და ევროკავშირის ენერგეტიკული სექტორის კანონმდებლობების დამარეგუ- ლირებელი აქტების ჰარმონიზაციის, საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით ენერგეტიკის შიდა ინფრასტრუქტურის (ნაწილის) განვითარებისა და ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით საქართველოზე გამავალი ენერგოდერეფნის ეფექტიანად გამოყენების პრობლემების გადაწყვეტა. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშემშლელ გარემოებებს წარმოადგენს ევროკავ- შირის სახელმწიფოთა პოზიციები, რომლის მიხედვითაც: (ექსპერტის არჩილ გეგეშიძის პოზი- ციით) [57] „კასპიისპირეთის ენერგომატარებლების, განსაკუთრებით ბუნებრივი გაზის, იმპორტს

57ა. გეგეშიძე. „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო (დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი). საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების კონტექსტში." http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0--

ევროპის ენერგოუსაფრთხოებისთვის ***მზარდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა გადამწყვეტი*** . გარდა ამისა, სატრანზიტო დერეფანი პოლიტიკურად არასტაბილურია და ახალი ინვესტიციებისთვის მაღალ რისკს შეიცავს. ამდენად, ამ ეტაპზე (სანამ არ მოგვარდება პოლიტიკური პრობლემები) დერეფნის განვითარების მიზნით ტექნიკურ დახმარებაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და არა საინვესტიციო პროექტებზე."

აღნიშნული სახის გადაწყვეტილება ევროკავშირის სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების წარმატებული საქმიანობის შედეგია, ისინი საერთაშორისო ურთიერთობებში რისკების გათვლის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. სადაზვერვო საქმიანობაში ეკონომიკური ხასიათის დაზვერვა, სახელმწიფოთა ენერგეტიკული სექტორის ირგვლივ ინფორმაციის შეკრებას, დამუშავებას და სათანადო ანალიზს, საფრთხეების გამოკვეთასა და სახელმწიფოს რეაგირების ფორმების განსაზღვრას გულისხმობს, მათ შორის საერთაშორისო დონის პროექტების განხორციელებაზე პოზიციების ფიქსირების თვალსაზრისით. რაც შეეხება ეკონომიკური დაზვერვის ქმედებებს ენერგო და სხვა სტრატეგიული რესურსების კუთხით, იგი დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის (ქვეყნების) „ეკონომიკური სიძლიერესა და საგარეო-ეკონომიკური კავშირების რღვევისაკენ არის მიმართული." [58]

ეკონომიკური დაზვერვის კუთხით საქართველოს წინააღმდეგ აქტიური ღონისძიებები გაატარა რუსეთის ფედერაციამ, რომლის შედეგები მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ამ მიმართულებით საყურადღებოა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური დაზვერვისათვის ხელსაყრელი მდგომარეობა საქართველოსთან მიმართებაში 2006 წლამდე, როდესაც გაზის ერთადერთ მომწოდებელს სწორედ ის წარმოადგენდა. პრივილეგირებული მდგომარეობით 2006 წლის 25 იანვარს „რუსეთმა საქართველოს კიდევ ერთხელ მოულოდნელად შეუწყვიტა გაზის მიწოდება, რამაც ზამთრის დაბალი ტემპერატურის ფონზე ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისის ხელახალი გამწვავება გამოიწვია."[59] ორ კვირიან ენერგეტიკულ კრიზისთან ერთად წინა სამ წელთან შედარებით, გაზის გასამმაგებული ფასის წარმოქმნა მოხდა. შედეგობრივად საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობის მხრიდან მასშტაბური უარყოფითი განწყობები მიიღო, რაც ყოველთვის სახიფათოა და სასარგებლო, უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო ორგანიზებით კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის ორგანიზებისათვის. რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ზეგავლენის ორგანიზებას ადასტურებენ ფაქტები, რომლებითაც ეკონომიკური ხასიათის სადაზვერვო ქმედებებთან ერთად, რუსეთის ფედერაცია პოლიტიკური დაზვერვის შედეგების მისაღწევადაც იღწვოდა.

უკრაინასთან უთანხმოების გამო, რუსეთის მხრიდან ევროპისადმი გაზის შეწყვეტის ფონზე, 2009 წლის იანვარში სომხეთისთვის გაზის შეწყვეტა გარდაბნის რაიონში მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო მოხდა. მიუხედავად ამისა რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა, საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლო, სადაზვერვო ხასიათის

-0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-810&a=d&c=civil2&cl=CL2.7&d=HASHc562 e01b3cc5fe 4d163605.8.5;

[58] თენგიზენდელაძე. „საგარეო დაზვერვის სამსახურები." საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი. თბილისი. 2007. გვ.9;

[59] „საქართველოს კიდევ ერთხელ შეუწყდა გაზის მიწოდება." http://www.mfa.gov.ge;

დეზინფორმაცია გაავრცელეს სათაურით: „საქართველომ გადაწყვიტა გაყინოს სომხეთი.“ [60] საქართველოს ხელისუფლების კომპრომეტაციას ემსახურებოდა 2010 წლის აპრილში სომხეთს საქართველოს გავლით რუსული გაზის მიწოდების შეწყვეტა, რომლის მიზეზიც „გუდაური-კობის მონაკვეთზე მაგისტრალური გაზსადენის დაზიანება“-ში, ხოლო 4 მაისს დუშეთის ოთხ სოფელში მეწყერის ჩამოწოლამ, ასევე, კლდიდან 20-ტონიანი ლოდის ჩამოშლამ აღდგენითი სამუშაოები გააჭიანურებაში“ [61] მდგომარეობდა. ამ შემთხვევაშიც რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის სადაზვერვო ინტერესების შესაბამისად რუსეთის მასმედიაში საქართველოს ხელისუფლების კომპრომეტაციისათვის ხელსაყრელი ინფორმაციების გავრცელება "სომხურ-ქართული გაზის ომის" სახელწოდებით დაიწყო. ამ პროპაგანდას აჰყვა სომხეთიც, რაც რუსულ-სომხური სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებით შეგვიძლია ავხსნათ.

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად „ევროკავშირთან“ დაახლოების შეფერხების კონტექსტში ჯდება გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებების ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაუმორჩი-ლებლობის შედეგად წარმოქმნილი საომარი კონფლიქტები, რომლის შედეგებმა კულმინაციამ 2008 წლის საომარი მოქმედებებში მიაღწია, და რომელშიაც რუსეთის ფედერაციამ პირდაპირი მონაწილეობა მიიღო. დღეის მდგომარეობით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი სეპარატისტული ხელისუფლებებით რუსეთის ფედრაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო კურსის გამტარებლები არიან. შესაბამისად სეპარატისტული რეჟიმების „მოღვაწეობის“ ტერიტორიაზე მოქცეულია საქართველოს სხვადასხვა სტრატეგიული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა.2015 წლის 10 ივლისს სეპარატისტული რეჟიმის მიერ თბილისი-გორის გზატკეცილთან ახლოს „საზღვრის“ გადმოწევის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბაქო-სუფსის მილსადენის 1.4 კილომეტრიანი მონაკვეთის მოქცევით, მისი სადაზვერვო ზეგავლენით (ტერორისტული, დივერსიული აქტები და სხვა) გამოყენების ალბათობა გაზრდილია. გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს უახლესი ისტორიის მაგალითები.„2008 წლის 5 აგვისტოს თავდასხმა განხორციელდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე, რის გამოც 14 დღის განმავლობაში ნავთობის გადინება შეწყდა…ფინანსურმა ზარალმა 1 მილიარდი დოლარიშეადგინა. [62] 2014 წლის დეკემბერში, 7-წლიანი გამოძიების შემდეგ ბლუმბერგმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ მილსადენს თავს დაესხნენ ჰაკერები რუსეთის სპეციალური სამსახურების მხარდაჭერით., რომლებიც იყენებდნენ ულტრათანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიას. [63] ამავე მიმართულებით საყურადღებოა ტერორისტული აქტის შედეგად

---

[60] კახა მჭედლიძე. „რატომ შეწყდა საქართველოს ტერიტორიის გავლით სომხეთში რუსეთის გაზის ტრანზიტი?“ იანვარი 09, 2009. https://www.radiotavisupleba.ge /a/1561314 .html;

[61] რუსეთმა სომხეთ-საქართველოს შორის გაზსადენი "ჩამოაგდო". სომხეთში ბუნებრივი აირის მიწოდება უკვე აღდგენილია. წერილი (11.05.2010) http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=8&id_artc=1989;

[62] „U.S. Departament of Energy Assurance Daily, August 8“-„ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული კავშირის პერსპექტივები საქართველოსთვის.“ მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის 2015. http://weg.ge/sites/default/files/georgia_0.pdf;

[63] „Baku-Tbilisi-Ceyhan waa blown up Not by Kurdish Bomb but by Russian Laptop“ Georgian Jurnal, 18 December 2014. „ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული კავშირის პერსპექტივები

თურქეთის პროვინცია ყარსში, 2015 წლისაგვისტოშიბაქო-თბილისი-ერზრუმისმილსადენის აფეთქება. მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით საქართველომ ენერგეტიკული მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციის ფარგლებში, ენერგეტიკული უსაფრთხოების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესა, მათ შორის შაჰდენიზის (გაზის ტრანსპორტირება თურქეთსა და საქართველოში) პროექტის დახმარებით. 2014 წლის მდგომარეობით ევროკავშირის მიერ ენერგოუსაფრთხოების ახალ კონცეფციაში ძირითადი აქცენტი რუსულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შემცირებაზეა გაკეთებული. დღეის მდგომარეობთ მთავარ ენერგეტიკულ რისკს წარმოადგენს შიდა რესურსების სიმწირე, რაც იმპორტზე მზარდ დამოკიდებულებას განაპირობებს „ქვეყნის ენერგეტიკული მიწოდების 65% გარე რესურსებზე მოდის. გაზი- 37%; ნავთობპროდუქტები - 26%.“[64] ამ მდგომარეობით იქმნება შესაძლებლობა ენერგეტიკული ფასების გლობალური ცვალებადობის პირობებში, ტარიფების სისტემურმა ცვალებადობამ ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობების მობილიზების ფონზე “სოციალური აჯანყების“ ორგანიზება გამოიწვიოს. საგანგაშოდ უნდა მივიჩნიოთ ის ვითარება, რომ გაზის მიწოდების თვალსაზრისით საქართველო კვლავ რჩება მხოლოდ ერთ მომწოდებელზეაზრებაიჯანზე დამოკიდებული. ამ სახელმწიფოს სადაზვერვო ინტერესებიდან გამომდინარე რჩება შესაძლებლობა საქართველოს ინტერესების საზიანო ზემოქმედების კუთხით, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებაზე დამაზიანებელი ზეგავლენის თვალსაზრისით.

სადაზვერვო ხასიათის ეკონომიკური ბლოკადების ორგანიზების კუთხით საგანგაშო ვითარებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ საქართველოს არ გააჩნია გაზისა და ნავთობის რეზერვები, რაც ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობების მობილიზების ფონზე „სოციალური აჯანყების“ ორგანიზების საფრთხის გარდა, ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწვრიანების შემაფერხებელი გარემოებაცაა.

ეროვნული უსაფრთხოების კუთხით საგანგაშო ვითარებად უნდა ჩაითვალოს რუსული სახელმწიფო და კომერციული კომპანიების მიერ საქართველოს სტრატეგიული ენერგეტიკული აქტივების ხელში ჩაგდების ქრონოლოგია, რაც სადაზვერვო ზეგავლენის შედეგების ნიშნებს შეიცავს. გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება რამოდენიმე მაგალითი. საქართველოს მთავრობისა და რუსეთის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის ერთობლივი გადაწყვეტილებით 1996 წელს შეიქმნსა საქართველოს ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო“. „1998 წელს კორპორაცია AES-მა შეიძინა სააქციო საზოგადოება „თელასის“ აქციათა 75%. 2003 წელს კი AES-ის მფლობელის, “Silk Road Holdings B.V.”-ის აქციათა 100% იყიდა ფინურმა კომპანიამ – სს RAO Nordic Oy, რომლის ერთადერთი აქციონერია ღსს „ინტერ რაო“. 2015 წლის მონაცემებით, „ინტერ რაო“-ს საკუთრებაშია „თელასის“ აქციათა 75%, დაახლოებით 25%-ს კი ქართული სახელმწიფო ფლობს.“[65] 1996 და 2003 წლისათვის საქართ-ველოს ხელისუფლებამ იცოდა რომ, ცხინვალისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმების დამფინანსებელ-მმართვე-

---

საქართველოსთვის.“ მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის 2015. გვ.7. http://weg.ge/sites/default /files/georgia _0.pdf;

[64] „ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული კავშირის პერსპექტივები საქართველოსთვის.“ მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის 2015. http://weg.ge /sites/default/files/georgia_0.pdf;

[65] ნატა ძველიშვილი, თაზო კუპრეიშვილი. „რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში“ თბილისი, 2015. გვ.10. https://idfi.ge/public/upload/rusulikapitali.pdf;

ლი რუსეთის ფედერაცია იყო, თუმც ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის სახელმწიფო ინტერესების საზიანო რეალიზაციას ხელი ვერ შეუშალა. ამავე კონტექსტში საყურადღებოა საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში საომარ მოქმედებებში მონაწილე რუსეთის ფედერაციის კომპანიისათვის „ინტერ რაო", კონფლიქტის დამთავრებიდან რამოდენიმე თვეში „ენგურჰესის" ერთობლივი მართვის შესახებ მემორანდუმის გაფორმება. ამავე კუთხით საყურადღებოა, 2010 წელს დაფუძნებული რამოდენიმე ჰიდროსადგურის მფლობელი კომპანია შპს „ენერგია", რომელმაც რუსეთიდან საქართველოში 2011 წელს მსხვილი ინვენსტიციები განახორციელა და სხვა.

ამრიგად ***შეიძლება დავასკვნათ*** , რომ: საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ფარგლებში ევროინტეგრაციის ენერგეტუკულ პროცესებში ჩართულობის კუთხით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, თუმც სხვადასხვა ხელისუფლებების პირობებში მიღებულია გადაწყვეტილებები საქართველოს ენეგროსივრცეში საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს კომპანიებისადმი მყარი შემოსვლისა და დაფუძნების შესახებ, რაც პერსპექტივაში მნიშვნელოვანი რისკების შემცველია. ამასთან ერთად, საფრთხის შემცველი, ერთ სახელმწიფოს ენერგორესურზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ჩანაცვლებულია სხვა სახელმწიფოზე იგივე დამოკიდებულებით, რაც მნიშვნელოვანი რისკების შემცველია ამ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის ცვალებადობის შემთხვევაში.

Tsisana kegoshvili
Caucasus International University.
International relations and international
security Faculty of Social Sciences

Summary

European Union Energy Security and Georgia

Considering economic sanctions/(free trade limits) for the benefits of the intelligence, the given situation seems alarming. Georgia has no gas or oil reserves and having in mind the forming of negative national attitudes against the state and facing the risks of organizing "a social strike" together with few other conditions have created an obstacle for the EU-Georgia energy security integration. For this reason the research topic "European Union Energy Security and Georgia" has great importance and significance.

ემზარ საბანაძე
საერთაშორისო კანონმდებლობით ადამიანის უფ-
ლებათა დაცვის და პენინტენციალური სისტემის
რეფორმის ეროვნული ასოციაცია

თამარ შევარდნაძე
საერთაშორისო კანონმდებლობით ადამიანის უფ-
ლებათა დაცვის და პენინტენციალური სისტემის
რეფორმის ეროვნული ასოციაცია

საქართველოს კანონში: „ოპერატიულ- სამძებრო საქმიანობის შესახებ“ გამოყენებული მნიშვნელოვანი ტერმინების განმარტებისათვის.

ოპერატიული-სამძებრო საქმიანობა არის კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურის მიერ თავიანთი კონპენტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ხორციელდება საქართ-ველოს 1999 წლის კანონით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონით შესახებ“.

ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის განხორციელება ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით და სფეციფიკით. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, კანონის მუხლი 2-ის მიხედვით ამ საქმიანობის ფარგლებში ღონისძიებების ჩატარების პრინციპებს განეკუთვნება: გადაუდებელი საზოგადოებრივი აუცილებლობა და პროპორციულობა, ადამიანისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა, კანონიერება, კონსპირაციის, ღია და ფარული მეთოდების შეხამება. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საწარმოებლად არ დგება სასამართლოს წინასწარი ნებართვის საჭიროება. საქართველოს კანონის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 8-ის მიხედვით აღნიშნული საქმიანობის ჩატარების საფუძვლებს წარმოადგენს:

- პროკურორის დავალება;
- გამომძიებლის დავალება;
- ამ საქმიანობის განმხორციელებელი ორგანოს თხოვნა-შეკითხვა;
- სასჯელაღსრულების დირექტორის წერილობითი ბრძანება და სხვა.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზ-რისით, შეასაბამისად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის თანახმად არსებთი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელია, რაც საბოლოო ჯამში მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ სასამართლოს მეშვეობით დგინდება.

საქართველოს კანონის: „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ ***ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასში ჩამოთვლილია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, მაგრამ არ არის დადგენილი მათი ჩატარების დეტალური წესი და მასში არ არის ფიქსირებული ვალდებულება ქმედებების ორგანიზატორის მხრიდან განხორციელებუ- ლი მოქმედებების დოკუმენტალურად აღწერის შესახებ.***

ამასთან ერთად ხარვეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მასში მინიშნებული ტერმინები არასრულყოფილად არის განმარტებული.

საქართველოს კანონში: „ოპერატიული საქმიანობის შესახებ“[66] გამოყენებულია მისთვის დამახასიათებელი ტერმინები, რომელთაც აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ა) ***პირის გამოკითხვა***-ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის პირადი გასაუბრება ფიზიკურ პირთან, რომელმაც რაიმე იცის გამოსაკვლევი შემთხვევის ან მასთან დაკავშირებულ პირთა შესახებ (გამოკითხვა ნებაყოფლობითია და გამოსაკითხ პირს არ აფრთხილებენ ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ოპერატიული მუშაკი ან გამომძიებელი გამოკითხვის შესახებ დადგენილი წესით ადგენს პატაკს, რომელიც გასაცნობად არ წარედგინება გამოკითხულ პირს).“[67]მაშინ როდესაც საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, გამოსაკითხ პირებს წარმო-ადგენენ ეჭვქვეშ მყოფი პირები და პირები, რომლებიც ეჭქვეშ არ იმყოფებიან და მნიშვნელოვან ინფორმაციებს ფლობენ. მათ აქვს უფლება უარი თქვან ნებაყოფლობით ინფორმაცი-ის მიცემაზე, ხოლო თუ გადაწყვეტენ ინფორმაციის მიცემას უფლება ეძლევა საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით. გამოკითხვა შეიძლება განახორციელოს მხარემ, რომელსაც აქვს ვალდებულება გამოკითხვის დაწყებამდე გამოსაკითხ პირს აცნობოს, რომ მას გამოკითხვის დაწყებამდე მისი უფლებების შესახებ აქვს განმარტების მიღების, ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცემის, საკუთარი ხარჯით ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის, თავის წინააღმდეგ ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ ინფორმაციის არ გაცემის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობა სავალდებულოდ ით-ხოვს გამოკითხვის წარმოებისას ოქმის შედგენას და მას არსებით მნიშვნელობას ანიჭებს [სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 113-ე მუხლი, 135-ე მუხლის 1 ნაწილი]. მას გარკვეული წინაპირობების არსებობისას მტკიცებულებითი ძალა აქვს. უახლესი ისტორიის მაგალითების ანალიზი აჩვენებს, რომ ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციების მქონე სამსახურის წარმომადგენლები საგამოძიებო მოქმედების-პირის გამოკითხვის კუთხით, სახელმწიფოს კომპრომეტაციის ხელსაყრელ პირობებს ქმნიან. გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევებიდან ამონარიდები:

-2016 წლის მდგომარეობით ჩატარებული „კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ არაფორ-მალური გამოკითხვის ეტაპზე, ცალკეულ შემთხვევებში პოლიციელების მხრიდან გამოსაკითს პირთა მიმართ ადგილი აქვს როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ფიზიკურ ზემოქმედებას.“

-2017 წლის მდდგომარეობით კვლევით [68] დადგენილია რომ „ხშირია შემთხვევები, როდესაც პირს გამოკითხვაზე იბარებენ წინა დღეს და ეუბნებიან, რომ ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ პოლიციაში დაკითხვაზე. გამოძიების მიერ თავიდანვე არასწორად ხდება მოქალაქეების ინფორმირება და არ მიეწოდებათ ინფორმაცია გამოკითხვის ნებაყოფლობითი ხასიათის შესახებ. შედეგად, გამომძიებლის ზარისგან შეშინებული არასწორად ინფორმირე-

---

[66]„საქართველოს კანონიოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ.“ მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. https://matsne.gov.ge/ka/document/view/18472;

[67]საქართველოს კანონიოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ.თავი I. ზოგადი დებულება-ნი. მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. 2.https://matsne.gov.ge/ka/document/view/18472;

[68]თამარავალიანი. „მოწმისდაკითხვისახალიწესისკვლევა.“ ადამიანისუფლებატაცენტრი (HRIDC). გვ.24-25. თბ. 2017. http://www.humanrights.ge/admin/editor/ uploads/pdf/angarishebi/hridc/reserch-geo%20(1).pdf;

ბული მოქალაქეები, ან ადვოკატის გარეშე მიდიან დაკითხვაზე, ან უკავშირდებიან ადვოკატს სამართლებრივი დახმარების მოთხოვნით. იურიდიული დახმარებისთვის მისული კლიენტები/ ბენეფიციარები კი ადვოკატებს აწვდიან ინფორმაციას, რომ მოწმეები გამომძიებლის მიერ თითქოს დაბარებულნი არიან დასაკითხად. ადვოკატების თქმით აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება ხდება გამომძიებელთან რა დროსაც ცნობილი ხდება, რომ კონკრეტული მოწმე დაბარებულია საგამოძიებო ორგანოში გამოსაკითხად და არა დასაკითხად. ხშირ შემთხვევებში, მოწმედ დაკითხულ/გამოკითხულ პირებს არ ჰყავთ ადვოკატი."

„ბ) ***ცნობების შეგროვება*** -ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის მიერ კრიმინალისტიკური, ოპერატიულ-სამძებრო ან ინფორმაციის შენახვის სხვა წყაროდან იმ ფაქტობრივი მონაცემების ოფიციალურად მოპოვება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ამოცანათა შესასრულებლად."[69] ცნობების შეგროვების საფუძველია პირის გამოკითხვის ჩატარების შედეგად გამოკვეთილი პირებისა და მოვლენების ირგვლივ მიღებული ინფორმაცია. ცნობების შეგროვებისას, როდესაც არსებობს ინფორმაცია დემოგრაფიული მონაცემების შესახებ, სამართალდამცავი ორგანოების საინფორმაციო ბაზებიდან ისეთი ინფორმაციის ამოღება-ცნობების მიღება, როგორიცაა პირის:

-საცხოვრებელი მისამართი-რეგისტრაციის ადგილი;

-ნასამართლეობა;

-სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება;

-მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები;

-მიერ სარგებლობაში არსებული მობილური კავშირის საშუალება;

-მიერ სახელმწიფო საზღვრის კვეთის ფაქტი და სხვა;

რაც შეიძლება მეტი ცნობების შეგროვება და ინფორმაციის დაზუსტება, მყარ საფუძველს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედობის ზუსტიშეფასებისათვის.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბოლო 15 წელია საქართველოში საგანგაშო ვითარებაა შექმნილი განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კუთხით, სახელმწიფოს ოპერატიულ სამსახურს უსპობს სწორი ანალიტიკური საქმიანობის წარმოების საშუალებას, და პერსპექტივაში ოპერატიული, შესაბამისად კრიმნალური ვითარების ფლობის მნიშვნელოვან ხელშემშლელ გარემოებას წარმოადგენს. გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება,მოპოვებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც: „სამეცნიერო კვლევებში,რომ ბევრი საჭირო ფაქტები და დახასიათებები არ მოიპოვება სამძებრო ორგანოების მასალებში, სუსტად ფიქსირდება ობიექტის საინტერესო სახე და თვისებები, მოძრაობა და კავშირები. ვფიქრობთ, ეს იმიტომაც ხდება რომ ოპერატიული მუშაკები უფრო ხშირად შემოიფარგლებიან პირთა ზერელე შეფასებებით მომხდარი სამართალდარღვევის დროს, რაც სრულიად არასაკმარისია, რადგან პირები რომელიც პროფილაქტიკურ ზედამხედველობაში იყვნენ მოქცეულნი მარჯვედ ცდილობენ არ მიიპყრონ საზოგადოების ყურადღება, ნიღბავენ თავიანთ კავშირებს, სახეს, მით უფრო ზრახვებს, შეცდომებს და ა. შ. ამასთან ერთად ჯერ კიდევ შემორჩენილია სუბიექტივიზმი მიღებული ფაქტების შეფასებისა და ანალიზის სფეროში, ამას ემატება ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ანალიზი ეყრდნობა არა ობიექტურ წანამძღვრებს, არამედ

[69] საქართველოს კანონიოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ. თავი I. ზოგადი დებულება- ნი. მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. 2. https://matsne.gov.ge/ka /document/view/18472;

ინტუიციას.“[70]

„გ) ***ვიზუალური კონტროლი*** -ვიზუალური კონტროლი–ოპერატიული თვალთვალი, რომელიც კონსპირაციულად ტარდება ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ უშუალოდ ან ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენე- ბით.“ [71] აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია განხორციელდეს პირის, უძრავი და მოძრავი ქონებისა და სხვა ობიექტების გამოვლენისა და ფიქსირების საშუალებას. ამ პროცესის ფარგლებში ხორციელდება გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია (მაგ. სოციალური ქსელები და სხვა) და დახურული (ელექტრონული ფოსტა და სხვა) ინტერნეტ-ურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობის მიღება. ამ პროცესის მიმდინარეობის ფარგლებში, დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დასადგენად ხორციელდება კომპიუტე-რული მონაცემის მისაღებად სათანადო ვითარების შექმნა. ვიზუალური კონტროლი ოპერატი-ულ თანამშრომელს აძლევს საშუალებას მრავალჯერადად აღიქვას და გაანალიზოს ფიქსი-რებული ინფორმაციებისა და მოვლენების ერთობლიობა რაც ვიზუალური კონტროლის პირობებში დაგროვდა. განხილულ მიმართულებაზე საყურადღებო ინფორმაციებია გამოქვე-ყნებული ღია წყაროებში:

-„2013 წლის 30 ოქტომბერს, “ფრანს-პრესმა” გამოაქვეყნა სტატია, რომლის მიხედ-ვითაც, საქართველოს მთავრობა შესაძლოა დღემდე იყენებდეს შვედური სატელეკომუნიკაციო გიგანტის, “ერიქსონის” ტექნოლოგიას საკუთარი მოქალაქეების უკანონო მონიტორინგისთვის. ფრანს–პრესის ცნობით, ამის შესახებ განცხადება კომპანია “ერიქსონმა” 30 ოქტომბერს გააკეთა.“[72]

-„2016 წლის აპრილში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტი-ტუციურად ცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ტექნიკური წვდომა სატე-ლეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებთან, რაც იძლევა კომუნიკაციის შეუზღუდავი მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობას. გადაწყვეტილების მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ინტერნეტსივრცეში ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების პროცესის კონტროლს.“[73]

„დ) ***საკონტროლო შესყიდვა*** -ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენა ანდა შეძენის სიტუაციის შექმნა (მისი გასაღების ან მოხმარების მიზნის გარეშე).“ [74] საკონტროლო შესყიდვა განეკუთვნება ექსპერიმენტს და მისი გამოყენება ხორციელდება, რო-დესაც არსებობს ოპერატიული ინფორმაცია დანაშაულის მომზადების, მოხდენის ან

---

[70]კობა ბუაძე „ზოგიერთი სახის მოსაზრებანი ოპერატიული პრაქტიკის სრულყოფისათვის.“ სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო. გვ.3. https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/Buadze Koba.pdf;

[71] საქარ. კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ. თავი I. ზოგადი დებულებანი. მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. (2) https://matsne.gov.ge/ka /document/view/18472;

[72] „ფარული სატელეფონო მოსმენების სისტემა არ შეცვლილა.“ 31.10.2013 http://netgazeti.ge/news/26797/;

[73] გიორგი ბერაია, თამარი აკობიძე, თეონა ტურაშვილი. „ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში (იანვარი-აგვისტო, 2017) „ინფორმაციების თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი („IDFI“). გვ. 3. https://idfi.ge/public/upload/IDFI_ Photos_2017/rule_of_law/surveillance_report_geo.pdf;

[74] საქ.კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ. თავი I. ზოგადი დებულებანი. მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. 2. https://matsne.gov.ge/ka /document/view/18472;

მიმდინარეობის კუთხით. ამ პროცესში ოპერატიული მუშაკმა, გამომძიებლმა საკონტროლო შესყიდვის ობიექტს (პირს) არ უნდა აღუძრას პირს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. ამ კუთხით საყურადღებოა კვლევა, რომლის მიხედვითაც: „2002 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებს 400-ზე მეტი უაქციზო საქონლის შეძენის საქმე აქვს განხილული, რომელიც ჩადენილია აღნიშნულ დანაშაულთან მებრძოლი სტრუქტურის ხელშეწყობით. შემდეგ პროვოცირებული სამხილით აკავებენ და კონტრაბანდასთან ბრძოლის ეფექტურ სტატისტიკას ქმნიან."[75] ამ დანაშაულების პროვოცირების სქემაზე წარმოდგენის შესაქმნელად შეგვიძლია გამოვიყენოთ ამავე კვლევაში განხილული „დანაშაულის" მაგალითი, რომლის მიხედვითაც: გამოძიებით დაუდგენელ პირს ინდმეწარმის მაღაზიაში შეაქვს უცხო სახელმწიფოს უაქციზო ფილტრიანი სიგარეტი, სადაც მომუშავე გამყიდველს სთავაზობს მის შეძენას, რაზედაც იღებს უარს, თუმც გამყიდველი შესაძლო შეძენისათვის მაღაზიის მფლობელისათვის საჩვენებლად თანმხდეზა უცნობ მამაკაცს, სიგარეტის რამდენიმე ბლოკის დატოვებაზე. უცნობი კი ყველა სიგარეტის დატოვებისთანავე ტოვებს მაღაზიას და მიაძახებს გამყიდველს, რომ საღამოს დაბრუნდებოდა და თავად დაელაპარაკებოდა მაღაზიის მფლობელს სიგარეტის ყიდვის თაობაზე. მაღაზიიდან უცნობი პირის გასვლიდან 15 წუთის შემდეგ მაღაზიაში მისულმა პოლიციის მუშაკებმა ამოიღეს უაქციზო სიგარეტი.

„ე) ***კონტროლირებული მიწოდება*** -დანაშაულის გასახსნელად, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად საქართველოს ფარგლებში (ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში–საქართველოს ფარგლებს გარეთაც), საქართველოს ფარგლებს გარედან საქართველოში ან საქართველოს გავლით ნივთიერი მტკიცებულების ან ისეთი საგნის კონტროლირებადი გადაადგილება, რომლის თავისუფალი რეალიზება კანონით აკრძალული ან შეზღუდულია." [76] ევროპული სასამართლოსა და ქართული სასამართლოების პრაქტიკის კვლევით დადგენილია, კონტროლირებადი მიწოდება დანაშაულის პროვოცირების თვალსაზრისით, საკონტროლო შესყიდვასთან, დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვასთან, კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნასთან ერთად ყველაზე რისკიანი საგამოძიებო მოქმედებებს განეკუნება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ გაკეთდება განაცხადი დანაშაულის პროვოცირების შესახებ, ევროპული სასამართლოს მოთხოვნას წარმოადგენს, სასამართლოების მხრიდან ეფექტურად გადამოწმდეს შემდეგი გარემოებები:

➢ დამნაშავე პირი იყო თუ არა დანაშაულის ინიციატორი და თუ გააჩნდა მას დანაშაულის ჩასადენად წინასწარი განწყობა;

---

[75] „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პერსპექტივები გლობალური გამოწვევების ფონზე." სარედაქციო კოლეგია: მთავარი რედაქტორი: პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი, სარედაქციო კოლეგიის წევრები, პროფესორები: ა.თოთაძე (რედაქტორი), გ.ღაღანიძე, ბ.ალადაშვილი (პასუხისმგე-ბელი მდივანი), დ.იაკობიძე, ნ.ბაგრატიონი, გ.ყუფუნია, ვ.ვაშაკიძე, ვ.ბენიძე, ო. გამყრელიძე, გ.მეფარიშვილი, ი.ფუტკარაძე, რ.შენგელია. თბ. 2010. თბილისის ეკონომი-კურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა. გვ.116. https://taxuna.files.wordpress.com/2015/11/e183a1e18390e183a5e18390e183a0e18397e18395e18394e1839ae1839de183a1-e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0-e18394e18399e1839d.pdf;

[76]საქართველოს კანონიოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ. თავი I. ზოგადი დებულება-ნი. მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. 2. https://matsne.gov.ge/ka /document/view/18472;

➢ განხორციელდა თუ არა პირის მიმართ დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელი წნეხი ან ზეწოლა;

გამოთქმული მოსაზრების კუთხით საყურადღებოა 2017 წლის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშიდან ამონარიდი, რომლის მიხედვითაც: შესაბამისად, არსებობდა მომეტებული ვალდებულება, დადგენილიყო, თუ რა ვითარებაში და ვისგან შეიძინა ბრალდებულმა მომწამვლელი ნივთიერება, ან რატომ არ განხორციელდა საკონტროლო შესყიდვა. განაჩენში არ გვხვდება დასაბუთება, თუ რატომ იყო გამორიცხული გონივრული ეჭვი, რომ თუ კი პირს მკვლელობის განზრახვა საერთოდ ამოძრავებდა, სურდა მაინცდამაინც კონკრეტული პირის მკველობა და არა სხვა პირის (მაგ. დ.ჭ.–ს) მკვლელობა,

„ვ) ***პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება)-*** შესამოწმებელი პირის ან ბრალდებულის დადგენა დაქტილოსკოპიური კარტოთეკის, შემთხვევის ადგილზე დატოვებული კვალის, სუნის ან გამონაყოფის მიხედვით.“[77]აღნიშნული პროცედურა ერთ-ერთ ურთულესია, განსაკუთრებით დანაშაულის გახსნის პირველ ეტაპზე. ამ ამოცანის გადასაწყვეტად სხვადასხვა მონაცემების შეკრება და შესწავლა მიმდინარეობს. *დაქტილოსკოპიური კარტოთეკის მიხედვით პიროვნების დადგენას* თითის ანაბეჭდის მიხედვით პიროვნების გაიგივების პროცესს ნიშნავს (თითებზე განლაგებულია ე.წ. დვრილოვანი ქარგები, რომლებიც იმდენად ინდივიდუალურია, რომ არცერთ სხვა ადამიანში არ მეორდება). *შემთხვევის ადგილზე დატოვებული კვალის* მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაცია ნიშნავს კვალის წარმომქმნელი ან/და მიმღები ობიექტის განსაზღვრას. *სუნის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციაზე* წარმოდგენის შესაქმნელად საყურადღებოა მეცნიერების კვლევა, რომლის მიხედვითაც „ადამიანის სუნი გარკვეული ზემოქმედების შედეგად გადადის ყველა საგანზე-რასაც ცოტახნით შეეხება, ან რჩება იმ ადგილზე, სადაც იგი იმყოფებოდა. სუნი წარმოადგენს ადამიანის ე.წ.ქიმიურ „ხელწერას“, რომლის გამოკვლევის შედეგადაც შეიძლება დადგინდეს მისი დაავადება, მიახლოებითი ასაკი, საცხოვრებელი ადგილი და სხვ.“[78] *გამონაყოფის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაცია* ხორციელდება ადამიანის სხეულის გამონაყოფზე ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებით. ექსპერტიზის შედეგად პასუხი გაეცემა ისეთ კითხვებს, როგორიცაა: რა ხანდაზმულობისაა ბიოლოგიური გამონაყოფი, ეკუთვნის თუარა იგი კონკრეტულ ადამიანს და სხვა.

„ზ) ***საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა***–საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა ვიზუალურად ან ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, რაც არ ითვლება ექსპერტის დასკვნად.“[79]აღნიშნული მეთოდის გამოყენება ხორციელდება იმ მიზნით, რათა დადგინდეს საკვლევი საგნები/დოკუმენტები ხომ არ წარმოადგენენ დანაშაულის იარაღს, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმია-ნობის ამოცანების გადასაწყვეტად დგინდება მათი თვისებები და

---

[77] საქარ. კანონიოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ. თავი I. ზოგადი დებულებანი. მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. 2. https://matsne.gov.ge/ka /document/ view/18472;

[78] „სახელმძღვანელო იურისტებისათვის კრიმინალისტიკის და სასამართლო ექსპერტიზის შესახებ MANUAL FOR LAWYERS ON CRIMINALISTICS AND FORENSICS.“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2012. გვ. 144 -145. http://edu.gba.ge/wp-content/uploads/2017/05/ Kriminalistika-da-sasamartlo-expertiza.pdf;

[79]საქ.ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ.თავი I. ზოგადი დებულებანი. მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. 2. https://matsne.gov.ge/ka /document/view/18472;

მახასიათებლები. ამ კუთხით საყურადღებოა კუშნირის კვლევა,[80] რომლის მიხედვითაც საგნების გამოკვლევა თავის თავში მოიცავს, საკვლევი საგნის გაიგივებას იმ საგნებთან, რომლის შესახებაც ინფორმაცია უკვე არსებობს (მაგ. თითების ანაბეჭდი, ტყვიის კვალი და სხვა), ან ობიექტთან კუთვნილების დასადგენად, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს საკვლევი საგანი (მაგ. ფურცლის ნაგლეჯი, დახეული ტანსაცმელი და სხვა). რაც შეეხება დოკუმენტს (ინფორმაცია, რომელიც დაფიქსირებულია მატერიალურ ობიექტზე ტექსტის, ხმოვანი ჩანაწერის, ან გამოსახულების სახით, ბიბლიოგრაფიულად იდენტიფიცირებადია და გან-კუთვნილია დროსა და სივრცეში გადასაცემად) [81] იგი შეიძლება შესრულებული იყვეს როგორც ქაღალდზე, ისე ელექტრონულ საშუალებაზე. რაც შეეხება დოკუმენტის გამოკვლევას, იგი შედგება დოკუმენტის *ფიზიკური თვისებებისა* (მაგ. ნაწერის ან ნაბეჭდის წაშლის კვალის, მინაწერების არსებობა ან არ არსებობა და სხვა) და *დოკუმენტის შინაარსის* შესწავლის (უშუალოდ დოკუმენის შესწავლა-მაგ. კანონმდებლობასთან შესაბამისობა და სხვა. სხვა დოკუმენტებთან ერთობლიობაში-მაგ. დოკუმენტი ლეგიტიმურია, თუმც წინააღმდეგობაში მოდის ან არ შეესაბამება სხვა დოკუმენტებს) პროცესებისაგან.

„კ) **კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა** –ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს ან გამომძიებლის მიერ დანაშაულებრივ ფორმირებაში შესაღწევად ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციის შექმნა.“ [82] აღნიშნული ტერმინის განმარტებისათვის საყურადღებოა უცხო სახელმწიფოებში არსებული კანონმდებლობა. ყაზახეთში არსებული კანონმდებლობის მიხედვით,[83] ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმხორციელებელ ორგა-ნოებს, ოპერატიული-სამძებრო ამოცანების გადასაწყვეტად აქვთ უფლება შექმნან კონსპი-რაციული საწარმოები და ორგანიზაციები, ამ მიზნებისათვის გამოიყენოს:

-თანამდებობის პირთა დაშიფრული დოკუმენტები;

-ორგანიზაციების, შენობების, სატრანსპორტო საშუალებების და დანაყოფების უწყებრივი კუთვნილების დაშიფვრა;

-ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმხორციელებელ ორგანოებთან კონფედენ-ციალურობის საფუძველზე თანამშრომლობაში მყოფი მოქალაქეთა პიროვნების დაშიფვრა.

უნდა აღვნიშნოთ რომ, რუსეთის ფედერაცია, ევროპული სახელმწიფოები და ამერიკის შეერთებული შტატები ქტიურად იყენებენ ლეგენდირებულ ორგანიზაციებს და ლეგენ-დირებული თანამშრომლების ინსტიტუტს საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად. აღნიშნული მიმართულება განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს ანტიტერორიზმთან და სხვა ორგანიზებული დანაშაულის დროული გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით, რადგან

---

[80] Кушнир И.В., „Оперативно-розыскная деятельность Исследование предметов и документов.“ 2010 http://be5.biz/pravo/o001/21.html;

[81]„დოკუმენტი“-საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი/ გიორგი გიორგიძე, გურამ კარტოზია; საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ცენტრ. სამეც. ბიბ-კა.-მე-2 შევს. დაგადამუშ. გამოც. - თბ. : მეცნიერება, 1974. - 157 გვ. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a= term&d=10&t=1512;

[82] საქ. კანონიოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ.თავი I. ზოგადი დებულებანი. მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. 2. https://matsne.gov.ge/ka /document/view/18472;

[83]„Об оперативно-розыскной деятельности.“ Статья 8. П. 1. Закон Республики Казах-стан от 15 сентября 1994 года.Ведомости Верховного Совета Республики Казахстан, 1994 г., N 13, ст.199.http://www.adilet.gov.kz/ru/node/10182;

საქართველოში არსებული ოპერატიული ვითარება განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა რაზედაც მეტყველებს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ანგარიში, [84] რომლებიც ოპერატიული ვითარების შესახებ მნიშვნელოვან პარამეტრებს შეიცავენ.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: საქართველოს კანონის: „ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ:

-მასში ჩამოთვლილი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების დეტალური წესი არ არის დადგენილი. მასში არ არის ფიქსირებული ვალდებულება ქმედებების ორგანიზატორის მხრიდან განხორციელებული მოქმედებების დოკუმენტალურად აღწერის შესახებ. *შესაბამისად შექმნილი ვითარება ზრდის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმ-ხორციელებელი თანამშრომლების, შესაბამისად სამსახურებისა და სახელმწიფოს კომპრო-მეტაციის რისკს, რაც მაღალი ალბათობით დამაზიანებელ გავლენას ჰპოვებს ოპერატიულ ვითარებაზე.*

-მასში მინიშნებული ტერმინები არასრულყოფილად არის განმარტებული.

დანაშაულის პროვოცირების თვალსაზრისით, მაღალი რისკის საგამოძიებო მოქმედებებს კონტრო-ლირებადი მიწოდება, საკონტროლო შესყიდვა, დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა, კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა განეკუთვნება. თანამედროვე ეტაპზე დანაშაულის პროვოცირების შესახებ, საჯარო სივრცეში და სასამართლოებში მრავალი განცხადების გაკეთების მიუხედავად სასამართლოების მხრიდან ქვემოჩამოთვლილი გარემოებების:

-დამნაშავე პირი იყო თუარა დანაშაულის ინიციატორი და თუგააჩნდა მას დანაშაულის ჩასადენად წინასწარი განწყობა;

-განხორციელდა თუარა პირის მიმართ დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელი წნეხი ან ზეწოლა;

გადამოწმება პრაქტიკულად არ ხორციელდება. *ყოველივე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმხორციელებელი სტრუქტურების, სასამართლო ხელისუფლების, შესაბა-მისად სახელმწიფოს კომპრომეტაციის მნიშვნელოვანი საფუძველი შეიძლება გახდეს.*

EMZAR SABANADZE, TAMAR SHEVARDNADZE

BY THE INTERNATIONAL LEGISLATION NATIONAL ASSOCIATION OF THE HUMAN RIGHTS DEFENCE AND PENITENTIALS SYSTEM REFORMS

In the Law of Georgia: "On Operative--Investigative Activities" for the definition of important terms used.

Summary

In the Law of Georgia: Gaps on "Operative-Investigative Activities" increases the risk of compromising operative-searching activities, in compliance with the services and the state, which has a high probability of potential impact on the operational situation. This is why the subject of the study: "In the Georgian Law:" On the Operative-Investigative Activity ", it is especially relevant for the definition of important terms used.

[84] „საქ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2017-31.12.2017.“ http://ssg.gov.ge /uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/angarihi%202017.pdf;

სალომე გუმბერიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის მმართველობის, დოქტორანტურის საჯარო მე-3 კურსი.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებისკიბერუშიშრობის პოლიტიკა

ინფორმაციულ უშიშროებასთან დაკავშირებული სტრატეგიების შემუშავებისას, ნატო-სა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ აღნიშნული ორგანიზა-ციების მიერ გამოცემულიდირექტივებით, რომლებიც ეფექტური კიბერუშიშროების სისტემის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. ევროპის საბჭოს მიერ 2001 წელს ხელი მოეწერა კიბერდანა-შაულთან ბრძოლის ევროპულ კონვენციას და ამ კონვენციაზე ხელმომწერი ქვეყნები ითვალისწინებდნენ ევროპის საბჭოს მიზანს, წევრებს შორის ღრმა სოლიდარობის მიღწევის შესახებ კიბერუშიშროების საკითხებში. კონვენცია ძალაში შევიდა 2004 წლის 1 ივლისს.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნის დღიდან კოლექტიური თავდაცვა ამ ორგანიზაციის ფუნქციონირების ერთერთი უმთავრესი პრინციპია, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გულისხმობდა როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო თავდაცვას, თუმცა უკანასკნელ პერიოდში ალიანსი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. კიბერტექნოლოგიური განვითარების შეუქცევადმა პროცესმა და ჰაკერული თავდახმების გახშირებულმა შემთხვევებმა, საერთაშორისო საზოგადოებას ნათლად დაანახა უსაფრთხოების კუთხით ზომების გაძლიერების აუცილებლობა. 2002 წელს პრაღის სამიტზე ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა გადაწყვეტილება მიიღო ნატოს რეაგირების ძალებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა ეფექტური, ტექნოლოგიური თვალსაზრისით მოწინავე ნატოს რეაგირების ძალების შექმნას, რომელთაც ექნებოდათ მოქნილი ხასიათი. ნატო-მ შეიმუშავა და მოქმედ-ებაში მოიყვანა კიბერთავდაცვის საკუთარი პროგრამა. ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერები შეთანხმდნენ კიბერნეტიკული თავდაცვის პროგრამის შემუშავებასა და ინფორმაციულ ქსელებში ინციდენტებზე რეაგირების საკუთარი ჯგუფის (NCIRC) შექმნაზე.

2012 წლიდან დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ნატოს კოლექტიური თავდაცვის სისტემაში კიბერუშიშროების ინტეგრაციის პროცესი. ნატოს კიბერუშიშროების მთავარი ორგანოა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს დაქვემდებარებული კიბერუშიშროების კომიტეტი. კიბერ-უშიშროების საკითხებში ნატო-ს ძირითადი პარტნიორია ევროკავშირი, რომელთანაც 2016 წელს გაფორმდა ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ტექნიკური ხელშეკრულება. ალიანსი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ეუთოსა და გაეროსთან, მისი მთავარი მოწინა- აღმდეგეები კიბერსივრცეში არიან ისლამური სახელმწიფო, ირანის ისლამური რესპუბლიკა, ჩრდილოეთ კორეა, ჩინეთი და რუსეთის ფედერაცია. ნატოს წევრი ქვეყნების მეთაურებმა ახალი სტრუქტურული ცენტრები შექმნეს, მათ შორის კიბერუშიშროების ახალი ოპერატიული ცენტრი და ატლანტიკის ერთობლივი ძალები, ამის შესახებ ცნობილი გახდა 2018 წელს ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრის შემდგომ კონფერენციაზე, ამ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილე აქტორების რიცხოვნობის მკვეთრი ზრდის გათვალისწინებით, კიბერუშიშროების სისტემა სულ უფრო კომპლექსურ და ამავ-დროულად, დიფერენცირებულ ხასიათს იძენს. სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ სტრატეგიებში

დასახული ამოცანები შინაარსობრივი კუთხით მსგავსია, ხოლო რაც შეეხება კიბერუშიშროების პოლიტიკის ინსტიტუციურ განზომილებას და სტრუქტურულ მახასიათებლებს, გვხვდება განსხვავებები ქვეყნების მიხედვით, შეგვიძლია განვიხილოთ რამოდენიმე ქვეყნის მაგალითი:

ესტონეთი - ესტონეთის სახელმწიფო არის მოწინავე ქვეყანა ციფრულ სფეროში. უკვე 2000 წლიდან ხდება ესტონეთის დიგიტალიზირება, იგი ეხება ყველა სფეროს. მაგალითად შესაძლებელია საქმიანი შეხვედრების ონლაინ რეჟიმში ჩატარება, ასევე შესაძლებელია მოქალაქეთა ჩანაწერების მიღება ონლაინ რეჟიმში. 2005 წლიდან ესტონეთის მოქალაქეებს სურვილისამებრ შეუძლიათ არჩევნებში ხმა მისცენ ონლაინ რეჟიმში. ესტონეთის ინფორმაციულ უსაფრთხოებას განსაკუთრებულ საფრთხეს რუსეთი უქმნის, როგორც ეს მოხდა 2007 წელს. უფრო ზუსტად Ddos თავდასხმებმა რუსეთის მხრიდან გამოიწვია ბანკების, სახელმწიფო ორგანოებისა და მთლიანად სახელმწიფოს პარალიზება. კიბერუსაფრთხოების სტრატეგია ქვეყანამ მიიღო 2008 წელს. ესტონეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავისი კიბერსივრცის დაცვას და ამახვილებს ყურადღებას ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებაზე. 2009 წელს ესტონეთის რეპუბლიკის მთავრობის უსაფრთხოების კომიტეტს დაემატა უსაფრთხოების საბჭო, რომლის მთავარი ამოცანაა სტრატეგიულ დონეზე უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კიბერუშიშროების სტრატეგიის ამოცანების განხორციე-ლებაზე კონტროლი, ხოლო 2010 წელს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ესტო-ნეთის ინფორმატიკის ცენტრს მიენიჭა სახელმწიფოს სააგენტოს სტატუსი და დაერქვა ესტო-ნეთის ინფორმაციული სისტემების უწყება (R.I.A.) ესტონეთის ინფორმაციული სისტემების უწყებამ მიიღო დამატებითი უფლება-მოსილებები და რესურსები, სახელმწიფოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის დაცვისათვის. 2008 წლის შემდეგ ქვეყანამ 2014 წელს ახალი სტრატეგია მიიღო. რომელიც ესტონეთის კიბერუშიშროების ძირითად გეგმას წარმოადგენს. აღნიშნული სტრატეგია ფოკუსირდება შემდეგ სფეროებზე კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ეროვნული თავდაცვის-უნარიანობის ამაღლება. ამ კუთხით ხორციელდება საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, საერთაშორისო თანამშრომლობისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა, ცნობიერების ამაღლება და სპეციალისტების გადამზადება. სტრატეგიის ხედვა მდგომარეობს იმაში, რომ ესტონეთს შეუძლია დაიცვას ეროვნული უშიშროება და ხელი შეუწყოს ღია, ეფექტურ და უსაფრთხო საზოგადოების არსებობას, სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს გაზარდოს კიბერუშიშროების შესაძლებლობები, მოსახლეობის ინფორმირება კიბერსაფრთხეებზე, რითაც მოიპოვებს ნდობას კიბერსივრცეში. სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს კიბერ-სივრცეში შეუფერხებელი ოპერაციების უზრუნველყოფის აღწერა, კრიტიკული ინფორ-მაციის ინფრასტრუქტურის დაცვა კიბერსაფრთხეების წინააღმდეგ, მნიშვნელოვანი სერვისების შეფერხების შემთხვევაში დროული რეაგირების მოხდენა, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დაცვა თანამედროვე საფრთხეებისაგან, კიბერ-საფრთ-ხეების მართვა კერძო და საჯარო სექტორში, კიბერ-უშიშროების ეროვნული მონიტორინგის სისტემის დანერგვა. ესტონეთის სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესია მისი დამოუკიდებ-ლობა, რომელიც 26 წელს ითვლის და იმისათვის რომ მის დამოუკიდებლობას პრობლემა არ შეექმნას, ისინი მუშაობენ იმ მიმართულებით, რომ მონაცემები რომლებიც მნიშვნელოვანია ქვეყნის მთავრობისა და ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის მოხდეს მათი შენახვა სერვერ-ზე, რომელიც სხვა ქვეყანაში იქნება განთავსებული, ეგრეთწოდებულ ციფრულ საელჩოებში.

ციფრულ საელჩოს აქვს ზუსტად ის უფლებები, რაც ჩვეულებრივ საელჩოს, იგი ფლობს საკუთარ

დამოუკიდებელ ტერიტორიას იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე სადაც მდებარეობს. ესტონეთის პირელი ციფრული საელჩო 2018 წლისთვის შეიქმნება ლუქემბურგის ტერიტორიაზე. ამის შესახებ შეთანხმება მოხდა 2017 წელს და ლუქემბურგის ტერიტორიაზე მოხდება იმ მონაცემების შენახვა რაც მნიშვნელოვანია ესტონეთის სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის და მისი ციფრული სფეროს დაცვისათვის. ლუქსემბურგის შემდეგ ციფრული საელჩოების გახსნას გეგმავენ, დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიაში.

გერმანია. დღესდღეობით გერმანელთა 70%ზე მეტი ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია. სხვადახვა პროცესები თუ დავალებები, ვაჭრობა, კომუნიკაცია ხორცილდება არამხოლოდ რეალურ, არამედ უკვე ვირტუალურ სამყაროშიც. აქედან გამომდინარე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მეტწილად დამოკიდებულია საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაზე. სწორედ ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაზე კიბერკრიმინალის მზარდმა საფრთხემ გამოიწვია, რომ გერმანიის უსაფრთხოების ორგანიზებისას IT უსაფრთხოების უზრუნველყოფა გამხდარიყო პრიორიტეტული, რომელზეც პასუხისმგებელი გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტრო გახდა. 1991 წელს შეიქმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ფედერალური ბიურო და ის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შევიდა. BSI-არის სრულიად დამოუკი-დებელი და ნეიტრალური ორგანო IT უსაფრთხოებისა და საინფორმაციო საზოგადოების საკითხებში, რითაც განსხვავდება სახვა ქვეყნების მსგავსი პრობლემის აღმოსაფხვრელად მომუშავე ორგანოებისაგან. დასაქმებული ყავს 500-მდე ადამიანი, რომლებიც დაკომპლექ-ტებული არიან, მათემატიკოსებით, ფიზიკოსებით, ინფორმატიკის სპეციალისტებით და ა.შ. B.S.I იკვლევს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის რისკებს და ანვითარებს, ხვეწს უსაფრთხოების ზომებს, ეძებს პრობლემის გადაჭრის გზებს. ასევე აანალიზებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციებს და მუშაობს მიზნობრივ ჯგუფებთან, ისეთებთან როგორიც არიან საინფორმაციო ტექნოლოგიების მწარმოებლები, დისტრიბუტორები, მომხმარებლები. BSI- ის მიერ ქვეყნის კიბერუსაფრთხოების სტრატეგია შემუშავებული იქნა 2011 წელს და მისი ძირითადი პუქნტები წარმოადგენდა კრიტიკული ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ზრუნვას, ასევე ეროვნული კიბერ-თავდაცვის ცენტრისა და ეროვნული კიბერუშიშროების საბჭოს ჩამყალიბებას. 2015 წელს ძალაში შევიდა კანონი IT -უსაფრთხოების შესახებ და სწორედ ეს იყო შედეგი გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2011 წელს დამუშავებული კიბერუშიშროების სტრატეგიისა. კიბერუშიშოების საბჭოს მიერ 2016 წელს შემუშავდა კიბერუშიშროების ახალი სტრატეგია, რომლის მიზანიც კიბერუშიშროებისა და ქსელის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა წარმოადგენს კიბერსივრცის შესაძლებლობებისა და სარგებლობის შეფერხების გარეშე. ქვეყანა ძირითადად კონცენტრირებულია კიბერშეტევის დროულ გამოვლენაზე, გაუვნებელყოფასა და სამართლებრივ დევნაზე, ასევე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლის გაუვნებელყოფაზე, რომელიც გამოწვეულია შემთხვევითი ფაქტორებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეხება კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციულ სისტემებს.

დიდი ბრიტანეთი . დიდი ბრიტანეთი ერთერთი წამყვანი ქვეყანაა მსოფლიოში ციფრულ ქვეყნებს შორის. გაერთიანებული სამეფოს მიდგომა ასევე მიმართულია კიბერუშიშროების განვითარებაზე. სტრატეგიის მთავარი მიზანია გაიყვანოს დიდი ბრიტანეთი მოწინავე პოზიციებზე ინფორმაციული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციების,

ინვესტიციებისა და ხარისხიანი მომსახურების მიხედვით. ასევე მთლიანად ისარგებლოს კიბერ-სივრცის ყველა უპირატესობებითა და მიღწევებით. 2011 წელს შემოღებული სტრატეგია ასახავს მაქსიმალური რისკების შემცირებას დამნაშავეთა (მათ შორის ტერორისტების) და სხვა სახელმწიფოთა მხრიდან კიბერშეტევების მიმართ, რაც მიმართულია კიბერსივრცეში თითოეული მოქალაქის, საზოგადოებისა და ეკონომიკის უსაფრთხოებისკენ. 2016–21 წლის სტრატეგიის მიხედვით ბრიტანეთის უშიშროება და მომავლის კეთილდღეობა ეფუძნება ციფრულ ფონდებს, ინფორმაციული სისტემების დაცვას, მონაცემებს და მათ მომსახურებას, არასანქცირებულ წვდომას, ზიანის მიყენებასა და ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას. სტრატეგია ეხება კიბერდანაშაულს, როგორც დანაშაულებრივ საქმიანობას ორ ურთიერთ დამაკავშირებელ კონტექსტში:

1. კიბერდამოკიდებული დანაშაულები–ანუ დანაშაული, რომელიც შეიძლება მოხდეს ინფორმაციის გამოყენების გზით და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური მოწყობილობებით, სადაც აღნიშნული მოწყობილობა ორივეა, როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალება, ისე დანაშაულის სამიზნე.

2. კიბერ–ჩართული დანაშაული-ტრადიციული დანაშაული, რომელიც შეიძლება გაიზარდოს მასშტაბით ან მიიღწევა კომპიუტერის, კომპიუტერული ქსელების ან სხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით.

ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წამყვანი ადგილი უკავია იმ სტრატეგიების შემუშავების პროცესში, რომლებიც კიბერუშიშროების რისკების მართვის ეფექტურობის ამაღლებას ისახავს მიზნად. ბრიტანეთში ინფორმაციული უშიშროების პოლიტიკის მიმართულებებს განსაზღვრავს „კიბერუსაფრთხოების და ინფორმაციული უზრუნველყოფის“ სამსახური, რომელიც თანამშრომლობს სხვადასხვა უწყებებთან, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროსთან. სამინისტროს დაქვემდებარებაში არის სადაზვერვო სააგენტოები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინფორმაციული უშიშროების სფეროში არსებული გამოწვევების შემცირების პროცესში. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია „სამთავრობო კომუნიკაციების შტაბის“ საქმიანობა, რომელიც პასუხისმგებელია მთავრობის ინფორმაციული სისტემების, კომუნიკაციებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების დაცვაზე.2012 წლის აპრილიდან თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია „კიბერ-ოპერაციებისგან თავდაცვის ჯგუფი“ (Defence Cyber Operations Group), რომელსაც პასუხისმ-გებლობა ეკისრება თავდაცვის სექტორში კიბერ-შესაძლებლობების განვითარებაზე, ოპერაციების ეფექტურობის ამაღლებასა და კიბერსივრცეში უსაფრთხოების დონის ზრდაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ მსოფლიოში ყოველდღიურად მიმდინარეობს ინფორმაციული სივრცის განვითარება, ინფორმაციის დამუშავება კი მოვლენების მუდმივი ხედვის არეში მოქცევას, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას მოითხოვს რაც თავისთავად კიბერსივრცეში ახალ გამოწვევებს გულისხმობს. სწორედ ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ამ ორგანიზაციების წევრმა თუ არაწევრმა სახელმწიფოებმა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მუდმივ რეჟიმში უნდა მოახდინონ კრიტიკული ინფორმაციული ინფარსტრუქტურის დაცვა, გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება რათა დაცული იყოს ინტერნეტსივრცე, მონაცემთა ბაზები და მოქალაქეთა პერსონალური ინფორმაცია, ასევე მოხდეს სამართლებრივი ბაზების მეტად დახვეწა და სრულყოფა კიბერ-დანაშაულთან ეფექტურად საბრძოლველად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Estonia-cyber Security Strategy 2014-2017 https://www.mkm.ee/sites/default/files/cyber_security_strategy_2014-2017_public_version.pdf. უკანასკნელად გადამოწმებულია 05.05.2018;
2.Great Britain-National Cyber Security Strategy 2016 to 2021. https://www.gov.uk/government/publications/national-cyber-security-strategy-2016-to-2021.უკანასკნელად გადამოწმებულია 05.05.18;
3.Cyber Security Strategy for Germanyhttps://www.cio.bund.de/SharedDocs/Publikationen/DE/Strategische-Themen/css_engl_download.pdf?__blob=publicationFile. უკანასკნელ ად გადამოწმებულია 05.05.2018;
4. Council of europe "CONVENTION ON CYBRCRIME". BUDAPESHT. 23.11.2001. პრაღის სამიტი: ახალი წევრები შესაძლებლობა და პარტნიორობა https://www.nato.int/docu/comm/2002/0211-prague/ . უკანასკ-ნელად გადამოწმებულია 05.05.2018;

Salome gumberidze
Georgian Technical university Faculty of Business-technologies, Public Administration 3rd year of doctorate course

„ International organization and foreign countrie' s cybersecurty policy"

Summary

In order to maximally eliminate and avoid security threats in cyberspace, international organizations and foreign countries have started the process of establishment, development and improvement of organizational-structural units, which is directly connected to the evolution of new technologies and increase of cybercrime. Their successful work should ensure the protection of cyberspace and the effectiveness of fighting cybercrime. In fact, institutionalization process in this field is continuously growing and advancing.

გიორგი ბიწაძე
საპოლიციო რეგულირების სამართლის მაგისტრი. შინაგან საქმეთა სამინიტროს, ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენ-ტის, გლდანი-ნაძალადევის სამმართვე-ლოს ანალიტიკოსი

სადაზვერვო საქმიანობის როლი სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაში

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილია ქვეყანაში არსებული ოპერატიული ვითარება. ეროვნული უსაფრთხოების სეგმენტებია სახელმწიფო და კერძო სექტორი. პირველი სექტორი სამხედრო, ეკონომიკურ, სოფლის მეურნეობის, სამეცნიერო-კვლევით, პოლიტიკურ და სხვა მიმართულებებს მოიცავს, ხოლო მეორე-კერძო კომპანიებსა და ორგანიზაციებს. ჩამოთვლილი სექტორების უსაფრთხოებაზე უზრუნველყოფას ახორციელებენ სპეციალური სამსახურები-დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სახით სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები, რაც ერთიანობაში წარმოადგენს სპეციალურ სამსახურს.

სპეცსამსახურები, რომელთა ძირითადი ამოცანა სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობაა, სახელმწიფო მექანიზმის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაწილები არიან. ისინი მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, მიუხედავად მათი პოლიტიკური წყობისა და იდეოლოგიისა. არ არსებობს სახელმწიფო სპეცსამსახურების გარეშე.[85]

საზოგადოებისთვის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია. ძირითადად, მოქალაქეების მხრიდან იმ საფრთხეების სათანადო ანალიზი, რომელთა წინააღმდეგაც სახელმწიფო სპეცსამსახურებს იყენებს, ვერ ხორციელდება. ამასთან, ხშირია საზოგადოების მხრიდან სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის არასწორი ინტერპრეტირება და აღქმა. იმ საფრთხეების არსე-ბობა, რომლებიც უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობას თან სდევს, რისკის შემცველია სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ამ მიმართულებით, სათა-ნადო სამეცნიერო კვლევები ნაკლებად ხორციელდება. ის გარემოება, რომ სადაზვერვო საქმიანობის მიზნებისა და ფუნქციებიდან, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დღესდღეობით ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერება საკმაოდ მწირია, საფრთხის შემცველია ზოგადად, საქართველოს თითოეული მოქალაქის, საზოგადოების, კერძო სექტორისა და მთლიანად სახელმწიფოსთვის.

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებისთვის აუცილებელია იმ საფრთხეების შესახებ ინფორმაციების მიწოდება, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენენ, წარსულში, აწმყოსა და მომავალში სახელმწიფოსა და მოქალაქეების უსაფრთხოების დამაზიანებელ ფაქტორებს. ამ პროცესის სისტემურობით, ორივე მიმართულებაზე (სახელმწიფო და ფიზიკური პირები) სადაზვერვო ზემოქმედების შემამცირებელი მნშვნელოვანი პირობა შეიქმნება. როგორც შიდა, ასევე გარე საფრთხეების წინააღმდეგ ეროვნული უსაფრთხოების მიმართ სახელმწიფოს მდგრადობას ძლიერი სპეცსამსახურები განაპირობებს. სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების დაცვა იწყება ძლიერი სპეცსამსახურის არსებობით. ამ სამსახურში მომუშავე თანამშრომლე-ბის უპირველესი ამოცანაა სათანადო დონეზე დაიცვან სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილება

[85]А. Шаваев, С. Лекарев, “Разведка и контрразведка”, Москва, 2003, с. 15;

და უსაფრთხოების საფუძვლები, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების, უცხოეთის ორგანიზაციების, პირთა ჯგუფების ან ცალკეული პირებისაგან, რომლებიც სადაზვერვო საქმიანობას ეწევიან.

სადაზვერვო სამსახურების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს დაზვერვას დაქვემდებარებული სეგმენტებიდან საკუთარი სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივ რღვევასთან დაკავშირებული მონაცემების დროული შეკრება და სახელმწიფოსთვის (მმართველი ხელისუფლებისთვის) მიწოდება, ამავდროულად მოწყვლადი ადგილების შესწავლა დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოზე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური ზეგავლენის ორგანიზებისათვის.

დაზვერვა არის ინფორმაციის შეგროვება მოწინააღმდეგე, კონკურენტ სახელმწიფოზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქვეყნის უსაფრთხოება და ამასთან მიღწეული იქნას უპირატესობა შეიარაღებული ძალების, სამხედრო ოპერაციების, პოლიტიკის, ეკონომიკური ან სხვა მიმართულებებით. [86] სადაზვერვო საქმიანობის ძირითად შემადგენელს ოპერატიული საქმიანობა წარმოადგენს, რომელიც არის „კანონით განსაზღვრული, ფარული საქმიანობა, სადაზვერვო ოპერატიული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით. იგივეა, რაც აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობა, აგენტურული დაზვერვა.“ [87] სადაზვერვო სამსახური მნიშვნელოვანწილად საკუთარი სახელმწიფოს საგარეო საფრთხეების ნეიტრალიზაციას ემსახურება, რაც მზვერავების და გადაბირებული აგენტებისაგან ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას, ანალიზს და რეალიზაციას გულისხმობს.

სადაზვერვო საქმიანობის ისტორიის ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ჯაშუშური საქმიანობისთვის აქტიურად გამოიყენებოდა და გამოიყენება დიპლომატიური წარმომადგენლები (საელჩოები, საკონსულოები), ჰუმანიტარული ორგანიზაციები, საჯარო თუ კერძოსექტორი, პოლიტიკური პარტიები დაა.შ. სადაზვერვო პოზიციების შექმნისათვის საქმიანობის ობიექტებთაგან გამორჩეულია: „გადმობირებულები, გადმოსაბირებლები, სადაზვერვო კონტაქტზე მყოფნი.“ [88] შესაბამისად ჯაშუშურისაქმიანობის გამხორციელებელ პირთა შორის შესაძლებელია მოღვაწეობდნენ სადაზვერვო გადაბირების უზრუნველმყოფი პირები, რომლებიც პარალელურად შეიძლება ორგანიზებას უკეთებდნენ ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: 1) დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ხელისუფლების ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის შესწავლ აშეიარაღებულ ძალებსა და მოსახლეობაში;

2) ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე, დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ხელისუფლების მიმართ, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მომზადება;

3) ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზეწოლის და საიდუმლოების მაღალი გრიფის ქვეშ სპეცოპერაციის შესანიღბად სასურველ ჟურნალისტთა კორპუსის შერჩევა-მომზადება;

4) არასასურველი რეჟიმის ირგვლივ დეზინფორმაციული ხასიათის მაკომპრომეტირებელი მონაცემების მიზანმიმართული გავრცელება და ა.შ.

სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის ისტორიაში მრავლადაა მაგალითები, როდესაც მიუღებელი რეჟიმებისა და ლიდერების საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ შემდეგ

---

[86] ГорбовскийА., СеменовЮ. “Безединоговыстрела: Изисториироссийскойразведки” 1984 г.,368 с.

[87] „სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი.“ ლექსიკონის შემდგენლები: ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, პოლკოვნიკი გიორგი სურმავა, მედიცინის დოქტორი მარინა გეგელაშვილი, ნუგზარ ბაბუციძე, დავით ბაზღაძე, ვიტალი მიხელიძე, ილია ნარიმანიძე, აკაკი ცინცაძე.
საქ. დაზვერვის სამსახური სპეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი. მეორე გამოცემა ცვლილებებით და დამატებებით. თბილისი 2013. გვ.50. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream /1234/9822/3/SadazgvevoTerminebisGanmartebiti%20leksi koni.pdf ;

[88] თენგიზ ენდელაძე. „საგარეო დაზვერვის სამსახურები.“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი. თბილისი 2007. გვ.7;

მეთოდებს:[89] ჯაშუშობა, ფსიქოლოგიური ომი, იდეოლოგიური და ეკონომიკური დივერსია, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ფინანსური მხარდაჭერა, დაქირავებულებისა და ობიექტი ქვეყნიდან ემიგრაციაში წასული პირების გადაბირება, პერსპექტიულ ოპოზიციურ პარტიებში აგენტურული შეღწევა და გადაბირების განხორციელება, ემიგრაციაში მყოფი ისეთი პირების შესწავლა, კავშირის დამყარება და გადაბირება, რომელთაც გარკვეული დასაყრდენი გააჩნიათ თავის სამშობლოში. სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ანალიტიკური საქმიანობა, რომლის დროსაც ღია წყაროებიდან და საიდუმლო არხებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება-ანალიზი მიმდინარეობს სადაზვერვო ქმედებებისათვის მოწყვლადი ადგილების გამოსაკვეთად, რაც იძლევა საშუალებას საფრთხეების თავიდან ასაცილებლად სწორად დაიგეგმოს და განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები.

იმისათვის, რომ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები მუშაობდნენ თანაბარი წარმატებით, საჭიროა მათ საქმიანობაში არსებობდეს დაბალანსებული ურთიერთობა, ინფორმაციის ურთიერთგაცვლის კოორდინირებული სისტემა, ურთიერთ-შეთანხმებული მოქმედებები. ამ მოდელის არ არსებობამ შესაძლოა სახელმწიფოსათვის მრავალი უარყოფითი შედეგის მაპროვოცირებელი ვითარება შექმნას.

სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობის ფორმების მიუხედავად, სადაზვერვო საქმიანობას ერთმანეთის წინააღმდეგ აქტიურად აწარმოებენ, რასაც ადასტურებს სახელმწიფოებში არსებული საკანონმდებლო ბაზების ანალიზი. შესაბამისად ყველა სახელმწიფოს საკანონმდებლო სივრცეში მოიპოვება სადაზვერვო შინაარსის კანონები, რომლებიც მიზნად ისახავენ დაარეგულირონ და კანონიერი გახადონ საკუთარი სახელმწიფოს მზვერავთა მოქმედებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ისეთივე დამნაშავეები იქნებოდნენ საკუთარი ქვეყნის წინაშე, როგორც უცხო ქვეყნის ჯაშუშები. საკანონმდებლო შენიღბვის მიუხედავად, სადაზვერვო საქმიანობა მისი ორგანიზატორისთვის კანონით ჩარჩოში მოქცეული ქმედებაა, ხოლო ობიექტი სახელმწიფოს მიმართ-დანაშაული.

სადაზვერვო საქმიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია ოპერატიული საქმიანობის ორგანიზება.იგი წარმოადგენს ფარულ საქმიანობას განხორციელებულს სადაზვერვო დაწესებულებების მიერ ოპერატიული ძალების, საშუალებების, ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით.[90] ოპერატიული საქმიანობა ლიტერატურაში და პრაქტიკულ საქმიანობაში შეიძლება შეგვხდეს, როგორც სადაზვერვო აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობა. იგი წარმოადგენს სადაზვერვო აპარატების ძირითადისაქმიანობის სფეროს, განხორციელებულს რამდენიმე სუბიექტს შორის. ის ხორციელდება სისტემატიური კავშირის პირობებში ინფორმაციის მოპოვების, გაცვლისა და ანალიზის კუთხით.

სადაზვერვო ანალიზის საგანს წარმოადგენს:[91]

1) სამხედრო ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში, რეგიონებში, ცალკეულ ქვეყნებში, სახელმწიფო საზღვრებზე.

2) პოლიტიკის სუბიექტების სტრატეგიული პოლიტიკური კონცეფციები, დოქტრინები, პროგრამები და მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, დაზვერვითი გეგმები და ინტერესები.

---

[89]დ. კუხალაშვილი, „ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ არასასურველი რეჟიმების საწინააღმდეგო საქმიანობა, ბრძოლის მიმართულებები და მეთოდები“, ქუთაისი, 2006 წ.,გვ.97-100;

[90] ვ.კაპანაძე, გ.სურმავა, მ.გეგელაშვილი, ნ.ბაბუციძე, დ.ბაზღაძე, ვ.მიხელიძე, ი.ნარიმანიძე, ა.ცინცაძე. სადაზვერვოტერმინებისგანმარტებითილექსიკონი,თბილისი, 2013წ, გვ. 50;

[91]იქვეგვ. 12;

3) სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციის, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღები და სპეცსამსახურების საქმიანობის პრიორიტეტების განმსაზღვრელი ორგანიზაციული სტრუქტურების მდგომარეობა.

4) ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შიდა და გარე ფაქტორები.

5) სახელმწიფოს დაზვერვის სისტემის სტრუქტურა და მდგომარეობა.

6) კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ოპერატიული მოქმედებები.

7) პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების, მისი ცალკეული ელემენტების ცვლილებებისა და განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები.

8) პოლიტიკური სუბიექტების ქმედებების შესაბამისობა პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების პროგნოზთან.

ოპერატიული საქმიანობა შედგება ოპერატიულ-აგენტურული, ოპერატიულ-ოპერაციული და ოპერატიულ-ტექნიკური პროცესებისაგან. წარმატებული ოპერატიული საქმიანობისათვის სამივე ფაზა უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს. ოპერატიული უზრუნველყოფა ნიშნავს სპეცსამსახურისთვის დაინტერესების ობიექტზე ინფორმაციის მოპოვებას, როგორც აგენტურული აპარატის, ისე ტექნიკური და სხვა საშუალებებიდან. ოპერატიულ-ოპერაციული პროცესი მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განხორ-ციელებული ანალიზით გამოვლენილი საფრთხეების თავიდან ასაცილებელ ღონისძიებებს მოიცავს. სადაზვერვო საქმიანობაში ოპერატიული უზრუნველყოფა ნიშნავს ოპერატიული ძალებისა და საშუალებების განფენას მოწყვლად ადგილებზე. ამ პროცესში ოპერატიულ საქმიანობას ორი ძირითადი მონაწილე ჰყავს: ოპერატიული თანამშრომელი და აგენტი (ან ოპერატიულ საქმიანობაში მონაწილე სტატუსის არმქონე პირი, რომელიც იძლევა საიდუმლო ინფორმაციას, ისე, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცის). ოპერატიული უზრუნველყოფა ნიშნავს სწორედ ამ ორი სუბიექტის ურთიერთანამშრომლობის შედეგად მოპოვებულ სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის გამოყენებას სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად. ოპერატიული საქმიანობა მოიცავს:

1. ინფორმაციის მოპოვებას ღია და დახურული წყაროებიდან;
2. ინფორმაციის მოპოვებას ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით;
3. მიღებული ინფორმაციის ანალიზს;
4. ოპერატიული ღონისძიებების დაგეგმვას.

ინფორმაციის მოპოვება ხდება ოპერატიულ-აგენტურული ღონისძიებების დაგეგმარება-განხორციელებით, რომლის დროსაც შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვა მეთოდი და ტექნიკური (მოსასმენი, სათვალთვალო, კორესპოდენციის, ელ.ფოსტის პერლუსტრაცია (ფარულად გახსნა-დათვალიერება)) საშუალება.

ოპერატიული საქმიანობის მნიშვნელოვან რგოლს აგენტები, რიგითი მოქალაქეები წარმოადგენენ. წარმატებული ოპერატიული საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას ოპერატიული თანამშრომლის მიერ კანონიერების, კონსპირაცი-ულობის, გეგმიურობის, კოორდინაციის და სხვა პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული პირობების დარღვევა უკავშირდება აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობის ჩავარდნას, რომელიც შესაძლებელია გახდეს ოპერატიული თანამშრომლის, სამსახურის და სახელმწიფოს კომპრომეტაციის საფუძველი, რაც ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი შედეგის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი გარემოებაცაა. ოპერატიული საქმიანობა უნდა მიმდინარეობდეს განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით, რაც ოპერატიულ შეღწევას, ოპერატიულ კომბინაციასა და ოპერატიულ დეზინფორმაციას გულისხმობს.

განასხვავებენ ოპერატიული საქმიანობის შემდეგ ფაზებს:[92]

---

[92]ვ.კაპანაძე, გ.სურმავა, მ.გეგელაშვილი, ნ.ბაბუციძე, დ.ბაზღაძე, ვ.მიხელიძე, ი.ნარიმანიძე, ა.ცინცაძე. სადაზვერვოტერმინებისგანმარტებითილექსიკონი, თბილისი, 2013წ., გვ. 50- 52;

1) სადაზვერვო ოპერატიული ამოცანის დასმა;

2) არსებული ოპერატიული შესაძლებლობების ანალიზი, ოპერატიული შეღწევის ამოცანების განსაზღვრა;

3) ოპერატიული სამიზნის (გადაბირების კანდიდატის) შერჩევა;

4) დონეების მიხედვით გადაბირების კანდიდატის დამუშავება (შესწავლა, შემოწმება);

5) გადაბირება;

6) აგენტთან მუშაობა;

7) აგენტურული ურთიერთობის შეწყვეტა ან შეჩერება;

ოპერატიული შეღწევა გულისხმობს, სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საზიანო ქმედებაში ჩართულ კონკრეტულ ობიექტზე, პირზე, პირთა ჯგუფზე ან ორგანიზაციაზე ინფორმაციის მოძიებას მათი ქმედების შესწავლა-დოკუმენტირების მიზნით.

ოპერატიული უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ სეგმენტებს: სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება, ოპერატიული ინფორმაციის წყაროებთან მუშაობა, ოპერატიულ-ტექნიკური საშუა-ლებების გამოყენება, გარემეთვალყურეობისა და ოპერატიული დადგენის მეთოდების გამოყენება. სადაზვერვო ხასიათის ოპერატიული ამოცანების დასმა განპირობებულია სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე. სადაზვერვო ოპერატიული შეღწევა-კონტროლისათვის აუცილებელია კონკრეტული მიმართუ-ლებით გამოსაყენებელი, ოპერატიული წყაროების რაოდენობრივი და ინტელექტუალური შესაძ-ლებლობების გათვალისწინებით მათი გარკვევა, რათა წარმატებით გადაიჭრას ოპერატი-ული ამოცანა. ოპერატიული სამიზნეების შერჩევა ხორციელდება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სეგმენტების ან ოპერატიული ინფორმაციების საფუძველზე გამოკვეთილი კონკრეტული აუცილებლობიდან გამომდინარე.გადაბირების კანდიდატის დამუშავება ხორციელდება ზემოაღნიშნული ქმედებების მყარი ანალიტიკური მონაცემების პირობებში. რაც შეეხება აგენტთან მუშაობას და აგენტურული ურთიერთობის შეწყვეტა/შეჩერებას, იგი ოპერატიული საქმიანობის პროცესის შედეგებიდან გამომდინარე ოპერატიული თანამშრომლის მოტივირებული დოკუმენტალური გადაწყვეტილებით ხორციელდება. პირობითად, სადაზვერვო ოპერატიული საქმიანობის უზრუნველმყოფი ქვედანაყოფის სტრუქტურა შესაძლოა ასე წამოვიდგინოთ: ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი, ოპერატიული თანამშრომელი, აგენტი (შესა-ბამისი თანმიმდევრობით იერარქიულად). აღნიშნულ რგოლში, ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი და ოპერატიული თანამშრომელი წარმოადგენენ მმართველ რგოლს, ხოლო აგენტი - მართვადი რგოლია. ოპერატიული საქმიანობის წარმატების მნიშვნელოვან პირობას მმართველი და მართვადი რგოლების როლების მუდმივად შენარჩუნება განაპირობებს. აღნიშნულ სქემაში მმართველი რგოლები უნდა ფლობდნენ ანალიტიკური საქმიანობის მეთოდებს. მათ შორის საერთოა, რომ იერარქიის მიუხედავად, ისინი ოპერატიული თანამშრომლები არიან. აგენტის წარმატებული საქმიანობა ანალიტიკური და სხვადასხვა სიტუაციებში გარდასახვის უნარის არსებობაზეა დამოკიდებული. ანალიტიკოსი, ოპერატიული თანამშრომლები მათზე მოწოდებული ინფორმაციების ანალიზით ქმნიან საბოლოო სადაზვერვო პროდუქტს. თუმცა, შესაძლებელია სათანადო გამოცდილების, კონკრეტული აუცილებლობის პირობებში ოპე-რაციულ პროცესში ჩართულმა ოპერატიულმა თანამშრომელმა განახორციელოს ანალიტიკოსის ფუნქცია.

შეიძლება **დავასკვნათ**, რომ:

სადაზვერვო საქმიანობა მისი ორგანიზატორისთვის კანონით ჩარჩოში მოქცეული ქმედებაა, ხოლო დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს მიმართ-დანაშაული.

` სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების თანაბარი წარმატებით საქმიანო-ბისათვის საჭიროა მათ საქმიანობაში არსებობდეს დაბალანსებული ურთიერთობა, ინფორმაციის ურთიერთგაცვლის კოორდინირებული სისტემა, ურთიერთშეთანხმებული მოქმედებები. ამ მოდელის არარსებობამ შესაძლოა სახელმწიფოს ოპერატიული ვითარება, შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოება მნიშვნელოვნად დააზიანოს.

სადაზვერვო ხასიათის მოქმედებები მიმართულია ობიექტი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რათა მოპოვებულ იქნას სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მოხდეს მისი დამუშავება და შესაბამისი ანალიზის შედეგად ოპერატიული და ოპერაციული ქმედებების დაგეგმარება.

სადაზვერვო-ოპერატიული საქმიანობა წარმოადგენს სადაზვერვო აპარატების ძირითადი საქმიანობის სფეროს, განხორციელებულს რამდენიმე სუბიექტს შორის. ის ხორციელდება სისტემატიური კავშირის პირობებში ინფორმაციის მოპოვების, გაცვლისა და ანალიზის კუთხით. ამ საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას ოპერატიული თანამშრომლის მიერ კანონიერების, კონსპირაციულობის, გეგმიურობის, კოორდინაციის და სხვა პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული პირობების დარღვევა უკავშირდება აგენტურულ-ოპერატიული, შესაბამისად სადაზვერვო საქმიანობის ჩავარდნას, რომელიც შესაძლებელია გახდეს ოპერატიული თანამშრომლის, სამსახურის და სახელმწიფოს კომპრომეტაციის საფუძველი, რაც ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი შედეგის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი გარემოებაცაა.

Giorgi Bitsadze
Master of police regulation law, The Ministry ofInternal Affairs of Georgia, Tbilisi police department, Gldani-Nadzaladevi police Division - Analyst.

Summary

The role of intelligence activities in the national security of the state

In spite of the international relations, the States are actively engaged in intelligence activities, which confirms the analysis of existing relevant legislative bases in the States. The intelligence activity is one of the most important structures of the state's national security, and the operational activities organized by it, significantly determine the quality of maintaining the state's constitutional order.

მაგდანა ბესელია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მაგისტრატურა, საერთაშორისო უსაფრთხოება და საერთაშორისო უსაფრთხოება

„ნატო“ და ტერორიზმი. ტერორიზმის სადაზვერვო ხასიათი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კაპიტალისტურ და სოციალისტურ სამყაროს შორის ვითარება მნიშვნელოვნად დაიძაბა. ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე დომინირების ფარგლებში, სახელმწიფოთა პოლიტიკური წყობილების შესაბამისობის მიხედვით შეცვლა წარმოადგენდა. მყარი სადაზვერვო ორგანიზების ფონზე ორთავე სახელმწიფო ქმნიდა ხელსაყრელ ვითარებას დაქვემდებარებულ ქვეყანაში სასურველი ხელისუფლების მოყვანისა და შენარჩუნების კუთხით.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა დაძა-ბულობით გამოირჩეოდა და იქმნებოდა პირისპირ საბრძოლო მოქმედებების ინსპირირების საფრთხე. სწორედ ამ ფონზე კომუნიზმის გავრცელების საფრთხის ე.ი. საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ 1949 წელს შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია „ნატო“ (North Atlantic Treaty Organisation, NATO). [93] ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გარკვეულწილად წარმოადგენდა იდეოლოგიური და პოლიტიკური ბარიერების გადალახვისათვის შექმნილ სახელმწიფოთა ერთობას, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ისეთი პრინციპები გააჩნდა, როგორიცაა საყოველთაო მშვიდობა და უსაფრთხოება, რომელიც სრულად ეხმიანება გაეროს წესდების პრინციპებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დროისა და პოლიტიკური რეალიების ცვლილებათა მიუხედავად, აღნიშნული პრინციპები არა თუ შეიცვალა, არამედ განმტკიცდა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა თანამედროვე მსოფლიოში არსებული პოლიტიკური გამოწვევების ფონზე. „ნატო“-ს ორგანიზაციის მეშვეობით მსოფლიოს ბევრმა სახელმწიფომ შეინარჩუნა და განამტკიცა სუვე-რენიტეტი და სამხედრო უსაფრთხოება. თანამედროვე ეტაპზე ჩრდილო-ატლანტიკური ალიან-სი („NATO“) ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შქმნისა და შენარჩუნების გარანტს წარმოადგენს, წარსული მოვლენების საფუძველზე, ალიანსი 21-ე საუკუნეში გახლავთ ყველაზე ეფექტური საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიო უსაფრთ-ხოების შნარჩუნების სფეროში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევა გახლავთ ტერორიზმთან ბრძოლა, რომელიც დღეის მდგომარეობით გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს მსოფლი-ოსათვის. „ტერორიზმი ის იდეოლოგიაა, რომელიც ამ იდეოლოგიის მატარებელ აქტანტებს, საშუალებას აძლევს, თავიანთი მიზნების მისაღწევად ისეთ ძალადობრივ ქმედებებს მიმართონ, რაც კაცობრიობის ცივილიზებული ნაწილის უმრავლესობისათვის, უბრალოდ მიუღებელია. ეს არის ერთერთი ყველაზე სისხლიანი იდეოლოგია, რომელსაც კაცობრიობის ისტორია დღემდე

[93] „North Atlantic Treaty Organisation.“ https://www.nato.int/;

იცნობს.“[94] დღესდღეობით ტერორიზმთან ბრძოლა უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს და უდიდესი რესურსები იხარჯება დადებითი შედეგების მისაღწევად, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ევროპის დიდი ქალაქები როგორიცაა პარიზი, ბრიუსელი, ნიცა, ბერლინი, მანჩესტერი, ბარსელონა და სხვები მოიცვა ტერორისტულმა შეტევებმა, რომლებიც თავისი სიხშირით საკმაოდ დიდ დარტყმას აყენებენ, როგორც ევროპული ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებას, ასევე მშვიდობიან მოსახლეობასაც. საგანგაშოა რელიგიური ტერორიზმის მიმართულებით ტერორისტული აქტების ორგანიზების სტატისტიკა 2004წ. მარტიდან 2017წ. აგვისტოს ჩათვლით.

N	ტერორისტული აქტის თარიღი	ობიექტი ქალაქი	ტერორისტული ორგანიზაცია	დაიღუპა/ დაშავდა
1	მარტი 2004წ	მადრიდი	ისლამური დაჯგუფება	191/1500
2	ივლისი 2005წ	ლონდონი	ოთხი მუსლიმი	56/500
3	მაისი 2014წ	ბრიუსელი	ფრანგი ისლამისტი	5/0
4	იანვარი 2015წ	პარიზი"Charlie Hebdo"	Al Kaida	17/0
5	თებერვალი 2015წ	კოპენჰაგენი	არაბი ისლამისტი	2/0
6	ნოემბერი2015წ	პარიზი	IS მიმდევრები	130/100-ობით
7	იანვარი 2017წ	სტამბული	IS მიმდევრები	12/0
8	მარტი 2016წ	ბრიუსელი	IS მიმდევრები	32/0
9	ივლისი 2016წ	ნიცა	IS მიმდევრები	86/400
10	დეკემბერი 2016წ	ბერლინი	IS მებრძოლი	0/ უცნობია
11	მარტი 2017წ	ლონდონი	IS მებრძოლი	0/0
12	აპრილი 2017წ	სტოქჰოლმი	IS მებრძოლი	5/15

[94]გიორგი ანთაზე. სტრატეგიული კველევებიN2, ტერორიზმის დეფინიციის პრობლემა, გამომცემლობა საუნივესიტეტო წიგნი, თბილისი 2009წ. 63გვ.

13	აპრილი 2017წ	პარიზი	IS მებრძოლი	3/0
14	მაისი 2017წ	მანჩესტერი	თვითმკვლელი ტერორისტი	23/120
15	ივნისი 2017წ	ლონდონი	IS მებრძოლი	7/უცნობია
16	აგვისტო 2017წ	ბარსელონა	IS მიმდევრები	12/80

ამ ფონზე მიმოვიხილოთ ინციდენტი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის (ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, დაიღუპა 3000-ზე მეტი ადამიანი, 24 ითვლება დაკარგულად, დაზარალდა 1000-ზე მეტი.) შემდეგ ტერორიზმთან ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უპირველეს გამოწვევად იქცა. როგორც ვიცით ყოველი ტერორისტული აქტი, სადაც მშვიდობიან მოსახლეობას ექმნება საფრთხე, ყველა სახის ძალადობრივი აქტის მსგავსად რაღათქმაუნდა დანაშაულებრივ ქმედებას გაენეკუთვნება, და შესაძლოა მოტივირებული იქნას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

დღესდღეობით ტერორიზმი გვევლინება, როგორც ,,საერთაშორისო ტერორიზმი''-სა და ,,საერთაშორისო ტერორისტი''-ს სახით. იმისათვის, რომ ტერორისტულმა ორგანიზაციამ ჩამოაყალიბოს თავის სტრუქტურა და შექმნა მთლიანი სისტემა, აუცილებელია მას ჰყავდეს ,,სახე'' ტერორისტი ლიდერის სახით, რომელიც აღქმული იქნება, როგორც სიმბოლო ტერორისტებისათვის და გარკვეულ შემთხვევაში ,,სიმბოლო'' საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციისათვის. ტერორისტი ლიდერების ჩამოყალიბება და მათი გარდაქმნა ჯერ კიდევ პოსტსაბჭოთა ეპოქაში კერძოდ 1990 წელს დაიწყო ,,პირველი ჩეჩნეთის ომი'', სადაც რუსეთი მწვავედ შეეჯახა ტერორიზმის პრობლემას, რომელიც გამოიხატებოდა გახშირებული ტერო-რისტული აქტების მოწყობით რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ: (ტერორისტული აქტები: ბუდიონოვსკში-შამილ ბასაევი 14.06-19.06.1995. ყიზლარში-სალმან რადუევი და ისმაილოვი 09.01.-18.01.1996 და სხვა) რამაც თითოეული ტერორისტის სახე, საკმაოდ „ცნობადი" გახადა, როგორც საკუთარი ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო არენაზე. მაღალი ალბათობით სწორედ ამ ცნობადობამ ჩაუყარა საფუძველი მათ ზემოქმედების მასშტაბების გაზრდას, როგორც მიმდევრების რაოდენობის ზრდის, ასევე მათი მოთხოვნების მაქსი-მალურად დაკმაყოფილების თვალსაზრისით. უნდა ავღნიშნოთ, რომ გადამწყვეტი როლი ტერორისტული ლიდერის სახის ფორმირებაში ოსამა ბინ ლადენმა ითამაშა, რომელიც ასოცირდებოდა ,,ნომერ პირველ ტერორისტად'' მსოფლიოში. ღია წყაროებში ბევრს საუბრობენ მის მონაწილეობაზე ავღანეთის ომში, თანამშრომლობაზე CIA-თან, ტერორისტულ აფეთქებებთან კენიასა და ტანზანიაში, 1979-1989 წლებში სსრკ (CCCP) წინააღმდეგ ავაღანეთის კონფლიქტში მონაწილეობაზე და სხვა. შესაძლოა ამ ინფორმაციებს მყარი საფუძვლები არ გააჩნიათ, მაგრამ ფაქტია, რომ მის გარშემო არსებულმა ასეთი სახის ,,მითების'' შექმნამ უდიდესი წვლილი შეიტანეს მისი, როგორც მთავარი, უძლეველი ტერორისტული ლიდერის ,,კულტის'' ჩამოყალიბებაში. მასმედიაში დღემდე არსებობს ურთიერთგამომრიცხავი აზრები ბილ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ,,ნომერ პირველი ტერორისტის'' სახელი (როგორც

„სიმბოლო“)[95] ,,სიკვდლის“ შემდეგაც მეტად აქტუალურია და კვლავაც ახერხებს მომხრეთა თუ მოწინააღმდეგეთა სახით ადამიანთა მიზიდვას. უახლეს ისტორიაში განვითარებულ მოვლენათა და ფაქტების ანალიზი იძლევა საფუძველს დავსკვნათ, რომ 2001 წლის „9/11“-ის ტერაქტმა სრულიად შეცვალა ამერიკის შეერთებული შტატების ხედვები უსაფრთხოებაზე და ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა ცენტალური სადაზვერვო სააგენტო და გამოძიების ფედერალური ბიურო. დღესდღეობით ტერორიზმის წინააღმდეგ მსოფლიოში მრავალფუნქციური ტექნიკური საშუალების არსებობა-გამოყენების ფონზე მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა ვერ ხერხდება. თითქმის იდენტური მდგომა-რეობაა ტერორიზმთან ბრძოლის ე.წ. აგენტურული მეთოდების გამოყენების პირობებშიაც, რაც თავის თავში ტერორისტული ორგანიზაციების წევრების გადა-ბირებას, ან ამ ორგანიზაციაში აგენტურულ ჩანერგვას გულისხმობს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი მონაცემებია ასახული პულიცერის პრემიის მფლობელ Joby Warrick -ის წიგნში „The Triple Agent: The al-Qaeda Mole who Infiltrated the CIA.“[96]მასში ასახულია ჟურნალისტური გამოძიების შედეგები, რომელსაც გარკვეულწილად მკითხველი შეჰყავს იმ დახურულ ლაბირინთებში, სადაც მზადდება ანტიტერორისტული ოპერაციები. ფაქტობრივი მასალის ანალიზით იკვეთება შემდეგი: 2009წლის დეკემბერში იკრიბება ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) საუკეთესო ანტიტერორისტული ჯგუფი ავღანეთის საიდუმლო ბაზაზე, რათა შეხვდნენ გადაბირებულ აგენტს, წარმოშობით იორდანელს „Humam Khalil al-Balaw“-ს, რომელსაც ერთ- ერთი მნიშვნელოვალი ადგილი უჭირავს ალ-ქაიდას ორგანი-ზაციაში. ალ-ბალავი ერთგვარ სატყუარას წარმოადგენდა „CIA“-სათვის რათა, რაც შეიძლება სწრაფად მოეხდინათ ბენ ლადე-ნის ლიკვიდაცია. საიდუმლო შეხვედრაზე მიზნობრივი გადაბირების დროს ალ-ბალავი დათანხმდა თანამშრომლობას და მას განმარტებული ჰქონდა სადაზვერვო მისიაში მისი როლის შესახებ. ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც კი ინფორმირებული იყო სპეცსამსახურსა და გადაბირებულს შორის ე.წ. „საბოლოო ქმედებათა შესათანხმებელ“ ერთ-ერთ შეხვედრის ირგვლივ. თუმც შეხვედრისას მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: ავტომანქანიდან გადმოსულმა ალ-ბალავმა თავი აიფეთქა და მასთან ერთად დაიხოცა CIA-ის საუკეთესო აგენტები, ეს ფაქტი დაკვალიფიცირდა, როგორც აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოზე განხორციელებულ ტერაქტად. ჟურნალისტის თვალით მკვეთრად არის ნაჩვენები ანტიტერორისტული სააგენტოს მოქმედების ის გზები, რომლებსაც ისინი იყენებდნენ ალ-ქაიდას, როგორც მძლავრ ორგანიზაციაში შეღწევისათვის და მისი ჩამოშლისათვის, რომელსაც რო-გორც ისინი თვლიდნენ მისი ლიდერის ბინ ლადენის განადგურებით მიაღწევდნენ. მიუხედავად აღნიშნული მძიმე დანაკარგისა ავტორი ბინ ლადენის ლიკვიდაციას დადებით მომენტად აღიქვამს, რადგან ყველა ტერორისტული აქტი, რომელიც განხორციელდა ან განხორციელდება აშშ-ში არ დარჩებმა დამსახურებული სასჯელის გარეშე. საზოგადოების თვალში ჩაითვლება თუ არა ალ-ბალავის გადაბირება წარმატებულ ოპერაციად ეს რთული სათქმელია, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ სწორედ აღნიშული აგენტურული ქსელისა და ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ ბინ ლადენის ადგილსამყოფელის

[95]Булгаков С.Н. „ОБРАЗ МЕЖДУНАРОДНОГО ТЕРРОРИСТИЧЕСКОГО ЛИДЕРА В СЕТИ ИНТЕРНЕТ.“ http://pstmprint.ru/wp-content/uploads/2016/11/IW-1-2012-4.pdf;

[96]The Triple Agent: The al-Qaeda Mole who Infiltrated the CIA. Joby Warrick, New York: Doubleday, 2011. 244 pp., incl. illustrations and maps;

დადგენა.

ტერორიზმის წინააღმდეგ კოლექტიური ბრძოლის ორგანიზების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს 9/11-ის ტერაქტის შემდგომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ მე-5 მუხლის გამოყენება, რომელიც კოლექტიური თავდაცვის მიზნით სამხედრო ძალების გამოყენებას გულისხმობს. გადაწყვეტილების სისწორეზე და ტერორისტული საფრთხეების მასშტაბების გაზრდის პერსპექტივის გამორიცხვის მიზნით 2003 წელს ქ.ბრიუსელში „ევროკავშირიც" შეუერთდა ერთიანი თავდაცვითი სტრატეგიის დოკუმენტს.უნდა აღინიშნოს, რომ „ნატოსა" და „ევროკავშირის", ასევე ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები ტერორიზმთან ბრძოლას ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევენ და შესაბამისად მათი სადაზვერვო სამსახურები სათანადო ღონისძიებებსაც ასრულებენ. ამასთან ერთად ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის თვალსაზრისით ანტიტერორიზმის კუთხით არსებული სადაზვერვო მონაცემების რეალიზაციისათვის არსებობს შესაძლებლობა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დამფუძნებელი ხელშეკრულების (მუხლი 4)[97] შესაბამისად მხარეებმა გამართონ კონსულტაციები, რადგან ტერორიზმი საფრთხეს უქმნის ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების როგორც ტერიტორიულ მთლიანობას, ისე პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას. რაც შეეხება ტერორიზმის წინააღმდეგ კოორდინირებული ოპერაციული (მათ შორის სადაზვერვო და საომარი მოქმედებები) ხასიათის ქმედებების საფუძველს ამ მიმართებით საყურადღებოა იმავე ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვითაც: „მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად."[98] ამასთან ერთად, უნდა ავღნიშნოთ რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიცვალა ტერორიზმის გაგება თუ ადრე ტერორისტებს ებრძოდნენ როგორც ყაჩაღებს, ახლა მსხვერპლის მასშტაბებიდან გამდინარე ტერორისტულ ქმედებას სამხედრო აგრესიის კლასიფიკაცია მიეცა, რაც მასთან ბრძოლისათვის რადიკალური ზომების გამოყენების საშუალებასაც იძლევა.

ამერიკის შეერთებული შტატების, ,,ნატოსა'' და ,,ევროკავშირისათვის'' ასევე ზოგადად მსოფლიო თანამეგობრობისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას „ტერორისტ-სახელმწიფოთა" არსებობა წარმოადგენს. შესაბამისად ანტიტერორიზმის კუთხით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტერორისტულ აქტებს სადაზვერვო ხასიათიც აქვს, რასაც ადასტურებს სახელმწიფოების პირდაპირი და ირიბი ფორმით (მათ შორის პროპაგანდის გამოყენებით) ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირები. ამ კუთხით საინტერესოა ღია წყაროებში გამოქვეყნებული მასალების ანალიზის შედეგად მოპოვებული ინფორმაციები. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელმწიფოებმა დაიწყეს ტერორისტული ორგანიზაციების გამოყენება თავიანთი ეროვნული ინტერესებისათვის. ამ პროცესის ორგანიზატორი სახელმწიფო უზრუნველყოფდა ტერორიზმის ხელშემწყობ ფინანსურ ან/და პოლიტიკურ მხარდაჭერას, რათა ტერორისტულ ორგანიზაციას შეენარჩუნებია და გაეფართოვებინა ბრძოლა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტამდე. ამ შემთხვევაში სახელმწიფოთა მიერ ტერორისტების მხარდაჭერა ემსახურე-

---

[97]„ჩრდილოატლანტიკურიხელშეკრულება." ვაშინგტონი, კოლუმბიისოლქი - 4 აპრილი, 1949 წ. მუხლი 4. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120. htm?selecte dLocale=ka;

[98]იქვე.;

ბოდა საკუთარი სტრატეგიული მიზნების მიღწევას, განსაკუთრებით ისეთი გარემოებების არსებობისას, როდესაც შეიარაღებული ძალების გამოყენება არაეფექტურია, ზედმეტად სარისკო და რთული. უნდა გავითვალისწინოთ რომ საომარი მოქმედებების წარმოება დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და არსებობს დამარცხებისა და ომის მწარმოებელი სახელმწიფოს აგრესორად აღქმის საფრთზე. სახელმწიფოს ტერორიზმში მონაწილეობა კი საკმაოდ შენიღბული ორგანიზებული პროცესებისაგან შედგება, რომელშიაც დაინტერესებული და ორგანიზატორი სახელმწიფოების გაშიფვრის ნაკლები ალბათობა არსებობს. ამ მიმართულებით არც დღეის მდომარეობით არ შეცვლილა ვითარება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უმეტესწილად ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერ ქვეყნებად არადემოკრატიული სახელმწიფოები გვევლინებიან და მნიშვნელოვანია ასევე იმის გათვალისწინება, რომ აღნიშნული ქვეყნების დაუძლურებით საერთაშორისო პოლიტიკაში მიღწეული იქნება ტერორისტული ორგანიზაციების უძლურება. სამწუხაროდ სახელმწიფოთა მიერ ტერორიზმის მხარდაჭერის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნათალად აისახება საერთაშორისო არენაზე არსებული ის ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც არსებობს სუპერძალებსა და სახელმწიფოებს, სახელმწიფოთა ალიანსებსა და ორგანიზაციებს, ლიგებსა და დაჯგუფებებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქვეყანა აანალიზებს თუ რაოდენ დიდი ზიანის მიყენება შეუძლია მისთვის ტერორიზმს, ისინი მაინც თავიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს ანიჭებენ უპირატესობას.

გამოთქმული მოსაზრებების გასამყარებლად საყურადღებოა საბჭოთა კავშირის (სსრკ) მოღვაწეობა „ცივი ომის“ პერიოდში. სწორედ სსრკ გახლდათ ტერორისტული ორგანიზაციების ერთ-ერთი პირველი დამფინანსებელი.[99] ის ერთდროულად ეხმარებოდა იაპონელთა წითელ არმიას, პალესტინურ ტერორისტულ დაჯგუფებებს, ირლანდიის რევოლუციურ არმიას და ა.შ. სსრკ-ს დაშლის შემდეგ მისი ადგილი ირანმა დაიკავა,[100] ეს უკანასკნელი ჰესბოლას, როგორც ფინანსურად ასევე იარაღით უზრუნველყოფს და მხარს უჭერდა ყველა მის ოპერაციას საერთაშორისო არენაზე. აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ირანს უწოდა ,,მსოფლიოში ტერორის მთავარი სპონსორი სახელმწიფო''. ირანი ჰესბოლას გარდა მხარს უჭერს ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებს, როგორიც არის „ჰამასი“, პალესტინური „ისლამური ჯიჰადი“ და „ალ-მადის არმია“. აღსანიშნავია ასევე ტერორიზმის დიდი მხარდამჭერია პაკისტანი (მიუხედავად იმისა, რომ პაკისტანის მთავრობა კატეგორიულად უარყოფს ამ მხარდაჭერას). ინდოეთი, ავღანეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, აშშ და კანადა პაკისტანის ხელისუფლებას ქაშმირსა და ავღანეთში (მათ შორის თალიბების მხარდაჭერაში) ტერორისტულ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობაში ადანაშაულებენ. *ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:*

-დღეის მდგომარეობით „ნატო“ წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ

---

[99] „How the Soviet Union Transformed Terrorism.“ NICK LOCKWOOD DEC 23, 2011. https://www.theatlantic.com/international/archive/2011/12/how-the-soviet-union-transformed-terrorism/250433/;

[100] „Iranian State Sponsorship of Terror: Threatening U.S. Security, Global Stability, and Regional Peace Testimony of Matthew A. Levitt Senior Fellow and Director of Terrorism Studies The Washington Institute for Near East Policy February 16, 2005 Joint Hearing of the Committee on International Relations Subcommittee on the Middle East and Central Asia, and the Subcommittee on International Terrorism and Nonproliferation United States House of Representatives. https://www.washingtoninstitute.org /html/pdf/Iran-Testimony-2-16-05.pdf;

წარმატებულ გაერთიანებას, რომლის პირობებში მის წევრ სახელმწიფოებს აქტიური და წარმატებული, კოორდინირებული სადაზვერვო (აგენტურული ან/და ოპერაციული, პრევენ-ციული) საქმიანობის შესაძლებლობა აქვთ როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ბრძოლის ფარგლებში, ტერორისტული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად;

-თანამედროვე ეტაპზე „ნატოს“ მნიშვნელოვან როლს განაპირობებს ის გარემოება, რომ თანამედროვე მსოფლიოში რიგი სახელმწიფოები საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესების შესაბამისად აქტიურად არიან ჩართული ტერორისტულ ორგანიზებაში, რაც ტერორიზმს სადაზვერვო ხასიათს ანიჭებს.

Magdana Beselia
Caucasus International University. Master-
International Relations and International Security

"NATO" and terrorism, Intelligence character of Terrorism

Summary

Today, NATO is a successful association against terrorism, with which it's Member States engage in active and successful coordinated security (aggressive and / or operational, preventive) activity in both individual and collective combat against terrorist threats. Therefore the topic of research: "NATO" and terrorism. The Enlightenment of Terrorism "in the modern phase is relevant.

ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი.
თენგიზ ენდელაძე- ისტორიის დოქტორი
გოგი ჯაბაური -ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი
დავით კუხალაშვილი -ისტორიის დოქტორი

სახელმწიფოს ეთნიკური (და რელიგიური) უშიშროების მნიშვნელოვანი ასპექტები

სახელმწიფოში სტაბილური ოპერატიული ვითარების შენარჩუნება-გაუმჯობესება კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის გამორიცხვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ოპერატიული ვითარება კი პირობათა ერთობლიობაა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს მოწინააღმდეგესთან სახელმწიფო უშიშროების ორგა-ნოების ბრძოლის ხარისხზე. [101] ოპერატიული ვითარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებას ოპერატიულ-აგენტურული ვითარება, ხოლო შემადგენლებს დაზვერვის დაინტერესების მიმართულებით არსებული ვითარების შესწავლის უზრუნველმყოფი ძალების, საშუალებებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების ერთობლიობა წარმოადგენს.

ოპერატიულ-აგენტურული ვითარების ძირითად ელემენტთაგან გამორჩეულია დაზ-ვერვის დაინტერესების სფეროები, მათ შორის მოსახლეობის რელიგიური და ეთნო-ფსიქოლოგიური თავისებურებები.გამოდის რომ, სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო ორგანი-ზების მნიშვნელოვან მიმართულებას, საკუთარ სახელმწიფოში, მოსახლეობის რელიგიური და ეთნო-ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა-კონტროლი და ამ კუთხით უცხო სახელმ-წიფოთა სადაზვერვო (დამაზია-ნებელი) ზეგავლენისაგან თავდაცვა წარმოადგენს. სახელმ-წიფოში ოპერატიული ვითარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ერთ-ერთ მნიშვნელო-ვან რგოლს პოლიციური სტრუქტურები წარმოადგენენ. ზემოგანხილულიდან გამომდინარე კი ისინი სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურებთან ერთად კოორდინირე-ბულად უნდა მოქმედებდნენ სახელმწიფოს რელიგიური და ეთნიკური უშიშროების უზრუნველყოფის მიმართულებით. უნდა ავღნიშნოთ, რომ სახელმწიფო უშიშროების მიმარ-თულებით, კონფლიქტების დროული გამოვლენა-აღკვეთა-თავიდან აცილების პროცესში განხორციელებული ოპერატიული საქმიანობისას ეთნიკური და რელიგიური ფაქტორების დაშორიშორება პრაქტიკულად შეუძლებელია. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავ-შირებული. შესაბამისად შეკითხვაზე-რა დროს უნდა ერთვებოდნენ ოპერატიულ-აგენტურული ფუნქციების მქონე სტრუქტურები სხვადასხვა კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით-ვფიქრობთ პასუხი ცალსახაა, აღნიშნული ფუნქციების მქონე სტრუქტურები „სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით ოპერატიული სამსახურების ძალებითა და საშუალებებით მუდმივად, აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული საკუთარი სახელმწიფოსა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველმყოფ საქმიანობაში“.[102]

გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება საქართველოს ისტორიის მაგა-

---

[101] „სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი“. საქართველოს დაზვერვის სამსახური. სპეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი. თბილისი 2011. გვ.11;

[102] დ.კუხალაშვილი. „საპოლიციო სტრუქტურების და სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის ისტორიიდან“. შსს აკადემიისგა-ზა. 2015. გვ. 19;

ლითები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ხელი შეუშალა ეთნიკური და რელიგიური სიჭრელით გამორჩეულ ტერიტორიებზე შექმნილმა რთულმა ოპერატიულმა ვითარებამ, რაზედაც უცხო სახელმწიფოებმა წინასწარ, მიზნმიმართულად იზრუნეს. ეთნიკური და რელიგიური სიჭრელით გამორჩეული ტერიტორიები უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურების ინტერესების შესაბამისად იქნა გამოყენებული. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 1800 წელს ცხოვრობდა 675 000 კაცი(მათ შორის 11% არაქართველი), 1897 წელს - 1 928 000 (მათ შორის 32% არაქართველი). [103]„1908-1915 წლებში რუსეთის შიდა გუბერნიებიდან საქართველოში 66000 კაცი გადმოასახლეს"...დაგეგმილიიყო „საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში ნახევარი მილიონი კოლონისტი გადმოესახლებინათ და მხარის მოსახლეობაში რუსეთის ხვედრითი წილი 2,5%- დან 15%- მდე გაეზარდათ.“ [104]

დამოუკიდებლობის წინა პერიოდში „ეთნოგრაფიული შემადგენლობის მიხედვით: საქართველოში აფხაზების, ქართველი სომხებისა და ქართველი ებრაელების გარდა ქართველთა რიცხოვნობა 2058356 კაცს შეადგენდა. *ქართული ჯგუფი*, რომელსაც ქართველთა გარდა მიეკუთვნებოდნენ აფხაზები, აგრეთვე *ქართულიდედაენით:* ქართველი ებრაელები და ქართველი-სომხები, რიცხოვნობით 176557 კაცი იყო. არსებობდა *არაქართული ჯგუფი* რომლშიც შედიოდნენ საქართველოში მცხოვრები სომხები, რუსები, თურქები, ოსები, ბერძნები, გერმანელები და სხვა, რომელთა რაოდენობა 712780 იყო.ამ განფენით უნდა ვივარაუდოთ, რომ ბოლო ჯგუფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილ ძალად მოიაზრებოდა.გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება რამოდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითი. ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, გერმანიის სადაზვერვო ორგანიზებით, მათი საჯარისო ნაწილების შემოსვლამდე, საქართველოში მცხოვრები გერმანელებისაგან შეიარაღებული ჯგუფების (ე.ი. ე თ ნ ი კ ურ ი თ ა ნ ხ ვ ე დ რ ის ნ ი შ ნ ი თ) ჩამოყალიბება მოხდა. გერმანიის სადაზვერვო ცენტრი დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას პრორუსულად აღიქვამდა და მისი ძალადობრივი დამხობის ორგანიზებას პოლიტიკური დაზვერვის ობიექტი ერთ-ერთი ქართული პოლიტიკური პარტიის მეშვეობით გეგმავდა. პოლიტიკური პარტიის ლიდერს მზვერავმა შემდეგი სიტყვებით მიმართა: „თქვენ არა გაქვთ დიდი ორგანიზაცია, საბოლოო გადატრიალება მოახდინოთ...სამაგიეროდ, მე უკვე იმდენი ჯარი მყავს, 24 საათში შემიძლია განვაიარაღო მაგათი გვარდიის ბანდები...მაგრამ, ეს იქნებოდა გარეშე ძალის ჩარევა შინაურ საქმეებში, რასაც მე ვერ ვიზამ, როგორც საქართველოს მეგობარი. თუ თქვენ თვითონ მოახერხებთ, გინდ ერთი საათით სასახლის დაჭერასა და მთავრობის გარეკვას, გამოაცხადებთ ამ მომხდარ გადატრიალებას, მაშინ მე მთელი ჩემი უფლებითა და ჯარით დავიცავ ახალ რეჟიმს”.[105]აღნიშნულის გათვალისწინებით, გერმანული დაზვერვის ორგანიზებით ეთნიკური თანხვედრის საფუძველზე შექმნილი შეიარაღებული ფორმირებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წეს-წყობილების ძალადობრივი

---

[103]პროფ. ნოდარასათიანი, პროფ. გიორგიოთხმეზური, პროფ. მიხეილსამსონაძე, პროფ. გივიჯამბურია. ,,საქართველოსისტორია XVIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე“. ტომი IV საქა. მეც. ერ. აკადემია. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიისშესწავლისადაპროპაგანდისსამეცნიეროკვლევითიცენტრი. თბილისი. 2012. გვ.184;

[104]გ.გოცირიძე, "პირველიმსოფლიოომიდასაქართველო." გა-ბა " უნივერსალი. თბილისი. 2009. გვ.41;

[105]რ. გაბაშვილი, ვ. გოგუაძე “მოგონებანი”, თბილისი. 1992 წ. გვ.251;

რღვევის ორგანიზების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

ეთნიკური (და რელიგიური) თანხვერით სადაზვერვო (დამაზიანებელი) ზეგავლენის დამადასტურებელია, 1918 წლის 26 მაისამდე ამიერკავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერ-ბაიჯანი) ხელისუფლების (ე.ი. ს ტ რ ა ტ ე გ ი ულ ი პ ა რ ტ ნ ი ო რ ო ბ ის) პირობებში შექმნილი ვითარება, „როდესაც შეტევაზე გადმოსულ თურქეთის არმიას ახლად ჩამოყალი-ბებული ქართულ-სომხური რაზმები ვერ აკავებდნენ, აზერბაიჯანელებმა უარი განაცხადეს ერთმორწმუნე და ეთნიკურად მონათესავე თურქებთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე“.[106] ეთნიკური (და რელიგიური) თანხვედრით სადაზვერვო ზეგავლენის დამადასტუ- რ ე ბ ელ ი ა, სომხეთის დამოკიდებულ ებები საქარ თველ ოს დემოკრ ატიულ რესპ ბლ იკაში მცხოვრებ სომხურ ეთნოსთან. სომხეთი განსაკუთრებულ ყურადღ ებას საქარ თველ ოში მცხოვრებ(თანამოძმე) ეთნიკურ ჯგუფ ში სადაზვერვო ხასიათის ოპერატიულ-აგენტურულ შეღწე-ვადობაზე ამახვილებდა. ეთნიკური (და რელიგიური) თანხვედრით სადაზვერვო ზეგავლენის თავიდან აცილების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს გააჩნდეს ე ფ ე ქ ტ ურ ი ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ ა. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში არსებული კანონმდებლობა. [107] 1918 წლის 24 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და მთავრობის მიერ მიღებული იქნა კანონი „რესპუბლიკის მტრის დახმარებისათვის ქონების კონფისკაციის შესახებ“.კანონის მიხედვით, უძრავ-მოძრავი ქონება რესპუბლიკის ხაზინის სასარგებლოდ ჩამოერთმეოდა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა საქართ-ველოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში, აგრეთვე მტრისათვის აქტიური დახმარებისათვის (გამოხატულს იარაღის, ფულისა თუცნობების მიწოდებითა და საერთოდ მტრის სამხედრო მოქმედების ხელის შეწყობისათვის). აღნიშნული მუხლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდესში შეტანის მიზანშეწონილება, საქართველოში არსებული უმძიმესი ოპერატიული ვითა-რების გათვალისწინებით ვფიქრობთ საზოგადოების სამსჯავროზეა გასატანი. ამასთან ერთად, სასურველია სახელმწიფოს ორგანიზებით საზოგადოების, იურისტების, ოპერატიული სამსახუ-რების მოქმედი, ამ სამსახურებში მუშაობის პრაქტიკის მქონე თანამშრომლებისა და მეცნიერების კოორდინირებული ქმედებების ორგანიზება სახელმწიფოს ეთნიკური (და რელ იგიური) უშიშროების მაორგანიზებელი კანონმდებლობის შესაქმნელად. ყოველივე ფასადური დემო-კრატიის პირობებში უცხო სახელმწიფოთა ინტერესების ხელშემწყობი (უკვე შექმნილი და შესა-ქმნელი) კანონმდებლობის გამოყენების გამორიცხვის, ეროვნული უსაფრთხოებისა და შესა-ბამისად სახელმწიფო უშიშროების განმტკიცების მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდება. ამასთან ერთად, სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის პროცესში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართუ-ლი ეროვნული უმცირესობების (მათ შორის სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო, პოლიციურ და სხვა ძალოვან სტრუქტურებში წარსულში მომუშავე) ის წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებით დაამტკიცეს, რომ საქართველოს პატრიოტები არიან. განხილული საკითხებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო სტრუქტურება

---

[106] გიორგიანჩაბაძე. „საქართველოსისტორია.“მოკლენარკვევი. რედაქტორი: ნაირაგელაშვილი. კავკასიურისახლითბილისი. 2005. გვ.22 .http://eprints.iliauni.edu.ge;

[107] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული: 1918-1921 / რე-დაქტორი: ვ.შარაშენიძე; შემდგენელი: ე.გურგენიძე. გამომცემლობა: "ივერთმხარე", თბ. 1990.492,[3] გვ.;

გაითვალისწინონ შემდეგი რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბი:

1. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მხრიდან სახელმწიფოს უშიშროებაზე დამანგრეველი ზემოქმედების მქონე, არსებული წეს-წყობილების (კონსტიტუციური წყობილების) ძალადობრივი რღვევის პროცესის დროული გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილების კუთხით აუცილებელია, ოპერატიულ-აგენტურულ კონტროლს დაექვემდებაროს: ა)საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების ეთნიკურად თანხვედრილი ჯგუფები, არაკეთილსაიმედო კონტაქტებისა და ქმედებების ორგანიზების მიმართულებით; ბ) საქართველოსადმი არამტრულად განწყობილი (მათ შორის სტრატეგიულად პარტნიორი) სახელმწიფოების ეთნიკურად თანხვედრილი ჯგუფები, არაკეთილსაიმედო კონტაქტებისა და ქმედებების ორგანიზების მიმართულებით, რათა მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ხელისუფლებისადმი დროულობით, სანდოობით და სრულყოფილებით გამორჩეული საიდუმლოების ხარისხით დაცული ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდებით, მოსალოდნელი საფრთხეების ირგვლივ სპეციალურ ღონისძიებათა წარმატებით გატარება იყოს უზრუნველყოფილი.

2. ეთნიკური (და რელიგიური) ტოლერანტობის უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს სპეცსამსახურებსა და პოლიციურ სტრუქტურებს უნდა გააჩნდეთ სტატისტიკური მონაცემები საქართველოს სახელმწიფოებრიობისადმი არაკეთილგანწყობილი ეთნიკური (და რელიგიური) ჯგუფებისა და პირების შესახებ, რომელიც გაამარტივებს:

ა) ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის კუთხით მათ შესწავლას;

ბ) მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ხელისუფლებისადმი დროულობით, სანდოობით და სრულყოფილებით გამორჩეული საიდუმლოების ხარისხით დაცული ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდებას;

გ) მოსალოდნელი საფრთხეების ირგვლივ სპეციალურ ღონისძიებათა წარმატებით გატარებას;

დ) სახელმწიფოში სტაბილური ვითარების შენარჩუნება-გაუმჯობესებას.

3. აუცილებელია სახელმწიფოს ორგანიზებით განხორციელდეს საზოგადოების, იურისტების, ოპერატიული სამსახურების მოქმედი, ამ სამსახურებში მუშაობის პრაქტიკის მქონე თანამშრომლებისა და მეცნიერების კოორდინირებული ქმედებების ორგანიზება სახელმწიფოს ეთნიკური (და რელიგიური) უშიშროების მაორგანიზებელი კანონმდებლობის შესაქმნელად.

Researching center of National and Corporative Security

Tengiz Endeladze-Doctor of Historical Sciences

Gogi Jabauri-Doctor of Physical and Mathematic Sciences

Davit Kukhalashvili-Doctor of Historical Sciences

State ethnic (and religious) security important aspects

Summary

The important direction of the state counter-intelligence organization in the own state is the control and studying of religious and ethno-psychological peculiarities and defence from reconnaissance (damaging) influence of the foreign states.

The research to this direction is completed with proper recommendations on implementation of the important preventive measures by the state.

ირაკლი ყიყიშვილი
სსიპ შსს აკადემია-საპოლიციო რეგულირების სამართლის
მაგისტრი, ნიუვიჟენ უნივერსიტეტი (New Vision University) -
სამართლის დოქტორანტი. შსს ქ. თბილისის პოლიციის დე-
პარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ანალიტიკოსი

„ჰიბრიდული ომის“ პირობებში სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციის მაპროვოცირებელი გარემოებები

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მისი დაცვის სათანადო მექანიზმებით აღჭურვას უკავშირდება. უსაფრთხობის დაცვის მექანიზმების ერთობლიობა უსაფრთხოების სისტემას ქმნის, რომლის ძირითად მიმართულებებს სახელმწიფო ინტერესების უზრუნ-ველყოფის მიზნით განხორციელებული საქმიანობა-ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და ოპერატიული კონრტოლი წარმოადგენს. ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესების კონტროლი, საფრთხეების იდენტიფიცირება და მათი აღკვეთის მიზნით ადეკ-ვატური ქმედითი მექანიზმების შემუშავება სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. შესაბამისად, სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებად უნდა მივიჩნიოთ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისას კონცეპტუალურ დოკუმენტებში სახელმწიფოს წინაშე რეალურ დროში არსებული გამოწვევების გათვალისწინება და მათი მუდმივი განახლება.

„ჰიბრიდული ომი“, როგორც სახელმწიფოზე ზეგავლენის განხორციელების ფორმა, ეროვნულ უსაფრთხოებას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. მისი წარმოების ფორმები სადაზვერვო-ოპერაციული საქმიანობის[108] განხორციელების ფორმებს შეესაბამება, რაც ეროვ-ნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებას ემსახურება. სამხედრო და სამოქალაქო, იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერო-რისტული და ზემოქმედების სხვა ფორმების კომბინაცია მოწინააღმდეგის დაზიანების მიზნით უსაფრთხოების თითოეულ სფეროში ეფექტური შედეგის მიღების საშუალებას იძლევა. ზემოქმედების თვალსაზრისით განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ ექცევა საზოგადოებრივი განწყობა სახელმწიფოში, რომლის მიზანმიმართული მობილიზების პირობებში შიდა პოლიტიკურ სტაბილურობა შესაძლოა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.

„ჰიბრიდული ომის“ წარმოების ფორმების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ჩნდება კონცეფციის ეროვნული უსაფრთხოების ახალ გამოწვევებთან ადაპტირების საჭიროება. იგულისხმება როგორც არსებული საფრთხეების ობიექტურად იდენტიფიცირება, ასევე პოლი-ტიკური და ოპერატიული ვითარების გათვალისწინებით უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართუ-ლებების განსაზღვრა. სახელმწიფოებს შორის უძველესი დროიდან მიმდინარეობს ფარული ინფორმაციული ომი. აშკარად გამოვლენილი დაპირისპირებები კი ამ ომის მხოლოდ გამომჟღავნებას ნიშნავს. სხვადასხვა ფორმითა და მეთოდებით თითოეული სახელმწიფოს მიზანს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა და საერთაშორისო არენაზე გავლენის სფეროების გაფართოება წარმოადგენს, რაც თანამედროვე ლიტერატურაში „ჰიბრიდული ომი“–ის სახელწოდებით არის ცნობილი. ჯერ კიდევ მე–20 საუკუნეში საუბრობდნენ მეოთხე თაობის ომის თავისებურებებზე, სადაც აქტიურ სამხედრო მოქმედებებთან ერთად მოწი-

[108] „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისმე-2 მუხლის შესაბამისად, „სადაზვერვო საქმიანობა არის საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საგარეო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი, რეალიზაცია, აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში ქვეყნის სტრატეგიული კურსის გატარებისათვის ხელის შეწყობა.“;

ნააღმდეგეზე ეფექტური ზემოქმედების ფორმად იდეოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, საინ-ფორმაციო, ტექნოლოგიურ და სხვა ელემენტების გამოყენებას მიიჩნევდნენ. [109] აღნიშნულ ხერხებსა და მეთოდებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ცივი ომის დროს, ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი საკუთარი სტრატეგიული, პოლი-ტიკური, ეკონომიური ინტერესების გასატარებლად და გავლენის სფეროების გასა-ფართოებლად აქტიურად მიმართავდნენ.

ფრენკ ჰოფმანი „ჰიბრიდულ ომს“ განსაზღვრავს, როგორც საომარი და არასაომარი, ფსიქოლოგიური, ტერორისტული, იდეოლოგიური და სახვადასხვა შემადგენლობის, საშუა-ლებების, მომზადების დონისა და ხასიათის ძალების ჩართულობას საომარ მოქმედებებში.[110] სამხედრო ექსპერტები თანხმდებიან, რომ ბოლო დროს სახელმწიფოები სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების მისაღწევად უპირატესობას არასამხედრო საშუალებებს ანიჭებენ, რაც სამიზნე სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფას ემსახურება. [111] შეიძლება ითქვას, რომ „ჰიბრიდული ომის“ წარმოება ლეგალური და არა-ლეგალური მეთოდებით (მათ შორის კრიმინალური ელემენტებით) ხორციელდება. შესა-ბამისად, ჩნდება დამაზიანებელი ზემოქმედების მქონე ზეგავლენის ფორმების გამოვლენის და შესაბამისი კონტრზომების მიღების საჭიროება.

„ჰიბრიდული ომის“ წარმოებისას მაქსიმალური შედეგის მისაღწევად სახელმწიფოები სპეცსამსახურებს გამოიყენებენ, რასაც 2015 წელს „NATO“-ს მიერ მიღებული „ჰიბრიდული ომის“ წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სტრატეგიაც ადასტურებს. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში „ჰიბრი-დულ ომს“ განმარტავენ, როგორც ტაქტიკას, რომლის დროს სამხედრო საშუალებებთან ერთად ეკონომიკური ზეწოლის, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ელემენტები გამოიყენება. „ჰიბრიდული ომი“ ფარული და ღია ოპერაციების კომბინაციას წარმოადგენს. [112] შეიძლება ითქვას, რომ „ჰიბრიდული ომი“ ზეგავლენის მოპოვების როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საშულებების ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოე-ბის მოშლისკენ. მისგან მომდინარე საფრთხეების მუდმივი კონტროლი სახელმწიფოს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს, „რადგან ჰიბრიდული საშუალებების მიზანი სამხედრო საშუალებების სრულ გამოყენებამდე სახელმწიფოს დასუსტებაა, სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერე დამატებით მნიშვნელობას იძენს არასწორხაზოვან საფრთხეებთან გამკლავებაში.“[113] „ჰიბრიდული ომი“, როგორც შეიარაღე-ბული სამხედრო დანაყოფების, ასევე სპეცსამსახურების მეშვეობით, როგორც საომარ, ისე მშვიდობიან პერიოდში სახელმწიფოზე ზემოქმედების უზრუნველსაყოფად გამოიყენება. სადაზვერვო საქმიანობის, როგორც პოლიტიკის მნიშვნე-ლოვანი შემადგენელი ნაწილის [114] მიზანს სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეების

---

[109]Lind W.S., Nightengale K., Schmitt John F., Sutton J., Wilso G.I., The Changing Face of War: Into the Fourth Generation, Marine Corps Gazette, 1989, pg. 22–26;

[110]Hoffman, F.G., Hybrid Warfare and Challenges, JFQ / issue 52, 1st quarter 2009, 34;

[111]საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კონფერენცია, ჰიბრიდული ომი და მისი გავლენა ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებზე, 27 ოქტომბერი, 2015. <https://mod.gov.ge/ge/news/read/4266/hibriduli-omi-da-misi-gavlena-natos-cevr-da-partnior-qveknebze>, [10.05.2018];

[112]Press conference, NATO Secretary General Jens Stoltenberg following the meeting of the North Atlantic Council in Foreign Ministers session, <http://nato.int/cps/en/natohq/opinions_125362.htm?selectedLocale=en>, [10.05.2018];

[113]მგალობლიშვილი გ., ქუთელია ბ., გურული ი., ევგენიძე ნ., ჰიბრიდული ომი და ევროატლან-ტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), თბ., 2016, გვ.23.

[114]Mark m. lowenthal, The Oxford Handbook of National Security Intelligence, The Policymaker-Intelligence Relationship, Edited by LOCH K. JOHNSON, Oxford university press 2010, pg.450;

გამოვლენა და საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარება წარმოადგენს, რაც სათანადო ინფორმაციული უზრუნველ-ყოფით ხორციელდება. მოპოვებული და დამუშავებული ინფორ-მაციის რეალიზაციის ფორმები (სადაზვერვო ოპერაციები) „ჰიბრიდული ომის“ წარმოების ფორმების თანმხვედრია. „ჰიბრიდული ომი“ და სადაზვერვო-ოპერაციული საქმიანობა კომბინირებულად საერთო ღონისძიებათა კომპლექსს ქმნის, რომელიც ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველსაყოფად და კონკურენტ ქვეყანაზე უპირატესობის მისაღწევად ხორციელდება.

სახელმწიფოს შენების და განვითარების პროცესში ცენტრალური ადგილი უსაფრთ-ხოებას უკავია. სახელმწიფო უსაფრთხოების ე.ი. გარეშე ძალების დამაზიანებელი ზემოქმე-დებისაგან დაცვა სათანადო სამართლებრივი ბაზის და ორგანიზაციული სისტემის (მათ შორის სახელმწიფო ორგანოების მიერ ოპერატიული საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაციის) პირდაპირპროპორციულია. შესაბამისად, სახელმწიფოს პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მიღებული სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები სათანადოდ მოპოვებული, დამუშავებული და გაანალიზებული (მათ შორის მეცნიერული გათვლებით სრულყოფილი) ინფორმაციის შედეგებს უნდა ეფუძნებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია სწორი სტრატეგიული კურსის განსაზღვრა, შესაბამისად, სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფა წარმოუდგენელია. სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზებაში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სწორად დაგეგმვას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული საფრთხეების და გამოწვევების იდენტიფიცირება მათი ნეიტრალიზაციის მიზნით შესაბამისი ღონისძიების სწორად განსაზღვრის საშუალებას იძლევა. „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-2 მუხლი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას განსაზღვრავს, როგორც“საქართველოს სახელმწიფო ინტერესების უზრუნველსა-ყოფად განხორციელებული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის შიგნით და მისი ფარგლების გარეთ არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენას, იდენთი-ფიცირებას, შეფასებას, თავიდან აცილებასა და აღკვეთას.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესების კონტროლი და საფრთხის აღკვეთის მიზნით ადეკვატური ქმედითი მექანიზმების შემუშავება სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ყოველივე კი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით უნდა ხორციელდებოდეს. ამავე კანონის მე–14 მუხლის მიხედვით „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა ხორციელდება ეროვნული და უწყებრივი დონეების კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტების მეშვეობით.“ შესაბამისად, სტრატიგიული მნიშვნელობის საკითხებად უნდა მივიჩნიოთ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისას კონცეპტუალურ დოკუ-მენტებში რეალურ დროში სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინება და მათი მუდმივი განახლება. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის ძირითად სამართლებრივ ინსტრუმენტს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს, რომელიც უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში ფუნდამენტური დოკუმენტია. კანონის მე-15 მუხლში ის განმარტებულია, როგორც „(...) ფუძემდებლური დოკუ-მენტი, რომელიც განმარტავს ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს სახელმწიფოს წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.“ შეიძლება ითქვას, რომ კონცეფცია ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების კომბინირებულად ასახვის შესაძლებლობას იძლევა. მასში ასახული თითოეული პუნქტი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაზე, ვინაიდან მას უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული უსაფრთ-ხოების პოლიტიკის დაგეგმვის ყველა სხვა დოკუმენტი. ყოველივე კი მყარ უსაფრთხოების გარემოს – საკანონმდებლო ბაზას ქმნის.

საქართველოს ისტორიაში ეროვნული უსაფრთხოების ორი კონცეფცია იქნა მიღებული. 2011 წელს მიღებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ძველი კონცეფციის (2005 წლის) მემკვიდრეობაზე შექმნილი დოკუმენტია. მის ერთ–ერთ ღირებულებად უნდა ჩაითვალოს იმის გაცნობიერება, რომ ეროვნული უსაფრთხოება არამარტო სამხედრო, არამედ ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ენერგეტიკულ, დემოგრაფიულ უსაფრთხოებას და და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს სხვადასხვა სფეროში. კანონის მე–3 მუხლი განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემდეგ სფეროებს: სახელმწიფო თავდაცვა, საგარეო, შიდა, სოციალურ–ეკონომიკური, ინფორმაციული, ეკოლოგიური და ენერგეტიკული უსაფრთხოება და მართლწესრიგი. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა თითოეულ სფეროში არსებულ გამოწვევებზე შესაბამისი ღონისძიებების გატარებით მიიღწევა. შესაბამისად, კონცეფცია თითოეულ სფეროში რეალურ ან პოტენციურ საფრთხეებზე ადეკვატურ რეაგირებას უნდა ახდენდეს. ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური ვითარების შენარჩუნება და ამ მიზნით მისი მუდმივი კონტროლი სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნული მიზნით არსებული საფრთხეების გამოვლენა, აღკვეთის მექანიზმების შემუშავება და მისი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისას გათვალისწინება (კონცეფციაში შესაბამისი ფორმით მისი ასახვა) სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხად უნდა მივიჩნიოთ. „საკვირველია, მაგრამ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია იმ ქვეყანისა, სადაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ორჯერ მოხდა ხელისუფლების არაკონსტიტუციური მეთოდებით შეცვლა, მხოლოდ გაკვრით განიხილავს შიდა პოლიტიკური არასტაბილურობის საკითხს. მეტნაკლებად განხილულია სეცესიური რეგიონებისა და უმცირესობების საკითხები; თუმცა მასში არაფერია ნათქვამი შიდა უსაფრთხოების რისკების შესახებ, რომელიც ქართველთა უმრავლესობას ეხება.“ [115] ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში საქართველოს წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევად ეკონომიკური და სოციალური საკითხებია მიჩნეული და ქვეყანაში შიდა დესტაბილიზაციის საფთხეს მხოლოდ სტაბილურობასა და ეკონომიკური ზრდის ტემპის შეფერხებას შორის დამოკიდებულების კონტექსტში განიხილავს. კონცეფციის მიხედვით „(...)ეკონომიკის არასათანადო ტემპით განვითარებამ, სახელმწიფო შემოსავლების მკვეთრად შემცირებამ, უმუშევრობის უკიდურესმა ზრდამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სოციალურ დაძაბულობას და დაემუქროს ქვეყნის განვითარებას, სტაბილურობას და ეროვნულ უსაფრთხოებას.“[116] უმუშევრობით, მძიმე სოციალური ფონით გამოწვეული შიდასახელმწიფოებრივი დაძაბულობა ქვეყანაში საზოგადოებრივი განწყობის, ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ელემენტებზე მიუთითებს, რაც სხვადასხვა ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება ეროვნულ ინტერესად არის მიჩნეული. კონცეფციაში განმარტებულია, რომ „მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის უფრო მეტად განმტკიცება.“[117] თუმცა, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის და „იდეოლოგიური იმის“ შედეგად წარმოქმნილ რისკებზე ყურადღება არ არის გამახვილებული. სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე კი მნიშვნელოვან გავლენას უწყვეტად მიმდინარე „იდეოლოგიური ომი“ ახდენს. იდეოლოგიური ბრძოლის განსახორციელებლად საზოგადოებრივი აზრის მიზანმიმართული ფორმირება (პროპაგანდის და დეზინფორმაციის საშუალებით) მასობრივი არეულობის წინაპირობას წარმოადგენს. მიჩნეულია, რომ კულტურული ღირებულებებისადმი უარყოფითად შეცვლილი დამოკიდებულება შიდა

[115]ს. ნილმაკფარლეინი, საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი და ოქსფორდის უნივერსიტეტი, 2012 წ., გვ. 12.

[116]ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები.

[117]იქვე, საქართველოსეროვნულიინტერესები.

სტაბილურობის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი გარემოებაა.[118]ანტისახელმწიფოებრივი განწყობა, მწვავე სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა, და სხვა პროცესები, რომლებიც „ჰიბრიდული ომის“ ნიშნებს შეიცავენ ხშირად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ არის ინსპირირებული.

2017წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები[119] საქართველოში მოსახლეობის პოლიტიკური პროცესებისადმი გაუცხოებაზე მიუთითებენ, რაც შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციის ერთ–ერთ მნიშვნელოვან მაპროვოცირებელ გარემოებას წარმოადგენს. პოლიტიკური გაუცხოება და არასახარბიელო ეკონომიკური გარემო საქართველოს საწინააღმდეგო საქმიანობის განსახორ-ციელებლად უცხო ქვეყნებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. [120] შესაბამისად, იდეოლოგიური ომიდან გამოწვეული უარყოფითად შეცვლილი საზოგადოებრივი განწყობა შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციის მუდმივ საფრთხედ უნდა ჩაითვალოს, რაც აღნიშნულ გამოწვევებთან კონცეფციის ადაპტირების საჭიროებაზე მიუთითებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროცესები მუდმივ ოპერატიულ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს.

საქართველო მრავალეთნიკური სახელმწოფოა და ეთნიკური უმცირესობებით მჭირდოდ დასახლებული რეგიონები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ინტეგრაციის პრობლემა არ კარგავს აქტუალობას, ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფის რისკი კი იზრდება. კონცეფციის ერთ–ერთ ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს: „მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინტეგრაციას და ქვეყნის აღმშენებლობაში ჩართვას. საქართველო ქმნის პირობებს ამ ჯგუფების იდენტობისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის.“[121] ეთნიკურ ინტეგრაციაზე ხაზგასმა ეროვნული ინტერესების მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა გასათვალისწინებელია მისგან მომდინარე საფრთხის მნიშვნელობა და რისკები. სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებში მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები, რომ ინტეგრაციის გამოწვევას სახელმწიფო ენის შესწავლა და სათანადო პირობების შექმნა წარმოადგენს. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან გამოწვევად უნდა ჩაითვალოს რელიგიური ჯგუფების ინტეგრაციის პრობლემა და მისგან მომდინარე საფრთხეები. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობები პროპაგანდის მიმართ ყველაზე მოწყვლად ჯგუფად არის მიჩნეული[122], შესაბამისად, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე რეგიონში წარმოქმნილი დაძაბული ვითარება, რომელიც „ჰიბრიდული ომის“ პირობებში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შეიძლება იქნეს ინსპირირებული განსაკუთრებული რისკის ქვეშ აყენებს შიდა სტაბილურობას, რამაც კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივ რღვევემდეც კი შესაძლოა მიიყვანოს სახელმწიფო. ამგვარად, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. რეგიონში ოპერატიული ვითა-

---

[118]Mike Winnerstig,Tools of Destabilization, Russian Soft Power and Non-military Influence in the Baltic States, December 2014, Pg. 55-57.

[119] „Public attitudes in Georgia“, survey carried for NDI by CRRC Georgia, December 2017, <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_December_2017_POLITICAL_ENG_final.pdf> [10.05.2018].

[120] ს. ნილმაკფარლეინი, საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი და ოქსფორდის უნივერსიტეტი, 2012 წ., გვ. 12., გვ. 14–15;

[121]*ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია,* საქართველოს ეროვნული ინტერესები;

[122]*ავალიშვილი., ლომთაძეგ., ქევხიშვილის.,*კრემლისსაინფორმაციოომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთანბრძოლისსახელმწიფოპოლიტიკისაუცილებლობა, IDFI, 2016. გვ. 16;

რების შესწავლის და ქმედითი კონტრდაზვერვითი [123] ღონისძიებებით საფრთხის ნეიტრალიზაციის პარალელურად საჭიროა მისი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში სათანადო ფორმით ასახვა, როგორც შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციის საფრთხის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

სახელმწიფოში სტაბილური ვითარების შენარჩუნება მყარი უსაფრთხოების სისტემით მიიღწევა, რაც რეალურ დროში არსებული გამოწვევების შესაბამისად პოლიტიკის დაგეგმვას, სამართლებრივი ბაზის ადაპტირებას და ქმედითი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს.

ეროვნული უსაფრთხოება არამარტო სამხედრო, არამედ ყველა სხვა სფეროს მოიცავს, რომელთა წინაშე წარმოქმნილ საფრთხეს ზიანის გამოწვევა შეუძლია. შესაბამისად, კონცეფცია თითოეულ სფეროში „ჰიბრიდული ომიდან“ მომდინარე რეალურ ან პოტენციურ საფრთხეებზე ადეკვატურ რეაგირებას უნდა ახდენდეს. საჭიროა ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებთან კონცეფციის ადაპტირება.

„ჰიბრიდული ომი“, როგორც მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების განხორციელების ფორმა სამხედრო და სამოქალაქო საშუალებებით, ლეგალური და არალეგალური მეთოდებით ხორციელდება. მისი წარმოების ფორმები სახელმწიფო ინტერესების განხორციელების მიზნით სადაზვერვო-ოპერაციულ საქმიანობის ფორმებს ემთხვევა. შესაბამისად, საკითხი ეხება მოწინააღმდეგე ქვეყნის დასუსტების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია.

ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევას სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი უნდობლობა, ანტისახელმწიფოებრივი განწყობა წარმოადგენს. საზოგადოებრივი განწყობის ფორმირებას „ჰიბრიდული ომის“ პირობებში უწყვეტად მიმდინარე იდეოლოგიური ომი უზრუნველყოფს, რომელიც შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციის ხელსაყრელ პირობებს ქმნის, რაც კონცეფციაში მის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფის საჭიროებაზე მიუთითებს.

შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციის მაპროვოცირებელ გარემოებას ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ინტეგრაციის პრობლემა წარმოადგენს. მისგან მომდინარე საფრთხეები კონცეფციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან მათი იგნორირებით კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის საფრთხე იზრდება.

სახელმწიფო უსაფრთხოების მყარი სისტემის უზრუნველსაყოფად, საჭიროა „ჰიბრიდული ომიდან“ მომდინარე რეალური და პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირება და მათი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ადაპტირება, შესაბამისად, პოლიტიკის მიმართულებების ადეკვატურად განსაზღვრა.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

-ავალიშვილი ლ., ლომთაძე გ., ქევხიშვილი ს., კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, IDFI, 2016;

-მგალობლიშვილი გ., ქუთელია ბ., გურული ი., ევგენიძე ნ., ჰიბრიდული ომი და ევრო-

[123] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად „კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/დატერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდანაცილება.“

ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), თბილისი, 2016;
-ს. ნილმაკფარლეინი, საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი და ოქსფორდის უნივერსიტეტი, 2012 წ.

ნორმატიული მასალა

-საქართველოს კანონი "ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ", ქუთაისი, 4 მარტი 2015 წ;
-საქართველოს კანონი „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ", თბ. ,27 აპრილი 2010 წ;
-საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ", თბ., 11 ნოემბერი 2005 წ
-საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის" დამტკიცების შესახებ, თბილისი, 23 დეკემბერი 2011 წ.

უცხოენოვანი ლიტერატურა

-Lind W.S., Nightengale K., Schmitt John F., Sutton J., Wilso G.I., The Changing Face of War: Into the Fourth Generation, Marine Corps Gazette, 1989;
-Hoffman, F.G., Hybrid Warfare and Challenges, JFQ / issue 52, 1st quarter 2009;
-Mark m. lowenthal, The Oxford Handbook of National Security Intelligence, The Policymaker-Intelligence Relationship, Edited by LOCH K. JOHNSON, Oxford university press 2010;
-Mike Winnerstig, Tools of Destabilization, Russian Soft Power and Non-military Influence in the Baltic States, December 2014.

ინტერნეტწყაროები

-საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კონფერენცია, ჰიბრიდული ომი და მისი გავლენა ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებზე, 27 ოქტომბერი, 2015. <https://mod.gov.ge/ge/news/read/4266/hibriduli-omi-da-misi-gavlena-natos-cevr-da-partnior-qveknebze>, [10.05.2018]; -Press conference, NATO Secretary General Jens Stoltenberg following the meeting of the North Atlantic Council in Foreign Ministers session, <http://nato.int/cps/en/natohq/ opinions_125362.htm? selectedLocale=en>, [10.05.2018];
-„Public attitudes in Georgia", survey carried for NDI by CRRC Georgia, December 2017, <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_December_2017_POLITICAL_ENG_final.pdf> [10.05.2018].

Irakli Kikishvili
LEPL MIA Academy - Master of Police Regulation Law
New Vision University – Doctoral student of Law MIA Analyst at Vake-Saburtalo division of Tbilisi Police Department

Encouraging circumstances of the state' s internal political destabilization in the conditions of " hybrid war"

Summary

The propaganda and misinformation made in the formation of public attitudes in the conditions of "hybrid war", as well as the problem of integration of ethnic and religious groups in the conflict, is a provocation of internal political destabilizing circumstances. That is why the research topic presented is particularly actual.

ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სომხეთის პოლიტიკური კრიზისი ტრანსფორმირება პოლიტიკურ ჩიხში??? პოლიტიკური ცუნცვაგის კავკასიური შედეგი

სომხეთში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც ჩაიშალა მოპალარაკებათა რაუნდი ოპოზიციის ლიდერის ნიკოლ პაშინიანის და მოქმედი პრემიერ-მინისტრის და რუსული „გაზპრომის“ მენეჯერის კარენ კარაპეტიანს შორის, ქვეყანაში განხორციელებული ე.წ. „ხავერდოვანი რევოლუციის“ პირველი ეტაპის შემდეგ, რაც დასრულდა ე.წ. „ყარაბაღული კლანის“ ძლევამოსილი მძიმეწონიანი პოლიტიკოსის სერჟ სარკისიანის პრემიერ-მინისტრის თანადებობიდან. სიტუაცია რომელიც ამა წლის 23 აპრილს თითქოს განიმუხტა სპონტანურად დაწყებული საპროტესტო გამოსვლების შედეგად და სერჟ სარგისიანის გადადგომის შემდეგ, თანდათანობით გადაიზარდა პოლიტიკურ კრიზისში, სადაც უკვე რომელიმე სცენარის განვითარების პროგნოზირება ძალიან რთული. ფაქტიურად მდგომარეობა მიდის პოლიტიკურ ჩიხის მდგომარეობამდე და არ არის განორიცხული მცირე სახის შეიარაღებული შეტაკებებიც კი გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ამიტომაც სიტუაცია, რომელიც კლასიკური გაგების პოლიტიკური გადატრიალების ვითარებას ასახავს, არის საკმაოდ არაორდინარული და აღმოჩნდა ბევრისთვის სავსებით მოულოდნელი. პოლიტიკური მეცნიერების ლექსიკონში არსებობს პოლიტიკური გადატრიალების შემდეგი კონკრეტული ტიპოლოგია:

- სამხედრო გადატრიალება (პრონუსიამენტო), რომელიც ასოცირდება პოლიტიკური რეჟიმის ან სისტემის ცვლილებასთან;
- „სასახლის“ გადატრიალება, რომელიც ითვალისწინებს ხელისუფლებაში მყოფი მმართველი ჯგუფის დეკორატიული სახით და უსისხლოდ შეცვლას;
- სამხედრო ამბოხი, რომელიც ასოცირდება სოციალური და ეკონომიკური ვითარების გამოსწორებასთან;
- პუტჩი (წარუმატებელი სამხედრო გადატრიალება ან ამბოხი);
- სოციალური ბუნტი, ასოცირდება სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ან კრიზისად გამოსვლის ტენდენციით და ხელისუფლებისამდი ულტიმატუმის ენით საუბრის ტონით ან საბოლოოდ, როგორც ეს ხდება ხოლმე მისი შეცვლით;
- რევოლუცია, რომელიც ასოცირდება შეიარაღებული გზით პოლიტიკური სისტემის ძირეულ ცვლილებასთან ან რეჟიმის დამხობასთან;
- „ხავერდოვანი რევოლუცია“, რომელიც არის რევოლუციური პროცესების განვითარება მშვიდონიანი საშუალებებით და პოლიტიკური ცვლილებების განხორციელება პოლიტიკური სისტემის შიგნით;
- „ფერადი რევოლუცია“, რომელიც ასოცირდება რევოლუციური პროცესების განვითარებასთან მშვიდობიანი საშუალებებით, ოღონდ ამ შეთხვევაში ხორციელდება ქვეყანაში საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას და რომელიც ძირითადად იმართება ქვეყნის გარედან;
- სამხედრო ჩარევა ან შეზღუდული ინტერვენცია - ქვეყანაში შეზღუდული სამხედრო ინტერვენცია ან შეიარაღებული ჯგუფის შესვლა პოლიტიკური მმართველობის შესაცვლელად, რათქმაუნდა ამის ინსპირირება ხორციელდება ასევე ქვეყნის გარედან, ხშირად მასთან ასოცირდება ე.წ. „regime change” - პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა სათანადო საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლით ან ამ კურსის კიდევ უფრო გაძლიერებით.

ფაქტიურად ასე გამოიხატება პოლიტიკური გადატრიალებათა კლასიფიკაცია და დღეს სომხეთში ხორციელდება ჯერჯერობით **„ხავერდოვანი“ რევოლუციის** სცენარით და მას

გააჩნია თავისი ფუნდამენტური მიზეზები. ამის მიზეზები წარმოადგენს შემდეგს, რომელიც უკავშირდება სომხეთის პოლიტიკური-ეკონომიკური განვითარების იმ პროცესებთან, რომლებიც განვითარდა ბოლო 10 წლის განმავლობაში 2008 წლის მარტის სისხლიანი წარუმატებელი „ფერადი“ რევოლუციის შედეგად, რომლის შედეგადაც დაიღუპა დაახლეობით 10-მდე ადამიანი და რამდენიმე ასეული დაიჭრა და რომელიც მაშინდელმა ოპოზიციურმა ძალებმა მოაწყვეს, მაშინდელი ლიდერის ლევონ ტერ-პეტროსიანის მეთაურობით, სადაც ამჟამინდელი ოპოზიციის ლიდერი ნიკოლ პაშინიანი ასევე იდგა ამ პროცესების სათავეებთან (მან 2 წელი გაატარა საპყრობილეში ამ პროცესების შედეგად). მიზეზები დღევანდელი „ფერადი რევოლუცია-2“-ის სომხეთში შეადგენს შემდეგს:

- ქვეყანაში არსებული საშინელი და მასობრივი კორუფცია, რომელიც ყველა საზოგადოების ფენას მოედო;
- ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მასობრივი უმუშევრობა, დაახლოებით მოსახლეობის 40% და საშუალო ხელფასი შეადგენს ერევანში თვეში 390 დოლარს, ხოლო რაიონებში კი 108 დოლარს, თუმცა ასეთი შემოსავლები ძალიან მცირე კატეგორიას გააჩნია, ასევე დაბალია პენსიის მაჩვენებელი 83 დოლარს. ფასების ინფლაცია კი უკვე აღწევს ჰიპერდონეს, გაუფასურებული სომხური დრამის ფონზე;
- სერ სარკისიანმა, რომელიც 2007 წლიდან გახდა მმართველი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე და 10 წლის განმავლობაში იყო ქვეყნის ხელმძღვანელი, დაარღვია თავისივე პირობა, რაც მან წარმოთქვა ჯერ კიდევ 2015 წელს რომ იგი 2018 წლიდან საერთოდ წავიდოდა ხელისუფლებიდან. მაგრამ კონსტიტუციური რეფორმების შედეგად და ქვეყანაში საპარლამენტო ფორმის მმართველობის შემოღების კონტექსტში, რომელიც მან თავის მეგობარ მიხეილ სააკაშვილისაგან გადმოიღო, გადაწყვიტა თავისივე პირობა დაერღვია. მან გადაწყვიტა გაეგრძელებინა თავისი სახელისუფლო „ოდესეა“ და ნომინალური და არაფრის-მქონე პრეზიდენტის ფონზე. სხვათაშორის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ახალი კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც ამოქმედდა პრემიერ-მინისტრის არჩევის შედეგად, გახდა ქვეყნის უპირობო მმართველი, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი და საგარეო-პოლიტიკური კურსის განსამზღვრელი სუბიექტი. მოსახლეობამ უბრალოდ არ აპატია მას სიტყვის გატეხვა;
- მთიანი ყარაბაღში ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, განსაკუთრებით, 2016 წლის აპრილის 5 დღიანი ომმა, რომლის შედეგადაც სომხურმა მხარემ დაკარგა მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული სახის ტერიტორია, გააჩინა ე.წ. „ვიეტნამის სინდრომის“ ეფექტი და ფაქტიურად ამ ომში მიღებული დამარცხების სინდრომი სერჟ სარგისიანს „აეკიდა“, როგორც უსაფრთხოების გარანტ პიროვნებას, რომელიც მოვიდა ძალოვანუ დაჯგიფებიდან და წარმოადგენს მძლავრი ე.წ. „ყარაბაღის პოლიტიკურ კლანის“ ერთ-ერთ ლიდერს, ანუ უსაფრთხოების საკითხებში სტაბილურობის შეგრძნების დაკარგვა გახადა ასევე ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მის მიმართ უარყოფითი სენტიმენტების გაჩენისა მოსახლეობაში. შეირაღებული ძალებში გაჩნდა უკვე სარკისიანის მიმართ უარყოფილი განწყობილება და შედეგმაც არ დააყოვნა, როგორც კი გაჩნდა საშუალება სამხედრო მოსამსახურეები ეგრევე გადავიდნენ ოპოზიციის მხარეს, 22 აპრილს, რამაც გამოიწვია სერჟ სარკისიანის გადადგომა;
- ქვეყანაში დამყარებული ოლიგარქიული წესრიგი, მათ შორის არა მარტო სომხურის (მაგალითად, თუნდაც გაგიკ ცარუკიანის ფაქტორი, რომელმაც თავისი პოლიტიკური პარტიაც კი შექმნა „კეთილდღეობის პარტია“, ისევე როგორც მოსკოვში მოღვაწე სომხური წარმოშობის ოლიგარქების რუბენ ვარდანიანის და სამველ კარაპეტიანის ფაქტორი, ეს უკანასკნელი აპირებდა ყველაზე მსხვილი ფინანსური პროგრამის განხორციელებას 840 მილიონი დოლარის ოდენობით), არამედ რუსულის (დღეს რუსი ოლიგარქების აკონტროლებენ ქვეყნის ეკონომიკის 40%-ს) გამოიწვია მოსახლეობის სოციალური პოლარიზაცია და სიღარიბის მასშტაბების ზრდა;
- ქვეყანაში მიგრაციული პროცესების მასშტაბების მასობრივი ზრდა, დღეს რეალურად სომხეთის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 2.5 მილიონ ადამიანს და რეგიონებში

მიმდინარეობს სოფლების მასობრივი დაცლა და ქვეყნისდან უკვე გავიდა 1 მილიონი ადამიანი, მარტო რუსეთის ფედერაციაში არალეგალურად ცხოვრობს დაახლოებით 1.5 მილიონი ადამიანი. ამ ფაქტორმაც იქონია საკმაოდ მძიმე შედეგი და გავლენა ქვეყნის მოსახლეობაზე;

➢ ნეპოტიზმის აღზევება და ე.წ. „ყარაბაღური“ კლანის სრული მონოპოლიზაცია ქვეყნის მასშტაბებში, როგორც ქვეყნის მმართველო პარტიაში, ასევე სამთავრობო სტუქტურებში, კერძოდ, ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი წარმოშობით არის ყარაბაღიდან და დაიბადა სტეპანკერტში;

➢ ავტორიტარული რეჟიმისადმი წინააღმდეგობის გაწევა და რეფორმების ჩატარების აუცილებლობის დაწყება, სიტუაცია ძალიან წააგავს საქართველოს ე.წ. „ვარდების“ ხავერდოვანი რევოლუციის სცენარს, სადაც მთავარი დარტყმის ობიექტი იყო პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მმართველი „მოქალაქეთა კავშირის“ პარტია.

ფაქტიურად მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პოლიტიკური კოალიცია დაიშალა, ისევე როგორც დაიშალა ჩვენთან „ქართული ოცნების“ კოალიცია, და მას გამოეყო ფაქტიურად გაგიკ ცარუკიანის „კეთილდღეობის“ პარტია (აღნიშნული პარტია ზუსტად იმავე სატელიტურ პოლიტიურ ფუნქციებს ატარებდა, როგორც გიორგი თარგამაძის „ქრისტიან-დემოკარტების“ პარტია სააკაშვილის ავტორიტარულ-ავტარკიული რეჟიმის დროს) და უძველესი „დაშნაქ-ცუთუნის“ პარტია, მმართველი რესპუბლიკურ პარტიას კვლავ უკავია უმრავლესობის რიცხვი ქვეყნის პარლამენტში, რომელიც გახდა ქვეყანაში პოლიტიკური სისტემის უმთავრესი სტრუქტურა, მათ ხელშია 58 დეპუტატი, მაშინ როდესაც „ცარუკიანის“ ფრაქციას გააჩნნია 31 დეპუტატი, „დაშნაქცუთუნის“ ფრაქციას 7 დეპუტატი, ხოლო ნიკოლ პარუშიანის „ელკის“ (გამოყოფა) გააჩნია 9 დეპუტატი. ამიტომაც ამის მიუხედავად მმართველი პარტიის სრულა დასამარცხებლად საჭიროა ვადამდემლი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, რაც შეიძლება მოკლე პერიოდში, თორემ თუ ეს არ შეადგა სულ მცირე ივნისის თვეში. და არცევნები ჩატარდა სექტემბერში მაშინ მმართველი პარტიას ექნება შანსი შეინარჩუნოს საკუთარი ხელისუფლება. ამიტომაც ნიკოლ პარუშიანს ექნება ულტიმატუმი ვადამდემლი არცევნების ჩატარება და „რესპუბლიკური პარტიის“ როგორც ავტორიტარული რეჟიმის გამომხატველი პოლიტიკური ძალის არ დაშვება ამ არჩევნებში. ამ ეტაპზე საგარეო პოლიტიკური ფაქტორების გავლენას ადგილი არა აქვს, თუ არ ჩაითვლება ევროკავშირის უცაბედი გააქტიურება სომხეთში მიმდინარე პროცესებში (ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი სომხეთში აქტიურ მედიატორობას ახორციელებს პოლიტიკურ ძალებს შორის და ევროკავშირმა გააფრთხილა აწ უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი დაპატიმრებული მომიტინგეების გათავისუფლება და ამით ფაქტიურად ლეგიტიმურობის სტატუსი დაუქვეითა სარკისიანის რეჟიმს, რომელიც გადადაგ მეორე დღეს მთელი მთავრობის შემადგენლობით). რუსეთის ფედერაციის სიწყნარე გასაგებია, რადგანაცა საგარეო-პოლიტიკურ კურსის ცვლილებას კრემლი არ ელოდება ნებისმიერ შემთხვევაში და პირიქით მეზობელ აზერბაიჯანს გაუგზავნა ფაქტიორი ულტიმატუმი არ განახორციელოს არავითარი ნაბიჯი მთიანი ყარაბაღის მიმართულებით, რაც გამოიხატა რუსეთის საგარეო დაზვერვის სასმახურის და პუტინის პირადი მეგობრის სერგეი ნარიშკინის მივლინებით ბაქოში, რომელიც პირდაპირ შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილხამ ალიევის, რომელიც ამ შეხვედრის დასრულებისთანავე ეგრევ გაემგზავრა თურქეთში, როგორც ჩანს ერდოღანთან. თუმცაღა ალბათ ივნის-ივლისის თვეებში სიტუაცია მთიან ყარაბაღში შეიძლება კვლავაც გაუარსდეს და საკმაოდ რადიკალურად. დღეს სიტუაცი არის პატური სომხეთში, რადგანაც ნიკოლ პაროშიანს არ შეუძლია გახდეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რადგანაც მას არ გააჩნია უმაღლესი განათლება და ვნახოთ როგორ დასრულდება ეს პოლიტიკური ეპოპეა.

ბიბლიოგრაფია:

1) ვახტანგ მაისაია და გუგული მაღრაძე „21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წელი

2) Robert Ondrejcsak “Introduction to Security Studies”, Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), Bratislava, 2014

3) „სტრატეგიული კვლევები“#2, 2009, სერია: „საქართველოს უსაფრთხოება ცვალებად მსოფლიოსში“, აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი, რედაქტორები: დავით თევზაძე და ჯანრი კაშია;

4) მამუკა ბიჭაშვილი, ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში, თბ. „ნეკერი“, 2001

5) საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია, ქრესთომათია, სამოქალაქო ინიციატივის ინსტიტუტი, 2004

6) ენდრიუ ჰეივუდი პოლიტიკური იდეოლოგიები, ლოგოს პრესი 2005

Vakhtang Maisaia
Ph. D in politics science,
Profesor

Transformation of Armenian Political Crisis into Political Deadlock? – The Caucasian Consequences of the Gamble

Summary:

There are several types of political coup’detat that identified into nine categories, among them key attention has been drawn to so-called “Velvet Revolution” identifies performing political revolutionary scenario by peaceful means without shifting foreign policy orientation but political regime in the country. The April “Velvet Revolution” in Armenia has demonstrated how the national society is seeking challenges of corruptive political system and oligarchic rulership. The Regime Change occurred in time when Armenia was at edge of new escalation in Nagorno Karabakh and so-called “Karabakhagian” clan deposition exposes new realities for interim government led by Nicol Pashinyan.

ალიკა გუჩუა
საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათ-ლებლო პროგრამის დოქტორანტი

,,ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 21- ე საუკუნეში და მასობრივი განადგურების იარაღის ფაქტორი საერთაშორისო უსაფრთხოებაში“

უსაფრთხოება ერთ-ერთი აქტუალური საკთხია ჩრდილოატლანტიკური ალინსისთვის რაზეც ის საკმაოდ დიდ დროს, ენერგიას და ფინანსური რესურსებს ხარჯავს. მასშემდეგ, რაც მსოფლიოში გაჩნდა მასობრივი განაგურების სტრატეგიული შიარაღება მშივნელოვნად შეიცვალა ომის წარმოების ტაქტიკა და მიდგომები. 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ჰიროსიმასა და ნაგასაკიში აშშ-ს მიერ ატომური ბომბის ჩამოგდებამ უდიდესი მასშტაბების ნგრევა, ათეულ ათასობით ადამიანის წამიერად გაქრობა, ხოლო ასეულ ათასის კი სამუდამოდ დასახიჩრება გამოიწვია. ამ ფაქტით მსოფლიო ისტორიაში ნამდვილად სრუალიად ახალი ფურცელი გადაიშალა. მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ დაინახა მასობრივი განადგურების იარაღის გამანაგურებელი ძალა, მშვიდობისთვის მიღწევისთვის და შენარჩუნებისთვის ბრძოლა გახდა უმთავრესი პრიორიტეტი. მასობრივი განადგურების იარაღის, მისი გადამტანი საშუალებებისა და შემადგენელი კომპონენტების, მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და ჩვეულებრივი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის უკონტროლო გავრცელების პრევენცია, ეს ის ძირითადი საკითხებია რაზეც მნიშვნელოვნად მუშაობს ევროატლანტიკური ალიანსი. მასობრივი განადგურების იარაღი არის იარაღი, რომელსაც შეუძლია მოკლას და მნიშნელოვანი ზიანი მიაყენოს ადამიანთა დიდ ჯგუფს (და ასევე სხვა სიცოცხლის ფორმებს) და/ან მნიშვნელოვნად დააზიანოს ადამიანის მიერ შექმნილი სტრუქტურები (მაგ. შენობები), ბუნებრივი სტრუქტურები (მაგ. მთები) ან ზოგადად ბიოსფერო.

მასობრივი განადგურების იარაღის ცნება და წარმომავლობა-პირველად ეს ტერმინი, პოლიტიკური ცნების სახით, მასობრივი განადგურების იარაღი ჩამოყალიბდა 1948 წელს გაეროს კონვენციური შეიარაღების შესახებ კომისიის მიერ. მასობრივი განადგურების იარაღის განმარტება ამერიკული მიდგომის მიხედვით: ბირთვული ასაფეთქებელი შეიარაღება, რადიოაქტიური მასალების შეიარაღება, ლეტალური ქიმიური და ბიოლოგიური შეიარაღება და სხვა სახის შეიარაღება, რომელის ხასიათდება შედარებით მძლავრი გამანადგურებელი ეფექტით ისეთივე სიმძლავრის, რომელსაც გააჩნია ბირთვულ ბომბის აფეთქებას ან სხვა ზემოთაღნიშნულ იარაღის ტიპებს. მასობრივი განადგურების იარაღის განმარტება რუსული მიდგომის მიხედვით: იარაღის ისეთი სახეობა, რომელსაც გააჩნია შეზღუდული ძალების და საშუალებების მოზიდვის ხარჯზე, შეუძლია გამოიწვიოს მასობრივი დანაკარგები და განადგურების ისეთის მასშტაბები, რომელიც საფუძვლიანად დაამახინჯებს გარემო ბუნებას. მისი ნიშნებია: დაზარალებული გარემოს მრავალეფექტურობა, დამანგრეველი ფაქტორის დიდი ხანის ხანგრძლივობა, მძიმე გენეტიკური და ეკოლოგიური შედეგები და ა.შ. მათ რიცხვშია: ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, შესაძლებელია სხვა იარაღიც.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაარსებიდან ხუთი თვის შემდეგ, ნატო-მ მიიღო პირველი უდიდესი გამოწვევა, როდესაც 1949 წლის სექტემბერში ცნობილი გახდა საბჭოთა კავშირის მიერ ატომური იარაღის გამოცდის შესახებ. ამ ფაქტმა აშშ-ის დააკარგვინა ატომური

მონოპოლია მსოფლიოში. შესაბამისად, აუცილებელი იყო ადექვატური ზომების მიღება, კომუნისტური საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამიტომაც, ნატო-ს დაარსების პირველი დღეებიდანვე ალიანსმა მეტად აქტიური ქმედებები განახორციელა. პირველ რიგში, ეს დაკავშირებული იყო აშშ-ის მხრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების გამოყოფასთან ნატო-ს დასავლეთევროპელი მოკავში-რეებისათვის სხვადასხვა ტიპის სამხედრო პროგრამების განხორციელების მიზნით. ეს გახლდათ აშშ-ის პრეზიდენტის ტრუმენის ინიციატივა, როდესაც მან 1950 წლის დასაწყისში დაამტკიცა ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის ერთიანი თავდაცვითი სისტემის შექმნის გეგმა. უკვე 50-იანი წლების შუა პერიოდში შემუშავებულ იქნა „მასირებული საპასუხო დარტყმის სტრატეგია". მასში აღნიშნული იყო შეკავების პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელობა, რომელიც დაფუძნებული იყო ნატოს მიერ, მის თითოეულ წევრზე მოსალოდნელი საფრთხის არსებობისას საპასუხო ქმედებების განხორციელებაზე ბირთვული ძალების გამოყენების ჩათვლით.ამ სტრა-ტეგიული მიდგომის მოსალოდნელი ცვლილებების განხილვა დაიწყო 50-იანი წლების მეორე ნახევარში და გრძელდებოდა 1967 წლამდე, როდესაც აქტიური დისკუსიების წარმათვის შედეგად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში "მასირებული საპასუხო დარტყმის" სტრატეგია შეიცვალა „მოქნილი რეაგირების სტრატეგიით". გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა მეტად სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა ნატო. ეს დაკავშირებული იყო აღმოსავლეთთან ურთიერთობების მეტად სერიოზულად დაძაბვასთან. ამ პერიოდში მსოფლიოში განვითარებულ ნეგატიური მოვლენებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- 1960 წელს ჩაიშალა ოთხმხრივი მოლაპარაკებები დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, საფრანგეთისა და სსრკ-ის შორის უმაღლეს დონეზე, რომელიც დაკავშირებული იყო გერმანიის საკითხთან;

- იმავე წლის 1 მაისს სსრკ-ის საჰაერო სივრცეში ჩამოგდებულ იქნა აშშ-ის სადაზვერვო თვითმფრინავი უ-2;

- 1960 წელსვე კომუნისტური სახელმწიფოები გამოვიდნენ მოლაპარაკებათა პროცესიდან, რომლებსაც ისინი აწარმოებდნენ ალიანსის წევრ სახელმწიფოებთან განიარაღების პროცესთან დაკავშირებით. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა გაეროს ეგიდით;

- 1961 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის ინიციატივით აღიმართა „ცივი ომის" სიმბოლო-ბერლინის კედელი.

1961 წლის დეკემბერში ნატომ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ჩატარებული ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს სხდომაზე, ალიანსის ხელმძღვანელობამ მკაცრად დაგმო ბერლინის კედლის მშენებლობა და გამოთქვა მზადყოფნა განეახლებინა დიპლომატიური კონტაქტები საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებათა პროცესის განახლების მიზნით.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია 1962 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, როდესაც აშშ-ის სადაზვერვო მონაცემებით ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი კუბის ტერიტორიაზე აწარმოებდა სარაკეტო ბაზების მშენებლობას. აშშ-იმ ამ ქმედების საპასუხოდ განახორციელა კუბის ბლოკადა. სსრკ-ის აგრესიული ზრახვების შედეგად, პლანეტა კვლავ დადგა ახალი მსოფლიო ომის დაწყების წინაშე. თუმცა აშშ-ის პრეზიდენტის კენედის ადმინისტრაციის აქტიური ქმედებების შედეგად, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა მოეხდინა თავისი სარაკეტო ბაზების ლიკვიდირება კუბის ტერიტორიაზე. კარიბის კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შემდგომ, უკვე 1963 წლიდან იწყება დაძაბულობის

შედარებითი შემცირება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. 1963 წლის 20 ივნისს ჟენევაში აშშ-მ და სსრკ-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ე.წ. „ცხელი ხაზის" ამოქმედების შესახებ. იმავე წელს დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ და სსრკ-მ მოახდინეს „ბირთვული გამოცდების ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ აკრძალვის შესახებ" შეთანხმების პარაფირება.

1967 წელს ხელი მოეწერა „შეთანხმებას კოსმოსის შესახებ", ხოლო 1968 წელს შეთანხმებას „ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის" შესახებ.

დასავლეთის დემოკრატიული და აღმოსავლეთის კომუნისტურ ბლოკებს შორის დაძაბულობის შემცირებაში უდიდესი როლი შეასრულა ნატო-ს ახალი სტრატეგიული დოქტრინის მიღებამ. 1967 წლის დეკემბერში ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ დაამტკიცა „არმელის მოხსენება", რომლის შესაბამისად ნატო-ს სამხედრო დაგეგმვის კომიტეტმა მიიღო ახალი სტრატეგიული კონცეფცია. ახალი კონცეფცია ითვალისწინებდა ერთის მხრივ ნატოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, ხოლო მეორე მხრივ დაძაბულობის განმუხტვას საბჭოთა კავშირთან და მის სატელიტებთან. [124] ნატო-ს პოლიტიკურმა ერთიანობამ, მისი სამხედრო პოტენციალის ეფექტურობამ და ეკონომიკურმა უპირატესობამ ვარშავის ბლოკის წევრი ქვეყნებთან შედარებით, აიძულა კომუნისტური ბანაკის ქვეყნები, რათა ეს უკანასკნელნი მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყვნენ. ამ მხრივ გასული საუკუნის 70-იანი წლები მეტად მნიშვნელოვანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიაში, როდესაც ორგანიზაციამ რიგი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და "ცივ ომში" გამარჯვების გზაზე. 1972 წლის 26 მაისს მოსკოვში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სტრატეგიული შეიარაღებისა და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შემცირების შესახებ. ალიანსისთვის მნიშვნელობანი იყო 1979 წლის ე.წ. „ორმაგი გადაწყვეტილება" ბირთვული იარაღის მოდერნიზაციის და კონტროლის შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ნატოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა ქ. ბრიუსელში. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, გათვალისწინებული იყო სახმელეთო ბაზირების ფრთოსანი რაკეტებისა და „პერშინგ 2" რაკეტების ევროპაში განლაგება. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად გააძლიერა ალიანსის თავდაცვითი სისტემა. რამდენიმე თვის შემდეგ ნატო-ს წევრმა სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს სპეციალური საკონსულტაციო ჯგუფი შეიარაღების კონტროლის (ბირთვული ძალების ჩათვლით) სფეროში. 1981 წლის ნოემბერში აშშ-მ და სსრკ-მ ჟენევაში განაახლეს მოლაპარაკებები „საშუალო სიშორის ბირთ-ვული ძალების შესახებ". გარდა ამისა, ნატოს მიერ მშვიდობის მიმართულებით გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახლდათ 1983 წლის ოქტომბერში „მონტბელის გადაწ-ყვეტილების" მიღება, როდესაც ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა, ბირთვული დაგეგმარების ჯგუფის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ქ. მონტბელიში (კანადა) განაცხადეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ ევროპიდან დამატებითი 1400 სარაკეტო ქობინის გამოტანასთან დაკავშირებით.

ნატო-ს მხრიდან სამშვიდობო ინიციატივების მიუხედავად, სსრკ 80-იანი წლების პირველ ნახევარში აგრძელებდა თავისი აგრესიული ზრახვების განხორციელებას. ამის ნათელი

---

[124] ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი იარაღი / ნიკა ჩიტაძე; [რედ. ნატალია ბერუაშვილი] - თბ., 2008

დადასტურება გახლდათ ის, რომ კვლავ გრძელდებოდა ავღანეთის ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ, ხოლო 1983 წლის 1 სექტემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაიდინა უსასტიკესი დანაშაული, როდესაც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაპირებთან საბჭოთა რაკეტსაწინააღმდეგო ძალებმა ჩამოაგდეს სამხრეთ კორეული სამოქალაქო ლაინერი, რომლის ბორტზეც 269 ადამიანი იმყოფებოდა. გარდა ამისა, იმავე წლის ნოემბერში სსრკ-მ მიიღო გადაწყვეტილება ჟენევაში სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ მიმდინრე მოლაპარაკებათა პროცესისიდან გამოსვლის შესახებ. მდგომარეობა რადიკალურად შეი-ცვალა 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც საბჭოთა კავშირში დაიწყო „პერესტროიკის" პერიოდი, რამაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობების დათბობის პროცესში და დასავლეთის დემოკრატიის საბოლოო გამარჯვებაში „ცივ ომში", სადაც თავისი უდიდესი და გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა.

საბჭოთა კავშირში 1985 წლის მარტში მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ჟენევაში განახლდა მოლაპარაკებები სსრკ-სა და აშშ-ის შორის, რომელიც ეხებოდა თავდაცვით და კოსმოსურ სისტემებს, აგრეთვე სტრატეგიულ ბირთვულ ძალებს და მათ კონტროლს. უკვე 1985 წლის ნოემბერში, ჟენევაში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე რეიგანმა და გორბაჩოვმა მიაღწიეს საერთო შეთანხმებას სტრატეგიული ბირთვული ძალების 50 პროცენტით შემცირების შესახებ. მომდევნო წელს, ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოუწოდეს საბჭოთა ხელისუფლებას „ახალი გაბედული ნაბიჯების ერთად გადადგმისაკენ". „ცივი ომის" დასრულებასა და ნატო-ს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა 1987 წლის 7-10 დეკემბერს აშშ-სა და სსრკ-ის შორის გამართულმა მოლაპარაკებებმა უმაღლეს დონეზე, რომლის დროსაც ხელი მოეწერა რიგ შეთანხმებებს „ინტერვალური სიშორის ბირთვული ძალების შესახებ", რომელიც ითვალისწინებდა სახმელეთო ბაზირების რაკეტების ლიკვიდაციას, აგრეთვე ხელმოწერილ იქნა შეთანხმება „ორივე ქვეყნის საცდელ პოლიგონებზე ბირთვული გამოცდების ჩატარების სფეროში ურთიერთკონტროლის შესახებ". გარდა ამისა, ორივე ქვეყნის ლიდერმა აიღო თავის თავზე ვალდებულება სტრატეგიული შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ.

„ცივი ომის" დასრულების შემდგომ მოხდა ევროპაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის კარდინალური შეცვლა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ნატოს პოლიტიკაში, შესაბამისად დაიწყო ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება, რომელზეც მუშაობა გრძელდებოდა ბერლინის კედლის დაცემიდან ორი წლის განმავლობაში და რომელზეც მუშაობა დასრულდა 1991 წელს, თუმცა მოგვიანებით მოხდა ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის ადაპტირებული ვერსიის შემუშავება, რომელიც საზოგადოებისათვის უკვე 1999 წელს გამართული ვაშინგტონის სამიტის შემდეგ გახდა ცნობილი.

1991 წლის 7-8 ნოემბერს გამართულ ნატოს სამიტზე რომში მიღებულ ოფიციალურ განცხადებაში საბჭოთა კავშირთან ერთად, უკვე ხაზგასმით ფიგურირებდა ტერმინი „რესპუბ-ლიკები", რაც ბუნებრივია ეხმაურებოდა იმ დროს საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის ღრმად განვითარებულ პროცესს. მაგრამ ამავედ დროს აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ სამიტის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა განიარაღების პროცესი, რაშიც ახალი და მოულოდნელი ელემენტების შეეძლო საბჭოთა კავშირის მოსალოდნელ დაშლას. ამ თვალსაზრისით ნატოს ლიდერებმა მოუწოდეს საბჭოთა კავშირსა და რესპუბლიკებს, შეესრულებინათ ნაკისრი ვალდებულებები. კერძოდ სამიტის განცხადებაში საუბარი იყო ისეთი დოკუმენტების

რატიფიცირებაზე, როგორიც იყო ხელშეკრულებები სტრატეგიული შეიარაღების შემცირების, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და ბიოლოგიური შეიარაღების შესახებ. აღნიშნული საკითხების განხილვა გაგრძელდა 1992 წლის 17 დეკემბერს ბრიუსელში გამართულ ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე. მინისტრებმა მოუწოდეს უკრაინას, ბელორუსსა და ყაზახეთს სასწრაფოდ შეერთებოდნენ ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებ-ლობის შესახებ (NTP) და მოეხდინათ სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების (START) რატიფიცირება. 1994 წლის 5 დეკემბერს მოხდა შეტევითი იარაღის (START-1) შესახებ მიღწეული ხელშეკრუ-ლების რატიფიკაცია. დაიწყო მოქმედებები რომელიც ითვალისწინებდა სტრატეგიული ბირთვული შეტევითი იარაღის შემცირებას, 1995 წელს ყაზახეთში, ხოლო 1996 წელს უკრაინამ და ბელორუსიამ გადასცეს რუსეთს მათ ხელში არსებული ყველა ბირთვული საბრძოლო მუხტი. რომელთა დიდი ნაწილი დემონტაჟირებული იქნა (უკრაინული მთლიანად). იმავდროულად მოხდა ყაზახეთსა და უკრაინაში შახტებში არსებული გამშვები დანადგარების ლიკვიდაცია. დაიწყო უკრაინაში არსებული მძიმე ბომბდამშენების ნაწილის უტილიზაცია, ხოლო ნაწილი კომერციული მიზნებიდან გამომდინარე გადაეცა რუსეთის ფედერაციას.[125] დღეისათვის ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების ჯგუფს, პირობითად "ბირთვულ კლუბს" უწოდებენ. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმების (Non-Proliferation Treaty, NPT) (1968 წ.) მიხედვით ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნად ითვლება სახელმწიფო, რომელმაც ბირთვული იარაღი ააფეთქა 1967 წლის 1 იანვრამდე ასეთი კი სულ 5 სახელმწიფოა: 1. აშშ; 2. რუსეთი (რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ბირთვულ იარაღი სსრკ-ს დაშლის შემდეგ). 3. საფრანგეთი; 4. დიდი ბრიტანეთი; 5. ჩინეთი. არალეგიტიმური მფლობელები: 1. ინდოეთი; 2. ჩრდ. კორეა; 3. პაკისტანი; 4. ისრაელი. ეს სია სრული არ არის. ბევრ ქვეყანას ჰქონდა ბირთვული პროგრამის განხორციელების სურვილი, მაგრამ ზესახელმწიფოების ზემოქმედებით უარი თქვეს, თუმცა, ზოგიერთი მაინც განაგრძობს ამ პროგრამაზე მუშაობას. ზოგიერთ სახელმწიფოს კი ბირთვული იარაღი სხვა ქვეყნებმა მიაწოდეს. მაგალითად, აშშ-მა.

აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ისრაელის და ზოგიერთი სხვა ქვეყნების მთავრობებმა დაადანაშაულეს ერაყი ბირთვული იარაღის საიდუმლოდ შექმნასა და ფლობაში. 1981 წელს ისრაელმა მიიტანა საავიაციო-სარაკეტო დარტყმები ერაყის ბირთვულ ცენტრზე, მისი ბირთვული პროგრამის შეწყვეტის მიზნით. ეს ბრალდებები გახდა, ასევე, 2003 წელს ერაყის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყების საბაბი, მაგრამ როგორც გაირკვა და ოფიციალურად დადასტურდა, ბრალდებები დეზინფორმაცია აღმოჩნდა.

ირანს ბრალს სდებენ იმაში, რომ დამოუკიდებელი ბირთვული ენერგეტიკის შექმნის ნიღაბით მიაღწია ბირთვული იარაღის შექმნამდე. მან არაერთხელ განაცხადა – რომ შეუძლია შექმნას ბირთვული იარაღი, თუმცა ის შემოიფარგლება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის ურანის გამდიდრებით.

დღეისათვის, მიუხედავად 1995 წლის 15 დეკემბრის ბანგკოკის ხელშეკრულების ხელმოწერისა, რომელიც 1997 წლის 28 მარტს შევიდა ძალაში, ბირთვული იარაღის წარმოების ტექნოლოგიების შექმნაში ეჭვმიტანილია, აგრეთვე მიანმა.

1968 წელს გაფორმდა შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ,

---

[125] ე. გვენეტაძე, - ,,საერთაშორისო უშიშროების ასპექტები", გამ-ბა ,,იურისტების სამყარო", თბილისი - 2017.

1986 წელს კი _ ბირთვული გამოცდების ჩატარების აკრძალვაზე, მაგრამ ამ ხელშეკრულებებს ბევრი ქვეყანა არ შეუერთდა, რაც დღესაც უქმნის საფრთხეს მსოფლიოს.

ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის მომხრეთა მთავარი საბუთი მდგომარეობს იმაში, რომ ის იყო და რჩება ეფექტურ შემაკავებელ ფაქტორად. ძნელია არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, ვინაიდან რომ არა ბირთვული შეკავება „ცივი ომი“ ადვილად გადაიზრდებოდა ,,ცხელ“ - მესამე მსოფლიო ომში. ბირთვული შეკავების მთელი თეორია აგებულია სწორედ იმაზე, რომ ბირთვული კონფლიქტის შემთხვევაში გარანტირებული ურთიერთგანადგურება გარდაუვალია.

ბირთვული იარაღის გამოყენებით კონფლიქტის შესაძლებლობა იზრდება ისეთ ზესახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გამწვავებისას, რომლებსაც ასეთი იარაღი აქვთ. ბირთვული იარაღი მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური ინსტრუმენტს წარმოადგენს გლობალურ პოლიტიკაში. თეორიულად, ასეთი საშიშროება არსებობს როგორც აშშ-ს და ჩრდილოეთ კორეას, ასევე აშშ-ს და რუსეთს და ინდოეთს და პაკისტანს შორის. თუკი ზემოთხსენებული ტექნიკური გაუმართაობით გამოწვეულ ესკალაციას გამოვრიცხავთ, რაც ბირთვული სახელმწიფოების დაპირისპირების შემთხვევაში შესაძლებელია, კონფლიქტის ინიციატორი შეიძლება მხოლოდ ისეთი ლიდერი გახდეს, რომელსაც ეგრეთ წოდებული ზეფასეულობები აქვს, ანუ ის, ვისთვისაც საკუთარი ხალხის გადარჩენაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ არსებობს და ვინც არავისთან შეთანხმების ვალდებულებით არ არის შეზღუდული. ასეთ დროს ურთიერთშეკავების დოქტრინა აღარ მუშაობს, რადგან ასეთ ლიდერს არ ეშინია იმის, რომ მის ქვეყანას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება. ამ კრიტერიუმებს ყველაზე მეტად ჩრდილოკორეელი მმართველი კიმ ჩენ ინი აკმაყოფილებს.

მასობრივი განადგურების იარაღის, მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და მასალების (ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაქტიური და ბირთვული ნივთიერებები) უკონტროლო გავრცელება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა, რომლის ეფექტიანი პრევენცია მხოლოდ მრავალეროვნული კონსოლიდირებული მიდგომებით არის შესაძლებელი. შეიარაღებაზე კონტროლისა და გაუვრცელებლობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალური უსაფრთხოებისთვის. არსებობს მასობრივი განადგურების იარაღის, მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და მასალების გავრცელების თვალსაზ-რისით მაღალი რისკის მქონე რეგიონები. ასევე მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმი, რომელიც 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა გლობალური უსაფრთხოებისთვის. ტერორიზმის სხვადასხვა გამოვლინების ფორმებსა და საშუალებებიდან ყველაზე უფრო დიდი საფრთხის შემცვლელია ბირთვული ტერორიზმი (Nuclear Terrorism). ყველა ტერორისტული ორგანიზაციის მიზანია, რაც შეიძლება დიდი მსხვერპლის გამოწვევა. აქედან გამომდინარე, ტერორისტები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ბირთვული იარაღი, რაც გლობალური უსაფრთხოების სისტემის მოშლას გამოიწვევს და კატასტროფულ შედეგებამდე მიიყვანს კაცობრიობას.

XXI საუკუნეში მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შეზღუდვა ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა გლობალური უსაფრთხოებისთვის. მოცემული მიმართულებით ნატო მნიშვნელოვან როლს თამაშობს და თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საკითხში. ამასთან ერთად, აღნიშნული საკითხი

პირდაპირ განსაზღვრავს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ძირითად პრინციპებს და განაპირობებს სტრატეგიული პარიტეტის არსებობას ევროპის კონტინენტზე.

ბიბლიოგრაფია:

1) ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი / ნიკა ჩიტაძე ; [რედ. ნატალია ბერუაშვილი] - თბ., 2008.

2) ე. გვენეტაძე, - ,,საერთაშორისო უშიშროების ასპექტები", გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო", თბილისი - 2017.

3) გ. მაღრაძე, ვ. მაისაია. ,,21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები", გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი 2017;

4) მშვიდობა და ომი ერებს შორის / რაიმონ არონი ; სამეცნიერო რედაქტორი : ზურაბ დავითაშვილი; მთარგმნელი : გიორგი სანიკიძე, თბ. - მარსი, 2009.

5) მასურაშვილი ნ. - ,,ბირთვული ტერორიზმი" https://globalcase.org

6) NATO: From Regional to Global Security Provider -Yonah Aleksander (Editor), Richard Prosen (Editor), Wesley K. Clark (Ret), General, 2015.

7)NATO's post-Cold War politics : the changing provision of security /Author: edited by Sebastian Mayer. Publication info: Basingstoke : Palgrave Macmillan, 2014.

8)NATO, the European Union, and the Atlantic Community: The Transatlantic Bargain Reconsidered (Paperback) by Stanley R. Sloan, published 2002.

9)Understanding NATO in the 21st Century : Alliance Strategies, Security and Global Governance by Graeme P. Herd & John Kriendler (eds), (2013).

10)Diplomacy and War at NATO: The Secretary General and Military Action after the Cold War. Ryan C. Hendrickson, 2006.

Alika Guchua
Caucasus International University Faculty of Social Sciences Doctoral student of Educational Program of Political Sciences

"North Atlantic Alliance in the 21 st Century and the Factor of Mass Destruction in International Security"

Summary

In the modern period, against global changes, geopolitical transition and new threats and challenges, the issues of international security are becoming more actual. The existence of weapons of mass destruction has a great impact on global security. Nuclear weapons were and remain an effective deterrent to open military confrontation between global actors in global politics. Since if not the nuclear restraint, the "cold war" could easily turn into a "hot" war - the Third World War. The greatest threat to humanity during its history of existence is the danger that arises during armed conflicts, especially when weapons of mass destruction are used. Weapons of mass destruction represent weapons of a powerful, destructive force aimed at mass losses and destruction. Limiting the proliferation of weapons of mass destruction is one of the key issues of the 21st century in the matter of security. The role and function of the Euro-Atlantic Aliance is of great importance for ensuring global security in the period of the existence of weapons of mass destruction. NATO's nuclear strategy and force posture are inseparable elements of the Alliance's overall strategy of war prevention. They fulfil a fundamentally political role in preserving peace and contributing to stability in the EuroAtlantic region. NATO has to deal with challenges and threats such as terrorism, weapons of mass destruction and failing states.

გიორგი ფერაძე
ეკონომიკის დოქტორი

დავით კუხალაშვილი
ისტორიის დოქტორი

ეკონომიკური სანქციების სადაზვერვო ხასიათი და სადაზვერვო სარგებლის მომლოდინე ჯგუფების კატეგორიები

საერთაშორისო ურთიერთობებში საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, ქვეყნებს დაზიანებას დაქვემდებარებულ სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) მიმართებაში აქვთ შესაძლებლობა ეკონომიკური დაზვერვის ფარგლებში გამოიყენონ სხვადასხვა ხასიათის ეკონომიკური სანქციები. შესაბამისად, საერთაშორისო ხასიათის შემზღუდველ ეკონომიკურ სანქციებში სადაზვერვო ინტერესების შესაბამისად მონაწილეობა სხვადასხვა სახელმწიფოებში განხორციე-ლებულ სადაზვერვო ხასიათის ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობასთან ერთად, ანალოგიურ ქმედებას ექვემდებარება სანქციის დამკანონებელი საერთაშორისო ორგანიზაციაც. გამოდის რომ, ამ მიმართულებით წარმატებული სადაზვერვო საქმიანობა სტაბილური და განვითარებული მომავლის უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ ორ დონეზე უნდა განახორ-ციელოს, რაც საკუთარი კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის, ე.ი. სტაბილური და წარმატებული ოპერატიული ვითარების შენარჩუნების საფუძველი იქნება. არსებობს შესაბამისი მიზეზები, რადგან ამ ვითარების მისაღწევად:

➢ აუცილებელია საკუთარი სახელმწიფოს სტრატეგიული ან სასიცოცხლო ინტერესების დამაზიანებელი კონკრეტული ობიექტი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოებების) განსაზღვრა;

➢ აუცილებელია სარგებლის მომტანი კონკრეტული სანქციის განსაზღვრა დასაზია-ნებელი ობიექტი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) მიმართ;

➢ აუცილებელია დასაზიანებელი ობიექტი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოებების) მიმართ სანქციის გატარებისას, მიზნობრივი სარგებლის მიღების მიზნით სადაზვერვო ალიანსებში თუდამოუკიდებლად მონაწილეობის მიზანშეწონილობის განსაზღვრა.

ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზი იძლევა საშუალებას, რომ სანქციების ამოქმედებისათვის, აუცილებელია კონკრეტულ სახელმწიფოში (ან სახელმწიფოებში) მასშტა-ბური სადაზვერვო საქმიანობის უზრუნველყოფა, ქვემოჩამოთვლილი ისეთი *სადაზვერვო-აგენტურული ხასიათის ინფორმაციის მოპოვებისა* და შესაბამისი *სადაზვერვო-ოპერაციული ციკლის* ორგანიზების მიზნით, როგორიცაა:

➢ *სტრატეგიული ხასიათის ინფორმაციის [მათ შორის სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) სტრატეგიული ინტერესების, გეგმების, მათი მიმდინარეობისა და უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, მზვერავი სახელმწიფოს შესაბამის ინტერესებზე და სხვა] მოპოვება;*

✓ კორუფციით, სადაზვერვო-აგენტურული ხასიათის გადაბირებით, შანტაჟით და სხვა მეთოდებით, დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) ხელისუფლების მზვერავი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების სასარგებლოდ გადართ-ვის ორგანიზება;

➢ *პოლიტიკური ხასიათის სადაზვერვო ინფორმაციის [მათ შორის სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) პოლიტიკური ინტერესების, გეგმების, ოფიციალური და არაოფიციალური პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის შეხვედრების ან ვიზიტების, მათი ხასიათისა და შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, მზვერავი სახელმწიფოს შესაბამის ინტერესებზე და სხვა] მოპოვება;*

✓ კორუფციით, სადაზვერვო-აგენტურული ხასიათის გადაბირებით, შანტაჟით და სხვა მეთოდებით, დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) ხელისუფ-

ლების მზვერავი სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების სასარგებლო გადართვის ორგანიზება;

➢ *ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის [მათ შორის სახელმწიფოში (ან სახელმწიფოებში) არსებული ეკონომიკური ვითარების, კორუფციის თვალსაზრისით მოწყვლადი ადგილების, სახელმწიფოებთან არსებული ან პერსპექტიული ეკონომიკური კავშირებისა და მათი შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, მზვერავი სახელმწიფოს შესაბამის ინტერესებზე და სხვა] მოპოვება;*

✓ კორუფციით, სადაზვერვო-აგენტურული ხასიათის გადაბირებით, შანტაჟით, დამყარებული ეკონომიკური კავშირების მოშლით და ახლის ჩამოყალიბებაზე ხელშეშლით, აგრეთვე სხვა მეთოდებით, ობიექტი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) ხელისუფლებაზე მზვერავი სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების სასარგებლო გადაწყვეტილებების ორგანიზება;

➢ *სამხედრო ხასიათის ინფორმაციის [მათ შორის სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) სამხედრო და სამხედრო-სამეცნიერო პოტენციალის, სახელმწიფოებთან არსებული ან პერსპექტიული სამხედრო კავშირები და მათი შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, მზვერავი სახელმწიფოს შესაბამის ინტერესებზე და სხვა] მოპოვება.*

✓ კორუფციით, სადაზვერვო-აგენტურული ხასიათის გადაბირებით, შანტაჟით, დამყარებული სამხედრო-ეკონომიკური კავშირების, სამხედრო-სამეცნიერო პოტენციალის მიზანმიმართული მოშლით და ახლის ჩამოყალიბებაზე ხელშეშლით, აგრეთვე სხვა მეთოდებით, სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) ხელისუფლებაზე მზვერავი სახელმწიფოს სამხედრო და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების სასარგებლო გადაწყვეტი-ლებების ორგანიზება;

ზემოაღნიშნული განფენის მასშტაბურობის და ზეგავლენის შედეგებზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად საყურადღებოა სადაზვერვო საქმიანობის უზრუნველსაყოფად შესაძლო გამოყენებას დაქვემდებარებული, დაგეგმარების დარგში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ყოფილი მოადგილის რიჩარდ ბისელის საიდუმლო ოპერაციული სქემის ***<u>ოპერაციის ისეთი სახეობები</u>*** როგორიცაა:[1]

➢ პოლიტიკური რჩევები და რეკომენდაციები;

➢ ცალკეული პირების სუბსიდირება;

➢ პოლიტიკური პარტიების ფინანსური მხარდაჭერა და „ტექნიკური დახმარების“ აღმოჩენა;

➢ პროფკავშირების ჩათვლით კერძო ორგანიზაციების, ფირმების, კოოპერატივებისა და ა.შ. მხარდაჭერა;

➢ ფარული მხარდაჭერა;

➢ ცალკეული პირების „პირადი“ მომზადება და ადამიანების გაცვლა

➢ ეკონომიკური ოპერაციები;

➢ ნახევრად საომარი ოპერაციები და პოლიტიკური აქციები.

ჩამონათვალიდან ჩანს, რომ ოპერაციული გეგმის მასშტაბური ამოქმედების შემთხვევაში, დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელი სადაზვერვო ზემოქმედების ობიექტი ხდება, როგორც ინდივიდუალური ისე კოლექტიური თვალსაზრისით.

თუგავითვალისწინებთ რომ, სადაზვერვო (მათ შორის ეკონომიკური) აქციების მასშტაბურობას განაპირობებს კონკრეტული სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) მიმართ სადაზვერვო ინტერესების გადაკვეთა ან თანხვედრა, მაშინ ზემოქმედების აქციის ორგანიზება შეიძლება მიმდინარეობდეს სქემაზე ასახული სადაზვერვო სტანდარტული განფენით:



აღნიშნულიდან გამომდინარე სახეზე გვაქვს სადაზვერვო სარგებლის მომლოდინე სახელმწიფოთა ჯგუფების კატეგორიები.

განხილული თეორიული მასალის ფონზე მიმოვიხილოთ ეკონომიკური სანქციები, რომლებიც კომბინირებულ, პოლიტიკურ-ეკონომიკური სადაზვერვო საქმიანობის ნიშნებს შეიცავენ. 2017 წლის მდგომარეობით ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებისათვის ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვან დაპირის-პირებულ მხარეებს წარმოადგენდნენ. თურქეთმა გარკვეულწილად განავითარა ურთიერთო-ბები რუსეთის ფედერაციასთან, რაც აშშ-ის სტრატეგიული ინტერესების საზიანო ქმედება იყო ამ კუთხით გამორჩეულია სადაზვერვო-ოპერაციული და საომარი ქმედებები სირიაში, სადაც მიმდინარეობს „მაღალი ინტენსივობის შეიარაღებული კონფლიქტი“ [2] (რომელშიაც ჩართული არიან უცხო (მათ შორის კოალიციური) სახელმწიფოები, როდესაც საბრძოლო მოქმედებს აქვს სისტემატიური ხასიათი, სადაც ატომური იარაღის გარდა გამოიყენება როგორც ჩვეულებრივი, ისე მასობრივი განადგურების იარაღი და მსხვერპლის ინტენსივობა წელიწადში 500 (1000) [3]და მეტს შეადგენს). შესაბამისად პოლიტიკური და სამხედრო სადაზვერვო აქტივობების ფონზე დღის წესრიგში ეკონომიკური დაზვერვის გააქტიურებაც დადგა. ღია წყაროებში განთავსებული ინფორმაციების ანალიზით ირკვევა, რომ 2017 წლის 27 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაჟღერდა ინფორმაცია, სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის განხორციელების (მუხლი 231. კანონი სანქციების მეშვეობით აშშ-ის მოწინააღმდეგეებთან წინააღმდეგობის გაწევის“) შესახებ, იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც შეგნებულად მონაწილეობენ „მნიშვნელოვან“ გარიგებებში იმ პირებთან, რომლებიც წარმოადგენენ ნაწილს ან ანხორციელებენ მოღვაწეობას რუსეთის თავდაცვითი და სადაზვერვო სექტორების სასარგებლოდ ან მისი სახელით.“ [4] საყურადღებოა ის გარემოება, რომ თურქეთი მჭიდრო სამხედრო-ეკონომიკური ხასიათის კავშირებით ამერიკული („Patriots“) და ფრანგულ-იტალიური (Eurosam SAMP-T) [5] თავდაცვითი სისტემების შესყიდვას ანხორციელებდა. 2018 წლისათვის თურქეთიც შესაძლოა სამხედრო-ეკონომიკური ხასიათის დამაზიანებელ სანქციას დაექვემდებაროს, რადგან მისი სურვილი რუსული საჰაერო თავდაცვითი სისტემის (C-400) [6] შესყიდვაზე, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებისათვის შეუსაბამოა.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

➢ საერთაშორისო ხასიათის შემზღუდველ ეკონომიკურ სანქციებში სადაზვერვო ინტერესების შესაბამისი, წარმატებული შედეგის დადგომა ორ დონეზე მოღვაწეობით, სახელმწიფოს (სახელმწიფოების) და სანქციის დამკანონებელი საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ სისტემატიურ რეჟიმში უნდა განხორციელდეს;

➢ საკუთარ სახელმწიფოში სტაბილური ოპერატიული ვითარების შესანარჩუნებლად, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ბალანსის უზრუნველსაყოფად მზვერავმა სახელწიფომ საკუთარი სახელმწიფოს სტრატეგიული (ან სასიცოცხლო), ეკონომიკიური, პოლიტიკური და სამხედრო ინტერესების შესაბამისად დამაზიანებელი და დასაზიანებელი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოებების) სწორი განსაზღვრაუნდა განახორციელოს, რათა საკუთარი სახელმწიფოსადმი მიზნობრივი სარგებლის მიღება სისტემატიურად უზრუნველყოს;

➢ სადაზვერვო საქმიანობის შესწავლის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს დაზვერვას დაქვემდებარებული ან მზვერავი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესები, გეგმები, მათი მიმდინარეობა, პოლიტიკური ინტერესები, ოფიციალური და არაოფიციალური პოლიტიკური ხასიათის შეხვედრები ან ვიზიტები, მათი ხასიათი, ეკონომიკური ვითარება, კორუფციის თვალსაზრისით მოწყვლადი ადგილები, სახელმწიფოებთან არსებული ან პერსპექტიული ეკონომიკური კავშირები;

➢ დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელი სადაზვერვო ზემოქმედების ობიექტს წარმოდგენს, როგორც ინდივიდუალური ისე კოლექტიური თვალსაზრისით;

➢ საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების მიღება-აღსრულების პროცესში სადაზვერვო თვალსაზრისით ყალიბდება სარგებლის მომლოდინე სახელმწიფოთა ჯგუფების კატეგორიები: ყველაზე მაღალი, მნიშვნელოვანი და რაიმე სარგებლის მომლოდინე ჯგუფები, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე შესაბამისად დომინანტის, სტრატეგიულად პარტნიორი სახელმწიფოს როლის ან სატელიტი სახელმწიფოს სტატუსისათვის იბრძვიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1."Разведка и тайные операции." Глава. I. [РичардБиселл, бывший заместитель директора ЦРУ по планированию] http://militera.lib.ru/h/bloch_fitzgerald/01.html;

2.„Мир в состоянии войны. Кто, где и за что сейчас воюет.“https://news.tut.by/world/561044.html?crnd=34035;

3. „Definition of armed conflict.“http://escolapau.uab.cat/english/conflictandpeacebuilding/definici ones.php;

4.„Section 231 of the Countering America's Adversaries Through Sanctions Act of 2017.“https://www.state.gov/t/isn/caatsa/index.htm;

5. „Информация для клиентов В США приняты разъяснения по санкциям в отношении разведывательного и оборонного секторов России.“ https://www.debevoise.com/~/media/files/insights/publications/2017/10/20171215%20ru_us_issues_guidance_on_sanctions_relating_to%20russia_defense_intelligence_sectors.pdf;

6.„Turkey to Use Russia's S-400 Air Defense System to Protect Akkuyu NPP – Academic.“ 28.03.2018 (The views and opinions expressed by Mesut Hakki Casin are those of the contributor and

do not necessarily reflect those of Sputnik).https://sputniknews.com /analysis/201803281062974799-turkey-russia-s400-akkuyu/;
7. US threatens sanctions as Iraq eyes Russia's S-400 missile system." 1 Mar, 2018 https://www.rt.com/news/420214-us-sanctions-iraq-s-400-russia/;

Giorgi Peradze
Doctor ofBusiness Administration

Davit Kukhala Svili
Doctor of History

„ The reconnaissance character of economic sanctions and group categories expecting reconnaissance benefit"

Summary

In order to again and keep the dominant role in international relations or to provide the security of own state countries actively use economic reconnaissance together with political, military and scientific – technical one. That is why the subject of the research: "The reconnaissance character of economic sanctions and group categories expecting reconnaissance benefit" is gaining special significance.

ნათია ხიჯაკაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საქართველოს ისტორია, მაგისტრი, მე-2 კურსი

საქართველოს ისტორიისა და კულტურის დისკრედიტაციის პროცესები

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს დამორჩილება მრავალი იმპერიის ინტერესებში შედიოდა. მიზნის მისაღწევად იმპერიები დიდებულთა და სასულიერო პირთა გადაბირებას და საკუთარი მიზნებით გამოყენებას, რწმენის ძალადობრივი შეცვლისა და ეკლესია-მონასტრების ნგრევის პროცესებს სისტემატიურად ახორციელებდნენ. მიუხედავად ამისა ქვეყნის პატრიოტი დიდებულების, სასულიერო პირებისა და მოსახლეობის თავგანწირვის საფუძველზე ქართული სახელმწიფოს ეროვნული და სულიერი თვითშეგნებისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება შესაძლებელიგახდა.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს პატარა ერების ისტორიისა-კულტურის გადარჩენა და შენარჩუნება სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიმართულებით ქმედითი ღონისიებების გატარება ერის ისტორიისა და კულტურის დისკრედიტაციის, მოსახლეობის მორალური რყევის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი საფუძველია. სპეცსამასახურების საქმიანობის ისტორიის ანალიზი-დან გამომდინარე, შიეძლება დავასკვნათ, რომ დაპყრობას დაქვემდებარებული სახელმწიფოს მიმართ, უცხო სახელმწიფოთა მხრიდან განსახორციელებელ ღონისძიებებთაგან გამორჩეულია ქმედებები, რომლებიც იწვევენ:[126]

-ერის სულიერი ღირებულებებისა და ეროვნულ-კულტურული ფასეულობების რღვევას;

-სხვადასხვა რელიგიური სექტების მომრავლებასა და მათი მტრული, კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის ხელის შეწყობას, რელიგიური ექსტრემიზმის გაღვივებას და სხვა.

სწორედ აღნიშნული მიზნებით უცხო სახელმწიფები გეგმავდნენ და ახორციელებდნენ ღონისძიებებს საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ეთნიკური და რელიგიური ისტორიის დისკრედიტაციის დევნის ფონზე მიმდინარეობდა. ამ კუთხით საინტერესოა რუსეთის იმპერიის მხრიდან საქართველოს ეთნოსისა და რელიგიის საწინააღმდეგოდ ორგანიზებული რამოდენიმე ფაქტი:

-„რუსეთის მთავარმმართებლის პასკევიჩის ხელშეწყობით 1830 წელს სამხრეთ საქართველოში თურქეთიდან ჩამოასახლეს 30 ათასი სომხური ოჯახი, რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ნინოწმინდის, ახალქალაქის, წალკის და სხვა რაიონებში. ჩამოსახლებულმა მოსახლეობამ მიითვისა ამ ტერიტორიაზე არსებული ძველი ქართული ქრისტიანული ტაძრები, მათზე არსებული ქართული წარწერები კი სომხურით შეცვალა.“ [127]

-1886 წ. 24 თებერვალს,რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოსა და იმპერატორის ბრძანებით ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი რეგიონისათვის საოჯახო

---

[126]თენგიზ ენდელაძე. „საგარეო დაზვერვის სამსახურები.“ თბილისი 2007.გვ. 6-7;

[127]ელდარ ბუბულაშვილი. „კონსტანტინე გვარამაძე-სიძველეთა დამცველი“ სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი „სამისაუნჯე“ N 1(15), თბილისი, მარტი, 2015. გვ.45;

სიების აღრიცხვის პროცესი ჩატარდა, რომელშიაც დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები, რომლებიც ერთნიკურ-რელიგიური დისკრედიტაციის ნიშნებს შეიცავენ. „ქართველი მონოფიზიტები (გრიგორიანები) ხშირ შემთხვევაში სომხური ეროვნებისადმი არიან მითვლილი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აზრი აღმწერთა მიერ სარწმუნოებრივ მომენტზეა გადატანილი. თუ ქართველი, მართლმადიდებლური რწმენის გარდა, აღიარებდა სხვა სარწმუნოებას, ის მოსახლეობის შეხედულებით ქართველი აღარ იყო. ასე მოინათლნენ სომხებად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ფრანგებად (და სომხებად) - კათოლიკე ქართველები სამცხე-ჯავახეთში, ინგილოებად -მაჰმადიანი ქართველები ისტორიულ ჰერეთში, თურქებად-მაჰმადიანი ქართველები სამხრეთ-დასავლეთში საქართველოში.“ [128]საქართველოს ისტორიული ინტერესების საზიანოდ, 1919 წელს *დაშნაკი მეცნიერების* მიერ ორგანიზება გაუკეთდა სომხეთის ისტორიული და სახელმწიფო რუკების დამზადებას, რომლის მიხედვითაც „თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო, თბილისის ჩათვლით, სომხეთის საზღვრებში“ იყო მოქცეული. იმავე წელს საერთაშორისო ასპარეზე საქართველოს სახელმწიფოსა და ისტორიის დისკრედიტაციის მიზნით, დაშნაკთა მიერ აღნიშნული რუკები წარდგენილი იქნა სტამბოლის კონფერენციაზე ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, თუმც მიზანს ვერ მიაღწიეს.

ისტორიული სიყალბის ორგანიზების კუთხით გამორჩეული იყო *საბჭოთა კავშირი*, სადაც იქმნებოდა „სამეცნიერო ნაშრომები,“ რომელთა მიზანსაც 1918-1921 წლების დამოუკიდებლი საქართველოსათვის ბრძოლის ისტორიის მიჩქმავლვა წარმოადგენდა, რითაც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს იძულებით გასაბჭოების გამართლების იდეოლოგიური ფონი იქმნებოდა. ამ კუთხით საყურადღებოა, ისტორიკოსის ვახტანგ გურულის კვლევა, რომლის მიხედვითაც „მოსკოვი „მკვლევარებსაც“ მოაშველებდახოლმესაბჭოთასაქართველოს (იხ.: Я. Шафир. Гражданская война в России и меньшевистская Грузия. Москва, 1921; Я. Шафир. Тайна меньшевистского царства. Тифлис, 1921). საბჭოთა ისტორიოგრაფიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნაცვლად საზოგადოებას შეაჩეჩა პრობლემა-ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში.“[129]

ისტორიული სიყალბის კუთხით გამორჩეულია *საბჭოთა პერიოდში სომეხ ისტორიკოსთა* როლი. 1946 წელს ქართველმა ისტორიკოსმა სიმონ ჯანაშიამ გაილაშქრა სომხეთში ნ.ტოკარსკის ავტორობით (პასუხისმ. რედ. ნ.ორბელი) გამოცემული ნაშრომის „ძველი სომხეთის არქიტექტურა,“ [130] რომელშიაც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო სომხურად იყო გამოცხადებული.

---

[128] რ.თოფჩიშვილი. „ეთნოისტორიული ეტიუდები“ წიგნი I. საქართველო სმეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.საქართველოს განათლების სამინისტროს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერისტეტი. ენა და კულტურა. თბილისი. 2005. გვ.47. http://www.collegeaisi.ge/uploads/files/r.topchoshvili%20-etnoisturi%20 etiudebi_2.pdf;

[129]ვ.გურული. „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია (შესწავლის მდგომარეობა. პერიოდიზაცია).“ გამომცემლობა „უნივერსალი.“ თბილისი 2011. გვ.13-14. https://sangu.ge/images /vguruli/9axist.pdf;

[130]აკად. სიმონ ჯანაშია. „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ ნ.ტოკარსკის წიგნის „ძველი სომხეთის არქიტექტურის“ გამო.“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მე-2 გამოცემა მოამზადა ბონდო არველაძემ . თბილისი. 2016. გვ.5. http://science.org.ge/books/2017/janashia-geo.pdf;

განხილული მიმართულებით საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას არც თანამედროვე ეტაპზე დაუკარგავს მნიშვნელობა. უახლესი ისტორიიის ანალიზით საქართველოს ისტორიის მიზანმიმართული დისკრედიტაციის პროცესში ჩართულია *აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი.* ამ მიმართულებით გამორჩეულია ინტერნეტპორტალი „sputnikabkhazia.ru.“ მასში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით „ბლოგერირის მაგაჯინ-ჯალი, მამამისზე, „ისტორიკოს" ერმოლე აჯინჯალზე დაყრდნობით აცხადებს, რომ XII საუკუნის ქართული კულტურის მატერიალური ძეგლი, აფხაზეთში, სოხუმთან, მდ. ბესლეთზე გადებული ერთმალიანი თაღოვანი ხიდი არაქართული, არამედ აფხაზური კულტურის ძეგლია და ქართველებმა, მისი მითვისების მიზნით, ხიდზე, 1935 წელს რეკონსტრუქციის დროს, ამოტვიფრეს ქართული ასოები.“[131]აღნიშნული ინფორმაცია დეზინფორმაციული ხასიათისაა, რადგან არაერთ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით ხიდი ქართული კულტურის მატერიალურ ძეგლს წარმოადგენს. თანამედროვე ეტაპზე ისტორიის დისკრედიტაციის კუთხით განსაკუთრებული აქტიურობით *თურქეთი* გამოირჩევა. „დღეს თურქეთში ბეჭდავენ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც აჭარა მოხაზულია, როგორც თურქეთის ტერიტორია, რომელიც 300 წლის განმავლობაში იყო თურქეთის შემადგენლობაში და რუსეთის იმპერიამ წაართვა.“ [132]

ანტიქართული ისტერიის ფარგლებში, საეკლესიო ისტორიის გაყალბების კუთხით აქტიურობით გმოირჩევა *აფხაზეთის სეპარატისტული* რეჟიმი რომლის ორგანიზებითაც 2009-2010 რუსეთის ფედერაციის კონტროლს დაქვემდებარებულ აფხაზეთში თვითნებურად ჩატარდა საქართველოს ისტორიის გაყალბების ფარგლებში ილორის ტაძრის რესტავრაცია, რომლის დროსაც ილორის უგუმბათო, აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობის ნაცვლად მიღებულია: „გაურკვეველი სახის ნაგებობა, რომელსაც ე.წ.რუსული გუმბათი ადგას.“[133]წაშლილი და გადათეთრებულია ქართული დამწერლობით შესრულებული ის ნაწერები, რომლებიც შეიცავდნენ ამ ტაძრის მშენებლობის ისტორის უმნიშვნელოვანეს ცნობებს და ა.შ. შესაბამისად საკუთარი ისტორიისა და კულტურის დისკრედიტაციისაგან თავდაცვა, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა საქართველოს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს და მისი მიღწევა შესაძლებელია საზოგადოების, სახელისუფლებო და სამეცნიერო სექტორების კოორდინირებული საქმიანობით.

განხილული ფაქტები სახელმწიფოს (მოსახლეობის) მ ო რ ა ლ ურ ი პოტენციალის დაქვეითების მიზნით ორგანიზების ნიშნებს შეიცავს. ამ ქმედებების ორგანიზება სპეციალური სამსახურების გარეშე არ ხორციელდება. გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება თანამედროვე ეტაპზე მოქმედი, სახელმწიფოთა მხრიდან ძირგამომთხრელი საქმიანობის განმარტება, რომლის მიხედვითაც ის წარმოადგენს „საქმიანობას, რომელიც მიმართულია

---

[131] „ისტორიისგაყალბებაგრძელდება - აფხაზი "მეცნიერები" თამარის (ბესლეთის) ხიდის "მითვისებას" ცდილობენ.“ 2017-11-13. http://www.newposts.ge/?l=G&id=156758;

[132] „გიორგი ოთხმეზური: თურქეთში ბეჭდავენ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც აჭარა მიჩნეულია თურქეთის ტერიტორიად.“ ესაუბრა გვანცა ნამიჭეიშვილი. მარტი 24, 2017. http://geworld.ge/ge/%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97/;

[133] „საქართველოსკულტურულიმემკვიდრეობაოკუპირებულტერიტორიებზე.“ 20.11.15 https://kavkazplus.com/news.php?id=297#.WtNHadNuYWo;

ქვეყნის მოქალაქეების მორალის, ლოიალობისა და საიმედოობის შერყევის გზით მისი სამხედრო, ეკონომიური ან პოლიტიკური სიძლიერის დასაზუსტებლად."[134]

საუკუნების განმავლობაში ქართულ ეკლესიას არამარტო სარწმუნოებრივი, არამედ პოლიტიკურ-იდეოლოგიური როლი ჰქონდა შეთავსებული და იგი ყოველთვის გრძნობდა ერის მაჯისცემას და უმეტეს შემთხვევაში ის ქვეყნისა და ერის გამაერთიანებლის როლს ითავსებდა. შესაბამისად დამპყრობლებს გათავისებული ჰქონდათ, რომ ქვეყნის მორჩილება საერო, სასულიერო ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთიანობის გახლეჩის გარეშე არ მოხერხდებოდა. სწორედ ამ მიზნით იყო განპიროვნებული ქართული ეკლესიის დისკრედიტაცია-შევიწროებით გამორჩეული XIX და XX საუკუნის საქართველოს ისტორია, როდესაც რუსეთის იმპერია, საბჭოთა რუსეთი და საბჭოთა კავშირი თავისი სპეცსამსახურების მეშვეობით ქართული ეკლესიის წინააღმდეგ დისკრედიტაციის, დევნის, გადაბირებისა და სხვა სახის დამაზიანებელ პროცესებს აქტიურად ახორციელებდა.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

•საკუთარი ისტორიისა და კულტურის დისკრედიტაციისაგან თავდაცვისა და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების. საზოგადოებისა და სამეცნიერო სექტორების კოორდინირებული საქმიანობა.

•ისტორიისა და კულტურის დისკრედიტაციის ორგანიზებისათვის უცხო სახელმწიფოები საერო და სასულიერო პირთა გადაბირებასაც ახორციელებდნენ. ამ კუთხით და ზოგადად ზეგავლენის პროცესისათვის სპეცსამსახურების სათანადო ღონისძიებებით მიღწევადია ერის სულიერი ღირებულებებისა და ეროვნულ-კულტურული ფასეულობების რღვევა, ხოლო სხვადასხვა რელიგიური სექტების მომრავლებითა და მათი მტრული, კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისს ხელის შეწყობით, რელიგიური ექსტრემიზმის გაღვივება.

•უცხო სახელმწიფოთა მხრიდან, საქართველოს ისტორიისა და კულტურის დისკრედიტაციისა კუთხით გამოყენებულ მეთოდთაგან გამორჩეულია:

-უცხო ქვეყნის ინიციატივით ჩამოსახლებული მოსახლეობის მხრიდან ძველი ქართული ქრისტიანული ტაძრების მითვისება და მათზე არსებული ქართული წარწერების უცხო ენაზე შესრულებული ჩანაწერით ჩანაცვლება;

-საოჯახო სიების აღრიცხვის პროცესში ერთნიკურ-რელიგიური დისკრედიტაციის ნიშნების შემცველი შეცდომების (მათ შორის არა ეთნიკურ, არამედ სარწმუნოებრივ მომენტებზე ყურადღების გამახვილებით ეროვნების მინიჭება) დაშვების ორგანიზება;

-უცხო სახელმწიფოს მიერ ყალბი (საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების მითვისებით გამორჩეული) ისტორიული და სახელმწიფო რუკების დამზადება, ისტორიული

---

[134]„საქართველოს დაზვერვის სამსახურის პეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი მეორე გამოცემა ცვლილებებით დადამატებებით." ლექსიკონის შემდგენლები: ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, პოლკოვნიკი გიორგი სურმავა, მედიცინის დოქტორი მარინა გეგელაშვილი, ნუგზარ ბაბუციძე, დავით ბაზღაძე, ვიტალი მიხელიძე, ილია ნარიმანიძე, აკაკი ცინცაძე. თბილისი. 2013. გვ.116. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9822/3/Sadazgvevo TerminebisGanmartebiti%20leksikoni.pdf;;

სამართლიანობის აღდგენის მიზნით საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენა;

-უცხო სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ანექსიის გამამართლებელი ფონის შემქმნელი სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაცია-გავრცელება;

-უცხო სახელმწიფოს ორგანიზებით, მისი სატელიტი სახელმწიფოს სამეცნიერო კვლევით ისტორიულად ქართული სამეფო ტერიტორიის არაქართულად გამოცხადება;

-უცხო სახელმწიფოში პროპაგანდის ორგანიზება, ქართული ტერიტორიის მათი კუთვნილების შესახებ;

-უცხო სახელმწიფოს კონტროლირებადი, საქართველოში შექმნილი სეპარატისტული რეჟიმის პირობებში თვითნებური რესტავრაციის პროცესით ქართული მართლმადიდებლური ტაძრების სახეცვლილება;

Natia Khijakhadze

The faculty of School of Humanitarian Sciences & Law. St. AndrewtheFirst-Called Of the Patriarchate of GeorgiaGEORGIAN UNIVERSITY

The discreditation processes of Georgian history and art

Summary

Georgian Government's important aim is defending country's own History and Culture from discretion, caring historic heritage. Achievement of all this is possible with coordinated activities by Society's, governmental and scientific sectors. In this direction the process of discrediting containsopposite actions of organizing signs to reduce morality of State (Population), which makes the research topic more important.

ნანა სეფერთელაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება

საქართველოს ევრო- ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი. პრობლემები და პერსპექტივები

საქართველოს ისტორიაში მრავლადაა მაგალითები, როდესაც მმართველები ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად იბრძოდნენ და უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს ბრწყინვალების მოკლე პერიოდების გარდა „მოყვარის“ მტრობითა და ორპირობით ტერიტორიულ მთლიანობის დარღვევას, რელიგიური და სხვა სახის დამაზიანებელ შედეგებს ღებულობდა. ამ კუთხით გამორჩეულია, 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფარგლებში უცხო სახელმწიფოების, სახელმწიფოთა გაერთიანების სახით სტრატეგიული პარტნიორის შერჩევის ღონისძიებები. საყურადღებოა სტრატეგიული პატრნიორი (მფარველი) სახელმწიფოს როლში გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებებისაგან გაწბილებული დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების კავშირები „ერთა ლიგასთან“, რომლის მიზანსაც მფარველ სახელმწიფოთა გაერთიანებაში გაწევრიანება და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება წარმოადგენდა.

1919 წელს შექმნილი „გაეროს“ წინამორბედი პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის „**ერთა ლიგის**“ მიზანს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს წინაშე არსებული საფრთხეების წინააღმდეგ, საერთაშორისო მშვიდობის მისაღწევად ერების კონსოლიდაცია წარმოადგენდა. ამ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავარი საგარეო ვექტორი მიმართული იყო ევროპის ქვეყნებთან დაახლოებისკენ.

საქართველო ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მკვეთრად გამოყოფილ საერთაშორისო სუბიექტს. პირველი ოფიციალური მიმართვა „„ერთა ლიგის“ ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს მხრიდან 1919 წლის მაისში განხორციელდა, იმავე წლის დეკემბერში კი უკვე შეიქმნა ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია, რომელიც პირდაპირ კავშირებს ამყარებდა გარკვეულ წრეებთან.

1920 წლის შუა ხანებიდან, ამავე წლის ნოემბერში გასამართ პირველი სესიაზე საქართველოს ერთა ლიგაში მიღების თვალსაზრისით დადებითი შედეგის მისაღწევად მოსამზადებელ სამუშაოებს აქტიურად ასრულებენ ქართული დიპლომატიური მისიები. ზურაბ ავალიშვილის მიერ მომზადებული მემორანდუმით საქართველოს ერთა ლიგაში გაერთიანების მნიშვნელოვან საფუძველს გეოპოლიტიკური მდებარეობის უნიკალურობა წარმოადგენდა. ამასთან ერთად დასაბუთებული იყო, რომ საქართველოს შეეძლო გავლენა მოეხდინა სხვადასხვა გართულებულ მოვლენებზე ამიერკავკასიაში.

საქართველოს საკითხთან მიმართებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „ერთა ლიგის“ მმართველი ორგანოს-საბჭოს მუდმივი (4 ერთეული: იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და იაპონია) და არჩევითი (4 ერთეული) წევრების პოზიციებს. საგანგაშოდ შეიძლება ჩათვლილიყო ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ინგლისმა და საფრანგეთმა

ლობირების თვალსაზრისით ზურგი აქციეს საქართველოს და სწორედ ამიტომ ქართველ პოლიტიკოსთა ყურადღება იმავე კუთხით გერმანიისაკენ იქნა მიმართული, რომელთანაც პირველი მსოფლიო ომიდან გამომდინარე ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფლებებს უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნდათ.

გარკვეულწილად უიმედობის პერსპექტივაზე მიანიშნებდა ის ფაქტიც, რომ 1919 წლის პარიზის კონფერენციაზე დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მცდელობები საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით ევროპული სახელმწიფოების ყურადღება მიეპყროთ, უშედეგოდ დამთავრდა. „დასავლეთის სახელმწიფოებმა მაშინ „ვერ მოიცალეს“ კავკასიის საკითხისა და, კერძოდ, საქართველოსთვის.“[135]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების საზიანოდ დასრულდა „ერთა ლიგის“ 1920 წლის დეკემბრის შეკრება. 14 დეკემბერს „ერთა ლიგის“ გადაწყვეტილებით ამ ორგანიზაციაში წევრობის უფლება საქართველომ ვერ მოიპოვა. კენჭისყრაში მონაწილე 24 სახელმწიფოდან საქართველოს „ერთა ლიგაში“ მიღებას მხარი 10 სახელმწიფომ დაუჭირა, ხოლო უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა 14 (მათ შორის: ავსტრალია, კუბა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი). უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე **ს ა ფ რ ა ნ გ ე თ მ ა** ხაზი გაუსვა საბჭოთა რუსეთის ინტერესებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რითაც მან საწყისშივე ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია საქართველოთან მიმართებაში და მაღალი ალბათობით გარკვეული ზეგავლენაც კი მოახდინა სხვა სახელმწიფოების წარმო-მადგენელთა გადაწყვეტილებაზე. საქართველოსადმი საფრანგეთის სადაზვერვო ინტერესს ადასტურებს ის გარემოება, რომ იგი დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების საზიანოდ მოქმედ „ერთ-ერთ ძირითად კონტრრევოუციურ ძალას-დენიკინს გაძლიერებული დახმარების სანაცვლოდ თავის პირობებს კარნახობდა.“[136]

ი ნ გ ლ ი ს ი ს დამოკიდებულება თავიდანვე საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნა მიმართული, რაც დემოკრატიულ რესპუბლიკაში „მფარველობის“ მიზნით შემოსული სამხედრო მისიის ქმედებებში და ანექსიის საფრთხის პირობებში ქვეყნის დატოვებაში გამოიხატა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მათ „შემოსვლას სადაზვერვო ხასიათი ჰქონდა“ (ვახტანგ გურული), [137] შეიძლება დავასკვნათ, რომ შემოსვლამდე პერიოდში და გასვლისას მათი ქმედებები სწორედ სადაზვერვო ინფორმაციებს ემყარებოდა. ინგლისის სამხედრო მისიის მხრიდან ისეთი პროცესების ორგანიზება, როგორიცაა: 1920 წლის 20 ივნისიდან ბათუმიდან ინგლისისა და დენიკინელთა ჯარების გაყვანა, 2 ივლისს ოსმალური გაზეთის „სედაი მილეთის“ დახურვა, საბჭოთა რუსეთისადმი „სათარეშო სივრცის“ გამონთავი-სუფლებას ნიშნავდა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ სწორედ ინგლისი ახორციელებდა მყარ კონტროლს საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების კიდევ ერთ მხარდამჭერზე-ავსტრალიაზე (რომელიც 1942 წლამდე ინგლისის მხრიდან აქტიურ სადაზვერვო ზეგვლენასა და კონტროლს ექვემდებარებოდა. დღეის მდგომარეობით „ბრიტანეთი მონარქს

---

[135] ალექსანდრე რონდელი „ერთა ლიგა“. „ჩემი სამყარო.“ გვ.3. https://gfsis.org/files/my-world/1/erta_liga.pdf;

[136] დოდო პერტაია. „დამოუკიდებელი საქართველო და ინგლის-საფრანგეთის გეგმები (1918-1921წწ.)“ https://matiane.wordpress.com/2010/02/15/independent-georgia-and-english-french-ships/;

[137] დოდო პერტაია. „დამოუკიდებელი საქართველო და ინგლის-საფრანგეთის გეგმე-ბი (1918-1921წწ.)“ https://matiane.wordpress.com/2010/02/15/independent-georgia-and-english-french-ships/;

დღესაც აღიარებენ საკუთარი სახელმწიფოს სიმბოლურ მეთაურად“[138]), რასაც არ შეიძლება პირდაპირი ზეგავლენა არ ჰქონოდა მიღებულ გადაწყვეტილებაზე. უნდა ავღნიშნოთ, რომ სწორედ ზემოაღნიშნულ კონფერენციაზე, დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებისათვის პირდაპირი ნათქვამიც: „თქვენი საკითხი გადაწყდა ასე, უნდა მოაგვაროთ ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან,“ [139] ინგლისისა და საფრანგეთის საბჭოთა რუსეთთან სადაზვერვო კოორდინაციის ნიშნებს შეიცავს საქართველოსთან მიმართებაში. ჩამოთვლილი ქვეყნების საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ: „1934 წლის 18 სექტემბერს, საბჭოთა კავშირი ერთა ლიგაში მიიღეს, რითაც წამყვანმა სახელმწიფოებმა, რუსეთის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე თვალები დახუჭეს.“ [140]

ერთა ლიგაზე საქართველოს ინტერესების საზიანო გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონა სხვა გარემოებებმაც, მათ შორს იყო : 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რითაც რუსეთს შეექმნა ხელსაყრელი პირობები საქართველოს დამოუკიდებლობის შესაწყვეტად და ხელისუფლებაში მოსვლამდე და მის შემდგომ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ნ.ჟორდანია და „მისი“ პარტიის პრორუსული ორიენტაცია. გამოდის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ საერ- თაშორისო ასპარეზზე ვერ შეძლო ლობი-სახელმწიფოს, სახელმწიფო გაერთიანების მფარვე- ლობის მოპოვება, რაც იმ პერიოდისათვის საერთაშორისო არენაზე დომინირებადი სახელმ- წიფოების ინგლისისა და საფრანგეთის საბჭოთა რუსეთთან თანხვედრილმა სადაზვერვო ინტერესებმა, აგრეთვე დემოკრატიული რესპუბლიკის არასწორმა საგარეო პოლიტიკამ და პრორუსულმა განწყობებმაც განაპირობეს.

საერთაშორისო არენაზე ლობი სახელმწიფოს, სახელმწიფო გაერთიანების მფარველობის მოსაპოვებლად უშედეგო გამოდგა უახლეს ისტორიაში საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი პერიოდი, რომლის დროსაც უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ინტერესების შესაბამისად განხორციელდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა, საომარი მოქმედებები აფხაზეთში, რაც საბოლოო ჯამში 1993 წელს რუსეთის ფედერაციის მყარ სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებულ სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციაში-„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ („დსთ“)-წევრობით დასრულდა.

პრაქტიკულად ეს იყო სახელმწიფოს იძულება გაერთიანებაში შესასვლელად, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც რომ „საქართველოს ხელი არ მოუწერია არც ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტისათვის-მათ შორის, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრუ-

---

[138] გიორგი ბადრიძე. „თავისუფლების ქარტია.“ ჟურნალი ახალგაზრდებისათვის „ჩემი სამყარო“ 2015 (9) გვ.24. https://gfsis.org/files/my-world/9/libertatum.pdf;

[139] ნინო ხაჩიძე. „რატომ გაწირა ერთა ლიგამ საქართველო და როგორ აუნთეს ინგლისმა და საფრანგეთმა მწვანე შუქი რუსეთს მის დასაპყრობად.“ 01/01/2017 http://fact2.ge/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90% E1%83%9B-%E1%83%A1/;

[140] ი. გიორგაძე. „ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი საქართველში (XX ს-ის 20-90-იან წლებში)“ დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ი.გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თელავი. 2016. გვ. 136. http://tesau.edu.ge/files/uploads/42/ disertacia.pdf;

ლებისათვის“. [141] ამ ორგანიზაციაცთან თანამშრომლობის მიუხედავად 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაცია პირდაპირი ფორმით ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს წინააღმდეგ, რაც საქართველოს მხრიდან ამ ორგანიზაციის დატოვებით დასრულდა.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო არენაზე ლობი სახელმწიფოს, სახელმწიფო გაერთიანების მფარველობის მოსაპოვებლად საქართველო ორი მიმართულებით: „ევროკავშირი“ და „ნატო“ ცდილობს ინტეგრაციას. ამ პროცესების განვითარება რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ინტერესებში არ შედის და ეს უკანასკნელი სისტემატიურ რეჟიმში, სადაზვერვო (მათ შორის სეპარატისტული რეჟიმებისა და ტერიტორიების, პროპაგანდის მეშვეობით) საქმიანობას ააქტიურებს საქართველოსთან მიმართებაში.

ევროკავშირის ინტერესებშია, რომ საქართველო, როგორც ევრაზიული დერეფნის საკვანძო ნაწილი, ინსტიტუციონალურად ძლიერი იყოს, რათა წინ აღუდგეს იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია ევროპაში საქართველოს გავლით, ნარკოტიკების გადაზიდვისა და ორგანიზებული დამნაშავეობის სხვა ფორმების ექსპორტირებისა და არალეგალური მიგრაციის საკითხებთან.“ [142] ამასთან ერთად, „ევროკავშირი“ განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებს ენერგოუსაფრთხოების მიმდინარე ან პოტენციურ გამოწვევებზე და ამ კუთხით მნიშვნელოვანი წინსვლა შეიმჩნევა, თუმც საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო შეღწევადობა. სწორედ აღნიშნული მდგომარეობა ინტეგრაციის ხელშეშლის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს, რომელსაც საფუძველი 1996-2012 წლებში საქართველოს ხელისუფლებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში უნდა ვეძიოთ.

საგანგაშო პერსპექტივის მანიშნებლად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ: 2017 წლის მდგომარეობით საქართველოში „მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მზად არ მიაჩნია. ამასთან, წინა წლების შედეგების ანალოგიურად, შენარჩულებეულია განსხვავებები ქართულენოვანი მოსახლეობის და ეთნიკური უმცირესობების წარმომდგენლების შეფასებისა და ცოდნის დონეს შორის,“ [143] რაც „ევროკავშირთან“ ინტეგრაციის პროცესების მნიშვნელოვან ხელშემშლელ გარემოებას წარმოადგენს, რომელშიაც დიდია მისი მოწინააღმდეგე სახელმწიფოების პროპაგანდის როლი. ინტეგრაციის ორივე მიმართულებაზე, პროცესის მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ძალასთან რუსეთის ფედერაციასთან განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს ორივე ზემონახსენები ორგანიზაცია, რაც რუსეთის მხრიდან, საქართველოს ინტერესებისადმი დამაზიანებელი ქმედებების ხელშეწყობი, მაპროვოცირებელი გარემოებაა. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ 2008 წლის „ნატოს“ სამიტზე პუტინის „მინიშნება, რომ უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ცუდი შედეგები მოჰყვებოდა სამხედრო მოქმედებების სახით.“ შესაბამისად საქართველო უკრაინის მსგავსად არა მარტო „ნატოს“ წევრად არ მიუღიათ, არამედ მათზე MAP-ის მინიჭებაც არ მომხდარა.

---

[141] ჯიმშერ რეხვიაშვილი. „საქართველო დსთ-ს ოფიციალურადაც ტოვებს.“ აგვისტო 17, 2009 https://www.radiotavisupleba.ge/a/1801648.html;

[142] საქართველო და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა პერსპექტივები და გამოწვევები. ევროკავშირის ინტერესები საქართველოში2007 №8. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c =peri odika&cl=CL2.22 &d=HASH011566151998ae9212dadbeb.3;

[143] „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებები და ცოდნის შეფასება საქართველოში. 2017 წლის გამოკითხვის ანგარიში.“ ევროპოს ფონდი. თბილისი, 2017. გვ..15. http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2017/10/2017-EU-survey-report-GE-1.pdf;

შედეგიც დაგდა 2008 წლის აგვისტორ ომი რუსეთის ფედერაციის ორგანიზებით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული რეჟიმების ტერიტორიული გაფართოებით დასრულდა. არც დღევანდელობა იძლევა განსხვავებული დაკვნის გაკეთების საშუალებას მასზედ, რომ რუსეთის ფედერაციასთან, საქართველოს ინტერესების საზიანო ფრთხილი დამოკიდებულება შეცვლილია. ამ კუთხით საყურადღებოა ღია წყაროებში, ცრუ იმედებისა და რეალური პერსპექტივის შესახებ არსებული რამოდენიმე მოსაზრება:

-2014 წლის ივნისი. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი: „ჩემი თვალთახედვით, MAP-ი არ შედის ნატოს მომავალი სამიტის დღის წესრიგში, მაგრამ ჩვენ ვხედავთ პროგრესს, რომელსაც საქართველომ მიაღწია.“[144]

-2015 წლის ივნისი. საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი: „მე არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ „ძველი ევროპის" ქვეყნები საქართველოს NATO- ში გაწევრიანების საკითხისადმი სკეპტიკურად არიან განწყობილნი.“[145]

-2015 წლის ოქტომბერი. საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი: „ან საქართველო მიიღებს MAP-ს, ან მის გარეშე დავდგებით წევრობის გზაზე.“[146]

-2016 წლის თებერვალი: NATO-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი: „საქართველოსთვის MAP-ის საკითხზე თანხმობა ჯერ არ არსებობს…საქართველო ვარშავის სამიტზე MAP-ს ვერ მიიღებს.“[147]

-2018 წელის იანვარი: „ნატოს ზოგიერთი წევრი შიშობს, რომ საქართველოს ალიანსში მიღება მოსკოვის მიერ ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების გამო, რუსეთთან ავტომატურ ომს გამოიწვევს.“[148]

ამ გამონათქვამებთან ერთად საყურადღებოა ავტორიტეტულ პირთა მოწოდებები, რუსეთთან საქართველოს დაახლოების აუცილებლობის შესახებ, რომელთა მიმართაც საზოგადოების განწყობა არაერთგვაროვანია.

-1995 წლის მარტი. სახელმწიფო მეთაური ედუარდ შევარდნაძე: ბზეჟინსკის განაცხადით „რუსეთთან უნდა მოაგვაროთ თქვენი ურთიერთობები, რუსეთთან უნდა ითანამშრომლოთ იმ დოზით, რა დოზითაც ეს თქვენთვის არის საჭირო.“[149]

-2011 წლის აპრილი. ამერიკელი რესპუბლიკელი სენატორი ჯონ კაილი: „ამერიკის

---

[144] ლელა კუნჭულია „ანგელა მერკელი: საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხი არ განიხილება.“ ივნისი 02, 2014. https://www.radiotavisupleba.ge/a/25406902.html;

[145] ალა გრიგალაშვილი. „თინა ხიდაშელი: თუსაქართველო ვერ მიიღებს MAP-ს, ეს მოსახლეობის იმედგაცრუებას გამოიწვევს!.“ 05 ივლისი, 2015. http://reportiori.ge/ old/rustavi2.com?menuid=2&id=71070;

[146] თინათინ კანდელაკი. „ან საქართველო მიიღებს MAP-ს, ან მის გარეშე დავდგებით წევრობის გზაზე- თინათინ ხიდაშელი.“ უთშაბათი, 22 ოქტომბერი, 2015 http://geonews.ge/geo /news/ story/67633-an-saqartvelo-miighebs-MAP-s-an-mis-gareshe-davdgebit-tsevrobis-gzaze---tinatin-khidasheli;

[147] „აპატურაი: საქართველო ახლა MAP-ს ვერ მიიღებს.“ კვირა, 7 თებერვალი, 2016. http://www.tabula.ge/ge/story/104407-apaturai-saqartvelo-axla-map-s-ver-miighebs;

[148] „Heritage Foundation: ნატოს წევრები შიშობენ, რომ საქართველოს ალიანსში მიღება რუსეთთან ომს გამოიწვევს.“ 30 იანვარი 2018. https://imedinews.ge/ge/saqartvelo/46173/ heritage-foundation-natos-tsevrebi-shishoben-rom-saqartvelos-aliansshi-migeba-rusettan-oms-gamoitsvevs;

[149] „რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარება ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის და მის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინაპირობაა / ედ.შევარდნაძე ; [ჩაიწერა] მამუკა არეშიძემ.“//საქართველოს რესპუბლიკა.1995. 25 მარტი. - №32(1048). - 1,3 გვ. http://www.nplg.gov.ge /gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8 00&a=d&c=preziden&cl=CL2.25&d=HASHe7f314ea7f7095531 30703;

შეერთებულ შტატებს შეუძლია მხარი დაუჭიროს მეგობრებს და, ამავე დროს, სცადოს ურთიერთობის გაუმჯობესება რუსეთთან მეგობრების გაწირვის გარეშე“[150] და სხვა.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ორთავე ზემოგანხილული მიმართულებების ირგვლივ ღია წყაროებში განთავსებული ინფორმაციები სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციებს წარმოადგენენ.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

- სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით აუცილებელია საერთაშორისო ასპარეზზე ლობი-სახელმწიფოს, სახელმწიფო გაერთიანების მფარველობის მოპოვება, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საერთაშორისო არენაზე დომინირებადი სახელმწიფოების სტრატეგიულ და სადაზვერვო ინტერესებზე, მფარველობის მძებნელი სახელმწიფოს სწორ საგარეო პოლიტიკაზე, ხელისუფლებისა და მოსახლეობის სახელმწიფო ინტერესების დამაზიანებელ პროგანწყობებზე.
- სახელმწიფოს ინტერესების საზიანო, არასასურველ სახელმწიფოთა გაერთიანებაში შესვლის იძულებას განაპირობებს ორგანიზატორი სახელმწიფოს სადაზვერვო ქმედებებით განპირობებული, დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა, ამ სახელმწიფოს რეგიონალური ხელისუფლების ცენტრალურისადმი დაუმორჩილებლობით ინსპირირებული სეპარატისტული ხასიათის კონფლიქტების საომარ მოქმედებეში გადაზრდა და სხვა;
- სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით აუცილებელია საერთაშორისო ასპარეზზე ლობი-სახელმწიფოს, სახელმწიფო გაერთიანების მფარველობის მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ენერგოუსაფრთხოების მიმდინარე ან პოტენციურ გამოწვევებზე სახელმწიფო ხელისუფლებების ქმედებები, რომლთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს ენერგეტიკულ სექტორზე ეძლევათ მნიშვნელოვანი შეღწევადობა.
- სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით საერთაშორისო ასპარეზზე ლობი-სახელმწიფოს სწორი შერჩევის პროცესის მნიშვნელოვან ხელშემშლელ გარემოს ქმნის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდან ცრუ იმედების შესახებ მოსაზრების გავრცელება, რაც უმეტესწილად სადაზვერვო ხასიათის პროპაგანდის ნიშნებს შეიცავს.

Nana Seperteladze

Caucasus International University. Faculty Of Social Sciences International Relations And International security Master of Social Sciences

Georgia' s integration into Euro- Atlantic structures. Problems and Prospects

Summary

The national security of the state, it is necessary to obtain the protection of the lobby-state and state union on the international arena, which is largely dependent upon the strategic and intelligence interests of the dominant states on the international arena, the right foreign policy of the state seeking protection. Pro-mood of the state interests of the government and the population. In this regard, the paper presents the processes in the past and recent history of Georgia.

[150] ნიკო ნერგაძე. „რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება მეგობრების გაწირვის გარეშე.“ აპრილი 19, 2011. https://www.radiotavisupleba.ge/a/9498507.html;

შალვა მზარეულიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

პოსტსაბჭოთა ყაზახეთის პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი, მისი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები

ყაზეხეთის რესპუბლიკის როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენს მისი სამეზობლო და განსაკუთრებით ძლიერი ეკონომიკის მქონე სავაჭრო პარტნიორები, როგორებიცაა რუსეთის ფედერაცია, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპის ქვეყნები რომლებიც ყაზახური ნავთობპროდუქტების მსხვილი იმპორტიორები არიან და დიდი როლი უკავიათ ყაზახეთის ეკონომიკის მდგრადობასა და განვითარებაში. ყაზახეთს ისევე როგორც სხვა სოციალისტური ბანაკის ყოფილ ქვეყანას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წილად ხვდა დიდძალი სამხედრო ტექნიკა, სამხედრო- სამეცნიერი კვლევითი ცენტრები, სტრატეგიული ობიექტები, კოსმოსური სადგური და სხვა მატერიალური თუ ტექნიკური განვითარების მქონე სიკეთე რომელიც მის ტერიტორიაზე იყო განთავსებული. მათ შორის გახლდათ ბირთვული შეიარაღება და ბალისტიკური რაკეტები, თუმცა ყაზახეთის ხელისუფლებამ დააკმაყოფილა საერთაშრისო ბირთვული სააგენტოს მოთხოვნები და 1992 წელს მთელი მისი ბირთვული პოტენციალი გადასცა საბჭოთა კავშირის კანონიერ მემკვიდრეს რუსეთის ფედერაციას.

დღესდღეობით ყაზახეთს ბირთვული შეიარაღება არ გააჩნია თუმცა მის ტერიტორიაზე კვლავაა განთავსებული ბირთვული საცდელი პოლიგონი, რომელზეც შესაბამისი აღჭურვილობის არსებობის შემთვხვევაში ბირთვული ცდების ჩატარება არის შესაძლებელი. განვიხილოდ ის მთავარი კომპონენტები რომლებიც დიდ როლს თანაშობენ ყაზახეთის პოლიტიკაზე და წარმოადგენენ მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესების სფეროს. ძირითად კომპონენტთაგან შეგვიძლია გამოვარჩიოთ: **1)** დიდი სავაჭრო პარტნიორები; **2)** ნაწილობრივ საერთო ინტერესების მქონე ''მეგობარი'' სახელმწიფოები; **3)** სამხედრო პარტნიორები; **4)** ენერგორესურ-სების მქონე კონკურენტი ქვეყნები და მათდამი დამოკიდებულება.

1)*დიდი სავაჭრო პარტნიორები*. ყაზახეთისათვის რიგით პირველი ინტერესის სფეროს დიდ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან დღემდე, ეს სახელმწიფო იკავებს პირველ ადგილს ამ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებში, რაც მისი დიდი ბაზრიდან და ტერიტორიული სიახლოვიდან, აგრეთვე რუსეთის მყარი სადაზვერვო ზეგავლენით არის განპირობებული.

უახლესი მონაცემები გამოთქმული მოსაზრების გამყარების საშუალებას იძლევა. 2017 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით მითითებულ ორ სახელმწიფოს შორის ტვირთბრუნვამ 12 მილიარდ 312 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 36.53% ითაა გაზრდილი.[151] ეს საკმაოდ მაღალი ციფრია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

[151] „ТоварооборотРоссииисКазахстаном.“ http://russian-trade.com/reports-and-reviews/2017-12/vneshnyaya-torgovlya-rossii-s-kazahstanom-za-9-mesyatsev-2017-g/;

სავალუტო კრიზისის პირობებში და ამ ციფრის უკან უდავოდ დგას სავაჭრო-პოლიტიკური გაერთიანება ''ევრაზიული კავშირი'', რომლის შექმნის ინიციატორი სწორედ ყაზახეთის პრეზიდენტი ბატონი ნურსულთან ნაზარბაევი გახლავთ. კავშირის წარმატებული ფუნქციონირება კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასში შემავალ სახელმწიფოთა სადაზვერვო კოორდინაციაზე. ევრაზიული კავშირის წევრობა ყაზახეთს, ისევე როგორც მის თითოეულ წევრს უფლებას აძლევს შეზღუდვების და ყოველგვარი საბაჟო გადასახადების გარეშე განახორციელონ თავისუფალი ტვირთბრუნვა და ვაჭრობა, ასევე სხვა სიკეთეებთან ერთად შესაძლებელია მოხდეს წევრ სახელმწიფოებს შორის პროდუქციის გაცვლა-გამოცვლა სხვადასხვა საქონლის სახით, თითოეული მხარის შეთანხმებით რაც ათავისუფლებს მოვაჭრე მხარეებს სავალუტო რისკებისგან, ამცირებს ეროვნულ ვალუტებზე ძირითადი ვალუტების დაწოლას და უწყობს ხელს ეკონომიკის გამოცოცხლებას. ამ ვითარების მიღწევა კი, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მყარი სადაზვერვო ორგანიზების გარეშე წარმოუდგენელია.

სავაჭრო პარტნიორი სახელმწიფოების საკითხში ყაზახეთი ნამდვილად გონივრულ პოლიტიკას აწარმოებს, რაც ვლინდება ზემოხსენებული ფაქტებით, რიგით მეორე მსხვილ სავაჭრო ქვეყანას კი ჩინეთი წარმოადგენს, [152] რაც პრინციპში განაპირობებს ჩინეთის დიდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესს ყაზახეთისადმი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოირ-ჩევა წარმოებისა და ეროვნული პროდუქტის მაღალი ექსპორტის დონით მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, თუმცა ყაზახეთის შემთხვევაში სავაჭრო სალდო ყაზახეთის სასიკეთოდ დადებითია, რაც როგორც წესი იშვიათია ჩინეთის სავაჭრო პარტნიორებს შორის. ეს ფაქტი განპირობებულია იმით რომ ჩინეთი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ეწევა მძიმე მეტალურგიული შენადნობების, გაზის, საწვავის, მარილის, კვარცის და სხვა ბუნებრივი წიაღისეულის იმპორტს ყაზახეთიდან. ეს ციფრი ჩინეთის ეკონომიკის ზრდასთან ერთად მზარდი ტენდენციით გამოირჩევა რაც ასევე სასიკეთოდ აისახება ყაზახეთის ეკონომიკაზე. სწორედ ამ ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე ყაზახეთი ხშირად ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების თუ პოზიციის დაფიქსირების დროს დიდ ანგარიშს უწევს როგორც რუსეთის, ასევე ჩინეთის პოლიტიკურ ინტერესებს რაღათქმაუნდა საკუთარი სახელმწიფო ინტერესების თანხვედრასთან ერთად. ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციას აქვს მყარი პოზიციები, სტრატეგიულად პარტნიორი სახელმწიფოს ყაზახეთის სახით აწარმოოს სადაზვერვო (განსაკუთრებით ეკონომიკური დაზვერვის კუთხით) საქმიანობა. თუმც ასეთივე მყარი პოზიციების შექმნა შეუძლია ჩინეთსაც და საკუთარი სტრტეგიული ამოცანების გადასაჭრელად იგი ვალდებულია აწარმოოს როგორც კოორდინირებული, ისე ინდივიდუალური ხასიათის სადაზვერვო და რაღათქმაუნდა კონტრსადაზვერვო საქმიანობა.

2) ნაწილობრივ საერთო ინტერესების მქონე „მეგობარი'' სახელმწიფოები

ყაზახეთის საგარეო პოლიტიკაზე ეკონომიკური ინტერესები რომ დიდ როლს თამაშობს ეს ბოლო დროს მასმედიით გავრცელებულ ინფორმაციებშიც ვლინდება, მოგეხსენებად რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მხრიდან სანქციების დაწესებამ საგრძნობი ასახვა ჰპოვა რუსეთის ეკონომიკაზე და მისი მოსახლეობის მსყიდველ უნარიანობაზე. რისკის შემცველია რუსეთის

[152] S É B A ST I E N P E Y R O U S E. „Chinese Economic Presence in Kazakhstan C h i n a 's R e s o l ve a n d C e n t r a l A s i a 's A p p r e h e n s i o n." file:///Users/admin/Downloads/chinaperspectives-4053.pdf;

ეკონომიკის მომავალი განვითარებაც, შესაბამისად ეს ფაქტი ყაზახეთის ხელისუფლებას ყურადღების გარეშე არ რჩება, რადგან ეს პროცესები, შესაძლოა ყაზახეთის ეკონომიკაზეც უარყოფითად აისახოს. ამ კონტექსტში პარტნიორ სახელმწიფოსთან სადაზვერვო კოორდინაციის ფონზე, აუცილებელია ინდივიდუალური, კონტრსადაზვერვო ღონისძიების ორგანიზება.

რისკების შესამცირებლად და მეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის ყაზახეთმა ჩემი სწორი პოლიტიკა აირჩია საგარეო პარტნიორებთან მიმართებაში. ბოლო წლებში ნაცვლად ერთმნიშვნელოვანი პრო-რუსული პოლიტიკისა ყაზახეთი მეტ ინტერესს იჩენს დასავლეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების [153] მიმართ. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ყაზახეთი ნავთობპროდუქტების დიდ ნაწილს არამხოლოდ ჩინეთსა და რუსეთში ყიდის, არამედ რუსეთის ტერიტორიის გავლით ევროპის გარკვეულ სახელმწიფოებსაც აწვდის. ამიტომ დასავლეთის პოზიცია ყაზახეთის მიმართ და ზოგადად ყაზახეთის იმიჯი დასავლეთის თვალში ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლო პერიოდში გავრცელებული ინფორმაციით, ყაზახეთის ორი კასპიისპირა ქალაქის კურიკისა და აქტაუს პორტები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების მიერ, ასევე აქტაუში იგეგმება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზის აშენება. [154] მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დასტურდება არცერთი მხარის ოფიციალური პირების მხრიდან, იგი მნიშვნელოვან მესიჯს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიმართ და მეტ მრავალფეროვნებას სძენს ყაზახეთის საგარეო პოლიტიკას. შესაძლებელია აღნიშნულ მესიჯს ჰქონდეს სადაზვერვო დეზინფორ-მაციული ხასიათი, რაც შესაძლოა, დამკვიდრებული ბაზრების მოშლის ხელშეწყო-ბისათვის ხორციელდებოდეს. დღეის მდგომარეობით არსებობს 2010 წლის 20 ივნისის შეთანხ-მება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის, რომელიც ყაზახეთის ტერიტორიაზე არსებული სარკინიგზო ხაზების გამოყენებით აშშ-ს მხრიდან ავღანეთში მიმავალი ტვირთების გადატანას გულისხმობს. ამ პროექტის მიზანს ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო სტაბილურობის ამაღლება, მისი საჭირო პროდუქციით, ინვენტარითა და მედიკამენტებით დროული მომარაგება წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ამ შეთანხმებისა და ყაზახეთის გარკვეული სვლების პოლიტიკური ხასიათი, რაც ყაზახეთის დასავლურ ბლოკთან და „ნატოს“ წევრ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავებაში მდგომარეობს, რაც სიკეთესთან ერთად, ამ უკანასკნელისადმი რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო „დამაზიანებელი“ აქტივობების, ან პირიქით დაახლოების ობიექტი სახელმწიფოებისადმი სადაზვერვო ზეგავლენის საფუძველი შეიძლება გახდეს. რაც შეეხება ჩინეთის როლს, ეგრედ წოდებული „მეგობარი“ სახელმფიწოების სიაში, გარდა უკვე ნათქვამი ეკონომიკური პარტნიორობისა სხვა ასპექტებში საკმაოდ სუსტია და იგი რუსეთისა და დასავლეთის პოლიტიკურ დომინირებას ჯერჯერობით ვერ შეედრება.

3)*სამხედრო პარტნიორები* . ჩვენ ავღნიშნეთ, რომ რამდენად ფასეული და დიდძალი სამხედრო-მატერიალური სიკეთე ხვდა წილად ყაზახეთს საბჭოთა კავშირის დაშლის

---

[153] „The United States and Kazakhstan - An Economic Partnership for the 21st Century Office of the Spokesperson. Washington, DC, January 16, 2018.https://www.state.gov/r/pa/prs/ps/2018 /01/277475.htm;

[154] "Военные базы США в Казахстане": впосольстве отреагировали на публикации в российских СМИ https://tengrinews.kz/kazakhstan_news/voennyie-bazyi-ssha-kazahstane-posolstve-otreagirovali-343024/;

შემდგომ. სწორედ ამ სამხედრო პოტენციალით ყაზახეთი ერთ-ერთ მოწინავე სამხედრო ძალის მქონე ქვეყნად იქცა რეგიონში, გარდა სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღებისა ყაზახეთის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომაც უცვლელად დარჩა აწ უკვე რუსული სამხედრო ბაზები. რუსეთის ფედერაციასთან მჭიდრო პარტნიორობის გამო დღემდე უცვლელად რჩება ყაზახეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო შენაერთების, საავიაციო და სახმელეთო ბაზების არსებობა. შესაბამისად რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან დღევანდელ დღემდე წარმოადგენს ყაზახეთის ბუნებრივ მთავარ სამხედრო (მათ შორის სამხედრო სადაზვერვო) პატრნიორ სახელმწიფოს. ყაზახეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბების დღიდან ყაზახურმა არმიამ არაერთი წვრთნა ჩაატარა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებთან პარტნიორობის ფარგლებში. აქტიურად მიმდინარეობდა რუსეთის მხრიდან ყაზახური არმიის წვრთნა და სამხედრო გამოცდილების გაზიარება. მდგო-მარეობა ამ კუთხით იქამდეც კი იყო მისული, რომ ყაზახური არმია ფაქტიურად რუსულ სამხე-დრო ძალებს ემსგავსებოდა მისი შეიარაღებითა და სტრუქტურული მოწყობით, განსხვავება მხო-ლოდ მისი კონტინგენტის მოქა- ლაქეობასა და ეროვნებაში გახლდათ.

2017 წლის მონაცემებით ყაზახეთის მთავარი სამხედრო შეიარაღების მიმწოდებლად კვლავ რუსეთის ფედერაცია რჩება და ამ სფეროს 80% წარმოადგენს. [155]აქტიურად ხორციელ-დება ყაზახეთში არსებული სახმელეთო თუ საჰაერო ტექნიკის განახლება, შეკეთება, მოდერნი-ზაცია. ბოლო 25 წლის განმავლობაში რუსეთის მხრიდან ასტანამ, დაახლოებით 1.36 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ტექნიკა მიიღო. ეს საკმაოდ მაღალი ციფრია თუკი გავითვა-ლისწინებთ სხვა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს რომლებიც რუსეთისაგან იარაღდებიან. ბოლო წლებში ყაზახეთის თავდაცვის სამინისტრო ცდილობს მოიძიოს სამხედრო შეიარაღების ალტერნატიული მომწოდებლები, მათ შორის დასავლური ტიპის სამხედრო აღჭურვილობის სახით. ამ სურვილის განხორციელება შედარებით ხელმისაწვდომი გახდა მას შემდეგ რაც, ყაზახეთის ხელისუფლებამ გარკვეულწილად პარტნიორობის ხელი გაუწოდა „ნატოს“ ბლოკის სახელმწიფოებს ავღანეთის საკითხთან დაკავშირებით. გარკვეული შედეგები სახეზეა. 2014 წელს მცირე რაოდენობით გარკვეული შეიარაღება შემენილია ისრაელის სახელმწიფოდან. ამასთან ერთდ, ყაზახეთის ტერიტორიაზე ხდება ფრანგული წარმოების რადარების და სამგზავრო ვერტმფრენი Super Cougar-ის აწყობა. ასტანამ 2016 წელს შეიძინა გერმანული წარმოების მსუბუქი ვერტმფრენები EC145, ესპანური სამგზავრო თვითმფრინავები C-295, ხოლო თურქეთისგან კი მიიღო რამოდენიმე პატრულირების დანიშნულების მქონე ხომალდი Ab-25. საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლასთან კუთხით კი აშშ-ისაგან ყაზახეთს გადაეცა Bell_ის ტიპის ვერტმფრენიც. ამასთან ერთად, ყაზახეთმა პატრულირებადი კატარღების შეძენა სამხრეთ კორეისგან, ხოლო მაროდერის («Мародер») ტიპის ჯავშანტრანსპორტიორის შეძენა სამხეთ აფრიკის რესპუბლიკისგან განახორციელა. აღნიშნული ქმედებებით რუსეთის ფედერაციასთან სადაზვერვო კოორდინაციის მყარ პირობებთან ერთად, მისი რყევის მნიშვნელოვანი საფრთხეც არსებობს, ყაზახეთის წინაშე ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად, ინდივიდუალური სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის გააქტიურება

[155]Екатерина Згировская «Казахстан не складывает все яйца в одну корзину.» Как Казахстан выстраивает свою военно-техническую политику. 02.06.2016, https://www.gazeta.ru/army/2016/06/02/8279579.shtml?updated;

მართებს. გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ მაღალი ალბათობით ყაზახეთს თავდაცვითი პოლიტიკის საკითხში არ სურს იყოს დამოკიდებული დიდწილად ერთ სამხედრო პარტნიორზე.

4) ენერგორესურსების მქონე კონკურენტი ქვეყნები და მათდამი დამოკიდებულება . ყაზახეთის დამოკიდებულება რეგიონში არსებული ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყნებისადმი საკმაოდ წინდახედული და გონივრულია, რაც სწორი სადაზვერვო ორგანიზების გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია. გარდა იმისა რომ, ამ სახელმწიფოს ყველა სფეროში მჭიდრო კავშირი გააჩნა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რუსეთის ფედერაციასთან, ის ცდილობს მეტი ყურადღება დაუთმოს მის სამეზობლოს, რომელიც შესაძლოა არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი სტრატეგიული ინტერესებისათვის.

ნავთობითა და გაზით მდიდარ **თურქმენეთის** რესპუბლიკიასთან ყაზახეთი საკმაოდ კეთილმეზობლური ურთიერთობით გამოირჩევა. ორივე სახელმწიფო გახლავთ გაეროს, ეუთოს, დსთ-ს და ევრაზიული კავშირის წევრი, რუსულ სადაზვერვო ზეგავლენას დაქვემდებარებული სუბიექტი. ვინაიდან ყაზახეთი თურქმენეთისათვის წარმოადგენს ბუნებრივ ტერიტორიულ გამყოფს რუსეთსა და ჩინეთს შორის, თურქმენეთისთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყაზახეთთან პოზიტიური და კეთილმეზობლური დამოკიდებულების შენარჩუნება. გარდა ამის ორივე ქვეყანას სჭირდება ერთმანეთი ენერგორესურსების საზღვაო თუ სახმელეთო გზით ოპტიმალური ექსპორტის ორგანიზებისათვის. ყაზახეთ-თურქმენეთის ეკონომიკურ ურთიერთობებში ურთიერთსაჭიროება სამომავლო ეკონომიკურ-ინფრასტრუქტურულ პროექტებშიც თანხვედრაშია. მაგალითად, სატრანსპორტო პროექტი „ჩრდილოეთი-სამხრეთი'' გულისხმობს ბალტიის ზღვიდან წამოსული ტვირთების ტრანსპორტირებას რუსეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის და ირანის ტერიტორიების გავლით ინდოეთში. ამ გიგანტურ პროექტში ჩართული იქნება როგორც სარკინიგზო, ასევე საზღვაო გადაზიდვის ელემენტიც, კასპიის ზღვის გავლით და მის გარეშე. პროექტის განხორციელებით მნიშვნელოვნად მოკლდება სატრანსპორტო კორიდორი, დროის ფაქტორი და ტრანსპორტირების ხარჯი, რომელიც აქამდე ევროპიდან მხოლოდ ხმელთაშუაზღვით და შემდგომ წითელი ზღვით ხორციელდება, რომელსაც თან ახლავს კოლიდორის გრძელი მანძილი და წითელ ზღვაში მეკობრეობასთან დაკავშირებული საფრთხეები. ამ მიმართებაშიც, პროექტის მიუღებლობით დაინტერესებული სახელმწიფოს (სახელმწიფოების მხრიდან) სადაზვერვო ზეგავლენის როლი მნიშვნელოვანია.

ყაზახეთისთვის მეტად მნიშვნელოვან, ბუნებრივი რესურსებით მდიდარ სახელმწიფოს წარმოადგენს ირანი. ამ ქვეყანასთან ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა 1992 წლის 29 იანვრიდან არსებობს და ურთიერთობები გამოირჩევა როგორც საერთო ურთიერთთანამშრომლობითი, ასევე პოლიტიკური წინააღმდეგობებით. მაგალითად, წინააღმდეგობრივია კასპიის ზღვის საზღვაო აკვატორიის განაწილების საკითხი, რომელიც დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დადგა და დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ყაზახეთ-ირანს შორის პოზიტიურ ურთიერთობების ფარგლებში შეგვიძლია განვიხილოთ ამ ორ სახელმწიფოს შორის უკვე განხორციელებული ეკონომიკური პროექტი ყაზახეთი-თურქმენეთი-ირანის სარკინიგზო გზა, რაც დიდი „ჩრდილოეთი-სახმრეთის'' სატრანსპორტო კორიდორის ნაწილს წარმოადგენს და რომელიც 2014 წელს საკმაოდ მაღალი ტვირთბრუნვითაც გამოირჩეოდა. მხოლოდ ყაზახეთსა და ირანს შორის ტვირთბრუნვამ 987 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ეკონომიკურ პარტნიორობას დიდი ზიანი მიაყენა აშშ-ს

მხრიდან ირანისადმი დაკისრებულმა სანქციებმა და იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვება, ასევე საბანკო და ფინანსურმა ყადაღებმა, რაც აშშ-ის სადაზვერვო ზეგავლენად შეიძლება ჩაითვალოს.

შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

- ყაზეხეთის რესპუბლიკის როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენს მისი სამეზობლო და განსაკუთრებით ძლიერი ეკონომიკის მქონე სავაჭრო პარტნიორები, როგორებიცაა რუსეთის ფედერაცია, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპის ის ქვეყნები რომლებიც ყაზახური ნავთობპროდუქტების მსხვილი იმპორტიორები არიან;
- ყაზახეთი, რუსეთის ფედერაციასთან სტრატეგიული პარტნიორობის ფარგელბში სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის განხორციელებისათვის ფლობს მნიშვნელოვან სამხედრო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრებს, სტრატეგიული ობიექტებს, კოსმოსურ სადგურსა და სხვა;
- ყაზახეთის ინიცირებით შექმნილი სავაჭრო-პოლიტიკური გაერთიანების ''ევრაზიული კავშირი'', წარმატებული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასში შემავალ სახელმწიფოთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო ტექნიკური ხასიათის მყარ სადაზვერვო ორგანიზებაზე;
- რუსეთის ფედერაციას აქვს მყარი პოზიციები, სტრატეგიულად პარტნიორი სახელმწიფოს ყაზახეთის სახით აწარმოოს სადაზვერვო (განსაკუთრებით ეკონომიკური დაზვერვის კუთხით) საქმიანობა. თუმც ასეთივე მყარი პოზიციების შექმნა შეუძლია ჩინეთსაც და საკუთარი სტრტეგიული ამოცანების გადასაჭრელად ყაზახეთი ვალდებულია აწარმოოს როგორც კოორდინირებული, ისე ინდივიდუალური ხასიათის სადაზვერვო და რაღათქმაუნდა კონტრსადაზვერვო საქმიანობა.
- რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მხრიდან სანქციების დაწესებამ საგრძნობი ასახვა ჰპოვა რუსეთის ეკონომიკაზე და ანალოგიური ვითარების თავიდან ასაცილებლად ყაზახეთი ვალდებულია პარტნიორ სახელმწიფოსთან სადაზვერვო კოორდინაციის ფონზე, ინდივიდუალური, კონტრსადაზვერვო ღონისძიებების მყარი ორგანიზება განახორციელოს.
- ბოლო პერიოდში გავრცელებული ინფორმაციით, ყაზახეთის ორი კასპიისპირა ქალაქის კურიკისა და აქტაუს პორტების გამოყენებისა და აქტაუში აშშ-ის სამხედრო ბაზის მშენებლობის შესახებ ინფორმაციას შესაძლოა გააჩნდეს სადაზვერვო- დეზინფორმაციული ხასიათი, რაც შესაძლოა უკვე დამკვიდრებული ბაზრების მოშლის ხელშეწყობისათვის ხორციელდებოდეს.
- ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ხელშეკრულება ავღანეთში მიმავალი ტვირთების ტრანსპორტირების შესახებ, ყაზახეთისადმი რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო „დამაზიანებელი“ აქტივობების, ან პირიქით დაახლოების ობიექტი სახელმწიფოებისადმი სადაზვერვო ზეგავლენის საფუძველი შეიძლება გახდეს.
- ყაზახეთი, რუსეთის ფედერაციის (რფ) სამხედრო ხასიათის სადაზვერვო ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, რაც იარაღით ვაჭრობის მიმართულებით მაღალი მასშტაბებით რფ-აზე დამოკიდებულებას ნიშნავს. დღეის მდგომარეობით ამ კუთხით სხვა სახელმწიფოებთან კავშირების გაღრმავება, ჩამოყალიბებული კავშირების რყევის მნიშვნელოვან საფრთხესაც შეიცავს-ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზეგავლენის თავიდან აცილების თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ ყაზახეთს, ინდივიდუალური სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის გააქტიურება მართებს.

•ნავთობითა და გაზით მდიდარ **თურქმენეთის** რესპუბლიკა და ყაზახეთი დსთ-ს და ევრაზიული კავშირის წევრ, რუსულ სადაზვერვო ზეგავლენას დაქვემდებარებული სუბიექტები არიან. სატრანსპორტო პროექტი „ჩრდილოეთი-სამხრეთი'' გულისხმობს ბალტიის ზღვიდან წამოსული ტვირთების ტრანსპორტირებას რუსეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის და ირანის ტერიტორიების გავლით ინდოეთში. ამ მიმართებაშიც, პროექტის მიუღებლობით დაინტერესებული სახელმწიფოს (სახელმწიფოების მხრიდან) სადაზვერვო ზეგავლენის როლი მნიშვნელოვანია.

Shalva Mzareulishvili
Caucasus International Universit, Faculty of Social Sciences,
Masters Program of International Relations and International Security

„Peculiarities of political development of post- Soviet Kazakhstan, its intelligenceand counter- intelligence aspects."

Summary
To decrease a risks and achieving more economic independence, Kazakhstan chose a correct policy with it's foreign partners. During the recent years instead of single-valued pro-russian policy Kazakhstan pays much more attention towards to western countries and to the United States of America. Therefore a harmful influence of foreign countries against Kazakhstan is remarkably reduced.

ანა გაიპარაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა
და საერთაშორისო უსაფრთხოების მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი

ლობიზმის სადაზვერვო მნიშვნელობა

ტერმინი ლობიზმი ინგლისური სიტყვიდან ,,Lobby'' წარმოიშვა, რომლითაც აღინიშნებოდა თემთა პალატაში პარლამენტის წევრთათვის განკუთვნილი დერეფანი, ხოლო თავისი პოლიტიკური დატვირთვა მან შეიძინა მოგვიანებით-ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ლობიზმი ეწოდებოდა კონგრესმენთა ხმების ,,ყიდვის'' პრაქტიკას. ინგლისში ლობიზმის ცნება დამკვიდრდა გაცილებით გვიან-მე-20 საუკუნის დასაწყისში, ვინაიდან ამ ქვეყანაში ხსენებული მოვლენა მიიჩნეოდა დაუშვებლად. ამავე პერიოდიდან გავრცელდა ეს ტერმინი სხვა სახელმწიფოებშიც, თუმცა, რაც სავსებით ბუნებრივია, მისმა შინაარსმა დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და პოლიტიკური ცხოვრების დახვეწასთან ერთად განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია და დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა.

ლობიზმი [156] საკანონმდებლო ორგანოსა და სახელმწიფოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზემოქმედების პრაქტიკაა, რომლის მიზანი შესაბამისი ჯგუფების ინტერესების კვალად სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში (გარკვეული კანონპროექტების, სახელმწიფო შეკვეთების, სუბსიდიების მიღება, რელიგიური ან ქალთა ინტერესების დაცვა და ა.შ.) მდგომარეობს. ამ მიზნით, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, დასავლეთის ქვეყნებში არსებობს სააგენტოების განვითარებული ქსელი, რომლებიც გამოხატავს მსხვილი კომპანიების, პროფკავშირებისა თუ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ–პოლიტიკური ორგანიზაციების ინტერესებს. ლობისტებად, როგორც წესი, აჰყავთ პროფესიონალი შუამდგომლები, რომლებიც მუშაობენ პოლიტიკისა და პოლიტიკური რეკომენდაციების სფეროში საკონსულტაციო ბიუროებსა დაკომპანიებში. ლობისტი შეიძლება აყვანილი იყოს ხელშეკრულებით ან საკუთარი ინიციატივით წარმოადგენდეს გარკვეულ ინტერეს–ჯგუფს.

ლობიზმი, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების თანმხლები მოვლენა, უცხო არ არის თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოებისთვის. სხვადასხვა ინტერესებში და საფუძველზე მოქმედი ,,გავლენის ჯგუფების" არსებობა წარმოადგენს იმ ობიექტურ რეალობას, რომელიც დღესდღეისობით ემყარება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფასეულობებსა და პრიციპებს, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამის მიუხედავად, ლობიზმი ობიექტურად შეიცავს რეალურ საფრთხეს დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებისთვის, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ფინანსურად მძლავრი და კარგად ორგანიზებული ,,გავლენის ჯგუფების" და ,,გავლენის აგენტების'' სახელმწიფო სტრუქტურებში შეღწევის პოტენციურ საშუალებაში. ლობიზმი, როგორც გარკვეული ინსტიტუტის ამსახველი ცნება წარმოიშვა და განვითარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ლობიზმის რეგულირების ამერიკულმა მოდელმა დიდი გავლენა იქონია კანადაზე, რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, ზოგიერთ მათგანს დღესაც არ გააჩნია ერთიანი და სისტემატიზირებული მიდგომა ამ საკითხისადმი.

---

[156]სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.].http://www.nplg.gov.ge /gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=dictiona&cl=CL4&d=HASH01 419ae995c3da5136352433.12;

ერთ-ერთი პირველი სამართლებრივი დოკუმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც ითვალისწინებდა ლობისტური საქმიანობის რეგულირებას იყო 1938 წელს მიღებული კანონი - ,,უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ'' (Foreign agents registration act – FARA) . ამ კანონის ძირითადი მიზანი იყო შეეზღუდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკაზე უცხოელ აგენტთა გავლენა. მაღალი ალბათობით აღნიშნული გადაწყვეტილება კონტრსადაზვერვო ხასიათიისაა, რადგან უცოელ აგენტთა სადაზვერვო მიზნებით ქვეყანაში ქაოსურ შემოყწევასა და ქმედებებს დამაზიანებელი ზემოქმედება შეიძლება ჰქონოდათ ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

ზოგადად თანამედროვე პირობებში ლობიზმი შეიძლება განვიხილოთ ინფორმაციის გაცვლისა და გადაცემის ეფექტურ საშუალებად გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ქმედით დახმარებას უწევს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს. ყოველივე კი სადაზვერვო საქმიანობისათვის მოწყვლად სეგმენტს წარმოადგენს, როგორც ჯაშუშობის გზით ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, ასევე იგი ხელსაყრელი პირობაა სადაზვერვო გადაბირებისათვის.თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯათინენი თავის წიგნში აღნიშნავს, ,,ლობირება იძენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიმართ კვალიფიციური დახმარების გაწევის მნიშვნელობას'', შეიძლება დავასკვნათ, რომ სადაზვერვო ზეგავლენით გადაწ-ყვეტილების მიღება პოლიტიკურ ლიდერის დიკრედიტაციის, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნისაკენ და სხვა ქმედებებისათვის იქნეს ორგანიზებული. გასათვალისწინებელია პოლონელი მეცნიერის ტომას ჟიროს გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც: ,ლობირება არის გადაწყვეტილებების მიმღები მოღვაწის შემეცნებით სფეროზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ინფორმაციის შემოწმებით, რომელსაც ის ფლობს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ახალი ინფორმაციის მიწოდება, კონკურენტული ინფორმაციის ბლოკირება ან ახალი ალტერნატივების შემუშავება პოლიტიკის საკითხებში. ამ გამონათქვამში ასახული ქმედებათა ჩამონათვალი სახელმწიფო ან/და კომპანიის მხრიდან ჯაშუშობის განსახორ-ციელებლად ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს.

სადაზვერვო ზეგავლენის მოპოვებისა და გადაბირების კუთხით ლობირების სადაზ-ვერვო მოწყვლადობას ადასტურებს რუსი მკვლევარი ბელოვუსი, რომლის აზრით: ,,პრაქტიკაში ლობირება სუფთა კომუნიკაციური მოვლენაა. ხოლო პოლიტიკური კომუნიკაციის კლასიკური ფორმულა გასული საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა ამერიკელი პოლიტოლოგი ლასსუელის მიერ. ამ ფორმულის მიხედვით, კომუნიკაცია არის პროცესი, რომელშიც კომუნიკატორი გავლენას ახდენს რეციპიენტზე, მიაქვს რა შეტყობინება მასთან რაიმე საშუალებით ან არხის მეშვეობით.

იმის გათვალისწინებით, რომ ლობირება შეიძლება მოვიაზროთ, როგორც დარწმუნების მნიშვნელოვანი საშუალება, მეთოდი და სტრატეგია, აგრეთვე გამილტონის პოზიციას, რომ ლობირება ყველაზე ეფექტურია, როცა ნდობა ყველაზე ღირებული მონაპოვარი ხდება ინფორმაციის გადაცემისას ლობისტსა და კონგრესმენებს შორის, შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ლობირების პროცესის ორგანიზატორი, ისე მონაწილე მხარე სადაზვერვო ზეგავლენისა და გადაბირებისმნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენენ.

სადაზვერვო საქმიანობის ოთხივე: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური სახეობისათვის, ლობიზმი მორგებად მიმართულებას წარმოადგენს და ამ მიმართულებებით მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვებასთან ერთად, სასურველი, დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს საწინააღმდეგო საკანონმდებლო უზრუნველყოფის საშუალებასაც იძლევა. ლობიზმის სადაზვერვო მოწყვლადობის დამადასტუ-რებელია ის გარემოება, რომ სადაზვერვო პოზიციების შესაქმნელად უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების საქმიანობის ობიექტებთაგან გამორჩეულია, აგენტურული შეღწევის ობიექ-ტები: „დასაზვერვი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოები, დაწესებულებები, საწარმოები, პოლიტი-

კური პარტიები, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები.“ [157] გასათვალისწინებელია, რომ „ლობისტური ჯგუფის წევრობა“ საკმაოდ მყარ ლეგენდირების (სადაზვერვო საქმიანობაში კონსპირაციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოგონილი, შეთხზული ცნობები, მათ შორის მზვერავებისა და აგენტებისათვის გამოგონილი ბიოგრაფიები. ლეგენდირება გამოიყენება ასევე სადაზვერვო პუნქტების, კონსპირაციული ბინებისა და სხვა ობიექტების დაშიფვრის მიზნით. ლეგენდა შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი და თვალსაჩინო.)[158] საფუძველია სადაზვერვო საქმიანობაში, რადგან ამ პროცესში ჩართულ პირს აქვს შესაძლებლობა შეასრულოს სადაზვერვო საქმიანობისათვის აუცილებელი ისეთი ქმედებები, როგორიცაა:

- საიდუმლო ინფორმაციის შეკრება
- გადაბირება
- სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება
- დეზინფორმაციის გავრცელება და ა.შ.

განხილული თეორიული მასალის საფუძველზე საყურადღებოა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ლობირების პროცესის სადაზვერვო მოწყვლადობის შემთხვევაშიშეგვიძლია ზოგადად წარმოვიდგინოთ რა სახის დამაზიანებელი ორგანიზება შეიძლება განხორციელდეს დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში. ღია წყაროებში არსებული მონაცემებით:[159]1972 წლისათვის ამერიკის შეერთებული შტატებისკონგრესში დარეგისტრირდა 5000 ლობისტი, რომლებიც 1,5-2 ათას ზეგავლენის (მათ შორის საზოგადოებრივი ორგანიზაციების) ჯგუფსწარმოადგენდა. ამავე მიმართულებით ღია წყაროში განთავსებული ინფორმაციით:[160] 1950 წლისათვის ვაშინგტონში დაახლოებით 2000, ხოლო 1978 წელს ლობისტთა რაოდენობა 15000 ლობისტური ორგანიზაცია მოღვაწეობდა. 500 ლობისტური ორგანიზაციიდან 61 იაპონიის, 55-უმცირესობების, 34 სოციალური დახმარებების, 31-გარემოს დაცვის, 10-ისრაელის, 6-დემოგრატიული კონტროლის, 15-მზარდი დისკრიმინაციის, 12-შეიარაღების წინააღმდეგ, 33 ქალების, 21 რელიგიური ლობისტური ჯგუფებიიყო. 1990 წლისათვის კი ლობისტური ჯგუფების რაოდენობა 30000 ლობისტურ ორგანიზაციამდეა გაზრდილი.

სტატისტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ლობჯგუფების თვალსაზრისით კომპანიათა კუთვნილების სახელმწიფოებს მასშტაბური სადაზვერვო საქმიანობის განხორციელება შეუძლიათ. ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კორუფციის ხარისხს აქვს დაჭერილი. ლობირების პროცესის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ კორუფცია თანამედროვე მსოფლიოსათვის წარმოადგენს სადაზვერვო ხასიათის ექსპორტის მნიშვნელოვან საშუალებას, რომლის მეშვეობითაც სასურველი ბაზრების დაპყრობა ან/და კონკურენტი სახელმწიფოების ამ ბაზრე-

[157]თენგიზ ენდელაძე. „საგარეო დაზვერვის სამსახურები.“ თბილისი 2007.გვ. 8;

[158] „ლეგენდა (ოპერატიული).“„საქართველოს დაზვერვის სამსახურის პეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი მეორე გამოცემა ცვლილებებით დადამატებებით.“ ლექსიკონის შემდგენლები: ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, პოლკოვნიკი გიორგი სურმავა, მედიცინის დოქტორი მარინა გეგელაშვილი, ნუგზარ ბაბუციძე, დავით ბაზღაძე, ვიტალი მიხელიძე, ილია ნარიმანიძე, აკაკი ცინცაძე. თბილისი. 2013. გვ.39. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9822/3/SadazgvevoTerminebisGanmartebiti%20leksikoni.pdf;

[159]О.А. Омельченко. „ВСЕОБЩАЯ ИСТОРИЯ ГОСУДАРСТВА И ПРАВА.“ УЧЕБНИК. Издание третье, исправленное. Рекомендовано Министерством образования. Российской Федерации в качестве учебника для студентоввысших учебных заведений, обучающихся по специальностии направлениям «Юриспруденция». Том 2 . МОСКВА. 2000. http://lawdiss.org.ua/books/a2052.doc.html;

[160] „Информационный лоббизм.“ https://textbooks.studio/uchebnik-geopolitika/informatsionnyiy-lobbizm-23363. html;

ბიდან განდევნას ემსახურება. კომპანიათა ჯაშუშობის ფონზე შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან შეფარული ჯაშუშობა ხორციელდებოდეს, რაც თანამედროვე ეტაპზე მყარად აპრობირებულ სისტემას წარმოადგენს. ამ კუთხით საყურადღებოა პოლიტიკური დაზვერვის ლონდონის ჯგუფის განმარტება, რომლის მიხედვითაც:[161] მიუხედავად იმისა, რომ დიდ ბრიტანეთში კორუფციის დონე საკმაოდ დაბალია, პრესაში ჩნდება მონაცემები პარლამენტართა კორუფციაში მონაწილეობის შესახებ, რომ მათ კომპანიები რაღაც საქმის გასაკეთებლად თანხებს უხდიან. ლობიზმის სადაზვერვო მნიშვნელობაზე მეტყველებს საჯარო სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია, [162] რომლის მიხედვითაც ჩეხეთში პრო-რუსული ლობი იღწვის რუსეთთან ურთიერთობების გააქტიურებას, ხოლო მათი პოლულარული პრეზიდენტი მილოშ ზემანი გამოხატავს პრო-რუსულ ხედვებს. სადაზვერვო მოწყვლადობისა და შეღწევა-დობის ობიექტს კი ჩეხეთის მასმედიის საშუალებები წარმოადგენენ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- ✓✓ ლობიზმი, როგორც საკანონმდებლო ორგანოსა და სახელმწიფოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზემოქმედების პრაქტიკა, სადაზვერვო შეღწევადობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან რისკ–ქმედებას წარმოადგენს;
- ✓✓ ლობიზმის კუთხით სადაზვერვო ზეგავლენის თავიდან ასარიდებლად მიზანშეწონილია საკანონმდებლო ორგანიზება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოში უცხო ქვეყნების ლობჯგუფების ქაოსური შემოღწევა-სადზვერვო მოღვაწეობისათვის, რეგისტრაციას უნდა დაექვემდებაროს, რაც კონტრსადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი გარემოება იქნება;
- ✓✓ ლობიზმის შენიღბული ფორმით, სადაზვერვო ლობიზმით მიღება პოლიტიკურ ლიდერის დისკრედიტაციის, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნით შეიძლება დასრულდეს;
- ✓✓ სადაზვერვო საქმიანობის ოთხივე: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური სახეობისათვის, ლობიზმი მორგებად მიმართულებას წარმოადგენს და ამ მიმართულებებით მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვებასთან ერთად, სასურველი, დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს საწინააღმდეგო საკანონმდებლო უზრუნველყოფის საშუალებასაც იძლევა.

Ana Gaiparashvili
Caucasus International University International relations
and international security –student of Masters - course 2nd.

Intelligence aspects of lobbying

Summary

Strategic importance of Lobbyism Lobbyism, as a state and public life event, is not a stranger to modern world countries. The existence of "influence groups" in various interests and the basis of the "influence groups" is the objective reality that is based on the most important values and principles of democratic and legal state today. This involves a significant threat to the intelligence interactions of foreign states that may be relevant to the topic of research.

---

[161] „Business lobbying and government relations in Russia: The need for newprinciples.“by Dmitry Denisov. Michaelmas Term 2010. Sponsor: Wincott Foundation. https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default /files/research/files/Business%2520lobbying%2520and%2520government%2520relations%2520in%2520Russia %2520the%2520need%2520for%2520new%2520principles.pdf;

[162] Reuters Staff. „Russian intelligence wages information war, says Czech security service.“ SEPTEMBER 1, 2016. https://www.reuterscom/article/us-czech-russia-security-idUSKCN1175B2;

გიორგი ალადაშვილი -სოციალური მეცნიერების დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების ხელმძღვანელი თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში

თამარა ტარტარაშვილი -სოციალური მეცნიერების დოქტორანტი საქართველოს საზოგადოებრივ ინსტიტუტში, მოწვეული ლექტორი თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში;

ეთნიკური უმცირესობების როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში

საქართველო მულტიეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანაა. საქართველოს ისტორიის ანალიზი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დასასუსტებლად არა ერთხელ ყოფილა გამოყენებული ეთნიკური ფაქტორები, რომლის კულმინაცია თანამედროვე ეტაპზე გახლავთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი. პრაქტიკულად პრობლემათა ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ეთნიკური კონფლიქტების მაინსპირირებელი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების „მკვიდრ“ ჯგუფებთან სუსტი ინტეგრაცია წარმოადგენს. ანალოგიური ვითარებაა თანამედროვე ეტაპზეც. რიგი გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ეთნიკური უმცირესობები უკმაყოფილონი არიან თავიანთი მდგომარეობით, ისინი ვერ ან სუსტად ფლობენ სახელმწიფო ენას, ვერ გრძნობენ, რომცხოვრობენ საკუთარ სახელმწიფოში, მათი უმეტესობა, სინამდვილეში, გარიყულია ქართული საზოგადოებისგან. ამას გარდა დღეისათვის საქართველოს კონტრო-ლირებად ტერიტორიაზე პრობლემად რჩება კახეთში მცხოვრები „პანკისელების“, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხებისა და ქვემო ქართლში ეთნიკურ აზერბაიჯანელთა ფაქტობრივი გამოთიშულობა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სივრცისაგან.

უძველესი პერიოდიდან დღემდე ეთნიკურ კონფლიქტთა ანალიზი აჩვენებს რომ, სწორედ ზემოაღნიშნილი მიმართულებით არსებობს რიგი მნიშვნელოვანი მსგავსებები, რაც კონფლიქტის რისკებად შეიძლება მივიჩნიოთ.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს უახლოეს ისტორიაში სეპარატისტულ რეჟიმებსა და შემდგომ პერიოდში სახელმწიფოთა შორის საომარ მოქმედებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში ქვეყნის გარეთ მცხოვრები ეთნიკურად თანხვედრილი ჯგუფები.

თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია ეთნიკურად თანხვედრილი ჯგუფების ტერორისტული მიზნებით გამოყენების ფაქტები. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეთნიკური ჯგუფების მიხედვით ტერორისტული ორგანიზაციის შექმნისა და მოღვაწეობის პირობებში ძირითადი აქცენტი გამახვილებულია რელიგიურ ფაქტორზე. უახლეს ისტორიაში ამ კუთხითაც საქართველოს მოქალაქეები მონაწილეობას ღებულობდნენ და ღებულობენ საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე საომარ კონფლიქტებში. ეთნიკურ-რელიგიური ფაქტორების გათვალისწინება ხორციელდება ნარკობიზნესის ხაზობრივი განვითარების პროცესში. ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენათა ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ტერიტორიას ნარკოტრაფიკის ერთ-ერთი სერიოზული გამტარი ზონის პერსპექტივა გააჩნია. ეთნიკური უსაფრთხოების დადებითი ფაქტორი მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელმწიფოში ტურიზმის მაშტაბების გავრცობას. შესაბამისად, სახელმწიფოში არ უნდა არსებობდეს ეგრეთ წოდებული ეთნიკურად და რელიგიურად საშიში, ტურის-ტებისათვის სახიფათო - დაუცველი ზონები.

სახელმწიფო სამხედრო უსაფრთხოებას მნიშვნელოვან წილად განაპირობებს სახელმწიფოში სტაბილური ეთნიკური ვითარება. სამხედრო მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტაში საკადრო კომპლექტაციის პროცესში კატეგორიულად უნდა გამოირიცხოს ეთნიკური და რელიგიური ხაზით დაპირისპირებული პირების ან პირთა ჯგუფების ახლო თავმოყრა. განსაკუთრებით საგანაგებო ვითარება შეიქმნებაიმ შემთხვევაში თუ ამ პროცესების გათვალისწინება არ მოხდება ნატოს მისიებში მონაწილე საქართველოს მოქალაქეებისადმი. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება. თანამედროვე ეტაპზე ეთნიკური კონფლიქტების გამოყენებით საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ორ გეოგრაფიულ მონაკვეთზე (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) საქართველომ დაკარგა სოფლის მეურნეობის, მნიშვნელოვანი (საზღვაო და სახმელეთო) სატრანპორტო დერეფნისა და თევზის რეწვის სრულმყოფი შესაძლებლობები, რამაც მნიშვნელოვან წილად დააზიანა საქართველოს ეკონომიკა. საგანგაშოა ის ვითარება რომ პროცესი გამოირჩევა განგრძობადობით.

ღია სივრცეში არსებული ინფორმაციების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველო განეკუთვნება ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამორჩეულ მდიდარ ქვეყანას. არსებული საზოგადოებრივი განწყობა ქმნის შესაძლებლობას, რომ საზოგადოებამ რეალურად ვერ აღიქვას ეთნიკური დაპირისპირების შედეგად მოსალოდნელი საფრთხეები, რაც ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე მოქმედ დამაზიანებელ გარემოებად შეიძლება აღვიქვათ. ეთნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიღწევადია მაშინ როდესაც საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა იცის ეთნიკური კონფლიქტების შედეგად წარმოქმნილი პრობლემები.

საზოგადოების განწყობის მიხედვით, საქართველო ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები მიიჩნევენ, რომ საუკუნეების განმავლობაში ისინი ერთმანეთთან მშვიდობიანად თანა-ცხოვრობდნენ და მათ ურთიერთობებში არ ყოფილა პრობლემა და პერსპექტივაში მის არსებობას გამორიცხავენ. რეალური ვითარება კი შემდეგშია: საუკუნეების განმავლობაში საქართველოს წინააღმდეგ არაერთხელ გამოყენებულა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები, რომლის ნათელი დადასტურება როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, უახლოეს ისტორიაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის ინსპირირება და მიმდინარეობა.თუ ზემოაღნიშნული ეთნიკური ჯგუფები საქართველოს ისტორიაში არაერთხელ დაუპირისპირდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, დღეს საქართველოში ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები (მაგალითად: ებრაელები, ბერძნები, ბოშები და სხვა) რომლებსაც საქართველოსთან თანა-არსებობის პერიოდში გააჩნიათ კეთილი დამოკიდებულებები ქართულ სახელმწიფოსთან და სხვადასხვა ეთნოსებთან. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია აღნიშნული ეთნოსების კუთხით ისტორიული სიღრმეებისა და თანამედროვეობის შესწავლა, რათა გამოიკვეთოს მათი დადებითი დამოკიდებულებების მაინსპირირებელი გარემოებები და გათვალისწინებულ იქნეს სხვა ეთნოსებთან მიმართებაში ეთნიკური ინტეგრაციის პროცესების დაგეგმისას. საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ სომხებთან საქართველოს გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ისტორიული დამოკიდებულებები, მათ შორის მათი მონათესავე ეთნიკური ჯგუფისაგან დაკომპლექტებულ სახელმწიფოსთან სომხეთთან ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში თანაცხოვრების თვალსაზრისით. სწორედ აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისტორიული ისტორიული სიღრმეებისა და თანამედროვეობის შესწავლა, რათა გამოიკვეთოს მათი დადებითი

დამოკიდებულებების მაინსპირირებელი გარემოებები და გათვალისწინებულ იქნეს სხვა ეთნოსებთან მიმართებაში ეთნიკური ინტეგრაციის პროცესების დაგეგმისას.

საქართველო გამორჩეულია სომხური და აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფების კომპაქტური დასახლებებით, ერთის მხრივ სახელმწიფოსათვის ეს დადებითი მოვლენაა, მაგრამ რეალური ვითარების ანალიზი (საუბარია სომხეთ აზერბაიჯანს შორის კომფლიქტურ ვითა-რებაზე), აჩვენებს, რომ ეთნიკური კუთვნილების მიხედვით უცხო სახელმწიფოებს თავისი მომხრე ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომფლიქტების ინსპირირება შეუძლიათ, რაც საქართველოს იმიჯსა და დამოუკიდებლობას მნიშვნელოვნად შეარყევს. სწორედ აქედან გამომდინარე, აუცილე- ბელია ისტორიული სიღრმეებისა და თანამედროვეობის შესწავლა, რათა გამოიკვეთოს მათი დადებითი დამოკიდებულებების მაინსპირირებელი გარემოებები და გათვალისწინებულ იქნეს სხვა ეთნოსებთან მიმართებაში ეთნიკური ინტეგრაციის პროცესების დაგეგმისას.

XIX საუკუნის ოციან წლებიდან საქართველოში მასობრივად ჩამოასახლებულია ეთნი-კური ქისტები, ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები აჩვენებს, რომ მათი ეთნიკური და რელიგიური ერთობა უცხო სახელმწიფოებისათვის საინტერესოა. მათი გამოყენება განხორ-ციელებულია სხვადასხვა სახის საომარ კონფლიქტებში. ამ ჯგუფის მნიშვნელოვან დადებით მახასიათებელზე შეიძლება ვისაუბროთ იმ კონტექსტში, რომ მათმა აბსოლიტურმა უმრავლე-სობამ შეითვისა ქართული ენა. სწორედ აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისტორიული სიღრმეებისა და თანამედროვეობის შესწავლა, რათა გამოიკვეთოს მათი დადებითი დამო-კიდებულებების მაინსპირირებელი გარემოებები და გათვალისწინებულ იქნეს სხვა ეთნოსებთან მიმართებაში ეთნიკური ინტეგრაციის პროცესების დაგეგმისას.

უახლეს ისტორიაში ეთნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით მნიშვნელოვან დამაზიანებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს ულტრანაციონალისტური დამოკიდებულების ზრდადობის ტენდენციები. აღნიშნული პრობლემა, მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ ქვეყნის იმიჯის დაზიანებასთან ერთად ის პირდაპირ უკავშირდება ტურიზმის მაშტაბების შემცირებას, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. იქიდან გამომდინარე, რომ ის-ტორიული სიღრმის ანალიზი არ გვაძლევს საფუძველს, რომ ასეთი ჯგუფების არსებობა განმეორებადი ხასიათისაა, მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას გამომწვევი პირობები, კავშირები რეალურ ვითარებასთან, აგრეთვე მოსალოდნელი საფრთხეები და მოვლენათა განვითარების პერსპექტივები. საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, საქართველოში ეთნიკური უსაფრთხოების კუთხით მოსახლეობის უარყოფით განწყობებს იწვევს დასაქმების პრობლემის გადაწყვეტისას უცხო სახელმწიფოთა კომპანიების მიერ გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფებზე პრიორიტეტების მინიჭება. მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას აღნიშნული განწყობების რეალობა, მასშტაბები, მასმედიის საშუალებებისა და სახელმწიფოს როლი ამ პროცესში. ეთნიკური უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანია მასშტაბური მიგრაციული პროცესები, რომელიც საქართველოში უცხო სახელმწიფოებიდან ხორციელდება, განსაკუთრებით ქვეყნის პერიფერიულ ნაწილში, სადაც სათანადო თავსებადი პროგრამები ეთნიკური ინტეგრა-ციის თვალსაზრისით არ არსებობს. ყოველივე კი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მაღალი ალბათობით ინსპირირებული იქნას ეთნიკური კონფლიქტები.

საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა. საუკუნეების განმავლობაში მნიშვნე-ლოვანი პერიოდი ეთნიკური თვალსაზრისით სახელმწიფოში ტოლერანტული განწყოფები სუფევდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს ისტო-

რიაში უამრავი მაგალითია როდესაც ეთნიკური კონფლიქტების საფუძველზე საქართველომ სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობა დაკარგა. ამ კუთხით გამორჩეულია უახლესი ისტორია, რომლის პირობებში ეთნიკური ხასიათის კონფლიქტის საფუძველზე საქართველო დე-ფაქტოთ ვეღარ აკონტროლებს, ქვეყნის განვითარებისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ორ-აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს. ღია წყაროებში განთავსებული ინფორმაციების ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ გარდა ამ კონფლიქტური ზონებისა, არსებობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეთნიკური ხასიათის კონფლიქტის გამოწვევის მაღალი ალბათობა. შესაბამისად აუცილებელია პრობლემის შესწავლისას კომპლექსური მიდგომები, რაც პრევენციული ღონისძიებების წარმატებით ჩატარების მნიშვნელოვანი საფუძველია. ამ მიმართულებით მწირეა ქართული სამეცნიერო ხასიათის მონოგრაფიები, განსაკუთრებით უცხო სახელმწიფოების ე.წ. „მონათესავე“ ხასიათის კონფლიქტების თვალსაზრისით.

კვლევითი პროექტის ძირითადი გამოწვევა გახლავთ ის რომ, შეისწავლება ეთნიკური კონფლიქტის ინსპირირებისა და განგრძობადობის საფუძვლები. უცხო სახელმწოფოებში (აზერბაიჯანი, მოლდოვა და უკრაინა) ეგრეთ წოდებულ “მონათესავე” ეთნიკური კონფლიქტების კომპლექსური ანალიზი საქართველოში განხორციელებულ და განგრძობად ეთნიკურ კომფლიქტებთან იძლევა საშუალებას ჩამოყალიბდეს საფრთხის გამომწვევი მიზეზებისა და განგრძობადობის განმაპირობებელი კლასიფიკატორი. შესაძლებელი ხდება კონფლიქტების ინდივიდუალური მოდელების შექმნა, მათ შორის განგრძობადობიდან გამომდინარე განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ანალიტიკური მასალებით შესაძლებელი გახდება ეთნიკური კონფლიქტების წარმოქმნის პერიოდში გამოკვეთილი და თანამედროვე ეტაპზე მოსალოდნელი საფრთხეების იდენთიფიკლასიფიცირება. ამასთან ერთად გვექნება შესაძლებლობა სწორად გამოვკვეთოთ უკვე განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების სისუსტე ან სიძლიერე და პერსპექტივაში კონფლიქტურ ზონაში სამოქმედო პროგრამა ეთნიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.

თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს სახეზე აქვს განგრძობადი კონფლიქტი, რომელიც წარმოშობილია ეთნიკურ ნიადაგზე. პრობლემის მოუგვარებლობა საზოგადოების უარყოფით განწყობას იწვევს. აღნიშნული პრობლემით საქართველო კარგავს მნიშვნელოვან ეკონომიკურ შემოსავლებს, რაც კიდევ უფრო განგრძობადობის შემთხვევაში ეკონომიკური ზიანის გარდა სხვა ეთნიკური ჯგუფების კონფლიქტებში მონაწილეობის რისკს ზრდის. აღსანიშნავია ის ფაქტორები, რომ 2015 -2017 წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეთნიკური ხასიათის კონფლიქტის ინსპირირების საფუძვლებთან გვქონდა საქმე. ყოველივე კი იმას ნიშნავს, რომ ეთნიკური კონფლიქტის რისკები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის ჩვენი კვლევის სამიზნე ჯგუფებში, განსაკუთრებულად გაზრდილია. ასევე განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეთნიკური კონფლიქტის ინსპირირებისას გარკვეულ როლს თამაშობს ეთნიკური ჯგუფების რელიგიური ფაქტორიც. გამოდის რომ, პერსპექტიულ კონფლიქტებს შესაძლებელია ჰქონდეს კომბინირებული ეგრეთ წოდებული “ეთნიკურ-რელიგიური” ხასიათი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ უცხო სახელმწიფოების პრაქტიკაში არსებობს მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოზე სათანადო ზეგავლენის უზრუნველსაყოფად მიზანმიმართულად ხორციელდება ეთნიკური

კონფლიქტების წარმოშობა, მაშინ ჩვენი კვლევის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. გასათვალისწინებელია ის გარე-მოება, რომ ეთნიკური უსაფრთხოება ეროვნულ უსაფრთხოे-ბის მნიშვნელოვანი შემადგენელია და შესაბამისად ეთნიკურ უსაფრთხოების კუთხით დისონანსი ავტომატურად იწვევს ეროვნულ უსაფრთხოებაში დისონანს, რაც სახელმწიფოს დასუსტების, ხელისუფლების კომპრომენტაციის საფუძველი ხდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა. საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი პერიოდი ეთნიკური თვალსაზრისით სახელმწიფოში ტოლერანტული განწყოფები სუფევდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორიაში უამრავი მაგალითია როდესაც ეთნიკური კონფლიქტების საფუძველზე საქართველომ სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლია-ნობა დაკარგა. ამ კუთხით გამორჩეულია უახლესი ისტორია, რომლის პირობებში ეთნიკური ხასიათის კონფლიქტის საფუძველზე საქართველო დე-ფაქტოთ ვეღარ აკონტროლებს, ქვეყნის განვითარებისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ორ-აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეთნიკური უმცირესობების საქართველოში: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50 ---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-800&cl=CL1.31&d=HASH02651e99259fecc3f6b80a.2&gt=1;

2. კონფლიქტი აფხაზეთში: ისტორია და თნამედროვეობა http://opinion.civil.ge/publications/306;

3. ეთნიკური ურთიერთობები: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ru-00---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL2.23&d=HASHb9e1bc6cd8bbd7 0438e 707. 4.2

4.ფედერალიზმი და ეტნიკური კონფლიქტები: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.23&d=HASH0180073af44f20d12685a44d. 4.8.3.2&gt=1;

5.საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ევროპეიზაცია: https://www.tsu.ge/science/?leng=ge&jnomeri=7&lcat=jurnal&tid=9;

Giorgi Aladashvili –Doctor of Social Science; Head of International Relation's Programme department at Tbilisi Teaching University

Tamara Tartarashvili –PhD candidate in Social Science at Georgian Institute of Public Affairs; Invited Lecturer at Tbilisi Teaching University;

Ethnic Minority Role in National Security

Summary

Georgia is a multiethnic and multi-confessional country. The analysis of the history of Georgia gives us the basis to conclude that to make weak Georgia's national security has been used by ethnic factors by several times, which's culmination is the modern stage of Abkhazia and Tskhinvali region. Georgia is a central part of the South Caucasus and is the shortest way from east to west, which has great potential for transit power and other needs. That is why the political, economic and social stability of Georgia is not only the subject of Georgia's interest and the situation existing in the Middle East and in the Black Sea region is impontantly depend on here.

კონსტანტინე კუხალაშვილი

საქართველოზე მეზობელი სახელმწიფოების სადაზვერვო ზეგავლენის საკითხისათვის
(XVIII საუკუნის ბოლო, XIX საუკუნის I ნახევარი)

რუსეთის საიმპერატორო კარის ინტერესებში საქართველოს ერთ-ერთ გუბერნიად გადაქცევა შედიოდა. XVIII საუკუნის მიწურულს იმპერატორისადმი, საქართველოში სპეციალური მისიით მყოფი გრაფი მუსინ-პუშკინის გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოზე კონტროლის დამყარების შემთხვევაში „რუსეთი მდიდარს ქვეყანას შეიძენდა და კავკასიის მთიელთა თავდასხმისაგან სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქმნებოდა“,[163]რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის იმპერია საქართველოსთან მიმართებაში აქტიურ ჯაშუშურ საქმიანობას ახორციელებდა. ამ შემთხვევაში სახეზეა ეკონომიკური და სამხედრო სადაზვერვო საქმიანობის მიმართულებები. აღნიშნული ჯაშუში სწავლობდა ქართლ-კახეთის მეფის, გიორგიXII-ის, ჯანმრთელობის მდგომარეობას. უნდა ავღნიშნოთ, რომამ პერიოდისათვის საქართველოში რუსეთის იმპერია ახორციელებდა აქტიურ ჯაშუშურ საქმიანობას [დავით ქსნის ერისთავი და ზაალ ორბელიანი გენერალ ტოტლებენის აგენტები იყვნენ], რის შედეგადაც მათ ხელი მიუწვდებოდათ ისეთ ინფორმაციებზე, როგორებიცაა:[164]

- ქართლ-კახეთის სამეფო კარის წევრებს შორის დამოკიდებულებები;
- ერეკლე მეორეს ოპოზიციის გეგმები;
- ქართლ-კახეთის ლაშქრის რაოდენობა და აღჭურვილობა;
- ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა;
- ქართლ-კახეთის მეფის დამოკიდებულებები ქართველ მეფე-მთავრებთან, თურქეთთან და ირანთან.

ამ პერიოდისათვის ოსმალეთი ინარჩუნებდა გავლენას დასავლეთ საქართველოზე. აკონტროლებდა ვითარებას საქართველოს ზღვისპირეთში, სადაც ადგილი ჰქონდა საქართველოდან გატაცებული ტყვეებით ვაჭრობას. ამასთან ერთად, აფხაზეთის სამთავროში შარვაშიძეთა სახლში ოსმალეთს გააჩნდა ჯაშუშური აპარატი, რომელიც რელიგიურადაც თანაუგრძნობდა ამ სახელმწიფოს. ოსმალეთის აგენტები ავრცელებდნენ ცრუ ინფორ-მაციას,[165]რაც მოსახლეობაში მეფისადმი უარყოფით განწყობებს იწვევდა. რუსეთის იმპერიასთან

---

[163]Бутков,МатериалиIіб 466-467. ივანეჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“. ტომიV. „საქართველოს შეერთება რუსეთთან“. გვ. 95 გამომცემლობა პალიტრაL. 2012.

[164] ეკასალაღაია. „როგორ აკონტროლებდა რუსი რეზიდენტი ერეკლე მეორის დიპლომატიურ მიმოწერას და საიდან დასტურდება ეს“ [საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისპროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალების მიხედვით]. 2013-10-14. http://www.tbiliselebi.ge/?mas_id=268438748&year=2013&rubr_ id=27&jurn_id=42;

[165]ირაკლი ხართიშვილი. „ქართული ისტორიოგრაფია რუსეთ–საქართელოს ურთიერთობების შესახებ.“ ნაწილი IV. მოვლენები გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ.“http://defencegeorgia. blogspot.com/2010/12/iv.html;

დაპირისპირებულ ოსმალეთს ამ პერიოდისათვის მხარდაჭერას უცხადებდა საფრანგეთი, ბრიტანეთი და პრუსია.

1801 წელს მეფის რუსეთმა ქართლ-კახეთი შეიერთა და იმ დღიდანვე დაიწყო ზრუნვა დანარჩენ საქართველოში არსებულ იმ დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების შეერთებაზე, რომლებსაც ერთმანეთში მუდმივი დაძაბულობა ჰქონდათ. ამ ვითარების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ყველა იმ სახელმწიფოს მიუძღოდა, რომლებსაც საქართველოზე დომინირების სტრატეგიული მიზნები გააჩნდათ.

ქართლ-კახეთის ქართველ ფეოდალთა წრე, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა დამოუკიდებელი სამეფოს არსებობის პერიოდში, აგრესიულად შეხვდა რუსულ მმართველობას. აღნიშნულის დამადასტურებელია რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის 1799 წლის შემოდგომისათვის ახალი ტრაქტატის საიდუმლოდ მომზადების პროცესი, რომელშიდაც აღნიშნული იყო რომ: ,,რუსეთთან ახლებური დამოკიდებულების მსურველია როგორც სასულიერო, ისე საერო ნაწილი" [166], აგრეთვე გიორგი XII-ის ძის - დავითის მიერ ამ ინფორმაციის შეტყობისთანავე გამოხატული პოზიცია ,,მამაჩვენმა ყელში დანა გამოგვისვაო". ტრაქტატში აღნიშნული განწყობის გამომხატველი ,,ქვეყნის ძლიერი სომხური (ვაჭრული) დიასპორა იყო", რაც იმას ნიშნავს რომ მათზე რუსეთის იმპერია სადაზვერვო ზეგავლენას ახდენდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის იმპერიამ დავით ბატონიშვილზე მყარი სადაზვერვო ზეგავლენა განახორციელა.

ქართველ გლეხთა დიდი ნაწილისათვის საქართველოს რუსეთთან შეერთება სასიამოვნო ფაქტი იყო,[167] რადგან თვლიდნენ, რომ ამ ურთიერთობით უფრო მეტად დაცულად იგრძნობდნენ თავს ლეკთა თარეშისაგან, ტყვეთა სყიდვისა და უცხოელი დამპყრობლებისაგან. ამ კეთილგანყობის მიუხედავად რუსმა მოხელეებმა მალევე გამოავლინეს საკუთარი თავი და დაიწყეს მოსახლეობის შეურაცხყოფა, თვითნებობა და მექრთამეობა. ასეთმა მართველობამ მოსახლეობას დამატებითი ვალდებულებები გაუჩინა. გლეხებმაც ადვილად დაივიწყეს საკუთარი იმედები და 1804 წელს პირველად გამოთქვეს პროტესტი ცარიზმის წინააღმდეგ მთიულეთის აჯანყების სახით, შემდგომ 1812 წელს კახეთის, ხოლო 1819 წელს იმერეთის აჯანყების სახით.

რუსეთის იმპერიის მართველების გადაწყვეტილებები და ჯარისკაცთა ქმედებები საქართველოს მოსახლეობას იმპერიის წინააღმდეგ განაწყობდა. ამ პერიოდში მთის მოსახლეობის ცხოვრება არ იყო იმდენად განვითარებული, როგორც ბარში მცხოვრები ხალხისა. მათში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო გვაროვნული და თემობრივი მმართველობა. ისინი ქართული სამეფოს არსებობის პერიოდში გლეხთა ფენად ითვლებოდნენ და ყოველთვის ამჟღავნებდნენ სწრაფვას თავისუფლებისაკენ. რუსული რეჟიმის მმართველობა მთის ხალხს უფრო აახლოვებდა საქართველოს ცენტრთან, სწორედ მთაში გადიოდა დარიალის სამხედრო გზა, რომელიც ერთადერთი დამაკავშირებელი იყო რუსეთ-საქართველოს შორის. ამ მონაკვეთზე გადაადგილებისას რუსი ჯარისკაცები ზედმეტ ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას, რადგან საჭირო საკვებს სწორედ მათგან მოითხოვდნენ. რუსული მთავრობა ხშირად

[166]პროფ. ნოდარ ასათიანი, პროფ. გიორგი ოთხმეზური, პროფ. მიხეილ სამსონაძე, პროფ. გივი ჯამბურია. ,,საქართველოს ისტორია XVII საუკუნიდან XIX საუკუნემდე". თბილისი. 2012. გვ.506

[167] აკ.სურგულაძე „რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში." „ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი საქართველოში." თბილისი 1963. გვ.504;

აიძულებდა მთაში მცხოვრებ მოსახლეობას მათთვის ფულადი სახით გადაეხადათ ის გადასახადები, რომლებსაც ადრე პროდუქტების სახით იხდიდნენ. მთაში ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ და უჭირდათ ფულის მოძიება. მთავრობის მოხელეები ხშირად ძალადობდნენ გლეხების ოჯახებზე, დაუზოგავად ამუშავებდნენ როგორც მამაკაცებს, ასევე დედაკაცებს. ქართველთა პირველ აჯანყებას მეფის რუსეთის წინააღმდეგ 1804 წელს დარიალის სამხედრო გზის შეკეთებაზე მომუშავე გლეხებმა ჩაუყარეს საფუძველი, რომელიც ისტორიაში მთიულეთის აჯანყების სახელითაა შესული. ამ დროს ერევნის ციხე-ქალაქის აღებისას რუსულმა ჯარმა, ციციანოვის [168] მეთაურობით, დახმარება ითხოვა ანანურის მაზრის წინამძღოლისაგან, რომ ქართველთა ჯარი რუსი მეომრების მისაშველებლად წასულიყო. მთიელთა ლაშქარიც დიდი შემართებითა და ერთსულოვნებით გამოვიდა, მაგრამ ციციანოვის მიშველების ნაცვლად ანტირუსული აჯანყების დროშა ააფრიალეს. ეს პროტესტი რუსეთის იმპერიული მმართველობისადმი ძალიან საშიში აღმოჩნდა, რადგან ეს მოხდა მათთვის კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც რუსული ჯარი ჩაბმული იყო ირანთან ბრძოლაში. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს „ტახტისათვის მებრძოლმა იმერეთში გადახვეწილმა ქართველმა ბატონიშვილებმა“ [169] . მათ სურდათ, რომ გლეხთა აჯანყება გამოეყენებინათ საკუთარი მიზნების მისაღწევად, რითაც ძველ პოლიტიკურ გავლენას დაიბრუნებდნენ, ხოლო გლეხებს მხოლოდ უსაფრთხოებისათვის ბრძოლა სურდათ. ბატონიშვილები გაერთიანდნენ რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა ძალასთან და გლეხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენისათვის ბრძოლად გადააქციეს. აჯანყებულებმა ჩაკეტეს რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი დარიალის გზა, მათ მოძრაობას შეუერთდნენ ოსები, ბარის ზოგიერთი კუთხეები და კახეთის ფეოდალთა ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებს რუსი ჯარისკაცები სასტიკად უსწორდებოდნენ, ანადგურებდნენ, წვავდნენ მათ სოფლებს, აჯანყების ჩახშობა ადვილად მაინც ვერ მოახერხეს. რუსეთის იმპერიის გენერალი ციციანოვი იძულებული გახდა ჯარი მოეხსნა ერევნის ბრძოლიდან და მთიანეთში აჯანყებულებთან საბრძოლველად გადმოესროლა. 1804 წლის ოქტომბერში გენერალმა შეძლო აჯანყების ჩახშობა და აჯანყების მოთავე 73 ადამიანის დასჯა.

რუსი მოხელეები კახელ გლეხებსაც ჩაგრავდნენ. ისინი შეურაცყოფდნენ მათ ოჯახებს და აიძულებდნენ სურსათით რუსული ჯარის მომარაგებას. 1812 წელს კახეთში მოუსავლიანობა, შიმშილობა და შავი ჭირი მძინვარებდა, რუსი მოხელეები კი უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ ისედაც დაუძლურებულ გლეხთა ოჯახებს. კახელი გლეხები ვალდებულები იყვნენ ცხენები და ურმები გაეგზავნათ რუსი ჯარისკაცებისთვის, ეს კი ერთადერთი იარაღი იყო, რითაც გლეხებს მიწის დამუშავება შეეძლოთ. ამ ვალდებულების გამო გლეხებს მეტი სამუშაოს შესრულება სჭირდებოდათ, ეხარჯებოდათ მეტი დრო და კარგავდნენ მუშაობის ხალისს. ასეთ გაუსაძლის პირობებში კახელებმა გადაწყვიტეს მეფის რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ აჯანყება წამოეწყოთ, ფეოდალები კი ცდილობდნენ გლეხთა ბრძოლა თავიანთი მიზნების განსა-

---

[168]პროფ. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, პროფ. ალექსანდრე დაუშვილი, პროფ. მაყვალა ნათმელაძე. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში. ტომი IV. „ქართლის მთიანეთის 1804 წლის ანტირუსული აჯანყება.“ თბილისი 2012. გვ. 15-16;

[169]„საქართველოს ისტორია“, აკად.ს.ჯანაშიასა და აკად. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების მიხედვით. თბილისი. 1990. გვ.280;

ხორციელებლად გამოეყენებინათ. გლეხებს მხოლოდ უკეთესი ხელისუფლებისთვის ბრძოლა სურდათ, რომელიც მათ ჩაგვრისგან დაიხსნიდა. აჯანყება 1812 წლის 31 იანვარში დაიწყო, როდესაც სოფელ ახმეტაში რუსული ჯარი მოსახლეობას საკვებით მომარაგებას აიძულებდა. აჯანყება უმალვე მთელ კახეთს მოედო, ხოლო შემდეგ მას ქართლის მთიანეთიც შეუერთდა. სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. გამწარებული და შეურაცხყოფილი კახელები დაუნდობლად იძიებდნენ შურს რუს ოფიცრებზე. გლეხებმა ადვილად აიღეს თელავი და სიღნაღი, ასევე გაანადგურეს და დაწვეს რუსთა სადგომები. მსგავსი შეტაკებები 10 მარტამდე გაგრძელდა. აჯანყების პერიოდში კახელები შეეხმიანენ ტახტისათვის მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ირანში იდგა და დამხმარე ჯარით კახეთში შემოსვლას აპირებდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ბატონიშვილი ირანის სადაზვერვო ზეგავლენას ექვემდებარებოდა. აჯანყებულებს შორისაც წარმოიშვა კლასობრივი შუღლი და გლეხებმა რუსთა მომხრე ფეოდალების სახლების ძარცვა-რბევა დაიწყეს. კახეთის აჯანყების ჩახშობა დაევალა იმდროისთვის საქართველოს მთავარმართებელს იტალიელ პაულუჩის, რომელმაც შეძლო აჯანყებულთა დამარცხება და მეამბოხე გლეხები კახეთის სოფლებში აღმართული სახრჩობელებით დასაჯა, თუმცა დამსჯელმა ძალამაც ძალზედ დიდი დანაკლისი განიცადა. 1812 წლის კახეთის აჯანყება უდიდესი პროტესტი იყო კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთის იმპერიას საქართველოს მთლიანად შეერთება სურდა, მან გონივრულად დაიწყო მუშაობა იმ ეროვნული ფუნდამენტების რღვევაზე, რომლებიც ერთიანობის შეგრძნებას ქმნიდნენ საზოგადოებაში. ამ კუთხით პირველი მნიშვნელოვანი ქმედება 1811 წელს განხორციელდა, როდესაც ქართულ ეკლესიას ჩამოერთვა ავტოკეფალია, იგი რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს და წინამძღვრად ეგზარქოსი დანიშნეს.

ქართლ-კახეთში რუსეთის მიერ გაუქმებული სამეფო ხელისუფლება, ახლო პერსპექტივაში დამოუკიდებლობის დაკარგვის დიდ საფრთხედ აღიქვა იმერეთის მეფე სოლომონმა და თავდაცვისათვის მიზნად დაისახა თავი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებულ მეფედ გამოეცხადებინა. მეფის რუსეთს რა თქმა უნდა არც ეს ფაქტი გამორჩა მხედველობიდან და დამოუკიდებელ სამეფოებს შორის შუღლის ჩამოგდება განიზრახა. მან 1803 წელს მოახერხა ხელშეკრულება დაედო სამეგრელოს მთავრებთან, რითაც იმერეთის მეფეს დაუპირისპირა. რუსეთმა იმერეთში განალაგა თავისი მეომრები და თან იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მოტყუებით რუსეთში გადასახლების გეგმაზე განაგრძო მუშაობა. 1810 წელს რუსეთმა შეძლო სოლომონ II- ის დატყვება, მაგრამ მეფემ იმავე წელსვე დააღწია ტყვეობას თავი და რუსეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობისას, ოსმალთა მმართველობის ქვეშ მყოფ ქ.ახალციხეში ჩავიდა.

რუსი სამხედროები კიდევ უფრო დიდ ტვირთად დააწვა იმერეთის მოსახლეობას, რადგან ისინი გლეხებისაგან მოითხოვდნენ რუსული ჯარისათვის აუცილებელ საჭირო სურსათსა და ცხენებს. გლეხობისთვის ძველ ბატონყმურ ტვირთს კოლონიური ჩაგვრის რეჟიმიც დაემატა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მათში. ასევე შევიწროებულად გრძნობდნენ თავს მეფის მომხრე თავადაზნაურებიც. 1810 წელს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რომელსაც თვით სოლომონ II მეთაურობდა. ამ აჯანყებამ დიდი საფრთხე შეუქმნა მეფის რუსეთის ბატონობას საქართველოში. რუსეთს აჯანყების ჩახშობაში გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა დაუჭირეს მხარი (რაც მათზე რუსული სადაზვერვო ზეგავლენის დამადასტურებელია) და დამარცხებულმა სოლომონ მეფემ ოსმალეთს შეაფარა თავი. იმერეთში დამყარდა რუსი მოხელეების დროებითი

მმართველობა. მეფის რუსეთმა გააუქმა იმერეთის სამეფო, რომელიც საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის მთავარ დასაყრდენ ღერძს წარმოადგენდა.

მეფის რუსეთმა მსგავსად დადიანთა მთავრებისა, გურიელებთანაც გააფორმეს მფარველობის ხელშეკრულება.

საქართველოში სამეფო ინსტიტუტების არსებობის პერიოდში საეკლესიო მმართველობა დიდ მიწებს ფლობდა, რომელიც მეფის რუსეთმა იმპერიას დაუქვემდებარა, რამაც ეკლესიის წარმომადგენლებში უკმაყოფილება გამოიწვია. განაწყენებულ საეკლესიო პირებს შეუერთდნენ თავადები და გაწამებული გლეხები. გლეხებმა მიწების აღსაწერად მოსული რუსი მოხელეები გაყარეს და ამით დასაბამი დაუდეს აჯანყების მოწყობას. აგრესია მალევე გავრცელდა და როგორც სხვა წინა აჯანყებებში, სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ერთი ამოცანისთვის საბრძოლველად გაერთიანდნენ. აჯანყებულებს სურდათ იმერეთში ქართველი მეფის დაბრუნება, მაგრამ საიმპერიო მართველობამ აჯანყებულები სასტიკად დასაჯა, ბაღ-ვენახები და სახლები გადაუწვა.

საყურადღებოა იმპერიის საზღვრების კონტროლის მიზნით [შესაბამისად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწინააღმდეგოდ] მოქმედი კანონმდებლობა-სისხლის სამართლის კოდექსი.[170] იმ პერიოდისათვის დანსჯადი იყო ქმედება შინაგანი საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დარღვევისათვის [მათ შორის ამბოხება, ძალადობა ადგილობ-რივი ხელისუფლების, ბატონების, სამხდრო პირების ბრძანებების წინააღმდეგ]. იმავე მიზნით რუსეთის იმპერია, საიმპერიო კარის სპეცსამსახურის კონტროლქვეშ, [171] საქართველოში აქტიურად იყენებდა ეგზარქოსის ინსტიტუტს.

რუსეთის იმპერიის მხრიდან, საკანონმდებლო უზრუნველყოფისა და სპეცსამსახურების მკაცრი კონტროლის მიუხედავად შეუძლებელი გახდა აჯანყების თავიდან აცილება.

1832 წლის შეთქმულება-აჯანყების ძირითადი მოტივი პეტერბურგში, დეკაბრისტთა მიერ შეიარაღებული აჯანყება და ევროპაში ოციან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატება გახდა. შეთქმულების ძირითადი მონაწილეები იყვნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, ბატონიშვილები და ა.შ. 1832 წლის შეთქმულების გეგმის მიხედვით თავადაზნაურობა ნოემბერ-დეკემბერში მეჯლისზე შეიკრიბებოდა, სადაც დაპატიჟებული იქნებოდა კავკასიის მთავარმართებელი ბარონი როზენი. მთავარმართებლის გარდა დაგეგმილი იყო სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების დაპატიმრება, რითაც თავადაზნაურობის კონტროლქვეშ მოექცეოდა თბილისში განთავსებული ყველა მნიშვნე-ლოვანი პუნქტი. შეთქმულების ერთ-ერთმა წევრმა, იასე ფალავანდიშვილმა, თავის ძმას, ნიკოლოზს, უამბო დაგეგმილი აჯანყების შესახებ, რომელსაც თბილისის მთავარმართებელთან მაღალი თანამდებობა ეკავა. აჯანყება ვეღარ განხორციელდა და იასეს მიიჩნევენ, როგორც „1832 წლის შეთქმულების გამცემს.“[172] წარუმატებელი შეთქმულების მონაწილეები დასასჯელ

[170]В.А. Рогов. История государства и права России IX - начала XX вв. Учебник. М.: МГИУ,2000. - 256 с., 2000 - п Стр 31-90;

[171]დავით კუხალაშვილი. „სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია რელიგიის საფარქვეშ.“ შსს აკადემიის გამომცემლობა. 2016. გვ.108-109;

[172]ეკა სალაღაია. „ვინ გასცა 1832 წლის შეთქმულება და რატომ ჩამოგლიჯა ჯვარი რუსმა ეგზარქოსმა ფილადელფოს კიკნაძეს.“ [ინტერვიუ ისტორიკოს, პროფესორ ვაჟა კიკნაძესთან] 2010-06-03. http://tbiliselebi.ge /index.php?newsid=4441;

კატეგორიებად დაჰყვეს. მთავარ მონაწილეებს სიკვდილი მიესაჯათ, მაგრამ ნიკოლოზ პირველმა, საჯაროდ სულგრძელი მართველის როლი გაითამაშა და მონაწილეებს მხოლოდ გადასახლება შეუფარდა. მოსკოვსა და პეტერბურგში ქართველ ბატონიშვილთა ოჯახები იძულებითი გადაასახლეს.

1832 წლის შეთქმულება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულები დამარცხდნენ, მათ საფუძველი ჩაუყარეს 60-80-იან წლების განმანთავისუფლებელ იდეას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- საქართველოზე ზეგავლენისათვის მებრძოლი სახელმწიფოები აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას აწარმოებდნენ, რომელშიდაც XIX საუკუნის დასაწყისში გამარჯვება რუსეთმა მოიპოვა;
- რუსეთის იმპერია საკუთარი ჯაშუშური ქსელის მეშვეობით ღებულობდა ინფორმაციას როგორც საერთო პოლიტიკური მდგომარეობისა და ქვეყანაში არსებული რესურსების შესახებ, ასევე დანაწევრებულ და დაპირისპირებულ სამეფო-სამთავროებში მიმდინარე პროცესებზე;
- რუსეთის იმპერიის სადაზვერვო ზეგავლენას განიცდიდნენ ქართლ-კახეთში მოღვაწე სომეხი ვაჭრები;
- ოსმალეთი უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში აწარმოებდა ჯაშუშურ საქმიანობას, რომლის ხელშემწყობიც რელიგიური ფაქტორი იყო;
- ქართლ-კახეთის ტახტისათვის მებრძოლი ალექსანდრე ბატონიშვილი, ირანის სადაზვერვო ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული;
- დავით ბატონიშვილზე სადაზვერვო ზეგავლენას რუსეთის იმპერია ახორციელებდა;
- რუსეთის იმპერიამ შეძლო სადაზვერვო ზეგავლენის მოპოვება გურიის სამთავროზე და მისი წაქეზება იმერეთის სამეფოს ინტერესების წინააღმდეგ;
- რუსეთის იმპერიის ხელისუფლება და საქართველოში დისლოცირებული სამხედრო შენაერთები თავისი მოქმედებებით პროვოცირებდნენ ქართველთა აჯანყებებს;
- რუსეთის იმპერიული მართველობის წინააღმდეგ მოწყობილმააჯანყებებმა საფუძველი დაუდო ქართული სახელმწიფოებრივი აღდგენისათვის ბრძოლას.

Konstantine Kukhalashvili

The spying influence of the neighbouring contries on Georgia (End of the XVIII century, The first half of the XIXth century)

Summary

By the end of the XVIIIth century the spying activity of foreign countries over Georgian kingdom- principality was especially active. By the begining of the XIXth century with the help of spying activities Russian Empire encouraged the confrontation between Georgian kingdom- principalities and turned them under its influence.